



**ტამაზ სურგანაძე**

# **ტრაგედია ბათუმში (1937–1938 წლები)**

**მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა**

**ბათუმი**

**2014 წ.**

ეს წიგნი ავტორის მრავალი წლის კვლევა-ძიების ნაყოფია. მან საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივში მოიძია 1937-1938 წლებში შექმნილი ე. წ. „სამეული“-ს სიები, რომლებშიც შეტანილნი არიან I კატეგორიას მიკუთვნებული ადამიანები, საუბარია მათ მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის ბათუმში აღსრულებაზე, ოჯახებზე მიწოდებულ ყალბ ცნობებზე, თითქოს ისინი ცოცხალნი არიან, სასჯელს შორეულ აღმოსავლეთში იხდიან და ა. შ.

წიგნში ავტორი მოგვითხრობს აგრეთვე გაუბედურებულ, ქონებაჩამორთმეულ და უფლებააყრილ ოჯახებზე, რომლის წევრებმა ან თავადაც იწვნიეს გადასახლების სიმძიმე, ან კიდევ, სახელმწიფოს მხრიდან შიშის გამო, ახლობლებთან ურთიერთობის გარეშე იცხოვრეს ათეული წლები.

წიგნში მრავალი ცნობა სრულიად ახალია, პირველად ქვეყნდება და ბევრი ოჯახისთვის შესაძლოა საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდეს.

წიგნის მზადების პერიოდში რეპრესირებულთა სიები ავტორმა გამოაქვეყნა გაზეთ „ბათუმელებში“ და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ოჯახებიდან მოითხოვა ცნობები, ფოტოსურათები. ამან ერთგვარი ნაყოფი გამოიღო. ნაწილმა ავტორს მიაწოდა რეპრესირებულთა მოკლე ბიოგრაფიები და ფოტოსურათები.

ასეთი სახით წიგნი პირველად ქვეყნდება, ამიტომ ვფიქრობთ იგი საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისა და ამ საკითხით დაინტერესებულ მეცნიერთათვის.

რედაქტორი **როინ მაღაყმაძე**

რეცენზენტები: **გივიტო ღიანაშიძე**  
**ნოზარ ბახიძე**

## პროლოგი

წიგნის დაწერის იდეა თავისთავად მოდის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში რაღაც მოვლენები, ვინმეს რჩევა, ან კიდევ სა-  
დღაც, სხვა წიგნში ამოკითხული შესაძლოა ახალი ნაშრომის  
შექმნის საბაზი გახდეს.

ჩემთვის ასეთი საბაზი საკმაოზე მეტი იყო. ოჯახმა ხელისუ-  
ფლების მხრიდან არაერთხელ განიცადა რეპრესია. მამა, ღურსუნ  
სურმანიძე საკმაოდ ცნობილი და დამსახურებული კაცი, 1937  
წელს დააპატიმრეს და 10 წლით შორეულ ჩრდილოეთში გადაას-  
ახლეს. 1947 წლის აგვისტოში დაბრუნდა, მაგრამ ცხოვრების  
უფლება ჰქონდა არა საკუთარ ოჯახში, არამედ ცაგერის რაიონ-  
ში. სწორედ ამ დროს ჩნდება კითხვა: რატომ? რისთვის? თუმცა  
ასეთი შეკითხვა უფრო მოგვიანებით გახდა საჭირო. დაბრუნები-  
დან 16 თვის შემდეგ კვლავ წაიყვანეს და სამუდამოდ გადაასახ-  
ლეს იმავე კრასნოიარსკის მხარეში. ამჯერად 7 წელი გაატარა  
ციმბირში; სულით და გენეტიკურადაც ძლიერი კაცი აღმოჩნდა,  
დაბრუნდა ისეთივე მხნე და ხალისიანი, კვლავ ჩადგა საერთო  
სახალხო საქმეში და 1988 წელს 90 წლის ასაკში აღესრულა.

სუთი შვილი ცალუღელმა დედამ გაგვზარდა. ყველაფერი  
ჩამოგვართვეს: კომუნალური ბინა ქალაქში, მიწის ფართობი  
და სახლი ბათუმის გარეუბანში, ქონება და საოჯახო რე-  
ლიკვიები. იძულებული გავხდით სოფელში ბაბუასთან შეგვე-  
ფარებინა თავი. აქაც გვქონდა უძრავ-მოძრავი ქონება, თუმცა  
მალე მიწაც ჩამოგვართვეს და მთლიანად მოგვისპვეს არსებო-  
ბის საშუალება.

ვფიქრობ მონაყოლიც საკმარისია იმისთვის, რომ თუ  
ოდნავ მაინც გიჭრის კალამი, ამ მოვლენებზე რაღაც დაწერო.  
მეტადრე მაშინ, როცა შენზე უარეს დღეში ათეული ათასები  
არიან, ნაწამები, ნაწვალები, დამცირებულნი, მორალურად და  
ფიზიკურად განადგურებულნი.

ასეთი ფიქრები ხშირად მომეძალებოდა ხოლმე, მაგრამ ამ  
თემას ვერ ვეჭიდებოდი, ძნელი იყო ჩემთვის, კაცისთვის, ვინც  
იმ წყობილების დროს საკმაოდ მაღალ სამსახურებრივ კარი-

ერას მიღწია. თვითონ მამაც, თითქოს არაფერი მომხდარაო, არ მაქეზებდა ასეთი საქმით დაეკავებუდიყავი, ჩვეულებრივ კარგი მოსაუბრე და ოქროპირი კაცი თავს არიდებდა იმ ჩვიდ-მეტწლიან ცხოვრებაზე საუბარს და მეც ვდუმდი.

და აი, 1988 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ ჟურნალ „ტორონში“ გამოქვეყნდა „ყარლაგის“ (ყარაგანდის ბანაკის) ყოფილი ბინადრის, მშვენიერი ქალბატონის, მოწყალეების დისა და პოეტის, **ლილი ჩიქოვანის\*** წერილი. ავტორმა საკუთარ თავზე იწვნია „სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრის“ მთელი სიმძიმე და საკნებსა და ბანაკებში გატარებული უმძიმესი და უსაშინლესი თავგადასავალი მოკლედ, მაგრამ ძალზე შთამბეჭდავი ენით გააცნო მკითხველს წიგნში „რეაბილიტაცია.“

ერთგან ამ წიგნის ავტორი, ქალბატონი ლილი იხსენებს სამედიცინო ინსტიტუტში გატარებულ წლებს, რომლის მესამე კურსზე ყოფნისას დააპატიმრეს, აგრეთვე ბათუმის სამედიცინო სასწავლებლის პედაგოგებს და აღნიშნავს:

„მაგონდება ყველასთვის უზომოდ საყვარელი **ზაქრო შარაშიძე** – ტექნიკუმის დირექტორი (და ლექტორიც), უადრესად განათლებული, კულტურული, საუკეთესო სპეციალისტი, ლიტერატურის დიდი მეგობარი და ახალგაზრდობის გულის მისანი, დირექტორის მოადგილე და ჰიგიენის ლექტორი **გაბო სორომანსკი**; ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ლევონიდე ჟღენტი**; ჩვენი ტექნიკუმის დამაარსებელი, ბათუმის ჯანგანის გამგე **ილია იორაიშვილი**, ჩინებული ექიმი და მასწავლებელი ვასო გაბუნია...“

ვწერ ამ სტრიქონებს და ვფიქრობ: ამათგან ზოგი არ დაბრუნებულა, ზოგი დაბრუნდა და მიუბარა მშობელ მიწას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქვეყნოდ აღიარებული საერთო – სახალხო ტრადიციის („არ დავიწყება მოყვრისა“) მიხედვითაც არ ეკუთვნის გახსენება ამ შესანიშნავ ხალხს?

ამასთან დაკავშირებით მინდა მივმართო მწერალსა და ექიმს ბატონ **რამაზ სურმანიძეს**; თქვენ მაინც რატომ აყოვნებთ

---

\* ლილი ჩიქოვანი 1919 წელს დაიბადა მარტვილში. 1996 წელს გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს.

შეაშველოთ თქვენი სიტყვა მათ დახსნილ სახელებს? თითოეულის ნაღვაწ-ნაამაგარი და პატიოსანი ცხოვრების ბედუკუდმართი დასასრული ცალკე წიგნი იქნებოდა, თითოეული მათგანი ადამიანობის, ხალხის უანგარო სამსახურისა და პროფესიული ოსტატობის ეტალონად გამოდგებოდა...“<sup>41</sup>

ამ უსათნოესი და ზრდილობა-თავაზიანობით შემკული ქალის საკმაოდ მკაცრმა შენიშვნამ ჩემი დუმილი დაარღვია. გაჩუმება აღარ შეიძლებოდა და მეც ქალბატონ ლილის სიცოცხლეში კურნალ „ჭოროხში“ გამოვაქვეყნე რამდენიმე მოთხრობა, გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ წერილი ვასო გაბუნიაზე, რომლებშიც პირდაპირ მივანიშნე რა ხდებოდა რეპრესიებით გაუბედურებულ ოჯახებში, მოგვიანებით გამოვიდა ჩემი ორტომეული, „რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში“, სადაც რეპრესირებულებს ცალკე თავი მიეძღვნა, აგრეთვე კატორღული რომანი „მურღულის ქვა.“



ლილი ჩიქოვანი

თითქოს ამით ოდნავ მაინც მოვიხადე ვალი ჩემი პროფესიის ადამიანების, რეპრესირებული მედიკოსების და პირადად ქალბატონი ლილი ჩიქოვანის წინაშე, მაგრამ ეს თემა იმდენად მძიმედ ჩაიდვენთა ჩემს სულში, რომ მასზე ფიქრს მომავალშიც ვერ დავადწიე თავი და აი **მკითხველს ვთავაზობ ბათუმში სიკვდილით დასჯილი 670 ადამიანის სიას, ზოგიერთი მათგანის ბიოგრაფიას, ფოტოსურათებს** და მათი განაწამები ოჯახების ტანჯვით აღსავსე ცხოვრების ეპიზოდებს.

რუსებს აქვთ კარგი ანდაზა: „читать грустно, но знать надо“. დიახ, ძალზე მძიმედ იკითხება ეს წიგნი, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს უფლება დავივიწყოთ ის უდანაშაულო ადამიანები, რომელთა სისხლით მოირწყო ბათუმის შემოგარენი და არც ის ვიცი, ვინ სად განისვენებს. ის კი ცნობილია, იმ ავბედით დროს საერთო

სამარხები რომ შექმნეს ადლიაში,\* სალიბაურში, ჭოროხის სანაპიროზე. და ჩვენი თაობის ვალი ისიცაა, იმ ადგილებში ადემართოთ სიმბოლური ძეგლი-მემორიალი, რომელზეც აღბეჭდილ იქნება 670 მსხვერპლის ვინაობა.

ამ ადგილებმა არა ოდენ უნდა მოგვაგონოს 1937-1938 წლების ტრაგედია, არამედ საგანგებოდ დაარისხოს ზარები, რათა ამგვარი საშინელება არასოდეს განმეორდეს. აქ დადგმულ ძეგლზე უნდა ამოტივიფროს იმ უდანაშაულო ადამიანთა სახელები, რომლებიც უსამართლობას შეეწირნენ, ხოლო მათი ოჯახების ცხოვრება სამუდამოდ შეიცვალა. ეს სავარაუდო ადგილები, სადაც მემორიალური ძეგლი დაიდგმება, მზიანი და თვალწარმტაცია, ისინი ყველასთვის უნდა იყოს მისაწვდომი. უკრაინაში 1932 წელს შიმშილისგან დადუპულ გოლოდომორის ძეგლის მსგავსად. ისინი უნდა იქცეს ახალი თაობების შეკრების, საკაცობრიო ღირებულებების შეფასების და ჰუმანური აზროვნებით მათი აღზრდის ადგილებად.

ბათუმის მიმდებარე სოფლების მიწამ მიიბარა არამარტო აჭარის, არამედ საქართველოს თითქმის ყველა კუთხის უდანაშაულო შვილები, მათ შორის 12 ქალია, 54 უცხოელი მოქალაქე. საჭურადლებოა, რომ 670 მსხვერპლიდან 87-ს, მათ შორის სოფლის უბრალო გლეხებს, სიკვდილი განუსაზღვრეს სკკპ პოლიტიუროს გენერალურმა მდივანმა და პოლიტიუროს წევრებმა.

ამ მასშტაბის ძალმომრეობა და ტირანია ნაკლებად ახსოვს ჩვენს ქვეყანას, ამიტომ მის შესახებ ისტორიამ ერთხელ მაინც უნდა თქვას სრული და მიუკერძოებელი სიტყვა, რათა ასეთი უბედურება არასოდეს განმეორდეს.

---

\* ადლიაში უდანაშაულოდ დასჯილთა საერთო საფლავის მონახვაში დამეხმარა ღვაწლმოსილი პედაგოგი, თავადაც რეპრესირებული ოჯახის წევრი აწ განსვენებული, ხასან ხალვაში (1932-2014).

– მამაჩემი სეფერ ხალვაში ბათუმში დახვრიტეს და როგორც ამ ძალმომრეობის მომსწრეთაგან ვიცი, იგი ადლიაში დამარხესო – მითხრა მან.

ბატონმა ხასანმა ზუსტად მიგვითითა ამ ადგილზე და დაუმატა:

– ჩემი ამ სოფელში დამკვიდრება ნაწილობრივ ამ მოვლენამაც განაპირობაო.

## შესავალი

საბჭოთა კავშირის არსებობის სამოცდაათწლიან ისტორიაში მე-20 საუკუნის ოცდაათიანი წლები ერთ-ერთ ყველაზე ბნელ და შავ ლაქად დარჩება. ეს იყო ადამიანების მიმართ სისასტიკის, შეუბრალებლობის, უღმობლობის ხანა, როცა სრულიად უდანაშაულო ადამიანებს გასამართლებისა და ბრალის დადასტურების გარეშე ხერხდნენ და ციმბირის უკაცრიელ ადგილებში ასახლებდნენ, ხოლო მათი ოჯახის წევრებს მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს ღია ცის ქვეშ ყრიდნენ, ართმევდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას და მათაც შიმშილისა და სიცივიტ სიკვდილისთვის იმეტებდნენ.

აპატიმრებდნენ მძიმე ავადმყოფებსაც. ერთ-ერთი პოლიტპატიმარი (ოსმან დუმბაძე), რომელიც ტუბერკულოზის მძიმე ფორმით იყო შეპყრობილი, თბილისის მეტეხის ციხეში უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. ციხის ადმინისტრაციამ ხელი ჩაიქნია და სნეულის მორგში გადაყვანა ბრძანა. ამ ბრძანების აღსრულება იკისრა ციხის ექიმმა, მაგრამ ავადმყოფი მორგის მაგივრად სახლში წაიყვანა, ახალი წამლებით ჩაუტარა ინტენსიური მკურნალობა და გადაარჩინა.

ექიმმა ს. მეძიბნაში (ქედის რ.) პატიმრის ახლობლებს შეატყობინა. ისინი თბილისში ჩავიდნენ და თავისიანი სახლში წაიყვანეს. ოსმანი კვლავ საჭიროებდა მკურნალობას, ამიტომ მისი შვილი სულიკო წამლებს ბათუმიდან ეზიდებოდა. გზის ფული როცა არ ჰქონდა, ფეხით ჩამოდოდა ქალაქში. ამის შემდეგ მამამისმა ოთხი წელი იცოცხლა და საკუთარ სახლში აღესრულა.<sup>2</sup>

ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო და იმ დროს დატუსაღებულთაგან მხოლოდ ერთეულები თუ დაბრუნდებოდნენ სახლში.

მასობრივი, ფართომასშტაბიანი რეპრესიების პირველი ტალღა, ადამიანთა დასჯა-განადგურება 1936 წლის აგვისტოში მოსკოვიდან დაიწყო, როცა ტერორისტული ცენტრის ლიდერებად გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი, გ. ევდოკიმოვი, აგრეთვე

სარდლები მ. ტუხაჩევსკი, ი. იაკირი, ი. უბორევიჩი და სხვები გამოაცხადეს, 1937 წელს მათ დაემატათ გ. პიატაკოვი, ლ. სერებრიაკოვი და სხვ. ხოლო 1938 წლის მარტში მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი ნ. ბუხარინით, ა. რიკოვით, ნ. კრესტინსკით, ხ. რაკოვსკით და სხვებით შეავსეს.

დაპატიმრებებმა საქართველოში მასობრივი ხასიათი მიიღო 1937 წელს, მოსკოვში ბუდუ მდივანისა და პიატაკოვ-სერებრიაკოვის დაპირისპირების და მათ მიერ მიცემული ჩვენებების „დადასტურების“ შემდეგ.

ლიდერთა შეპყრობას მთელს საბჭოთა იმპერიაში მოჰყვა მასობრივი დაპატიმრებები. 1937-1938 წლებში მთლიანად რეპრესირებული იყო 3,4 მილიონი ადამიანი, რომელთაგან 800 000, ე. ი. 23% დახვრიტეს. 1939 წლის იანვრის მდგომარეობით გულაგის ბანაკებში 1 317 195 პატიმარი დარჩა.

რუსეთში გამოგონილ ბრალდებებს საქართველოში დაემატა ანექსიისა და დამოუკიდებლობის წართმევით გამოწვეული რეალური უკმაყოფილება, 1924 წლის აჯანყების შედეგები, რამაც საქართველო საბჭოთა რეპრესიების განსაკუთრებულ პოლიგონად გადააქცია.

ოფიციალური მონაცემებით 1937-1938 წლებში დაპატიმრეს 30 000-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე, აქედან 9 000, ე. ი. 30-33% (საკავშირო მახვენებელზე 7%-ით მეტი) დახვრიტეს. მათი უმრავლესობა ეროვნებით ქართველი, ძირითადად ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენელი და სოფლის მოწინავე, დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება იყო.

1939 წლის მონაცემებით გულაგის ბანაკებში 11 723 ეროვნებით ქართველი პატიმარი ბინადრობდა.<sup>3</sup>

როგორც ცნობილია, თბილისში „გასამართლებულ“ და სასიკვდილოდ განწირულებს ხვრეტდნენ დედაქალაქიდან მე-18 კილომეტრზე, სოფ. სოლანლუღსა და რუსთავს შორის მდებარე უკაცრიელ ლერწმოვანში.<sup>4</sup>

საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ანტიბოლშევიკურ პარტიებს და საბჭოთა ტირანიის მიმართ დაუმორჩილებ-



ელ ეროვნულ-პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენციას დაემატა სოფლის და ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენები: მუშები და გლეხები, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ უმუშევრობას, უბინაობას, კოლექტივიზაციას, მიწების გაერთიანებას და ა. შ. თუმცა უკმაყოფილების გამოთქმას აშკარად ვერავინ ბედავდა. საკმარისი იყო ერთი სახუმარო სიტყვა (რეჟიმისტვის მიუღებელი), რომ მისი მთქმელი დაეპარებინათ და ხალხის მტრად გაესაღებინათ.

საქართველომ სახელი გაითქვა პატიმართა ტანჯვა-წამებითაც. მაშინდელი სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკებს საწამებლად საკუთარი მეთოდები ჰქონდათ შემუშავებული. დაკითხვის დროს პატიმარი დასაწყისში იგერიებდა ყველა პროვოკაციულ შეკითხვას, უარყოფდა წაყენებულ ბრალდებას, მაგრამ წამებას ვეღარ უძლებდა და ასახელებდა „თანამონაწილეებს“, ზოგჯერ ყველას, ვისი გვარიც გაახსენდებოდა.

60-ან წლებში დაწყებული სიკვდილის შემდგომი რეაბილიტაციის ფარსის დროს მრავალი მოწმე დაკითხეს, რომლებიც ამბობდნენ, რომ დაკითხვებისა და წამებისას ხშირი იყო უდანაშაულოდ ბრალდებულთა თვითმკვლელობის, შემოკვდომის და დაკითხვისას მკვლელობის შემთხვევებიც. ასეთ დროს, ფორმდებოდა დოკუმენტი, თითქოს პატიმარი გასამართლდა, სიკვდილი მიესაჯა და დახვრეტილია, უფრო მეტიც, ახლობლებს აცნობდნენ, რომ იგი „გადაასახლეს წერილის მოწერის უფლების გარეშე“, „ავადმყოფობით გარდაიცვალა“ და ა. შ.

1937 წელს რეპრესირებულთა ტრაგიკულ ისტორიას ბოლო წლებში მრავალი ნაშრომი მიეძღვნა; 1993 წელს **ნოდარ ცეცხლაძემ** და **ლილი ჩიქოვანმა** ამ თემას მონოგრაფია, „რეაბილიტაცია“, მიუძღვნეს. ყოფილი უშიშროების კომიტეტის არქივის გახსნის შემდეგ ამავე ორგანოს გაზეთმა, „სრულიად არასაიდუმლოდ“, მრავალი სტატია და ინფორმაცია, ასევე ვრცელი სიები გამოაქვეყნა 30-ანი წლების რეპრესირებულთა შესახებ. ამ მასალებზე, აგრეთვე საკუთარი გამოკვლევების საფუძველზე მწერალმა **ოსიკო გვარიშვილმა** ორი წიგნი გამოსცა.<sup>5</sup> სრულიად

უცნობი მასალები გამოამზურეს მწერალმა **რევაზ კვერენჩილაძემ** და **ავთანდილ ქურხულმა**, პროფესორებმა **გიორგი ციციშვილმა**, **ოთარ თურმანიძემ** და სხვ. რეპრესირებულ ექიმებს ჩვენც მიუძღვენით ცალკე თავი ორტომეულში („რეგიონული მედიცინა საქართველოში“ – 2001, 2003 წ.წ.) და წიგნებში: „სურმანიძეები“, „მჟავანაძეები“, „ბუჯანიძეები“, „ავალის შთამომავალი“ და სხვ. მიუხედავად ამისა, იმდროინდელი მკაცრი ცენზურის, აგრეთვე არქივების განადგურების გამო, ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობი დარჩა.

თუ ადრე რეპრესირებულთა სახელ-გვარის დასახელებაც კი საშიში იყო, ახლა მათს ბნელით მოცულ სიკვდილს ტაბუ მოეხსნა და ყველაფერი, რაც უდროოდ დაღუპულთა ტრაგიკულ ბედს შეეხება: ძველი გაზეთები, წერილები, ფოტო-სურათები, ძვირფას რელიკვიად იქცა. ამ მასალების შეგროვება, შეფასება და ანალიზი დიდი ისტორიული მნიშვნელობისაა. საბედნიეროდ თბილისში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც ხელი მიუწვდათ ამ საბუთებზე, შეადგინეს სიები, კატალოგები, ჩაწერეს აუდიო და ვიდეოკასეტებზე, შეაგროვეს ფოტო-სურათები და ა. შ. ანალოგიური საქმიანობა უნდა წარიმართოს საქართველოს ყველა რეგიონში, თემსა და სოფელში. ამ საქმის ინიციატორებმა მათ მიერ შეგროვილი მასალა უნდა გადასცენ იმ პირებს, ვინც შეძლებს დამუშავებას და წიგნად მომზადებას, ან ეს მასალები შეიძლება გადაეცეს ამჟამად მოქმედ მუზეუმს, შეიქმნას რეპრესირებულთა ახალი მუზეუმები.

ბოლო წლებში, მეტადრე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაირკვა, რომ სკკპ პოლიტბიუროს მოკავშირე რესპუბლიკებიდან შერჩევით უგზავნიდნენ სიებს, რომლებზეც არის **იოსებ სტალინის** და პოლიტბიუროს წევრების რეზოლუცია: „ზა“ და ხელმოწერა, რაც პიროვნების დახვრეტაზე თანხმობას ნიშნავდა; ბელადის გარდა საბუთებზე არის: **ვ. მოლოტოვის**, **ლ. კაგანოვიჩის**, **კ. ვოროშილოვის**, **ა. ჟდანოვის** რეზოლუციები. ასეთები ჩვენს სიებშიც აღმოჩნდა, ამიტომ დამატების სახით

ჩაეწერეთ რეზოლუციის თარიღი და კატეგორია. უმრავლესობა, მცირე გამონაკლისის გარდა, მიეკუთვნებოდა I კატეგორიას, ე. ი. განწირულია დასახვრეტად.

30-ანი წლების მასობრივი რეპრესიები (დახვრეტა) მთავრობის დადგენილებით იყო დაკანონებული. ოფიციალურ დოკუმენტში კერძოდ ნათქვამია: „საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკის დაცვა კლასობრივი მტრებისგან საკონცენტრაციო ბანაკებში მათი იზოლირების გზით. დახვრეტას ექვემდებარება ყველა, ვინც დაკავშირებულია თეთრგვარდიულ ორგანიზაციებთან, შეთქმულებებთან და ამბოხებებთან.“<sup>6</sup>

რეპრესირებულთა (დახვრეტილთა) გამოვლენის, მათი სიების დაზუსტების და გამოქვეყნების საქმეში დიდი მუშაობა გასწია საზოგადოება „მემორიალმა.“ როგორც გაირკვა, 1937 წლიდან პატიმართა ბედი წყდებოდა წინასწარ შედგენილი სიებით, ე. წ. „სამეულის,“ ანუ რამდენიმე კაცის მიერ. დღეისთვის მოპოვებულია 383 სია, რომელშიც ყოფილი საბჭოთა კავშირიდან შეტანილია 45 000 განწირული ადამიანი. აქედან 3 000 საქართველოდანაა. საზოგადოებამ მოიპოვა აგრეთვე აკოლინსკის საკონცენტრაციო ბანაკის პატიმარ ქალთა სია, რომელშიც 18 000 ქალი ჩაუწერიათ. აქედან 400 ჩვენი თანამემამულე მანდილოსანია.<sup>7</sup>

განსასჯელები, მათ შორის „კულაკები, სისხლის სამართლის დამნაშავენი და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები“ 2 კატეგორიად იყოფოდა:

ა) პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან ზემოთდასახელებული, თითქოსდა ყველაზე მტრულად განწყობილი ელემენტები. ისინი ექვემდებარებიან დაუყოვნებელ დაპატიმრებას და სამეულის მიერ მათი საქმეების განხილვის შემდეგ დახვრეტას.

ბ) მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან ყველა დანარჩენი, ნაკლებ აქტიური, მაგრამ მაინც მტრული ელემენტები. ისინი ექვემდებარებიან დაკავებას და ბანაკში დატუსაღებას 8-დან 10 წლამდე ვადით, მათ შორის მეტად ბოროტი და სოციალურად საშიში კი სამეულის გადაწყვეტილებით იმავე ვადით ციხის



რეჟიმს (სსრკ შსსკ 1937 წლის 30 ივლისის №00447 ოპერატიული ბრძანება).

ჩვენს სიაში წარმოდგენილი არიან მხოლოდ პირველი კატეგორიის განწირული ადამიანები, რომლებიც სამეულის გადაწყვეტილებით, ზოგჯერ ამის გარეშეც, სიცოცხლეს გამოასალმეს.

ჩვენ მიზნად დავისახეთ ამჯერად **მკითხველს მივაწოდოთ მხოლოდ 1937, 1938 წლებში ბათუმში დახვრეტილთა სია.\*** ამის გაკეთება იმიტომაცაა აუცილებელი, რომ ბათუმში, მართალია ძირითადად, აქაურები დასაჯეს სიკვდილით, თუმცა მათ შორისაა მრავალი არაბათუმელი და 54 უცხო ქვეყნის შვილი, რომელთა ბედი შესაძლოა საკუთარი ოჯახებისთვისაც არ იყოს ცნობილი. შინაურებისთვის ბევრი მათგანის დაბადების წელიც უცნობია, ზოგი თვლის, რომ თავისიანი გადასახლებაში გარდაიცვალა, ზოგიც უგზო-უკვლოდ დაიკარგაო. ჩვენს მიერ ამგვარად მოპოვებულ სიებს ზოგჯერ ერთვის დახვრეტილთა მისამართები და დაბადების წელი. ამ სიების გამოქვეყნებით ცნობილი გახდება დაღუპვის ადგილიც. მართალია, ამით ჩვენ განვაახლებთ ტკივილებს, მაგრამ სამაგიეროდ შთამომავლობას რეალურად ეცოდინება სიმართლე, ოჯახის წევრის დაღუპვის დრო და ადგილი.

მასალები აღებულია ყოფილი უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის არქივიდან, რაც ამავე ორგანოს გახეთ „სრულიად არასაიდუმლოდ“-ში გაგრძელებებით გამოქვეყნდა 1997 წელს, ამიტომ ეს ცნობები, ჩვენი აზრით, საკმაოდ სარწმუნოა (თუმცა არა ყოველთვის).

ჩვენ ხელთა გვაქვს ორი სია, რომელშიც სულ 670 პიროვნებაა შეტანილი (პირველ სიაში 281, ხოლო მეორეში – 389). 1997 წლის №21-დან დასახელებულმა გახეთმა შეწყვიტა სიების გამოქვეყნება. ჩვენთვის უცნობია ამის მიზეზი: სიები ამოი-

---

\* სიების მოპოვებაში უანგარო და მეგობრული დახმარება გამიწია აწ განსვენებულმა მწერალმა, გახეთ „სრულიად არასაიდუმლოდ“-ის მთავარმა რედაქტორმა **გიორგი სანადირაძემ**.

წერა, თუ სხვა მიზეზებით შეწყდა მათი პუბლიკაცია. თუ ეს პირველი მიზეზით მოხდა, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ეს სია სრულყოფილია და ბათუმში სასჯელის უმაღლესი ზომა გამოყენებულ იქნა 670 ადამიანის მიმართ. თუ პუბლიკაციის შეწყვეტა სხვა მიზეზით მოხდა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს სია არასრულია.

საყურადღებოა, რომ მრავალი პიროვნება სიებში 2-ჯერ შეგვხვდა. მათი რიცხვი 57-ს უდრის. ამის მიზეზიც შეიძლება უბრალო, მექანიკური შეცდომა იყოს, მაშინ საერთო რიცხვი 613-მდე შემცირდება (670-57). არაა გამორიცხული, რომ უკვე დახვერცილი პიროვნების მეორეჯერ დასახელებით „გეგმა“ შესრულდა და ამ გზით ვიღაც გადაურჩა სიკვდილს. თუმცა, შესაძლოა ისიც, რომ ორი სხვადასხვა პიროვნება ერთ და იგივე გვარ-სახელსა და მამის სახელს ატარებდა.

სიკვდილმისჯილთა სიებში შეტანილია გვარი, სახელი და მამის სახელი, ზოგჯერ დაბადების ადგილი, წელი (ყველაზე უფროსი, მუსტაფ ვაშაყმაძე (ქედა) დაბადებულია 1846 წელს). აგრეთვე ბოლო საცხოვრებელი ადგილი (რაიონი, ზოგჯერ სოფელიც), წოდება და ა. შ. როგორც ჩანს, სიებს არაქართველები რუსულ ენაზე ადგენდნენ, ამიტომ გვარ-სახელის ჩაწერისას და ამ სიების ქართულად თარგმნისას დაშვებულია მრავალი შეცდომა. ამათგან ჩვენ შევასწორეთ ის, რომელშიც დარწმუნებული ვიყავით, რომ სწორად გადავაკეთეთ, დანარჩენები უცვლელად დატოვეთ და კითხვითი ნიშანი დაფუსვით. იმედია ოჯახის წევრები გამოგვეხმაურებიან და მოხდება მათი საბოლოო შესწორება.\*

როგორც ჩანს, თავის დროზე სიები შედგენილია განაჩენის სისრულეში მოყვანის რიგის მიხედვით, ამიტომ ალფავიტი არ იყო დაცული. ჩვენ სია გავაწყვეთ ქართული ანბანის რი-

---

\* 2011 წლის აპრილ-მაისში ჩვენს მიერ ქართულ ალფავიტზე გაწობილი სიები გამოქვეყნდა გაზეთ „ბათუმელებში“, რის შემდეგ რამდენიმე პიროვნება გამოგვეხმაურა და სიებში შევიტანეთ შესაბამისი შესწორებები.

გის მიხედვით, რათა გაადვილდეს სასურველი გვარისა და პიროვნების მონახვა. ყველა მათგანს მიეუწერეთ სიისა (1, 2) და რიგითი ნომერი, რომელიც ფრჩხილებშია ჩასმული.

ბათუმში დაღუპულთა შორის მრავალი პიროვნების ბიოგრაფია ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ ყველა მათგანის ცხოვრება-მოღვაწეობის გაშუქება ვერ შევძელით, რადგანაც ბევრის შესახებ არაფერი ვიცით.

წიგნში შევიტანეთ მხოლოდ ზოგიერთი რეპრესირებულის ბიოგრაფია, რომელიც ტიპიურია და მკითხველს მაგალითისთვის გამოადგება, თანაც ზოგის ბიოგრაფია ნაკლებად ცნობილია.

პირველწყაროების მიხედვით ჩვენს მიერ შედგენილ და დაზუსტებულ სიებში შეტანილი ყველა პირი 1937 წელს უნდა იყოს დახვრეტილი, მაგრამ სხვა წყაროებთან შეჯერებისას გაირკვა, რომ ზოგი მათგანი 1938 წლის იანვარ-აგვისტოში დაიღუპა.

როგორც ცნობილია, შუახევის რაიონი ხულოს გამოეყო 1952 წელს, ამიტომ შუახევის რაიონის ყველა მცხოვრები სიებში ხულოს რაიონში დაბადებულად არის გატარებული.

პირველი და მეორე სია, როგორც ჩანს, სხვადასხვა პიროვნების ხელითაა შედგენილი. ეს თვით ამ მოკლე ჩანაწერების სტილითაც თვალსაჩინოა, ამიტომ ჩვენ მათი გაერთგვაროვნება არ გვიცდია და უცვლელად დავტოვეთ. ნებით თუ უნებლიედ ორჯერ ჩაწერილი პიროვნების მონაცემები (დაბადების წელი, ადგილი, სახელი და მამის სახელი) ზოგჯერ განსხვავებულია, ამიტომ მათი დაზუსტებისთვის აუცილებელია მესამე წყაროს მოშველიება, ან ოჯახებში დარჩენილი ზეპირი ცნობის გამოყენება.

სიებში შეგვხვდა საქართველოში იმ დროისთვის მცხოვრები თითქმის ყველა ერის წარმომადგენელი. როგორც მოსალოდნელი იყო, მათი უმრავლესობა ქართველია. არიან: რუსები, უკრაინელები, ებრაელები, ბერძნები, გერმანელები, თურქეთის მოქალაქენი. სიაში შეტანილია მხოლოდ 3 სომხური გვარი. სამაგიეროდ, როგორც ვიცით, სამეულში და გამოძიებულთა შორის საკმაოდ ბევრი იყო ამ ეროვნების წარმომადგენელი.

საბედისწერო განაჩენის გასამართლებლად სამეულს მოშველიებული აქვს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) უმძიმესი მუხლები: 58-1<sup>ა</sup> (სამშობლოს დაღატი), 58-2 (შეიარაღებული აჯანყება), 58-6 (ჯაშუშობა), 58-7 (საბოტაჟი), 58-8 (ტერორისტული აქტები), 58-9 (დივერსია), 58-10 (აგიტაცია და პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო მოწოდებას), 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისთვის), 58-12 (განუცხადებლობა) და ა. შ. სიაში შეტანილ პიროვნებებს წაყენებული აქვს ერთ-ერთი ან რამდენიმე აქ დასახელებული მუხლი, ამიტომ აღარ გავიმეორეთ.

სიკვდილმისჯილთა მიმართ ჩაწერილ მოკლე ცნობის ბოლო ფრაზა რამდენიმე სიტყვაა: განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 ან 1938 წლის ამა და ამ თვესა და რიცხვში. ამ მშრალი სიტყვების უკან ხშირად რაღაც სხვა უსამართლობა იმალება. კერძოდ, სიკვდილით დასჯა ზოგჯერ მოხდა არა ჩვენთვის ცნობილი კლასიკური ფორმით, სპეციალურ შენობაში, ან ღიად ამისათვის გამოყოფილ მინდორში, ან კიდევ წინასწარ გათხრილ საფლავთან, არამედ გზაში („გაქცევის მცდელობისას“), ან გამომძიებლის ოთახში, თვით ავად სახსენებელი სამეულის დასკვნის გარეშეც.

უდანაშაულო ადამიანთა დაკითხვა სასტიკი წამების, დაცინვის და ადამიანის ღირსებების უხეში შელახვის პირობებში მიმდინარეობდა. ზოგჯერ დასმული შეკითხვები იმდენად აბსურდულ და ცინიკურ ხასიათს ატარებდა, რომ საბოლოოდ იმედგადაწურული ადამიანი უკიდურეს ქმედებებამდე მიდიოდა. ასე მაგალითად ბათუმის ჩკ-ს შენობაში (ბარათაშვილის 2) **სულეიმან ზაქარიაძემ** ერთხანს გაუძლო გამომძიებლის შემოტევას, კითხვებზე პასუხებიც გასცა, მაგრამ, როცა დარწმუნდა, მის წამებას აპირებდნენ, ფიზიკურად ძლიერმა ტუსადმა გამომძიებელს ხელი დაავლო, აიტაცა, მეორე სართულის ფანჯარას მიანარცხა და რკინის ბადურიანად ასფალტზე გადაუშვა. მეზობელი ოთახიდან შე-

მოცვივნულმა გამომძიებლებმა დიდხანს ვერ დაიმორჩილეს გამძვინვარებული პატიმარი, მაგრამ ოთხთან ერთი რას გააწვობდა... იმავე ოთახში ჩექმების ცემით ამოხადეს სული. ოფიციალურ სიაში კი ნათქვამია, რომ ის მიეკუთვნებოდა განსასჯელთა პირველ კატეგორიას, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, რაც 1937 წლის 21 ოქტომბერს იქნა მოყვანილი სისრულეში.

ცნობილი საზოგადო მოღვაწის **ჯემალ ქიქავას** მეუღლე **ანა ათანასეს ასული დანელია-ქიქავასი**, თავადაც ჭეშმარიტი მოღვაწე და მამულიშვილი, აჭარის სააფთიაქო სამმართველოს უფროსი, დასაკითხად შინსახკომის უფროსს **გიორგი ჯინჯოლიას** დაუბარებია. იგი ჯემალ ქიქავას ოჯახში არაერთხელ ყოფილა, ანას მომზადებული პურ-მარილიც მიუღია, მაგრამ უდანაშაულო ქალის დაკითხვისას მხეცად გადაქცეულა. კატეგორიულად მოითხოვდა ანასგან ელიარებინა, რომ მისი მეუღლე საბჭოთა ქვეყანას დალატობდა და თავადაც ამის თანამონაწილე იყო. ჭკვიანი ქალი დარწმუნდა, რომ ამ პი-



**ანა ათანასეს ასული  
დანელია-ქიქავა**

რუტყვს ადამიანობისკენ ვე-  
 დარ მოაბრუნებდა, მაგიდიდან  
 სამელნე აიღო და ჯინჯოლიას  
 სახეში თხლიშა. კომისარმა  
 იარაღი იძრო, აზრადაც არ  
 მოსვლია, მის წინაშე ალაღ-  
 მართალი ქალი რომ იდგა, მა-  
 მაკაცურ ღირსებასაც გადააბი-  
 ჯა, ჩახმახს ხელი გულცივად  
 გამოჰკრა და... ანა მის ფეხქვეშ  
 უსულოდ დაეცა. ოფიციალურ  
 საბუთებში ნათქვამია, რომ ანას  
 მიმართ გამოტანილი განაჩენი,  
 სასჯელის უმაღლესი ზომა –  
 დახვრეტა, აღსრულდა 1937  
 წლის 30 ოქტომბერს.



დამამცირებელ წამებას სიკვდილი არჩია 32 წლის ნენიელმა (შუახვევის რ.) **ხულუს ქამადაძემაც**. მის მიმართ წამების უსასტიკეს და ადამიანის შემარცხვენელი მეთოდის გამოყენებას, „ბოთლზე დასმას“ აპირებდნენ. გამომძიებლების თვალის ასახვევად ხულუსი თითქოს დაეთანხმა, შარვლის ღილების შეხსნას შეუდგა და ოთახის მეორე კედელთან ჩამორიგებული ბოთლებისკენ გაემართა. შემდეგ ერთ-ერთ დიდ ლიტრიანს ხელი დაავლო და გამომძიებელს თავზე ისეთი ძალით გადაამტვრია, რომ მას იატაკზე სული არ დაჰყოლია. ხულუს ქამადაძემაც, რათქმა უნდა გაიზიარა სულეიმან ზაქარიადის და ანა ქიქავას ბედი, თუმცა ოფიციალურ წყაროში ჩაწერილია, რომ მის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი 1938 წლის 18 თებერვალს მოიყვანეს სისრულეში.

აქუცველი **ოსმან ჩხეიძე** ჩეკას აგენტებმა სამ პატიმართან ერთად გზაზე მომავალი, მახოს ხიდთან გამოძიებისა და დაკითხვის გარეშე დახვრიტეს. ცნობაში კი ნათქვამია, რომ 10 წელი მიესაჯა, გარდაცვალების თარიღი კი უცნობიაო.

ასეთი შემთხვევები ალბათ ძალზე ბევრი იყო, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ოთხ ტიპიურ მაგალითზე შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება.

\* \* \*

ცივილიზებული სამყაროს კანონებით კულტურული ქვეყანა თავისთავზე იღებს პასუხისმგებლობას წარსულში ამ ქვეყანაში არსებული ხელისუფლების მიერ დაშვებულ ძალმომრობასა და შეცდომებზე. ბოდიშს უხდის დაზარალებულ პირებს, მათ შთამომავლობას და ადამიანთა ჯგუფებს, ანაზღაურებს მიყენებულ მორალურ და ფიზიკურ ზარალს, ეხმარება სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში.

კომუნისტური წყობილების დროს რეპრესიები განიცადა საბჭოთა იმპერიის ყველა მხარემ, კუთხე-კუნჭულმა, მაგრამ განსა-

კუთრებით საქართველო დაზარალდა. ამიტომ ურიგო არ იქნება, თუ დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობა რაიმე ფორმით (სოციალური უზრუნველყოფა, ეკონომიკური დახმარება, პენსიები, დაღუპულთა ხსოვნის უკვდავყოფა, მათი ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება და სხვ.) შეძლებს დაზარალებული ოჯახების მორალური და მატერიალური ზარალის შემსუბუქებას.

რეპრესიების ტალღამ მთელი სისასტიკით აჭარასაც გადაუარა. უცხო ქვეყანასთან საზღვრის სიახლოვემ, საზღვარგარეთ ნათესავების ყოფნამ და საერთოდ ცნობილმა ისტორიულმა ბედმა აჭარა განსაკუთრებით დააზარალა. ამიტომაც, რომ დახვრეტილთა და გადასახლებულთა რიცხვი, საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შეფარდებით, აჭარაში გაცილებით მეტია, ვიდრე ქვეყნის სხვა მხარეებში.

დახვრეტილთა შორის თორმეტი ქალის სახელ-გვარიც შეგვხვდა. ერთ-ერთი მათგანი, **გულიზარ ბიბინეიშვილი**, დედით თავდგირიძე, მხოლოდ 20 წლისაა. სიებში ბევრი ცნობილი პიროვნება და საზოგადო მოღვაწეა. შევეცადეთ პატივგების სთვის წიგნზე მათი ფოტოსურათებიც დაგვერთო.

ვიმეორებ, ამ წიგნზე თანდართულ სიებში შეტანილია მხოლოდ პიროვნებები, რომელთაც **მისეაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა და განაჩენი ქ. ბათუმში მოიყვანეს სისრულეში**. ხანდაზმულთა და თვითმხილველთა გადმოცემით, ყველა მათგანი ბათუმის ახლო-მახლო სოფლებში კახაბრის, ფერიის, ადლიის, სალიბაურის, ჭოროხის სანაპიროს საერთო სამარხში დაკრძალეს. იქნებ დაგვეზუსტებინა ეს ადგილები და იქ სიმბოლური მემორიალური დაფების გაკეთებაზეც გვეზრუნა?

როგორც აღვნიშნეთ, ამ სიების გამოქვეყნებით ჩვენ გვსურს ოჯახებსა და ახლობლებს მივაწოდოთ მათთვის უცნობი დამატებითი მასალა. აქვე იმასაც დაგვხსენთ, რომ ჩვენი მიზანი არაა რეპრესიების მიზეზების ან მტკუნან-მართლის გარკვევა და რაღაც დასკვნების გამოტანა. დაინტერესებულმა პირებმა საქმის გასარკვევად შესაბამის სამართალდამცველ ორგანოებს უნდა მიმართონ.

1937 და 1938 წლებში ქ. ბათუმში დახვრებილი პირთა  
პერსონალური სიები\*

ა

**აბაშიძე ახმედ დურსუნის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. ნიგაზეული, დაბად. 1877 წელს (2-325),\*\*განმეორებით (1-58);\*\*\*

**აბაშიძე გრიგოლ დავითის ძე** – ქ. ბათუმი, დაბად. 1897 წელს (2-338); სკკპ პოლიტიბუროს წევრთა რეზოლუციით 1937 წ. 22/XI მიაკუთვნეს I კატეგორიას;\*\*\*\*

**აბაშიძე დურსუნ ალის ძე** – დაბად. 1869 წ. ხულოს რაიონის სოფელ ქიბინიძეებში. (1-128); განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წლის 27 დეკემბერს;

**აბაშიძე ისრაფილ (?)\*\*\*\*\* ქამილის ძე** – დაბად. 1900 წელს, ხულოს რაიონი (1-142).

**აბაშიძე შაბან კალამოს ძე(?)** – (1-133);

**აბესლამიძე ოსმან ხოჯას ძე (ხაჯიალის ძე ?)** – ბათუმის რაიონი, სოფ. მილისი, დაბად. 1862 წელს (2-214);

**აბულაძე თეფფიყ (?) ქემალის ძე** – დაბად. 1882 წელს, ხულოს რაიონში (1-129);

**აბულაძე ნური რეჯების ძე** – (2-60) დ. 1896 წ. ს. ძირკვაძეები, ხულოს რ.;

**აბულაძე ომერ ლომანის ძე** – სასუნის (?) რაიონის სოფ. ადიკო, (?), დაბ. 1905 წ. (2-180) (რაიონის და სოფლის დასახელება გაუგებარია შესაძლოა იყოს ხულოს რ. სოფელი აღმე).

---

\* 1937 წელს შედგენილ დოკუმენტებში დახვრებილითა სიების აღფავიტი დაცული არ იყო. აღფავიტზე ჩვენ გაავწყვეთ.

\*\* ხელთა გვაქვს ორი სია. ფრჩხილებში ჩასმული პირველი ციფრი სიის აღმნიშვნელია (1, 2), ხოლო მეორე რიგით ნომერზე მიანიშნებს.

\*\*\* ზოგი გვარ-სახელი სიაში ორჯერ (სამჯერაც) შეგვხვდა.

\*\*\*\* ქვემოთ შემოკლებით იხ. მხოლოდ თარიღი და კატეგორია.

\*\*\*\*\* საეჭვოდ მიჩნეულ სახელებს კითხვითი ნიშანი დაუხვით და სქოლიოში ჩამოვიტანეთ შეცდომის გასწორება.

**აბუსერიძე ბექირ ახმედის ძე** – ბათუმის რაიონი, სოფ. მახინჯაური, დაბად. 1877 წელს (2-203);

**აბუსერიძე მურად ბექირის ძე** – ბათუმის რაიონი, სოფ. მახინჯაური, დაბად. 1905 წელს (2-186);

**აგამჯანოვი გერასიმე ივანეს ძე** – დაბად. 1902 წელს ქ.ბაქოში, მცხ. ბათუმში (1-57); 1937 წ. 21/X, I კატეგორია;

**აღაძე (ვაშაყმაძე) დაუდ-ფეხენდი რეჯების ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. ვაშაყმაძეები, დაბად. 1850 წელს (2-291). განმეორებით (1-61);

**აგალიანი თეფფიყ-ბეგ სეფერის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. დანდალო, დაბად. 1877 წელს (2-298);

**აგალიანი ისმაილ-ბეგ სეფერის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. დანდალო, დაბად. 1877 წელს (2-237). განმეორებით (2-300);

**აგალიანი იუსუფ-ბეგ აღის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. დანდალო, დაბად. 1888 წელს (2-167);

**ამირიანი გრიგოლ აკოფის ძე** – (2-78);

**ამირიძე თემისტოკლ ვასილის ძე** – ქ. ბათუმი, დაბად. 1899 წელს (2-342). 1937 წ. 22/XI, I კატეგორია;

**ამირიძე თევდორე ვასილის ძე** (1-270) – დაბად. 1887 წელს დნეპროპეტროვსკში, მცხ. ჩაქეში (1-147);

**ანდრუსი ვლადიმერ ეგგენის ძე** – დაბად. 1909 წელს, ქ. ბაქო (1-54). 1937 წ. 21/X, I კატეგორია;

**ანდრულაძე მელიტონ ალექსანდრეს ძე** (1-17);

**ანთიძე ირაკლი გრიგოლის ძე** – (2-235);

**ანთიძე მირიან კონსტანტინეს ძე** – დაბად. 1889 წელს ლანჩხუთის რაიონში, მცხ. ბათუმში (1-169);

**არგველაძე ნიკოლოზ იოსების ძე** – (2-234);

**ართმელაძე ნური ეზიზის ძე** – (2-61), დ. 1895 წ. ს. ბედლეთი, ხულოს რ..

**არძენაძე მეგლუდ ხასანის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. დანდალო, დაბად. 1857 წელს (2-322). განმეორებით (1-59);

**ასაძბა მეჯიდ აღის ძე** – დაბად. 1906 წელს ქ. ბათუმში (1-38); განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წ. 15 ნოემბერს; 1937 წ. 21/X, I კატეგორია;

**ასაძბა ხუსეინ ალის ძე** – დაბად. 1910 წელს ქ. ბათუმში (1-18); 1937 წ. 21/X, I კატეგორია;

**აფხაზავა მიხეილ ივანეს ძე** – დაბად. ლანჩხუთის რაიონში, მცხ. ბათუმში (1-20);

**ახვლედიანი ოსმან მემედის ძე** – დაბად. 1908 წელს, მახინჯაურში (1-51), განმეორებით (1-279). 1937 წ. 21/X, I კატეგორია.

## ბ

**ბალაძე ხუსეინ მემედის ძე** – დაბად. 1869 წელს ქობულეთის რაიონში (1-155), განმეორებით (1-229);

**ბარათაშვილი აკაკი არჩილის ძე** – ქ. ბათუმი, დაბად. 1893 წელს (2-356); განმეორებით (1-60);

**ბარამიძე ევგენი ნოეს ძე** – დაბად. 1915 წელს, ლანჩხუთის რაიონში (1-53);

**ბარიშვი მიხეილ ვასილის ძე** – დაბად. 1889 წელს, უიტიკის (ვიატკის?) გუბერნიაში, მცხ. ბათუმში (1-127). 1937 წ. 21/X, I კატეგორია;

**ბასილაშვილი ბეტია (შალვა) დიომიდეს ძე** – დაბად. 1908 წელს, ოზურგეთის რაიონში, მცხ. ქობულეთში (1-125);

**ბასილაძე აბდულ ხასანის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. ქედა, დაბად. 1895 წელს (2-181);

**ბასილაძე შუქრი კაპრიმანის ძე** – დაბად. 1900 წელს, ბათუმის რაიონში (1-175). განმეორებით (1-230);

**ბასილია აპოლონ მალაქიას ძე** – ქ. ბათუმი, დაბად. 1897 წელს (2-366);

**ბატურინა სერაფიმა თევდორეს ას.** – დაბად. 1909 წელს (1-16);

**ბედუსენკო პეტრე ივანეს ძე** – (2-11);

**ბეილ ოტო ვილჰელმის ძე** – დაბად. 1891 წელს გერმანიაში (1-125); 1938 წ. 3/I, I კატეგორია;

**ბენცი გერონიმ მათეს ძე** – (2-20);

**ბენცი გიორგი გერონიმეს ძე** – დაბად. 1871 წ. უკრაინა (1-124).  
**ბეჟანიძე ახმედ მემედის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. ზენდიდი, დაბად. 1875 წელს (2-384);

**ბეჟანიძე იბრაიმ ხასანის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. ზენდიდი, დაბად. 1867 წელს (2-303);

**ბეჟანიძე მურთაზ სეფერის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. ზენდიდი, დაბად. 1879 წელს (2-305);

**ბეჟანიძე სულეიმან ხულუსის ძე** – ქ. ბათუმი, დაბად. 1906 წელს (2-347);

**ბერაია ვლადიმერ ალექსანდრეს ძე** – ქ. ბათუმი, დაბად. 1912 წელს (2-362);

**ბერიძე ასლან ჭაიდარის ძე** – დაბად. 1891 წ. ხულოს რაიონი, სოფ. ხიხაძირი;

**ბერიძე ახმედ-ეფენდი ოსმანის ძე** – დაბად. 1876 წელს, ქედის რაიონის (1-174), ს. ჯალაბაშვილები;



ახმედ-ეფენდი ოსმანის ძე ბერიძე

**ბერიძე ახმედ ოსმანის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. ხაბე-  
 ლაშვილები, დაბად. 1869 წელს (2-281);

**ბერიძე ბექირ შახის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. წაბლანა,  
 დაბად. 1897 წელს (2-241);

**ბერიძე მემედ არიფის ძე** – (1-231), ს. ხაბეღლაშვილები, ხუ-  
 ლოს რაიონი;

**ბერიძე მეჯიდ ასლანის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. ჯაღლა-  
 ბაშვილები, დაბად. 1892 წელს (2-285);

**ბერიძე ნესტორ გიორგის ძე** – დაბად. 1891\* წელს სენაკის  
 რაიონში, მცხ. პათუმში (1-193);

**ბერიძე ომერ მევლუდის ძე** – (2-50);

**ბერიძე სულეიმან მამუდის ძე** – ხულოს რაიონი. სოფ. ცხ-  
 ემლისი, დაბად. 1869 წელს. (2-257);


**ბერიძე სულეიმან მერჯანის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ.  
 მოფრინეთი (2-316);

**ბერიძე ყებას მამუდის ძე** – ქედის რაიონი სოფ. ზენდიდი,  
 დაბად. 1902 წელს (2-183);

**ბერიძე შირინ სალიხის ძე** – დაბად. 1862 წელს, ქედის  
 რაიონში, ს. სილიბაური (1-206);



**შირინ სალიხის ძე ბერიძე**



**ეუბ შირინის ძე ბერიძე**

\* სიაში 1981 წ. მითითებული.

**ბერიძე ხულუს ხემიდის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. ზე-  
სოფელი, დაბად. 1887 წელს (2-311);

**ბერიძე ხუსეინ არიფის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. რაქვთა,  
დაბად. 1864 წელს (2-255);

**ბერიძე ხუსეინ მუხამედის ძე** – დაბად. 1867 წელს, ხულოს  
რაიონი, სოფ. დარჩიძეები (1-136), განაჩენი სისრულეში მოყვა-  
ნილია 1937 წლის 17 დეკემბერს;

**ბერიძე ხუსეინ მუხამედის ძე** – (2-174) განმეორებით (2-388);

**ბერუჩაშვილი დავით გრიგოლის ძე** – (2-6);

**ბექაია ვალერიან ეფიმის ძე** – დაბად. ქ. ბათუმში, 1896  
წელს, (2-376);

**ბიბილაშვილი ამბერკი დავითის ძე** – დაბად. 1903 წელს,  
ზესტაფონის რაიონი, მცხ. ბათუმში (1-171);

**ბიბინეიშვილი გულიზარ ისკენდერის ასული\*** – დაბად.  
1917 წელს, ქ. ბათუმი (1-126);

**ბოლქვაძე აბესალომ პავლეს ძე** – დაბად. 1913 წელს (1-15);

**ბოლქვაძე ალი მუსას ძე** – ქ. ბათუმი, დაბად. 1906 წელს  
(2-350); 1937 წ. 21/X, I კატეგორია;

**ბოლქვაძე ასმედ დურსუნის ძე** – (2-64);

**ბოლქვაძე ასმედ რეშიტის ძე** – დაბად. ხულოს რაიონის  
სოფ. კორტოხში 1882 წელს (2-44);

**ბოლქვაძე გენჯალი ასმედის ძე** – დაბად. 1904 წელს, ბა-  
თუმის რაიონი, სოფ. ერგე (1-226), განაჩენი სისრულეში მოყვა-  
ნილია 1938 წლის 1 იანვარს; 1938 წ. 3/I, I კატეგორია;

---

\* სიაში ჩაწერილია „ისკენდერის ძე“



**ბოლქვაძე თუფან ფერათის ძე** – ქობულეთის რაიონი, სოფ. ზერაბოსელი, დაბად. 1881 წელს (1-177), განმეორებით (2-329);




**თუფან ფერათის ძე ბოლქვაძე**

**ბოლქვაძე იაყუფ ემინის ძე** – სოფ. დარჩიძეები, დაბად. 1870 წელს (2-189);

**ბოლქვაძე ისმაილ ახმედის ძე** – ქ. ბათუმი, დაბად. 1909 წელს (2-355); 1937 წ. 22/XI, I კატეგორია;

**ბოლქვაძე მაქსიმე ლევარსის ძე** – მახარაძის რაიონი, სოფ. შრომა, დაბად. 1888 წელს (2-192);

**ბოლქვაძე შახმურად ხასანის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. თხილვანა, დაბად. 1859 წელს (2-251);



**შახმურად ხასანის ძე ბოლქვაძე**

**ბოლქვაძე ხუსია ასლანის ძე** – დაბად. 1901 წელს ხულოს რაიონში (2-46), განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წლის 22 აგვისტოს;

**ბონდარევი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე** – დაბად. 1896 წელს, ქ. თბილისში, მცხ. ქ. ბათუმში (1-22); 1937 წ. 21/X, I კატეგორია;

**ბუალაგა იასონ გიორგის ძე** – (2-16);

**ბუალაგა საჩინო გიორგის ძე** – (2-79); განმეორებით (2-158);

**ბრისოდკინი ივანე ტროფიმეს ძე** – (2-2);

## ბ

**გაბაიძე აბდულ ქელეშის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. სკვანა, დაბად. 1872 წელს (2-247);

**გათენაძე ისმაილ დურსუნის ძე** – სოფ. ქედა, დაბად. 1877 წელს (2-293); განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წ. 15 ოქტომბერს;

**გათენაძე იუნუს მემედის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. კვაშტა, დაბად. 1904 წელს (2-170);

**გამრეკელიძე ივანე სიმონის ძე** – (2-80);

**გამრეკელიძე ნური შაქირის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. სამოლეთი, დაბად. 1905 წელს (2-315);



ქერემ და ნური გამრეკელიძეები

**გამრეკელიძე ქერემ შაქირის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. სამოლეთი, დაბად. 1893 წელს (2-190);

**გამრეკელიძე (ჩაუშოვლი) შაქირ ოსმანის ძე** – (2-32);

**გამყრელიძე ივანე სიმონის ძე** – (2-141);

**გახოკიძე რაჟდენ გიორგის ძე** – (2-119); 1937 წ. 10/VIII, I კატეგორია;

**გეგელაშვილი სიმონ ანტონის ძე** – დაბად. 1899 წელს, ქ.სოხუმში, მცხ. ბათუმში (1-204); განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წლის 22 დეკემბერს;

**გეგეჭკორი სარდიონ ტიმოთეს ძე** – დაბად. 1896 წელს მარტვილის რაიონში, მცხ. ბათუმში (1-199);

**გელენიძე ევგენი თევდორეს ძე** – დაბად. 1884 წელს, ქ.ქუთაისში, მცხ. ბათუმში (1-200), განმეორებით (1-183);

**გეგი ფრანც იოსების ძე** – (2-21)\*

**გელაძე აბას ალის ძე** – (2-51);

**გელაძე ასლან ისკენდერის ძე** – (2-63), დ. 1898 წ. ს. აგარა, ხულოს რაიონი;

**გელაძე დაუთ ისკენდერის ძე** – (1-122), განმეორებით (1-232);

**გელაძე ზაბით შუღღების ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. აგარა, დაბად. 1877 წელს (2-211);

**გელაძე იუნუს იუსუფის ძე** – დაბად. 1868 წელს ხულოს რაიონში, (2-34);

**გენჯაღ-ოღლი ალი ახმედის ძე** – დაბად. 1887 წელს, ქ. ბათუმში (1-116);

**გერცფრიდ ნიკოღიმ ევსტაფის ძე** – დაბად. 1890 წელს, სოფ. როშტადტი (უკრაინა) (1-118), განმეორებით (1-131);

**გვათუა ვარლამ ალექსანდრეს ძე** – დაბად. 1868 წელს, ზუგდიდის რაიონში, მცხ. ქელაში (1-119);

---

\* ეს პიროვნება იყო ამ წიგნის ავტორის მამის, 1937 წელს რეპრესირებული დურუსუნ სურმანიძის პირადი მძღოლი.

**გვარეგი ლუკა მარტინის ძე** – დაბად. 1871 წელს, სოფ. იშოლუ-  
ვსკში, რადომის გუბერნია (პოლონეთი), მცხ. ბათუმში (1-120);

**გიორგაძე ალექსანდრე მიხეილის ძე** – (2-81), განმეორებით  
(2-142);

**გიორგაძე გაბრიელ ნიკოლოზის ძე** – დაბად. 1895 წელს  
ოზურგეთის რაიონში, მცხ. ბათუმში (1-161);

**გიორგაძე ვლადიმერ ალფესის ძე** – (2-157);

**გიორგაძე ვლადიმერ ანტონის ძე** – (2-122); 1937 წ. 10/VIII,  
I კატეგორია;

**გოგავა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე** – დაბად. 1884 წელს  
სამტრედიის რაიონში, მცხ. ბათუმში (1-172);

**გოგენია აკაკი ვასილის ძე** – დაბად. 1892 წელს სენაკის  
რაიონში, მცხ. ბათუმში (1-48); 1937 წ. 21/X, I კატეგორია;

**გოგობერიძე დომენტი მაქსიმეს ძე** – (2-159); 1937 წ. 10/VIII,  
I კატეგორია;

**გოგობერიძე ვახტანგ იაკობის ძე** – (1-281);

**გოგობერიძე ვლადიმერ ირაკლის ძე** – (2-155), იხ. – (2-115);

**გოგობერიძე პოლიექტორ სიმონის ძე** – (2-7);

**გოგობერიძე ხუსეინ ხუშუტის ძე** – დაბად. 1884 წელს,  
ქობულეთის რაიონში (1-186), განმეორებით (1-245);

**გოგოტიძე აბდულ ხუსეინის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. გო-  
გიძეები, დაბად. 1885 წელს (2-299);

**გოგოტიძე ალი ოსმანის ძე** – დაბად. 1887 წელს, ქობულე-  
თის რაიონი (1-115);

**გოგოტიძე ასმედ იუსუფის ძე** – დაბად. 1868 წელს. ქობუ-  
ლეთის რაიონის სოფ. ქაქუთში, (1-152). განაჩენი სისრულეში  
მოყვანილია 1937 წლის 15 დეკემბერს;

**გოგოტიძე იუნუს ესედის ძე** – დაბად. 1867 წელს (1-114)ე –  
ქობულეთის რაიონი, დაბად. 1888 წელს (2-313);

**გოგოტიძე რიზალი ხუსეინის ძე** – დაბად. 1888 წ. ქობუ-  
ლეთში;

**გოგიტიძე ხასან\* ხუსეინის ძე** – დაბად. 1904 წელს ქ. ბათუმი (1-162); განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1938 წლის 23 იანვარს;

**გოგიტიძე ხუსეინ იუსუფის ძე** – (2-236);

გოგიჩაიშვილი აკაკი სიმონის ძე – ქ. ბათუმი, დაბად. 1898 წელს (2-374);

**გოგიჩაიშვილი სილიბისტრო ივანეს ძე** – (2-233);

**გოგოძე გიორგი ალექსანდრეს ძე** – დაბად. 1896 წელს, ოზურგეთის რაიონში, მცხ. ბათუმში (1-42), 1937 წ. 21/X, I კატეგორია;

**გოპფაუფი იოსებ ანდრიას ძე** – დაბად. 1899 წელს, ოდესის ოლქში, მცხ. ბათუმში (1-198);

**გოპფაუფი პეტრე პეტრეს ძე** – დაბად. 1915 წელს ოდესის ოლქში (1-117);

**გორაძე მერჯან ხასანის ძე** – 63 წლის, დაბადებული 1874 წელს, ბათუმის რაიონი (1-188);

**გორგაძე იუნუს სულეიმანის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. ხიხაძირი, დაბად. 1870 წელს (2-332);

**გორდელაძე ალექსანდრე იგორის ძე** – ქ. ბათუმი, დაბად. 1904 წელს (2-336); 1937 წ. 22/XI, I კატეგორია;

**გრუშკოვსკი პეტრე ავგუსტის ძე** – დაბად. 1875 წელს, ყოფილ ჩერნიგოვის გუბერნიაში, მცხ. ბათუმში (1-50). 1937 წ. 21/X, I კატეგორია;

**გრძელიშვილი იაკობ ალექსანდრეს ძე** – დაბად. 1896 წელს, ქ. ახალციხეში, მცხ. ქ. ბათუმში (1-23). 1937 წ. 21/X, I კატეგორია;

**გრძელიძე ასმედ მემედის ძე** – ქ. ბათუმი, დაბად. 1908 წელს (2-354). 1937 წ. 11/XI, I კატეგორია;

---

\* სიაში სახელი გამოტოვებულია. ჩვენ დავადგინეთ ნათესავეების გამოკითხვით

**გუგუშვილი ალექსანდრე ალექსის ძე** – (2-118). 1937 წ. 10/  
VIII, I კატეგორია;

**გურგენიძე დიმიტრი ირაკლის ძე** – დაბად. 1899 წელს (1-13);

**გურჩუმელია ივანე გიორგის ძე** – (2-82);

**გურჩუმელია ლევან გიორგის ძე** – (2-145);

**გუჯაბიძე გერმანე ვახტანგის ძე** – (1-248);

## დ

**დავითაძე ოსმან თოფუზის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. ოლადაური, 45 წლის (დაბად. 1892 წელს) (2-206);

**დავითაძე რიზა\* ეუბის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. ტბეთი, დაბად. 1864 წელს (2-246); განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წლის 20 ოქტომბერს;

**დავლაძე ხუსეინ ოსმანის ძე** – დაბად. 1873 წელს, ხულოს რაიონში (1-149);

**დამანსკი სერგი სტეფანსე ძე** – (2-4);

**დანელია პორფირე ნესტორის ძე** – დაბად. 1905 წელს ქ. ოზურგეთი (1-63);

**დანელია ტიტე მელიტონის ძე** – (2-18);

**დარჩია ალექსანდრე დავითის ძე** – (2-83);

**დარჩია გიორგი ზურაბის ძე** – დაბად. 1860 წელს ოზურგეთის რაიონში, მცხ. ქობულეთის რაიონში (1-203);

**დარჩია პეტრე იოსების ძე** – (2-232);

**დევაძე ეუბ ხუსეინის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. კოსლითავი (?) დაბად. 1874 წელს, მუშაობდა გლეხთა სახლში მცველად (2-212);

---

\* სიაში ჩაწერილია „რეზო.“

**დევაძე ნური უზეირის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. აგარა, დაბად. 1871 წელს (2-286);



**უზეირ-აღა დევაძე**  
**ნურის ფოტო ვერ აღმოვაჩინეთ და მამის ფოტოს გთავაზობთ**

**დევაძე ყადირ ხუშუტის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. აგარა, დაბად. 1876 წელს (2-333);

**დეკანაძე ყაზანჯოღლი) თეფფიყ რასიყის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. დეკანაშვილები, დაბად. 1897 წელს (2-218);

**დეკანაძე ჯეფერ რუსტემის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. აღმე, დაბად. 1837 წ.\* (!!!), იქნებ 1873 წელია? (2-210);

**დემეტრაძე ემინახმედ აქიფის ძე** – დაბად. 1890 წელს სოფ. დილაჭარაში, მცხ. ქ. ბათუმში (1-26). 1937 წ. 21/X, I კატეგორია;

**დელიკიძე ილიას შერიფის ძე** – დაბად. 1901 წელს თურქეთში (1-234), განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1938 წლის 18 თებერვალს;

**დიასამიძე (ყირიმლიოღლი) იუსუფ ახმედის ძე** – სოფ. ქედა, დაბად. 1887 წელს (2-176); განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წლის 12 დეკემბერს;

---

\* თუ ეს თარიღი სწორია, 100 წლის კაცი დახვრიტეს?

**დიასამიძე ოსმან იუსუფის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. გულე-ბი, დაბად. 1877 წელს (2-266);

**დიასამიძე ოსმან რეშიტის ძე** – ბათუმის რაიონი, სოფ. მირვეთი, დაბად. 1871 წელს (2-258);



**ოსმან რეშიტის ძე დიასამიძე**

**დიასამიძე ჯემალ ეუბის ძე** – დაბად. 1895 წელს, ქ. ბათუმი (1-110);

**დიეუმიძე (დიასამიძე ?) იბრაიმ ყადირის ძე** – (2-231);

**დიმიტრაძე შაისმაილ სულეიმანის ძე** – ხულოს რაიონი სოფ. აგარა, დაბად. 1856 წელს (2-287);

**დიშლი-ოდლი ხასან იაყუფის ძე** – დაბად. 1904 წელს, სოფ. ხოფაში, მცხ. ბათუმის რაიონში (1-108);

**დობორჯგინიძე გაბრიელ იესეს ძე** – (2-140);

**დოლიძე თეოფილე ალექსის ძე** – (2-112), განმეორებით – (2-148); 1937 წ. 10/VIII, I კატეგორია;


**დოლიძე მიხეილ არსენის ძე** – ქ. ქობულეთი, დაბად. 1902 წელს (2-380);

**დოლიძე ტარასი მერაბის ძე** – ქ. ბათუმის მილიციის II რაიონის უფროსი, დაბად. 1880 წელს ოზურგეთის რაიონში, მცხ. ბათუმში, (1-111);



**დონდოლაძე შალვა იროდიონის ძე** (იორდანეს) – (2-84),  
დაბად. 1907 წელს;

**ღუაძე აბდულ მუსტაფის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. თხ-  
ილვანა, დაბად. 1901 წელს (2-252);



**აბდულ ღუაძე მეუღლესთან ერთად**

**ღუმბაძე ოსმან ხუშუტის ძე** – დაბად. 1907 წ. ქედის რაიონის ს. ოქტომბერში (1-235);

**ღუმბაძე რაფიელ სოსოს ძე** – დაბად. 1899 წელს ჩოხატაურის რაიონში, მცხ. ბათუმში (1-112).

## ე

**ებანოიძე დავით არსენის ძე (?)** – (2-121);

**ებანოიძე პარმენ** – (1-266);

**ეგან-ოფლი სულეიმან მეგლუდის ძე** – დაბად. 1880 წელს ხულოს რაიონში, მცხ. ჩაქეში (1-64);

**ემირიძე იუსუფ არიფის ძე** – დაბად. 1900 წელს, სოფ. სუცუბანში, მცხ. ქობულეთში (1-65);

**ერმონსტრაუდი პავლე ნიკოლოზის ძე** – (2-19).

**ვანაძე იუნუს ხუსეინის ძე – (2-40);**

**ვარშალომიძე იუსუფ ხუსეინის ძე –** ბათუმის რაიონი, სოფ. ხელეკაჩაური, დაბად. 1870 წელს (2-175), განმეორებით (2-288), მესამედ (2-389);



**იუსუფ ხუსეინის ძე ვარშალომიძე**

**ვარშანიძე ახმედ ხასანის ძე –** დაბად. 1905 წელს, ბათუმის რაიონში (1-209);

**ვარშანიძე (ახმედ-ოღლი) ხასან ახმედის ძე –** დაბად. 1887 წელს, ურეხი (1-182);

**ვასაძე სულეიმან ახმედის ძე –** დაბად. 1892 წელს, ქობულეთი (1-123);

**ვაშაყმაძე მუსტაფა ალიშანის ძე –** ქედის რაიონი, სოფ. ძენწმანი, დაბად. 1864 წელს (2-308);

**ვაშაყმაძე მუსტაფა ლომანის ძე –** დაბად. 1846 წელს, ქედის რაიონი (1-76);

**ვებერი პეტრე მიხეილის ძე – (2-22);**

**ვეისი ალადარ კარლოს ძე** – დაბად. 1898 წელს ქ. ბუდაპეშტში (1-214);

**ვერულიძე (ზორბეგოღლი) ქემალ-ეფენდი მემედის ძე** – ქობულეთის რაიონი, დაბად. 1861 წელს (2-268);

**ვირუბოვი ტერენტი დიმიტრის ძე** – დაბად. 1887 წელს ოზურგეთში, მცხ. ბათუმში (1-163);



**ტერენტი დიმიტრის ძე ვირუბოვი**

**ვიშნევსკი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე** – დაბად. 1896 წელს, პოლონეთში, მცხ. ბათუმში (1-195);

**ვოლბაუმი მათე ადოლფის ძე** – დაბად. 1908 წელს სოფ. მიუნხენში (?), ოდესის ოლქი (1-179);

**ზ**

**ზაქარაძე ალი ომერის ძე** – დაბად. 1877 წელს, ბათუმის რაიონში (1-140); განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წლის 17 დეკემბერს;

**ზაქარიადე იუსუფ ალის ძე** – დაბად. 1900 წელს ბათუმის რაიონის სოფ. აჭარისწყალში (1-106);

**ზაქარიადე მუსა ალის ძე** – დაბად. 1905 წელს ბათუმის რაიონი (1-138), განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წლის 17 დეკემბერს;

**ზაქარიადე სულეიმან ყედემის\* ძე** – დაბად. 1900 წელს, ბათუმის რაიონში (1-28). განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წლის 21 ოქტომბერს;

**ზგურა ლეონიდ პეტრეს ძე** – დაბად. 1894 წელს ქ. ბელწში (ბესარაბია), დაპატიმრებამდე მცხ. ქ. ბათუმში (1-35). 1937 წ. 21/X, I კატეგორია;

**ზელიმხანოვი ნარიმან ასმედის ძე** – დაბად. 1902 წელს, ქ. ბაქო (1-55);

**ზოიძე თოფია ხიალის ძე** – ხულოს რაიონი, დაბად. 1897 წელს (2-314), განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წლის 29 ოქტომბერს;

**ზოიძე (ბაიასტაროღლი) მემი მეველუდის ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. ჯაბნიძეები, დაბად. 1870 წელს (2-320);

**ზოიძე შალვა ნიკოლოზის ძე** – ლანჩხუთის რაიონი, სოფ. ლესა, დაბად. 1897 წელს (12-208);

**ზოიძე ხიალი ჯოშხუნის ძე** – (2-52);

**ზოიძე ხუსეინ ისმაილის ძე** – დაბად. 1900 წელს ბათუმის რაიონის სოფ. ერგეში (1-224), განმეორებით დოიძე (?) – (1-237). განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1938 წლის 1 იანვარს. 1937 წ. 3/I, I კატეგორია;

**ზოსიძე იდრის რეჯების ძე** – ხულოს რაიონი, სოფ. ჯაბნიძეები, დაბად. 1877 წელს ((2-253);

---

\* სიაში ჩაწერილია „კადიმოს ძე“

**თ**

**თავართქილაძე ეუბ შაქირის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. ვაიო. დაბად. 1876 წელს (2-294);

**თავართქილაძე ვალერიან იასეს ძე** – ლანჩხუთის რაიონი, სუფსა, დაბად. 1895 წელს (2-378);

**თავართქილაძე სევერიან გლახუნას ძე** – (1-4);

**თავართქილაძე (თავზაროდლი) შირინ იზეთის ძე** – დაბად. 1876 წელს ხულოს რაიონში (1-159);

**თავდგირიძე ახმედ რეჯების ძე** – ბათუმის რაიონი, სოფ. მახუნცეთი, დაბად. 1879 წელს (2-307);

**თავდგირიძე ზექერია თოფანის ძე** – (2-42), ს. ახალდაბა, ხულოს რ.

**თავდგირიძე ოსმან ხუსეინის ძე** – დაბად. 1889 წელს, ქ. ბათუმში. აჭარის იუსტიციის სახ. კომ. მოადგილე;

**თავდგირიძე ხასან თევფიყის ძე** – ქედის რაიონი, სოფელი მახუნცეთი, დაბად. 1910 წელს (2-213);



**ხასან თევფიყის ძე თავდგირიძე**

**თავდგირიძე ხემიდ ისკენდერის ძე** – ქედის რაიონი სოფელი ახო, დაბად. 1897 წელს (2-261);

**თავდუმბაძე ვასილ თეიმურაზის ძე** – (2-113), განმეორებით (2-150); 1937 წ. 10/VIII, I კატეგორია;

**თამაზაშვილი (თამაზოღლი) თემურ-ეფენდი არიფის ძე** – ქობულეთის რაიონი, სოფ. ხუცუბანი, დაბად. 1870 წელს (2-276);

**თევზაძე გრიგოლ ივანეს ძე** – (1-5);

თევზაძე სერგი სოლომონის ძე – ქ. ბათუმი, დაბად. 1897 წელს (2-365);

**თოდრია ლავრენტი მაქსიმეს ძე** – დაბად. 1897 წელს ჩოხატაურის რაიონი, მცხ. ბათუმში (1-143);

**თოდუა ეპიფანე ლეონტის ძე** – (1-258);

**თურმანიძე ასლან ალის ძე** – (1-6);

**თურმანიძე ისმაილ სულეიმანის ძე** – დაბად. 1897 წელს, ქობულეთის რაიონი (1-78);

**თურმანიძე იუსუფ მეველუდის ძე** – (2-53);

**თურმანიძე იუსუფ ულფანის ძე\*** (?) – დაბად. 1889 წელს ქედის რაიონში, მცხ. ბათუმში (137);

**თურმანიძე მერდიალი ოსმანის ძე** – დაბად. 1910 წელს ქედის რაიონში, მცხ. ბათუმში (1-217); 1938 წ. 3/I, I კატეგორია;

**თურმანიძე ოსმან ახმედის ძე** – ქედის რაიონი, სოფ. სისალიძეები, დაბად. 1893 წელს (2-254); განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1938 წლის 13 ნოემბერს;

**თურმანიძე შაქირ ალის ძე** – ქედის რაიონი სოფ. მერისი, დაბად. 1899 წელს (2-204);

**თურმანიძე შაქირ ყემბერის ძე** – დაბად. 1905 წელს, ხულოს რაიონის ჯანგანყოფილების ინსპექტორი (2-57), განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წლის 22 აგვისტოს;

---

\* სიაში ჩაწერილია „უსპან-ოღლი.“

**თურმანიძე ხასან ქემალის ძე** – დაბად. 1872 წელს ქედის რაიონში (1-276);

**თურმანიძე ხუსეინ ახმედის ძე** – (2-49);


0

**იაგო ვალტერ გოტფრიდის ძე** – დაბად. 1911 წელს, შვეიცარია, საცხოვრებელი ადგილის გარეშე (1-271);

**იმნაიშვილი ილია ყარაბანის ძე** – (2-86);

**იმნაძე გრიგოლ დომენტის ძე** – (2-116), განმეორებით (2-156). 1937 წ. 10/VIII, I კატეგორია;

23/I 1922-24/III – აჭარისტანის რევკომის სახალხო მეურ-  
ნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

27/XII 1922-25/III 1923 – აჭარისტანის რევოლუციური ტრი-  
ბუნალის თავმჯდომარე;

19/I 1932 – აჭარის ცაკის თავმჯდომარის მოადგილე.  
(აჭარის ცსა, ფ. რ-2, ან 1, ს. ფურ. 8; ფ. რ-2, ან. 1, ს. 7,  
ფურ. 1; ფ. რ-77, ან. 1, ს. 6, ფურ. 94).

### **საკანდელიძე ეუბ**

1/IV 1934-28/III 1935 – აჭარის განათლების სახ. კომისარი-  
ატის სამხედრო საგნების ხელმძღვანელი, ფიზკულტურის  
ინსტრუქტორი.

### **სარიშვილი ღავით**

15/III 1932-6/VIII 1933 – აჭარის განათლების სახალხო  
კომისარიატის ოთხწლეულების ინსტრუქტორი;

6/VIII 1933-1/XI 1935 – აჭარის განათლების სახ. კომისარი-  
ატის კულტ-მასიური სექტორის გამგე;

1/II 1935-1/IX 1935 – ხულოს განათლების განყოფილების  
გამგე;

1/XI 1935-1/I 1938 – ბათუმის რაიონის განათლების განყო-  
ფილების გამგე.

### **სეფერთელაძე ვლადიმერ**

31/I 1922-4/X – კინტრიშის (ქობულეთის) რაიონის მილი-  
ციის უფროსი.

### **სიხარულიძე ვლასი (ვლადიმერ)**

11/IV 1935 – ბათუმის რაიონის პროკურორი.

### **სიხარულიძე თედორე**

15/VII 1927 – ბათუმის მე-2 უბნის სახალხო მოსამართლე.

### **სიხარულიძე ივანე**

21/VII 1932 – ქედის რაიონის უფროსი აგრონომი.

### **სურგულაძე იელიანე**

4/X 1932-22/IX 1934 – აჭარის ცაკ-თან არსებული არბიტრაჟის თავმჯდომარე.

### **სურმანიძე მოედინ**

28/III 1925-3/X 1925 – აჭარის შსს კომისრის მოადგილე, აჭარის მილიციის უფროსი და ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი;

3/X 1925-20/X 1925 – აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი;

9/ 1932-1/ 1935 – აჭარის ჯანდაცვის სახალხო კომისარი;

20/X 1925-24/III 1930 – აჭარისტანის ცაკ-ის თავმჯდომარე;

XI 1929 – IV 1932 – აჭარის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის სახალხო კომისარი;

1/V 1935 – 22/VI 1937 – აჭარის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი<sup>8</sup>.

### **სურმანიძე ხუსნი**

1/VI 1929 – აჭარის შსს კომისრის მოადგილე, რესპუბლიკის მილიციის უფროსი;

10/I 1936-22/VIII 1937 – აჭარის უხენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

### **ტარიელაძე მემედ**

8/II 1923-5/III – ხულოს რაიონის მილიციის უფროსი.

### **ფაღავა დურსუნ**

10/I 1927-14/V 1929 – აჭარის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე;

1/I 1935-30/VIII 1936 – აჭარის ჯანდაცვის სახალხო კომისარი;

2/X 1938 – აჭარის უმაღლესი სასამართლოს წევრი.

### **ფერაძე თევდორე**

19/IX 1921-3/I 1922 – ქ. ბათუმის მე-4 რაიონის მილიციის უფროსი;

14/X 1924 – მე-4 საბჭოთა მამულის გამგე.

**ქადაგიძე ხასან**

28/III 1925-3/XII 1925 – აჭარის იუსტიციის სახალხო კომისარი.  
(აჭარის ცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 4, ფურ. 9; საქმე 140, ფურ. 164).

**ქათამაძე ილიას**

9/I 1935-1/V 1937 – აჭარის განათლების სახალხო კომისარი.  
(აჭარის ცსა, ფ. რ-5, ან. 2, ს. 94, ფურ. 3).

**ქიქავა ჯემალ**

24/III 1922-17/IX – აჭარისტანის რევკომის ფინანსთა კომისარი;  
16/V 1930-27/IX – აჭარის ცაკის საქმეთა მმართველი;  
16/VIII 1929-13/XII 1931 – აჭარის სასეკომსაბჭოს საქმეთა  
მმართველი.  
(აჭარის ცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 352, ფურ. 28).

**ყურშუბაძე მამუდ**

1/I 1935 – ქობულეთის რაიონის მიწგანის გამგე.

**შავიშვილი ანდრო**

13/V 1937 – აჭარის საოლქო კომიტეტის სასეკოლო განყოფილების გამგე.

**შიშლო-საბაშვილი რაისა**

10/XII 1923-7/VIII 1926 – დაზღვეულთა ქვეგანყოფილების  
და ჭაობის სარაიონო ამბულატორიის გამგე.  
(აჭარის ცსა, ფ. რ-77, ან. 1, ს. 14, ფურ. 59; ფ. რ-83, ან. 2,  
ს. 83, ფ. 15).

**ჩახვაძე მუსტაფ**

2/VI 1933-15/IV 1935 – აჭარის ცაკის თავმჯდომარის მოადგილე,  
დამზადების კომიტეტის რწმუნებული;  
7/V 1935-13/XI 1936 – აჭარის ცაკის თავმჯდომარის მოადგილე.  
(აჭარის ცსა, ფ-რ-4, ან. 1, ს. 160, ფურ. 3).

**ჩხაიძე ივანე**

25/II 1931-14/VIII 1932 – ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი.

**ჩხაიძე (მეველუდ)**

1/I 1933 – ქედის რაიონის მიწისმზომელი.



**ჩხეტია ვლადიმერ**

25/XII 1930-25/II 1932 – აჭარელ ბავშვთა სახლის გამგე.

**ცინცაძე ალექსანდრე**

25/VII 1928-1/X 1928 – ქ. ბათუმისა და მისი მაზრის აღმას-  
კომის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი;

1/X 1928-12/XII 1928 – აჭარის იუსტიციის სახალხო კომის-  
რის მოადგილე და აჭარის უზენაესი სასამართლოს პროკუ-  
რორი;

4/V 1930-3/XII – აჭარისტანის ცაკ-ის საორგანიზაციო-საინ-  
სტრუქტორო განყოფილების გამგე.

**ცხაკაია ბიქტორი**

1/VIII 1937-29/VIII 1937 – ბათუმის ეპიდ. ბარაკების გამგე-  
ექიმი.

**ძნელაძე დავით**

25/III 1933-11/VIII 1937 – აჭარის მიწათმოქმედების სახალხო  
კომისრის მოადგილე საკოლმეურნეო საკითხებში.

**ძნელაძე ისმაილ (ისლამ)**

1/I 1933-9/II 1937 – ქედის რაიონის მიწათმოქმედების გან-  
ყოფილების გამგე.

**წილოსანი (გიორგი)**

18/X 1922-27/X 1924 – ს. ლელვას საექიმო პუნქტის გამგე.

**წულუკიძე ალი**

1918-1925 წწ. კერძო მეურნე;

1925-1930 წწ. აწვეს-ის მშენებლობაზე;

1930-1937 წწ. ხულოს რაიონის მიწათმომწეობი.

**წულუკიძე მემედ**

6/II 1923 – ხულოს მაზრის სახალხო მოსამართლე.

**ხეიჩია (მამუდი ან ოსმანი)**

14/VII 1932-1/I 1934 – აჭარის მიწსახკომის კადრების სექ-  
ციის ხელმძღვანელი.

### **სიმშიაშვილი დემურალი**

18/XII 1922–28/VI 1923 – აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის განკარგულებაში;

31/VI 1923 – 1926 – აჭარის სახკომსაბჭოს მცველთა რაზმის უფროსი.

(აჭარის ცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 139, ფურ. 15).

### **ხორომანსკი გაბრიელ**

16/VIII 1929-26/II 1931 – აჭარის ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილე;

20/VIII 1931-26/II 1932 – ფიზიოთერაპიული ინსტიტუტის დირექტორი;

26/VIII 1931-7/VI 1936 – აჭარის ჯანდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე;

27/VI 1937-23/VII 1937 – აჭარის ჯანსახკომის საკურორტო სამმართველოს დირექტორი.

(აჭარის ცსა, ფ. რ-83, ან. 2, ს. 8, ფურ. 193).

### **ჯაში თევრათ**

19/II 1930-1/I 1931 – აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი.

(აჭარის ცსა, ფ. რ-3, ან. 2, ს. 9, ფურ. 195).

### **ჯიჯაგაძე დურსუნ**

28/X 1924 – ქ. ბათუმის მე-2 რაიონის მილიციის უფროსი;

28/X 1924-28/X – ქ. ბათუმის მე-3 რაიონის მილიციის უფროსი;

4/VII 1925-21/V 1926 – ქ. ბათუმის მე-2 რაიონის მილიციის უფროსი.

### **ჯორბენაძე ილიასი**

7/XII 1925 – ხულოს მაზრის მილიციის უფროსის მოადგილე;

5/IV 1926-10/IX – ქედის მაზრის მილიციის უფროსი.



**1937-1938 წლებში გათუშვი დახმრეტილ იმ პირთა სია,  
რომელთა სახელმწიფო სამსახურში ყოფნის მხოლოდ  
წლებია ცნობილი.**

**ავალიანი იუსუფ**

ცხმორისის თემის აღმასკომის თავმჯდომარე (1922).

**ბასილაძე ქაზიმ**

ქედის რევეკომის მდივანი (1921 წ.);

ქედის მაზრის აღმასრულებელი საქმის მწარმოებელი (1922);

აჭარის სასოფლო ბანკის დირექტორი (1937).

**ბერბეძე ხუსეინ**

ცხმორისის თემის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1922).

**ბოლქვაძე ახმედ**

ხულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარე (1930).

**ბოლქვაძე გენჯალი**

აჭარის სამხედრო კომისარი (1932).

**გამრეკელიძე ნური**

ხულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1937).

**გოგბერბეძე მემედ**

ქობულეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე (1923).

**გოგიტიძე რიზალი**

ქობულეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე (1925);

აჭარის სატყეო მეურნეობის დირექტორი (1937).

**გოგიტიძე ხასან**

ქობულეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1922);

ბათუმის საფინანსო ტექნიკუმის დირექტორი (1937).

**გოგიტიძე ხუსეინ**

ქობულეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე (1923).

### **დიასამიბე ოსმან**

აჭარის ასსრ უფროსი ტყის მცველი (1923).

### **დომიტრაძე ემინახმედ**

ფინსახკომის რწმუნებული (1921);

ხულოს მაზრის აღმასკომის საქმის მწარმოებელი (1922).

### **დოლიძე თეოფილე**

ჭახათის თემის აღმასკომის თავმჯდომარე (1922).

### **ზაქარიაძე სულეიმან**

აჭარისწყლის მაზრისაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1922); აჭარისწყლის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე (1921, 1923);ქ. ბათუმის სავალუტო ბირჟის გამგე (1924);

ბათუმის საფონდო-სავალუტო ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარე (1925);

საქართველოს ფინსახკომის რწმუნებული აჭარაში (1926).

### **ზოიძე ხეაღ**

ხულოს მაზრის თავმჯდომარე (1922).

### **კონცელიძე ოსმან**

აჭარის წითელი მთვარის კომიტეტის თავმჯდომარე (1923).

### **ლორთქიფანიძე ზეჟერია**

ხულოს მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე (1922);

სხალთის თემის აღმასკომის საქმისმწარმოებელი (1922).

### **ლორთქიფანიძე ლონგინოზ**

აჭარისტანის კომუნალური მეურნეობის გამგის მოადგილე (1921).

### **ლორთქიფანიძე ნიკოლოზ**

მერისის თემის აღმასკომის საქმის მწარმოებელი (1922);

ქ. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გამგის მოადგილე (1923).

### **ლორთქიფანიძე სელმან**

ქ. ბათუმის ქართულ-რუსული მეორე საფეხურის სკოლის გამგე (1923);

ქედის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე (1925).

### **ლორთქიფანიძე შევქეთ**

აჭარმრეწველობის მმართველის მოადგილე (1929);  
აჭარის საგემო კომისიის სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის სექციის გამგე (1930).

### **მამულაიშვილი ვლადიმერ**

ქ. ბათუმის ეპიდემიური სადგურის სანიტარული ნაწილის გამგე (1922).

### **მახარაძე იუსუფ**

აჭარისტანის წითელი მეჯლისის კომენდანტი (1921).

### **მახარაძე მურად**

ხულოს მაზრის საგანგებო კომისარი (1923);  
აჭარელ ბავშვთა სახლის გამგე (1930).

### **მეგრელიძე ილიას**

ქობულეთის რაიადმასკომის თავმჯდომარე (1929);  
აჭარის ფინანსთა სახალხო კომისარი (1930);  
აჭარის ფინსახკომის რწმუნებული (1930).

### **მეფარიშვილი დავით**

აჭარის ფინსახკომის რწმუნებულის მოადგილე (1924).

### **მოწყობილი ოსმან**

აჭარისტანის ცაკ-ის სტატისტიკური ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი (1921–1922);  
საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის აჭარის ტანის განყოფილებების გამგე.

### **მუავეანაძე იბრაიმ**

ქობულეთის რაიონის ბუკნარის საცდელი სადგურის დირექტორი (1937).

### **მჭედლიძე ივანე**

ქ. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი (1923).

### **ნიკოლაიშვილი სილოვან**

ყარადერეს (ოლადაურის) პირველი საფეხურის შრომის სკოლისგამგე (1924);  
აწვეს-ის პირველი საფეხურის შრომის სკოლის გამგე (1932).

**ნუცუბიძე გიორგი**

საქართველოს კპ ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი (1937);

**პეტრიაშვილი ივანე** – „ქობულეთის გაზეთი“-ს რედაქტორი (1937).

**რამიშვილი გიორგი**

აჭარის რევ. ტრიბუნალის თავმჯდომარე (1921);

ქ. ბათუმის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე (1923);

ბათუმის საქალაქო საბჭოს მცირე პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე(1923).

**სიორიძე პლატონ**

პირველი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი (1932);

პირველი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი (1937).

**სურგულაძე ივლიანე**

„აჭარპრომტორგის,, საწარმოს მმართველი (1924);

იქვე განყოფილების გამგე (1925);

აჭარის ვაჭრობა-მრეწველობის საწარმოს განყოფილების გამგე (1925).

**სურმანიძე მოედინ**

ქედის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე (1921, 1923).

**სურმანიძე ხუსნი**

ქედის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე (1926).

**ტაკიძე მურად**

აჭარის ასსრ-ში საქართველოს მუშათა და გლეხთა რწმუნებული (1927).

**ფაღავა დურსუნ**

აჭარის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე (1931);

ბათუმის რძის ქარხნის დირექტორი (1937).

**ქიქავა ჯემალ**

აჭარის სახკომსაბჭოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებული (1923);

აჭარის ასსრ ვაჭრობა-მრეწველობის მმართველი (1924);  
საქართველოს სავაჭროების აჭარისტანის განყ. მმართველი  
(1930).

### **ყურშუბაძე მამუდ**

ქობულეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე (1937).

### **ჩახვაძე მუსტაფ**

აჭარის ცაკ-ის თავმჯდომარის მოადგილე დამზადების  
დარგში (1922);

კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო  
განყოფილების გამგე (1929);

ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე  
(1932).

### **ჩიგოგიძე ერმილე**

აჭარის მუშათა და გლეხთა ინსპექტორი (1924).

### **ძნელაძე ისლამ**

ქედის რაიაღმასკომის თავმჯდომარე (1937).

### **ძნელაძე სასან**

საქართველოს კპ ქობულეთის რაიკომის მეორე მდივანი  
(1937).

### **ჭეიშვილი კარლო**

აჭარისტანის საგარეო განყოფილების გამგე (1922);

ქ. ბათუმის კოოპერატიული ტექნიკუმის გამგე(1930).

### **წულუკიძე ალი**

ფურტიოს პირველი საფეხურის შრომის სკოლის გამგე  
(1924).

### **ჯაში თევრათ**

ქედის მაზრის პარტკომის მდივანი (1927); ბათუმის  
რაიაღმასკომის თავმჯდომარე (1936-1937).

## საჩვენებელი (დასაწინებელი) სასამართლო პროცესი

1937 წლის 24-28 სექტემბერს ბათუმში, ოფიცერთა სახლში გაიმართა მაღალი თანამდებობის პირთა საჩვენებელი სასამართლო პროცესი, რომლის მიზანი იყო არა სიმართლის დადგენა, არამედ უდანაშაულო ადამიანებზე თავსმოხვეული ბრალდების დასაბუთება. ხელისუფლება ცდილობდა მის მიერ განხორციელებული არნახული რეპრესიები ფართო საზოგადოებრიობის თვალში სიმართლედ გაესაღებინა, ხალხი დაერწმუნებინა განსასჯელთა დანაშაულებრივ ქმედებაში და მიეღწია იმისთვის, რომ მასებს (როგორც ისინი ხშირად ხმარობდნენ ამ ტერმინს) თავად მოეთხოვათ ხალხის მტრების გასამართლება და დასჯა.

დარბაზი ხალხს ვერ იტყვდა, ამიტომ მოაწყვეს რადიო-გადაცემა, რითაც ქუჩაში მოსულ ზღვა ხალხს შეეძლო მოესმინა ბრალდებულთა „აღიარებითი ჩვენებები.“

იმ დღეს განსასჯელის სკამზე ისხდნენ (იქნებ მათი ორეულები):

- ლორთქიფანიძე ზექერია ღურსუნის ძე;
- ქიქავა ჯემალ მამუდის ძე;
- რამიშვილი გიორგი ერასტის ძე;
- მეგრელიძე ილიას ისმაილის ძე;
- ლაღიძე გრიგოლ ერმილეს ძე (დამცველი კაშია);
- ბასილაძე ქაზიმ ხასანის ძე;
- ბეჟანიძე სულეიმან იუსუფის ძე (დამცველი ტურძელაძე);
- ძნელაძე ხასან იუსუფის ძე (დამცველი ტურძელაძე);
- ჩალ-ოდლი ხასან ხალიფის ძე (დამცველი კაშია);
- რომანაძე ოსმან რეჯების ძე (დამცველი მამალაძე);
- ვანაძე ოსმან თერჯანის ძე (დამცველი ბუბაშვილი).

(„საბჭოთა აჭარისტანი“. №226, 2 ოქტომბერი, 1937 წ. გვ. 2).

ზ. ლორთქიფანიძეს, ჯ. ქიქავას, გ. რამიშვილს, ი. მეგრელიძეს და ქ. ბასილაძეს ადვოკატი არ ჰყავთ. მათ, როგორც ჩანს, უარი თქვეს დამცველზე და თავს თვითონვე იცავდნენ. ან კიდევ, თუ



ვირწმუნებთ, რომ ისინი ამ პროცესის დროს დახვეწილები იყვნენ და აქ მათი ორეულები ისხდნენ, მაშინ ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ სასამართლომ ორეულებთან დამცველების გამოსვლა ხელის შემშლელ ფაქტორად მიიჩნია.

ზ. ლორთქიფანიძე სასამართლომ დამნაშავედ სცნო იმაში, რომ იგი თითქოს ჯერ კიდევ 1928 წელს დაუკავშირდა თურქეთის დახვეწრვის წარმომადგენელს, ხოლო 1933 წლიდან, ჯემალ ქიქავასთან ერთად, ხელმძღვანელობდა კონტრეველოუციურ, მავნებლურ, დივერსულ-ტერორისტულ, ჯაშუშურ-მოჯანყე ორგანიზაციას აჭარაში, რომელშიც მათ ჩართეს: ჩალ-ოღლი, ბასილაძე, მეგრელიძე, ძნელაძე, ბეჟანიძე, ვანაძე და რომანაძე.

1936 წელს ამ ორგანიზაციაში გაერთიანდნენ გ. რამიშვილი და გ. ლალიძე.

ყველა ბრალდებულმა „ადიარა“ წაყენებული ბრალდებები; გ. ლალიძემ, მაგალითად, თქვა, რომ იგი იყო ბათუმის ნაციონალურ-ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელი, რომელიც მან შექმნა მწერლების: მიხეილ ჯავახიშვილის, სანდრო შანშიაშვილის, გიორგი ლეონიძისა და ნიკოლოზ ლორთქიფანიძის დავალებით. იგივე გაიმეორა გ. რამიშვილმაც.

ზ. ლორთქიფანიძემ „დაადასტურა“ კავშირი ბათუმში თურქეთის კონსულთან რუშტი-ბეისთან, რომელსაც თითქოს აწვდიდა ჯაშუშური ხასიათის ცნობებს და ა. შ.

მეგრელიძემ, ბასილაძემ, ძნელაძემ, ჩალოღლიმ, ვანაძემ, რომანაძემ და ბეჟანიძემ „აჩვენეს“, რომ ისინი მონაწილეობდნენ ზ. ლორთქიფანიძის მიერ შექმნილ ორგანიზაციაში და სწავდიოდნენ დანაშაულს სოფლის მეურნეობაზე და მეცხოველეობაზე ზიანის მიყენების მიზნით.

ამ პიროვნებების განსჯის საბაზად სასამართლომ გამოიყენა აგრეთვე სხვა საქმეებზე დაპატიმრებული და ნაწამები მოწმეების: დ. ხოზრევანიძის, ი. გათენაძის, დ. ხელაძის, ო. მოწყობილის და სხვათა ჩვენებები, რომლებიც თითქოს ადანაშაულებდნენ ამ პირებს, მაგრამ მათი ჩვენებები სრულიად განსხვავდებოდა მსჯავრდებულთა ჩვენებებისგან.

აჭარის შსს-ში მსჯავრდებულებს სასტიკად აწამებდნენ. თვით ზ. ლორთქიფანიძე სასამართლო პროცესზე შემოიყვანეს მოტყეხილი ხელით, რომელიც ხილაბანდით ჰქონდა ჩამოკიდებული. მისი და გ. რამიშვილის წამება პირადად ლ. ბერიას დავალებით განახორციელეს, რადგანაც ისინი ზოგჯერ აშკარად გამოდიოდნენ ბერიას უსამართლო მოქმედებების წინააღმდეგ. ზ. ლორთქიფანიძის, გ. რამიშვილის და სხვათა მიმართ ანგარისწორება დავალებული ჰქონდათ: სერგო გოგლიძეს, ბოგდან (ბახნო) ქობულოვს, გიორგი ჯინჯოლიას და სხვ. მათი ხელით ხორციელდებოდა აუტანელი, ბარბაროსული ტანჯვა-წამება, რამაც აიძულა განსასჯელები, ეთქვათ ის, რაც გამოძიებას და სასამართლოს ხელს აძლევდა.

საყურადღებოა, რომ პატიმართა წამების, დახვრეტა-გადასახლების გულმოდგინე შემსრულებლები 1937 წლის ივლისში სახელმწიფო ორდენებით დააჯილდოეს: ს. გოგლიძე, ა. რაფაგა, ბ. ქობულოვი, ზ. შაშურკინი, მ. სტეპანოვი და სხვ. – ლენინის ორდენით, ხოლო გ. ჯინჯოლია, ს. კუგელი, ნ. რუხაძე, ვ. ინასარიძე, ა. ხაზანი, ლ. აბაშიძე, მ. კუკუტარია, კ. ბზიავა, ნ. კრიმიანი და სხვ. – წითელი ვარსკვლავის ორდენით (საბჭოთა აჭარა“, 22 ივლისი, 1937 წ.).

როგორც მოგვიანებით გამოირკვა პირადად სერგო გოგლიძე, ბოგდან ქობულოვი, გიორგი ჯინჯოლია, გრიგოლ კარანაძე და სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარე რეჯებ ჯინჭარაძე\* არწმუნებდნენ მსჯავრდებულებს, რომ მათი „ადიარება“ აუცილებელია პარტიისა და საბჭოთა მთავრობისთვის. გიორგი რამიშვილმა სასამართლო პროცესზე სწორედ ასე განაცხადა, რომ „თუ ეს ყველაფერი საჭიროა პარტიისა და მთავრობისთვის, მე მზად ვარ საკუთარი სიცოცხლეც კი გავიღო.“

\* 1937 წლის საქტემბერში აჭარის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე **აბდი სურმანიძე**, როგორც დაუმორჩილებელი და არასასურველი, გაათავისუფლეს და მის ადგილას **რეჯებ ჯინჭარაძე** დანიშნეს.

1957 წელს ამიერკავკასიის სამხედრო პროკურატურის რჩევით აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა სპეციალური კომისია, სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობაში წარსულში არსებული მანებლობის ფაქტების გამოსარკვევად კომისიამ დაადგინა, რომ 1934-1937 წლებში აჭარის სოფლებში სახალხო მეურნეობის არცერთ დარგში არავითარ მანებლობას, ხელოვნურად ზიანის მიყენებას ადგილი არ ჰქონია და ყველაფერი მაშინდელი შსსკ-ის მიერ იყო ფალსიფიცირებული.

ასევე გამოიჩინა, რომ ამ ჯგუფურ საქმეში არ არსებობს დაკითხვების ოქმების ორიგინალი, ყველა ოქმი წინასწარ შედგენილი და დაბეჭდილია მანქანაზე, რომელსაც შემდეგ წამებისა და მუქარის ქვეშ ხელი მოაწერეს განსასჯელებმა. თვით ამ საქმეზე გამოტანილი განაჩენი წინასწარ შედგენილია შსსკ-ის თანამშრომლების მიერ, რომელიც სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში თავმჯდომარემ რ. ჯინჭარაძემ გადაწერა და გამოაცხადა.

საბუთების ფალსიფიკაციის და ბრალდებათა შეთითხნის მთავარი ავტორები, აჭარის შსსკ-ის ყოფილი მუშაკები: გიორგი ჯინჯოლია, სერგო კუგელი, მინინი, ბუკიანი, ხრისტო ცომადოსი, კონსტანტინიდი, გუგუშვილი, ნოე მატუა, ეზიაშვილი 1938 წელს დააპატიმრეს და კონტრევოლუციური საქმიანობისთვის გაასამართლეს. ს. კუგელი და გ. ჯინჯოლია ათეულათას უსამართლოდ დასჯილთა შორის გამონაკლისნი იყვნენ, რომელთაც უარი ეთქვათ რეაბილიტაციაზე, ხოლო ნ. მატუა პარტიიდან გარიცხეს და პენსია ჩამოართვეს.

სამწუხაროდ გვიან, მაგრამ ბოლოს სამართალმა იხეიმა და 1937 წლის 24-28 სექტემბერს ბათუმში გასამართლებული ყველა პიროვნება, მათ შორის რვა, სიკვდილის შემდეგ, გამართლდა და 1957 წლის 13 მაისს ოჯახებმა მიიღო სრული რეაბილიტაცია (საქართველოს ცსა. 498, აღწ. 4, ს. 4973, ფურ. 19-30 და 49-60).

სია იმ პიროვნებებისა, რომლებიც 1937 წ. 24-28/IX ბათუმში გაასამართლეს და დახვრიტეს, მაგრამ მათი გვარები არ აღმოჩნდა ჩვენს მიერ მოქმედ №1 და №2 სიებში:



**ლორთქიფანიძე ზექერია დურსუნის ძე.** დაბად. 1892 წელს, მცხ. აჭარის ასსრ, ხულოს რაიონის სოფ. მოფრინეთში. დაბალი განათლებით, პარტიის წევრი 1927 წლიდან. დაპატიმრების მომენტში იყო აჭარის ცაკის თავმჯდომარე;



**ზექერია დურსუნის ძე ლორთქიფანიძე**

**ქიქავა ჯემალ მამუდის ძე.** დაბად. 1895 წელს, მცხ. ქ. ბათუმში, საშუალო განათლებით, პარტიის წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან. დაპატიმრების მომენტში იყო აჭარვაჭრობის თავმჯდომარე;

**რამიშვილი გიორგი ერასტის ძე.** დაბად. 1888 წელს, ჩოხ-ატაურის რაიონის სოფ. დიდვანში, საშუალო განათლებით, პარტიის წევრი 1904 წლიდან. დაპატიმრების მომენტში საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი;

**მეგრელიძე ილიას ისმაილის ძე.** დაბად. 1903 წელს, მცხ. ქობულეთის რაიონის სოფ. ქაქუთში, უმაღლესი განათლებით, პარტიის წევრი 1931 წლიდან. დაპატიმრების მომენტში იყო აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი;

**ლალიძე გრიგოლ ერმილეს ძე.** დაბად. 1887 წელს, ქუთაისის რაიონის სოფ. გელოვანში, მცხ. ქ. ბათუმში, უმაღლესი იურიდიული განათლებით, უპარტიო. დაპატიმრების მომენტში იყო აჭარის ადვოკატთა კოლეგიის წევრი;

**ბასილაძე ქაზიმ ხასანის ძე.** დაბად. 1903 წელს, დაბა ქედაში, მცხოვრები ქ. ბათუმში, საშუალო განათლებით, პარტიის წევრი 1926 წლიდან. დაპატიმრების მომენტში იყო აჭარის სოფლის მეურნეობის ბანკის მმართველი;



**ქაზიმ ხასანის ძე ბასილაძე**

**ბეჟანიძე სულეიმან იუსუფის ძე.** დაბად. 1909 წელს, ხულოს რაიონის სოფ. მოფრინეთში, მცხ. ხულოში, საშუალო განათლებით, პარტიის წევრი 1931 წლიდან. დაპატიმრების მომენტში იყო ხულოს რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე;



**სულეიმან იუსუფის ძე ბეჟანიძე**



**რომანაძე ოსმან რეჯების ძე.** დაბად. 1904 წელს. მცხოვრები ქობულეთის რაიონის სოფ. წყავროკაში, დაბალი განათლებით. პარტიის წევრი 1932 წლიდან. დაპატიმრების მომენტში იყო წყავროკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

რვა განსასჯელს: ზ. ლორთქიფანიძეს, ჯ. ქიქავას, ქ. ბასილაძეს, ს. ბეჟანიძეს, გ. რამიშვილს, ი. მეგრელიძეს, გ. ლაღიძეს და ო. რომანაძეს სასამართლომ უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა. ჩვენ ადრე ვვარაუდობდით, რომ განაჩენი სასამართლოს დასრულებისანავე ქ. ბათუმში მოიყვანეს სისრულეში. ეს ვარაუდი თითქოს დადასტურდა ბათუმის მმჩ-ის ბიუროს მიერ ზ. ლორთქიფანიძის ოჯახზე გაცემული ერთ-ერთი ცნობით, სადაც ნათქვამია: „გარდაიცვალა 1937 წლის 28 სექტემბერს, გარდაცვალების მიზეზი, დახვრეტილია“<sup>41</sup> თუმცა ზოგიერთის ადრე დახვრეტის ეჭვიც დადასტურდა.

მაგ. ქაზიმ ბასილაძე, რომლის შესახებ სახელმწიფო უშიშროების არქივის ცნობაში ნათქვამია: „...დაბ. 1903 წ. ქ. ბათუმ-



აბდი-ბეგ სურმანიძე, ხოსრო-ბეგ სურმანიძე, ქაზიმ ბასილაძე. 1930 წ.

ში საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული „სამეული“-ს 1937 წლის 10 სექტემბრის დადგენილებით, სსკ 58-6 (ჯაშუ-შობა) და 58-11 (დანაშაულის მომზადება და ჩატარება) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 1937 წლის 12 სექტემბერს“ (ოსიკო გვარიშვილი. სისხლიანი გრიგალის ექო. თბილისი. 2001 წ. გვ. 17).

ბუნებრივია განხდება კითხვა. თუ ქაზიმ ბასილაძის მიმართ საბედისწერო განაჩენი 1937 წლის 12 სექტემბერს მოიყვანეს სისრულეში, მაშინ 24-28 სექტემბრის საჩვენებელ სასამართლო პროცესზე იგი როგორ შეძლებდა განსასჯელის სკამზე ჯდომას? ანდა თუ მას სამეულმა 12-16 დღით ადრე გადაუწყვიტა სიკვდილი, მაშინ სასამართლო ვიდას სჭირდებოდა? აი კითხვები, რომლებიც ნათლად ადასტურებს ე. წ. საჩვენებელი პროცესის სიყალბეს. ძალაუნებურად გიჩნდება აზრი, რომ ქ. ბასილაძე, შესაძლოა სხვებიც, ადრე დახვრიტეს, ხოლო მათ მაგივრად პროცესზე მათი ორეული მოიყვანეს, „ადიარებითი“ ჩვენებებიც მიიღეს და ათეულათასობით ადამიანს მოასმენინეს. ყოველისმძლე ჩეკა-ს აღზევების პერიოდში არც ეს იყო ძნელი და გასაკვირი.

რვა სიკვდილმისჯილთან ერთად იმ დღეებში გაასამართლეს:

**ძნელაძე ხასან იუსუფის ძე.** დაბად. 1905 წელს ბათუმის რაიონის სოფ. ორთაბათუშში, მცხ. ქობულეთში, საშუალო განათლებით, პარტიის წევრი 1929 წლიდან. დაპატიმრების მომენტში იყო ქობულეთის რაიკომის მდივნის მოადგილე;

მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით;

**ჩალ-ოღლი ხასან ხალიფის ძე.** დაბად. 1892 წელს, ქედის რაიონის სოფ. თოფალოდლებში, მცხ. ბათუმის რაიონის სოფ. კახაბერში, დაბალი განათლებით, უპარტიო. დაპატიმრების მომენტში იყო თოფალოდლების კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით;

**ვანაძე ოსმან თერჯანის ძე.** დაბად. 1911 წელს, მცხ. ხულოს რაიონის სოფ. ვანაძეებში, დაბალი განათლებით, პარტიის წევრი 1930 წლიდან. დაპატიმრების მომენტში იყო ვანაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით.

1956 წელს გაირკვა, რომ ყველა ზემოთდასახელებული 11 ბრალდებულის ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პროცესის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მიიღო დადგენილება ზემოთდასახელებული პირების დახვერტასა და დასჯაზე. დადგენილებას ხელს აწერდნენ: ლ. ბერია, ვ. ბაქრაძე და ბიუროს სხვა წევრები. უფრო მეტიც, ჯ. ქიქავას, გ. რამიშვილის, გ. ლადიძის, ქ. ბასილაძის და ს. ბეჟანიძის ბედი გადაწყდა მოსკოვში სკკპ პოლიტბიუროს წევრთა რეზოლუციით.<sup>12</sup>

\*\*\*

ზემოთ „საჩვენებელ (დასაშინებელ) პროცესად“ სახელდებულმა სასამართლომ მალე თავისი შედეგი გამოიღო. იმავე 1937 წლის ბოლოს შეიკრიბნენ აჭარის მწვერალთა ორგანიზაციის წევრები და გამოეხმაურნენ „სიღნაღის რაიონში „აღმოჩენილი“ ლიკვიდირებული მემარჯვენე-კონტრრევოლუციურ-ტერორისტ-მაგნებელთა ორგანიზაციის გამცემლურ და საზიზღარ მუშაობას“, კერძოდ ა. წითლიძის, შ. ალავერდაშვილის, კ. აბაშიძის, ი. სტეფანოვის საქმიანობას და მოითხოვეს, რათა ხალხის მტრები, „საამური ცხოვრების ჯალათები“ გასრესილ იქნან. კითხულობ ამ დოკუმენტს და გიკვირს, რაოდენ დიდი იყო შიში, ან ადამიანის გაველურება, მით უმეტეს მწვერლისა, რომელსაც ასეთ ძალმომრეობაზე წინ აღდგომის ნაცვლად ეთქვა:

„სიკვდილი ხალხის მტრებს, მაგნებლებს სიკვდილი, დახვერტა მათ, რომლებიც ოქტომბრის ცეცხლში გამოტყდილ სამშობლოს, მთელ მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს წინააღმ-



დეგ აღმართეს თავიანთი სისხლიანი ხელები. ტყვია მათ, რომლებმაც მშრომელთა საყვარული ხელმძღვანელების მოკვლა განიზრახეს.“ და არ იტყვიოთ ვის მოკვლას აპირებდნენ თურმე სიღნაღელი მწერლები? ლავრენტი ბერიას და სხვა ხელმძღვანელებისა. საინტერესოა რამდენი ჯგუფი შეიქმნა ამ ერთი კაცის მოსაკლავად საქართველოს ორ დაშორებულ მხარეებში კახეთსა და აჭარაში? სამაგიეროდ ამ ერთ კაცს ჰყავს არც თუ ისე ცოტა დამცველები აჭარაში მოღვაწე მწერლების სახით, რომლებიც მზად არიან „გაანადღონ საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას მითითებანი.“ მწერალთა ეს მოწოდება დასრულებულია ამაზრზენი ლოზუნგებით:

„გაუმარჯოს დიდი სტალინის სახელოვან მოწაფეს ამხ. ლ. ბერიას,

გაუმარჯოს სახელოვან შინსახკომებს და მის მეთაურს ამხ. ეჟოვს!“

არ მინდა დავიჯერო, რომ ეს სიტყვები მწერალთა გულიდან ამოდიოდა, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ეს მათ 1937 წლის დიდმა სისხლისღვრამ და შიშმა დააწერინა, თუმცა ეს სურვილი ამაო გამოდგა.

1936 წლის 24 ოქტომბერს, ე. ი. დიდი ტრაგედიის დაწყებამდე, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობამ მწერალთა კავშირის წევრობის კანდიდატი სრულიად ახალგაზრდა პოეტი ლაშა ტბაური (დიმისტარიშვილი) კავშირიდან გარიცხა, რადგანაც თურმე მან „არ გაამართლა საბჭოთა მწერლის საპატიო სახელი და საბჭოთა საზოგადოების ნდობა.“ ლაშა შორეულ აღმოსავლეთში გადასახლდეს, მისი ბოლო მისამართი იყო: ვორკუტა, სადგური უსა, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

პოეტ მაშია ვარშანიძეს, რომელმაც თავი მოუყარა ლაშა ტბაურის ლექსებს და 1970 წელს გამოსცა კიდევ („სიმები ქარში“), ჩემთან საუბარში არაერთხელ გაუხსენებია სხვა ბათუმელი ახალგაზრდა პოეტები: ალექსანდრე ჯორბენაძე, რომელიც გადასახლებაში ყელის ჭლექით დაავადდა და გარდაიცვალა,

აგრეთვე კოტე არჯევანიძე, რომელმაც ასევე გადასახლებაში მისი ბედი გაიზიარა.<sup>13</sup>

ობივატელი კითხვას დასვამს: შენ რომ გეცხოვრა იმ საშინელ დროს, როგორ მოიქცეოდი? მძიმე კითხვაა, პასუხიც ძნელად გასაცემია, მაგრამ მაინც უნდა გასცე. თითქოს ვინატრო, დიდი ტრაგედიიდან 70 წლისთავზე გაზეთის კორესპონდენტმა ერთი მთავარი და რამდენიმე თანამედროვეობისთვის შესაფერისი კითხვა დამისვა, რომლებსაც სრულიად უცვლელად და შეუღამაზებლად ამ წიგნის მკითხველს ვთავაზობ:

**1. ამგვარ კრებაზე (იგულისხმება აჭარის მწერალთა მასშინდელი კრება, რ. ს.), რომ აღმოჩნდეთ, როგორ მოიქცევით?**

თავს ვერ დავდებ, რომ საკუთარ უსაფრთხოებას არად ჩავაგდებდი და იმ საშინელი ტერორის დროს სიცოცხლეს გავწირავდი, თუმცა კანონიერ სასამართლოს (და არა სამეულს), სიმართლის გარკვევას მაინც მოვთხოვდი.

ახლა ამგვარ კრებაზე, ბუნებრივია, კატეგორიული ვიქნები და შევეცდები ნებისმიერი მწერლის უფლებები დავიცვა. ამისათვის საკუთარ თავს აღარ გავუფრთხილდები, რადგანაც სიმართლის თქმისთვის აღარავის სჯიან.

**2. მწერალთა კავშირი როგორ მოვიდა დღემდე და როგორია დღეს?**

აჭარის ორგანიზაცია ყოველთვის იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი შენაკადი (იგი სულ 20-30 მწერალს აერთიანებდა), ხშირ შემთხვევაში ტონის მიმცემი, სამართლისა და სიახლისთვის მებრძოლი. ის ამ თვისებებს დღესაც ინარჩუნებს, თუმცა არის ძალზე მძიმე და ხელისშემშლელი პირობები. საკუთარი ბიუჯეტის უქონლობა, შენობის სავალალო მდგომარეობა და სხვ. მთავარი სიძნელე მაინც წიგნის გაუფასურებაა. მოგესხენებათ, მწერალი მოსახლეობასთან თავისი ნაწარმოებებით ამყარებს კავშირს და როცა მკითხველის ინტერესი წიგნისადმი მცირდება, ბუნებრივია მწერალი თავის მასაზრდოებელ ნიადაგს (მკითხველს) მოწყდება. ეს კი უარყოფითად მოქმედებს მის შემდგომ მოღვაწეობაზე.

ჩემი აზრით, ყველაფერი ეკონომიკაზეა მიბმული. დარწმუნებული ვარ, ქვეყნის აღმავლობა ხალხის სიდუხჭირეს თანდათანობით მოსპობს და მკითხველი კვლავ დაუბრუნდება წიგნს, რომელსაც სულიერი და გონებრივი განვითარების საქმეში ვერაფერი შეცვლის.

### **3. მწერლის დამოკიდებულება ხელისუფლებასთან, როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა იყოს?**

ნამდვილი მწერალი ყოველთვის იყო არსებული წეს-წყობილების მკაცრი შემფასებელი, მაგრამ კარგზე კარგს ამბობდა, ცუდზე – ცუდს. რაც უფრო მაღალმხატვრულად წარმოადგენს მოვლენებს, რაც უფრო მეტი სიმწვავე იგრძნობა მის ნაწარმოებში, მით უფრო დასამახსოვრებელია წიგნი და მისი ავტორი. მთავარია, მწერალი არ გამოუდგეს წვრილმან ინტრიგებს და ხელოვნურად შექმნილ სკანდალებს. იგი დიდი გლობალური მოვლენების ავანგარდში უნდა იდგეს. მწერლის ფასი ორმაგდება, როცა ის შეძლებს ჩვენი ცხოვრების მომავლის წინასწარმეტყველებას.

ჩვენ ჯერ კიდევ გარდამავალ ეპოქაში ვცხოვრობთ და ძნელია პროგნოზების გაკეთება, მაგრამ კარგ მწერალს ეს არ უნდა გაუჭირდეს, თუ ის ამ ფუნქციას შეასრულებს, ხელისუფლებას ძალზე გაუადვილდება მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება.

ჩვენს დროში ხელისუფლების კრიტიკა ადვილია. ამისთვის ხიფათი აღარ მოგველის, მაგრამ, როცა მწერალი თავისი ავტორიტეტის შექმნას მხოლოდ კრიტიკით შეეცდება, ეს მის სისუსტეზე მეტყველებს. მწერლის ავტორიტეტი უფრო სიმართლესა და რეალურობაშია, თავის მხრივ ხელისუფლებაც მწერლობაში უნდა ხედავდეს თავის სერიოზულ მრჩეველსა და დასაყრდენს და ცდილობდეს გაუადვილოს მათ აზრების გამოთქმა, ხელი შეუწყოს პირად ცხოვრებაში. ხელისუფლების მხრიდან მწერლობის მიმართ უყურადღებო, უფრო მეტიც, მტრული დამოკიდებულება, თვით ხელისუფლებისთვის სავალალოდ მთავრდება.

ამის მაგალითები მრავალ ქვეყანაში მოინახება.

14. 5. 2007 წ.

**1937-1938 წლებში რეპრესირებულთა  
(სიკვდილით დასჯილთა) ბიოგრაფიები**

**აბუსერიძე ბექირ ასემდის ძე**


დაიბადა 1877 წელს მახინჯაურში. შრომითი საქმიანობა ბათუმის ქარხნებში შავ მუშად დაიწყო. იცნობდა მუშათა მოძრაობას და მის ლიდერებს, მათ შორის ი. სტალინს, ი. რამიშვილს და სხვ. მოწიფულობის ასაკში დაუკავშირდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრებს: მემედ აბაშიძეს, ყადირ შერვაშიძეს და სხვ.

ბექირ აბუსერიძის განსწავლულობასა და ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს აგრეთვე დეპეშა, რომელიც მან გაუგზავნა გაზეთ „შრომის“ რედაქციას 1915 წლის თებერვალში: „ვწუხვართ და ვგლოვობთ, მთელ ქართველ ერთან ერთად დიდებული მგოსნის და მშრომელი ხალხის მოამაგის აკაკის დაკარგვას.

ბათომელთა ერთი ჯგუფი ქართველ მაჰდიანების მინდობილობით: ბექირ აბუსერი, ასმედ ბერიძე“ (გაზ. „შრომა“, №26, 4 თებერვალი 1915 წ. გვ. 1.)

ბექირ აბუსერიძე შედიოდა აჭარის მეჯლისის შემადგენლობაში, რომელსაც ხასან ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა. იგი მხარს უჭერდა აჭარის გაერთიანებას საქართველოსთან ავტონომიის ფარგლებში.

მეჯლისის წევრთა მოსაზრებების გასარკვევად, რაც მთლიანობაში აჭარის მოსახლეობის პოლიტიკურ ორიენტაციას ნიშნავდა, 1921 წლის 14 ივნისს, ავტონომიური რესპუბლიკის გამოცხადებამდე ერთი თვით ადრე, მეჯლისის მთელი შემადგენლობა თბილისში ჩავიდა, სადაც მოლაპარაკება გამართეს საქართველოს რევკომის წევრებთან: მამია ორახელაშვილთან, სერგო გუბელთან, ბესარიონ კვიციანიანთან. საუბრები ჩაწერილია სტენოგრაფიული წესით რუსულ ენაზე.



ძმები ბექირ და ისმეთ ახმედის ძე აბუსერიძეები

საუბარი საკმაოდ მწვავე და პრინციპული იყო, განსაკუთრებით ბათუმის სტატუსზე. როგორც ცნობილია, მაშინ ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს მიაჩნდა, რომ აჭარა მიიღებდა ავტონომიას, მაგრამ ბათუმი მას გამოეყოფოდა, როგორც თავისუფალი ქალაქი და პირდაპირ დაექვემდებარებოდა საქართველოს მთავრობას (რეგომს). ამ საკითხზე პოლემიკა გამწვავდა.


ბექირ აბუსერიძე პირდაპირ თხოულობს უპასუხონ: „ბათუმი დარჩება აჭარის ავტონომიის ფარგლებში, თუ არა. თუ დარჩება, მაშინ როგორ შეიძლება მისი აჭარისგან გამოყოფა? გამოდის, რომ აჭარას ავტონომია არ ექნება. ვიმედოვნებ, რომ აქ პოლიტიკა არაფერ შუაშია. ხალხი ისე გაიგებს, რომ დედას შვილი წაართვეს და დედინაცვალს გადასცეს. ჩვენ თქვენი გვესმის, მაგრამ რას იფიქრებს აჭარის მოსახლეობა? ჩვენ არ გვინდა, რომ აჭარლებს შორის გაჩნდეს მღელვარება. ახლა ისეთი დროა, რომ ათეულების მიერ შექმნილი, შეიძლება ერთმა კაცმა დაანგრიოს. გთხოვთ, ისე მოიქცეთ, რომ აჭარაში მღელვარება თავიდან ავიცილოთ. ჩვენ ძმები ვართ და სასურველია ჩვენს საქმეში სხვები არ ჩაერიონ. ეს როგორ უნდა მოხდეს, თქვენ უკეთ განსჯით.“

ბეჭირის გამოსვლას მხარი დაუჭირა ხასან ლორთქიფანიძემაც. საკითხის განხილვა კი გაგრძელდა სადამოს სხდომაზე, სიტყვაში გამოვიდნენ: ს. კომახიძე, მ. კონცელიძე, ი. ქიქავა, ხ. ლორთქიფანიძე, ხ. ბეჟანიძე.

ს. გუბელს წამოუჭრია მშობლიური ენის საკითხი, რასაც მეჯლისის წევრების ირონია გამოუწვევია, ხოლო ბეჭირ აბუსერიძეს ამ საკითხის დასმა ზედმეტად მიუჩნევია. მის შეკითხვაზე, ბათუმში რაიმე უფლებები გვექნება თუ არაო, მ. ორახელიშვილმა უპასუხა, რომ თქვენ გაქვთ უფლება იქ თავისუფლად იმოქმედოთ.

ამის შემდეგ შეიქმნა საქართველოს რევკომის კომისია, რომელშიც შევიდნენ რევკომის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და შინაგან საქმეთა კომისარი, ხოლო აჭარის მეჯლისიდან: ხ. ლორთქიფანიძე, ბ. აბუსერიძე, ხ. ბეჟანიძე და მ. კონცელიძე.

18 ივნისს, ბათუმში დაბრუნებულმა დელეგაციამ მოიწვია მეჯლისის სხდომა, რომელზეც აღინიშნა, რომ საბოლოო შედეგი არ გვაქვს, მაგრამ ეჭვი ჩვენს მიმართ გაუქრათ, ურთიერთობა უკეთესია, რაზეც 4 დღეში თბილისიდან ჩამოსული წარმომადგენელი მოგვახსენებსო.<sup>14</sup>



ისმეთ აბუსერიძე, უცნობი, არიფ ახვლედიანი,  
 ბეჭირ აბუსერიძე, უცნობი.

როგორც ცნობილია, 1921 წლის 16 ივლისს გამოცხადდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, დედაქალაქად ქ. ბათუმი. ამ ისტორიულ აქტში თავისი მცირე წვლილი ბექირ აბუსერ-იძემაც შეიტანა.

ბექირ აბუსერიძის სხვა გამოსვლებს არ ვიცნობთ. ერთადერთი, რაც მისი ოჯახის წევრთა შესახებ ცნობილია, ისაა, რომ ბექირ აბუსერიძის ტრაგიკული ბედი გაიზიარა მისმა შვილმა, 1905 წელს დაბადებულმა მურად ბექირის ძე აბუსერიძემ. ისიც მამასთან ერთად (2-203), 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს (2-186).

## აგალიანები<sup>5</sup>

ამ გვარმა დევნა-შევიწროება და ფიზიკური განადგურება ყველა დამპყრობლის და იმპერიის დროს იწვნია. მათ არ დაკლებიათ არც ოსმალეთის, არც რუსეთის და არც საბჭოთა იმპერიის მსახვრალი ხელი.

განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა 1937 წელი, როცა მხოლოდ აჭარაში მცხოვრები ამ მცირერიცხოვანი გვარიდან უსამართლობას 7 პიროვნება ემსხვერპლა: ძმები თეფფიყ და ისმაილ სეფერის ძეები, იუსუფ აღის ძე, მისი შვილები: ოსმან და ხასან იუსუფის ძე, მამუდ-ბეგ (19 წლის იყო), თემურ-ბეგ ნურის ძე ავალიანები. პირველი სამი ბათუმში აღესრულნენ. ოსმან, ხასან, მამუდ და თემურ ავალიანებს თითქოსდა 10 წელი მიუსაჯეს, მაგრამ არცერთი სახლში არ დაბრუნებულა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინიც სიკვდილით დასაჯეს.

## 1. აგალიანი თეფფიყ სეფერის ძე

დაიბადა 1877 წელს (უშიშროების არქივში 1881 წელია მითითებული). დანდალში. მამა სეფერი თავისი დროის პროგრესული, სტუმარ-მასპინძლობით განთქმული კაცი ყოფილა. რუსული მმართველობის დროს ურიადნიკის თანამდებობა ეკავა. მშობლიურთან ერთად ფლობდა რუსულ, თურქულ, ფრან-

გულ ენებს. ამიტომ მაღალი დონის შეხვედრების დროს ხშირად თარჯიმნადაც იწვევდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე თევფიყბეგს მამის დანატოვარი და საკუთარი შრომით შექმნილი უძრავ-მოდრავი ქონება ჩამოართვეს, სხვა მხრივაც განიცდიდა შევიწროებას, მაგრამ ცოლ-შვილის და ახლობლების გადარჩენის მიზნით პროტესტი არ გამოუთქვამს, შეეგუა დესპოტურ რეჟიმს და სახელმწიფო სამსახურშიც ჩადგა.

მიუხედავად კანონმორჩილებისა და ერთგული სამსახურისა თევფიყ ავალიანს მაინც არ ენდობოდნენ, იგი რამდენჯერმე უმიზეზოდ დააპატიმრეს 1930 და 1934 წელს. უზბეკეთში გაასახლეს, თუმცა მალე დაბრუნდა და კვლავ ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. მას აჯილდოებდნენ კიდევ (მისი ორდენები და მედლები ბოლო დაპატიმრების დროს უშიშროების აგენტთა ნადავლად იქცა).

1937 წლის 5 ოქტომბერს თევფიყ ავალიანი დააპატიმრეს „სამეულმა“ დაჩქარებული წესით გამოიტანა განაჩენი – სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა, რაც ოქტომბერშივე ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

თევფიყ და აიშე ავალიანებს 8 შვილი შეეძინათ (სულთანი, ჰურიე, მელიქი, მერიემი, ასიე, ჯემალი, ვახტანგი, მემედი). მამის დაღუპვის შემდეგ დედამ შეუძლებელი შეძლო და ყველას შესაფერისი განათლება მიაღებინა.

რეპრესიებს ვერ ასცდა თევფიყ ავალიანის ვაჟი ჯემალი. მან 20 წელზე მეტი ციმბირში გაატარა და მხოლოდ 1959 წელს დაბრუნდა (გარდაიცვალა 1989 წელს).

## 2. ავალიანი ისმაილ ხეუერის ძე

ისმაილი თევფიყის უმცროსი ძმაა. დაიბადა 1887 წელს ს. დანდალოში. იგი სამცხე-საათაბაგოდან გადმოსახლებული თევდორე ავალიანის მე-7 თაობაა. ბაბუა სულეიმან-ბეგი ცნო-



ბილი სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილის ლაშქრის ერთ-ერთი რაზმის მეთაური იყო. 1810 წელს ხანისწყალთან სოლომონ მეფის დასახმარებლად ჩასული 1500 კაციდან 400, მათ შორის სულეიმან-ბეგიც ბრძოლის ველზე დაეცა.

ისმაილ ავალიანს არ მიუღია კლასიკური განათლება, არც რაიმე თანამდებობა დაუკავებია, ცხოვრობდა მშობლიურ სოფელში და საკუთარ მეურნეობას უძღვებოდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ერთ-ერთი პირველთაგანი ჩაება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობაში, შემდეგ კოლექტიურ მეურნეობაში. პოლიტიკისგან შორს მყოფი ისმაილი მორჩილად შეეგუა ახალ კანონებს და ხელისუფლების მიმართ არასოდეს გამოუხატავს რაიმე უკმაყოფილება.

თუმცა უშიშროების აგენტების სთვის საკმარისი იყო, რომ იგი თავადური წარმოშობის ფენას მიეკუთვნებოდა, მოსახლეობა აფასებდა და მისი სიტყვებისა სჯეროდა.

1937 წლის 14 სექტემბერს ისმაილ ავალიანი დააპატიმრეს და ბათუმის ციხეში ჩასვეს. ერთი თვის შემდეგ „სამეულმა“ შეუფარდა სსკ 58-10 მუხლი და სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვეწა მიუსაჯა, რაც 1937 წლის 24 ოქტომბერს მოიყვანეს სისრულეში.



ისმაილ სეფერის ძე  
ავალიანი

თითქმის 20 წელი ელოდა ოჯახი ისმაილის დაბრუნებას, რადგანაც ოფიციალური ორგანოებიდან დებულობდნენ ყალბ ცნობებს, თითქოს ისმაილი გადაასახლეს, ოჯახთან წერილის მოწერის უფლების გარეშე.

ისმაილს ხუთი შვილი ჰყავდა (ლუთბი, უმიანი, რევაზი, ავთანდილი, ნოდარი), რომელთა აღზრდა მთლიანად მეუღლემ ფადიმემ იკისრა და ყველა გამოიყვანა საზოგადოების სამსახურის ასპარეზზე (იხ. ქვემოთ თავი „რეპრესირებულთა ოჯახები“).

### 3. ავალიანი უსუფ ალის ძე

დანდალოელ ავალიანთა გვარში გამორჩეული იყო უსუფ-ბეგ ავალიანი. იგი 1877 წელს დაიბადა (სხვა დოკუმენტებში მითითებულია 1878, 1887, 1893 წელიც კი) სოფელ დანდალოში. მის შესახებ ისტორიამ მწირი ცნობები შემოგვინახა, ამიტომ მთლიანად ვეყრდნობით ოჯახში დარჩენილ ხსოვნას.

1918 წლის 3 მარტის ბრესტის ზავის ძალით რუსეთის ჯარებმა დატოვეს აჭარა, რითაც ისარგებლა თურქებმა, ამავე წლის აპრილში ბათუმში ჯარი შემოიყვანა და პარალელურად მოსახლეობაში დაიწყო პროთურქული დასაყრდენის ძიება. ვინც მათი პოლიტიკის წინააღმდეგ წავიდა, ქონება წაართვეს, გაძარცვეს და სასტიკად გაუსწორდნენ. მათ შორის მოხვდა **უსუფ ავალიანიც**, რომლის ქონება ამ ძალადობას შეეწირა.

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან ბოლშევიკებმა ბრძოლა გამოუცხადეს მაღალი ფენის წარმომადგენლებს, თავადაზნაურობას (ბეგებსა და ადებს). ამას მათი მხრიდან წინააღმდეგობა და ფარული ანტისაბჭოთა საქმიანობა მოჰყვა. ჩეკამ წინააღმდეგობის მეთაურთა სია შეადგინა და გადაწყვიტა მათი იზოლაცია, მაგრამ ბეგებს თანამგრძობნი ჩეკაშიც აღმოაჩნდათ, გაიგეს მთავრობის ვერაგული განზრახვა და ზოგმა მათგანმა, მათ შორის **უსუფ ავალიანმაც**, თურქეთში (ქალაქ სამსუნში) გაქცევით უშველა თავს.

აჭარის ცაკმა 1925 წლის 10 სექტემბერს საგანგებოდ იმსჯელა ამ საკითხზე და მიიღო დადგენილება, რომლითაც მაზრის აღმასკომებს და მილიციის განყოფილებებს ნება ეძლეოდათ დაებრუნებინათ მიმალული და გადასახლებული ბეგები.

საკმაოდ დრამატულად წარიმართა უსუფ ბეგის ცხოვრება სამსუნში. აქ მან გაიცნო ადგილობრივი ბეგის შერიფის (გვარი უცნობია) ასული, დაქვრივებული ქალი, სახელად სუეილა,

რომელსაც პირველი ქორწინებიდან ერთი ვაჟი იბრაიმი ჰყავდა. უსუფმა იგი სამსუნში დატოვა, თვითონ დანდალოში ჩამოვიდა და განაგრძო მოკრძალებული ცხოვრება.

სამსუნში მყოფი სუეილა დარწმუნდა, რომ იუსუფი არ დაბრუნდებოდა, მცირეწლოვანი ვაჟი მშობლებს დაუტოვა, თვითონ მამაკაცის ტანსაცმელი ჩაიცვა, სახე გაიმურა, გემზე მუშად მოეწყო, ბათუმში ჩამოვიდა და უსუფს დანდალოში ეახლა. ამის შემდეგ გაჩნდნენ: **მეხბულე-ხანუმი, ფიქრიე-ხანუმი და ხუსნი-ბეგი (იგივე ნოდარი).**

1929 წელს სუეილა გარდაიცვალა. საზღვრებიც ჩაიკეტა და თურქეთში დარჩენილი იბრაიმი აღარავის მოუკითხავს. დადარდინებული იბრაიმი ავად გახდა და აჭარაში ჩამოსვლაზე ფიქრიც კი აღარ შეეძლო. ამასობაში საქართველო-თურქეთის გზა გაიხსნა (1988 წლის 31 აგვისტო), **მეხბულე, ფიქრიე და ნოდარი** სამსუნში ჩავიდნენ და თავის ნახევარძმას ტელეფონით შეატყობინეს, რომ ესტუმრებოდნენ. ახლობლების თქმით, როგორც კი გაიგო ბათუმიდან დები და ძმა გვესტუმრებიანო, სიხარულისაგან გული გაუსკდაო. სტუმრებს სახლში მისი ჯერ კიდევ თბილი სხეული დახვდათ.

უსუფ ბეგი განსწავლული, უაღრესად გამჭრიახი გონების, ადამიანებთან ურთიერთობის იშვიათი ნიჭის მფლობელი და ჭკუის საკითხავი კაცი ყოფილა. მას ადვილად შეეძლო გამოენახა საერთო ენა ყველასთან, რის გამოც დიდი ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობდა ხალხში, მათ შორის უღარიბეს ადამიანთა შორის. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ხალხმა უსუფ ავალიანი თავის წინამძღოლად, ცხმორისის თემსაბჭოს აღმას-



უსუფ-ბეგ ალის ძე  
ავალიანი

კომის თავმჯდომარედ აირჩია. შემდეგ იგი ქედის სამაზრო აღმასკომში გადაიყვანეს და მიწათსარგებლობის კანონების დაცვა დაავალეს. უსუფი, როგორც სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელი, სამიწათმოქმედო კომისიაშიც მონაწილეობდა.

საბჭოთა უწყებებში აქტიური და უანგარო საქმიანობის მიუხედავად, უსუფ-ბეგი იმჟამინდელ ბოლშევიკურ ქარბორბალას მინც ვერ გადაურჩა. იგი პოლიტიკურ რეპრესიებს ემსხვერპლა.

ახლა გავეცნოთ იმ საბუთების შინაარსს, რომლებიც უსუფ-ბეგ ავალიანის ოჯახში ინახება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის მიერ 1998 წლის 4 მარტს გაცემული №17/1-586 ცნობის შესაბამისად, „უსუფ ალის ძე ავალიანი, დაბადებული 1877 წელს ქედის რაიონის სოფელ დანდალოში, 1937 წლის 4 ოქტომბერს განსაკუთრებული სამეულის მიერ იქნა გასამართლებული. მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში. სხვა მონაცემები აჭარის ა. რ. შსს საინფორმაციო ცენტრს არ გააჩნია“.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხარეო სამხედრო პროკურატურის მიერ 1957 წლის 18 თებერვალს გაცემული №382-56 ცნობის შესაბამისად „ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის მიერ უსუფ ალის ძე ავალიანის მიმართ 1937 წლის 4 სექტემბერს (ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებში მითითებულია 4 ოქტომბერი) გამოტანილი გადაწყვეტილება გაუქმებულია და ის რეაბილიტირებულია“.

აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა აჭარის ა. რ. ქედის რაიონულმა სასამართლომაც და 1998 წლის 10 სექტემბრის სხდომაზე გამოიტანა გადაწყვეტილება: „უსუფ ბეგ ალის ძე ავალიანი

სიკვდილის შემდეგ აღიარებულ იქნას პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად და აღდგეს მისი დარღვეული უფლებები“.

უსუფ-ბეგის ოჯახმა ბოლო დრომდე არ იცოდა მისი გარდაცვალების ადგილი და თარიღი. ამიერკავკასიის სამხედრო პროკურორის თანაშემწის, იუსტიციის მაიორის რომანენკოს 1957 წლის 18 თებერვლის წერილი და აჭარის არ შსს საინფორმაციო ცენტრის უფროსის ო. კერესელიძის 1998 წლის 4 მარტის პასუხი უსუფ-ბეგის შვილზე **ნოდარ ავალიანზე**: ქედის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება **ნოდარ ავალიანისა** და მისი დის **ფიქრია ავალიანი-ბასილაძის** რეპრესიების მსხვერპლად აღიარების თაობაზე ამ კითხვაზე პასუხს არ იძლევიან.

როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენ ხელთა გვაქვს საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის არქივში დაცული სიები (ორი სია), რომლებშიც შეტანილია 1937-1938 წ.წ. ქ. ბათუმში დახვრეტილი 670 პიროვნება. №1 სიაში არავინ აღმოჩნდა, ხოლო №2 სიაში რიგით 167-ედ შეტანილია **უსუფ ალის ძე ავალიანი**, დაბადებული 1888 წელს სოფელ დანდალოში; 237-ედ **თეფფიყ-ბეგ სეფერის ძე ავალიანი**, დაბადებული 1877 წელს ქედის რაიონის სოფ. დანდალოში.

უსუფ-ბეგ ავალიანის შემდეგ სიაში ჩაწერილი სამი მსხვერპლიც ქედის რაიონიდანაა: შერვაშიძე თემურ-ბეგ მახმუდის ძე – №168, (ქედის რაიონი, სოფ. აღიკოდლები, დაბადებული 1877 წ.), ჩხაიძე მევლედ სეიდის ძე – №169 (ქედის რაიონი, სოფ. ზესოფელი. დაბადებული 1907 წელს) და გათენაძე იუნუს მემედის ძე – №170 (ქედის რაიონი, სოფ. კვაშტა. დაბადებული 1904 წელს).

ამგვარად ნათელია, რომ ქედის რაიონის ოთხი მკვიდრის, მათ შორის უსუფ ავალიანის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი 1937 წლის სექტემბერში ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

## კმეზი ასაძეზი

### 1. ასაძეზი მეჯილ აღის ძე

დაიბადა 1906 წელს ბათუმში, გოროდოკში (გრილუბანი). დაამთავრა ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლა, რის შემდეგ აჭარის ასსრ საგანგებო კომისიის ერთ-ერთი განყოფილების გამგედ დანიშნეს.



მეჯილ აღის ძე ასაძეზი

30-ანი წლების მასობრივი რეპრესიების დროს მეჯილ ასაძეზს ხშირად ჰქონდა უკმაყოფილება და კამათი საგანგებო კომისიის ხელმძღვანელებთან უკანონო დაპატიმრებების გამო. ამ მიზეზით იგი არაკეთილსაიმედოდ მიიხსნიეს და „ხალხის მტრის“ სიაში შეიტანეს.

1937 წლის 21 ოქტომბერს მეჯილ ასაძეზი შეიტანეს სკკპ პოლიტბიუროს წევრების მისამართით გაგზავნილ სიაში; მათი თანხმობით იგი მიაკუთვნეს პირველ კატეგორიას, დააპატიმრეს და საქართვეორიას,

როველოს შინსახკომის სამეულის 10 ნომბრის დადგენილებით, სსკ-ის 58-2 და 58-11 მუხლების საფუძველზე სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯეს, რაც ხუთი დღის შემდეგ ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.


სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 16 იანვრის ბრძანებულების I პუნქტის თანახმად მეჯილ აღის ძე ასაძეზი რეაბილიტირებულია.

## ასაძბა ხუსეინ ალის ძე

დაიბადა 1910 წელს ბათუმის გარეუბან გოროდოკში (გრილუბანი), აქვე დაამთავრა სკოლა, რის შემდეგ ჩაირცხა ბაქოს უმაღლეს პარტიულ სკოლაში. დაამთავრა ეს სკოლაც და დაბრუნდა სამშობლოში.

1934 წელს ხუსეინ ასაძბა დანიშნეს ბათუმის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსად.

1937 წლის 21 ოქტომბერს სკკპ პოლიტბიურომ განიხილა საქართველოს უშიშროების სამინისტროდან მიღებული საექვო პირთა სიები და ხუსეინ ასაძბა მიაკუთვნა დამნაშავეთა I კატეგორიას. ამის შემდეგ სამეულმა მას ბრალად წაუყენა შეიარაღებული აჯანყების მზადება, საბჭოთა წყობილების დამსობის ორგანიზაციული ქმედება და სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა, რაც ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.



ხუსეინ ალის ძე ასაძბა



ასლან ცინციკლაძე, რესიმ აცუმბა, ასმედ გვარიშვილი,  
 ხუსეინ ასაძბა, რიზა ბერიძე

## ახვლედიანი ოსმან მემედის ძე

მახინჯაურელ ახვლედიანთა ოჯახებში თითქმის ოცი წლის მანძილზე სჯეროდათ, რომ მათი შვილი ოსმანი, ერთ-ერთი პირველი ტექნიკოს-მექანიკოსი აჭარაში, გადაასახლეს და გარდაიცვალა.

სინამდვილეში კი იგი 1937 წელს ბათუმში შეიპყრეს და იმავე წელს სამეუღლმა მას სიკვდილი მიუსაჯა. ოსმან ახვლედიანი შეტანილია უდანაშაულოდ დასჯილთა №1 სიაში (№51, განმეორებით №279). იგი ბათუმშივე დახვრიტეს, ხოლო ოჯახს ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მიუღია.

ოსმანი 1908 წელს მახინჯაურში დაიბადა. მამას, მემედ ახვლედიანს 8 შვილი შეეძინა, ოსმანი მეოთხე იყო. დაამთავრა მახინჯაურის სკოლა და 1927 წელს ჩაირიცხა ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ პირველ ტექნიკურ სასწავლებლად ითვლებოდა. მისი დირექტორი იყო პლატონ ბოჭორიშვილი, ხოლო მასწავლებლები: გაბრიელ დობორჯგინიძე, პავლე ნადარეიშვილი, დ. კლემენჩენკო, ლ. ჩიხლაძე, ვ. სციპიონი და სხვ.



**ოსმან მემედის ძე  
ახვლედიანი**

1931 წელს ოსმან ახვლედიანმა დაამთავრა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი ტექნიკოს-მექანიკოსის სპეციალობით. იგი იმავე წელს დანიშნეს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ენერგეტიკული საამქროს მორიგე ინჟინრის თანამდებობაზე.

ნიჭიერი და მომავალზე მოფიქრალი ახალგაზრდა ბევრს მუშაობდა თავისთავზე, ადგენდა ურთულეს ნახაზებს, რომლებიც დღესაც ინახება საოჯახო არქივში. სწორედ მისი უნარჩვევები გაითვალისწინეს და 1936 წელს ქარხანამ მას მისცა შუამდგომლობა



თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩასარიცხად, მაგრამ რეპრესიების მსახვრალმა ხელმა ჭაბუკის ეს ოცნება და მისი ცხოვრებაც დაამსხვრია.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალმა თავისი 1957 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის საქმე ოსმან ახვლედიანის მიმართ შეწყვიტა ბრალდების დაუდასტურებლობის გამო. იგი რეაბილიტირებულია.<sup>16</sup>

### **ბასილაშვილი პეტია (შალვა) დიომიძეს კი**

1937 წელს ბათუმში დახვრეტილთა სიაში პეტია (შალვა) ბასილაშვილიც აღმოჩნდა. ამ პიროვნების შესახებ ჩვენ გავაჩნია ერთი ცნობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის დღეებში ქვეყნის მაზრებსა და ქალაქებში ჩატარდა საზეიმო კრებები.

ერთ-ერთი ასეთი კრება ქობულეთშიც გაიმართა, რომელსაც პეტია ბასილაშვილი თავმჯდომარეობდა. „ბათუმის გაზეთის“ 1921 წლის 13 თებერვლის №33-ში გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია: „კრებაზე ხალხს მოუძღოდნენ თემის კომისარი რიზალი გოგიტიძე და ხუსეინ გოგიტიძე. გამოფენილი იყო ნოე ჟორდანიას პორტრეტი. კრება გახსნა ნესტორ (პეტია) ბასილაშვილმა, შემდეგ კი კრებას მიესალმნენ: ალექსანდრე ცინცაბაძე, აკაკი გვახარია, მემედ გოგიბერიძე, ხანუმი შაშიკაშვილისა (ალთუნ რეჯების ას. რ. ს.), ახალგაზრდა მოწაფე იუსუფ ცივაძე, რომლის სიტყვამ ხალხი აატირა.“<sup>17</sup>



**ძმები: კუკური (არსენ) და პეტია (შალვა) ბასილაშვილები**

მემედ გოგიბერიძეზე მიძღვნილი წიგნის მე-16 გვერდზე გამოვაცხევეთ ფოტო, რომელზეც გამოსახული არიან ხასან თხილაიშვილი და ბეტია ბასილაშვილი. სხვა რაიმე ცნობა ამ პიროვნებაზე არ გაგვაჩნდა. ეს ნაკლი შეავსო ჩემი ძველი მეგობრის, მანუჩარ ზედგინიძის მეუღლემ, ქალბატონმა მაყვალა ბასილაშვილმა, რომლის წერილს მთლიანად ვთავაზობ მკითხველს:

*„ბატონო რამაზ!*

*მიხარია, რომ თქვენი სახით ასეთი ერთგული პატრონი გამოუჩნდა ჩვენი ერის წამებულ ვაჟუცებს. ეტვი არ მეპარება იმაში, რომ თქვენ ღირსეულ ადგილს მიუჩენთ მათ ქართველი ერის მეხსიერებაში.*

*ჩემს ბებიას გოგოლას თავისი შვილის სურათი არ გაუდიდება და კედელზე არ ჩამოუკიდია, ჩვენი ქართული წესისამებრ, რადგან მას ცოცხლად მიიჩნევდა. არც რაიმეს ყვებოდა ობლობაში გამოზრდილ შვილზე. ვიცი მხოლოდ შემდეგი:*



**დგანან: შალვა ბოკუჩავა, საშა მელიმონაძე, მაისა წულაძე; სხედან: მიშა კაეთელაძე, სანდრო სამსონია, ბეტია ბასილაშვილი. თბილისის ციხე, 1935 წ.**

ის ორჯერ იყო დაპატიმრებული პოლიტიკური ნიშნით. მას დანაშაულად უთვლიდნენ ნეომარქსიზმს. აქედან ჩანს, რომ ის ხელს უშლიდა კომუნისტებს. ვიცი, რომ ის დააპატიმრეს 1935 წელს და 1937 წელს; ოჯახს არ ქონდა ინფორმაცია, რომ ის ბათუმში დახვრიტეს. ამის შესახებ მხოლოდ ამ ცნობილი გაზეთიდან („ბათუმელები“, რ. ს.) გავიგეთ... ისინი წარმოშობით ალამპარიდან არიან, ბასილა ნიჟარაძის შთამომავლები, დედე-ალა ნიჟარაძის ბიძაშვილები, რომლებიც თურქობის დროს ბასილოღლები იყვნენ და ამ გვარით არიან გასული ოზურგეთის რაიონის ს. დუაბზუში და დღემდე მოვდივართ ამ გვარით.

ულრმესი პატივისცემით,  
მაყვალა ბასილაშვილი

15/XI 2012 წ. ქობულეთი.“

წერილთან ერთად ქალბატონმა მაყვალამ გამოგზავნა ორი ფოტო; პირველზე ბეტია ბასილაშვილის გარდა აღბეჭდილი არიან: შალვა ბოკუჩავა, საშა მედიმონაძე, მაისა (მათე) წულაძე, მიშა კავთელაძე და სანდრო სიმონია. სურათი გადაღებულია თბილისის გამანაწილებელ ციხეში 1935 წელს. მეორე ფოტოზე ბეტია ძმასთან ერთადაა გადაღებული.

### **ბეჟანიძე მურთაზ-ბებ სეფერის კე**

ზენდიდელი (ქედის რ.) მურთაზ-ალა საკმაოდ მდიდარი პიროვნება ყოფილა, ამიტომ ხშირად ბეგადაც მოიხსენიებდნენ. მის საკუთრებაში იყო 3000 სული ცხვარი, რომლებიც მოსავლელად ხემშილებზე ჰყავდა მიბარებული. საყურადღებოა, რომ მურთაზ-ბეგი თავის სიმდიდრეს გაჭირვებულებსაც უნაწილებდა. მას 1912 წელს დაუმთავრებია რუსული სამხედრო სკოლა. ახალგაზრდა ოფიცერი რამდენიმე უცხო ენას ფლობდა. პირველი მსოფლიო ომის წინა

ხანებში მურთაზ-ბეგმა აჭარისწყლის ხეობაში დამნაშავეთა 33-კაციანი ჯგუფი შეიპყრო, რისთვისაც სახელმწიფო ჯილდო მიუღია. შემდეგ, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზით, მურთაზიც დაუპატიმრებიათ.

ჩვენი ღრმა რწმენით, მურთაზ სეფერის ძე ბეჟანიძეც ჩარიცხული იყო ტრაპიზონში შექმნილ ანტირუსულ ქართულ ლეგიონში. აქ მას უფროსი ლეიტენანტის სამხედრო ხარისხი ჰქონდა და სეფერ-აღა-ზადეს გვართ იცნობდნენ. როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობამ სწორედ ეს არ აპატია თავის მოხელეს და ამის გამო დააპატიმრა კიდევ. მისი დედა ზექიე ჰაჯის ასული, ცხენით თბილისში ჩასულა და დიდკაცებს შეხვედრია, რომელთაც უსაყვედურა: თქვენთან სამსახურში მყოფი კაცი როგორ დაატუსაღეთო. შემცბარმა მოხელეებმა უთხრეს: თქვენ წაბრძანდით და სახლში დაგხვდებითო. წამოსულა ქალბატონი ზექიე და მურთაზი მართლაც სახლში დახვედრია, თუმცა უფრო სასტიკ რეპრესიებს იგი საბჭოთა პერიოდშიც ვერ ასცდა.



მურთაზ-ბეგ სეფერის ძე  
ბეჟანიძე

1937 წელს მურთაზის დასაპატიმრებლად 52 კაციანი ჯგუფს სახლზე ალყა შემოურტყამს. დააპატიმრეს ღამის 3 საათზე, ოჯახიდან წაიღეს ყველაფერი, მათ შორის მრავალი საგვარეულო უძველესი რელიკვია, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი.

მურთაზის შესახებ ოჯახმა დიდხანს არაფერი იცოდა, ამიტომ შეიღმა, ხუსეინმა მ. კალინინისა და კ. ვოროშილოვის სახელზე გაგზავნა განცხადებები. ჯერ უპასუხეს, რომ დახურულ ბანაკში მუშაობს რკინიგზის

უფროსად, მაგრამ წერილის გამოგზავნის უფლება არ აქვსო. ამის შემდეგ კიდევ განვლო დრომ. 1956 წელს მურთაზის მეორე შვილი ოსმანი მოსკოვში ჩავიდა და კ. კოროშილოვის ნახვა მოახერხა. მისი დავალებით „გაურკვევიათ“ საქმე და ოჯახში გამოუგზავნიათ წერილი, თითქოს მურთაზ ბეჟანიძე 1944 წელს გარდაიცვალაო.

ბოლო წლებში გავარკვიე მურთაზის დაბადებისა და გარდაცვალების ნამდვილი თარიღი. იგი დაიბადა 1879 წელს და სხვა 5 ბეჟანიძესთან ერთად 1937 წელს დახვრიტეს ქალაქ ბათუმში.<sup>18</sup>

## ბერიძეები<sup>19</sup>

ბერიძეთა გვარი ყველაზე მრავალრიცხოვანია საქართველოში და ალბათ ამიტომაც 1937 წელს ამ გვარმა ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო. ჩვენს ხელთ არსებულ სიებში მხოლოდ ბათუმში დახვრეტილთა რიცხვი 18-ს აღწევს. ამის გარდა მივაკვლიეთ აგრეთვე კიდევ სამი სიკვდილით დასჯილის გვარს, ხოლო 7-ს მიუსაჯეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა არცერთი მათგანი სახლში არ დაბრუნებულა. სიცოცხლის შენარჩუნება ქალაქებზე დარჩა, მაშინდელ თემიდას ეს სტატისტიკისთვის სჭირდებოდა. სინამდვილეში, როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ყველა დახვრიტეს. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივიდან ბათუმში სიკვდილმისჯილთაგან გვაქვს ცნობა სამ მათგანზე.

### 1. ბერიძე ახმედ სალიხის ძე

დაიბადა ს. სილიბაურში (ქედის რ.). უმაღლესი განათლება სტამბოლში მიიღო. აქ უცხო ენებთან ერთად დაეუფლა მედიცინას და 1918 წელს დაბრუნდა სამშობლოში.



ახმედ სალიხის ძე ბერიძე

ქედის რაიონის სოფლებში დაწყებითი სკოლების გახსნის შემდეგ, იგი რამდენიმე სკოლაში ასწავლიდა ლათინურ და არაბულ ენებს და წერა-კითხვას.

1937 წელს ახმედთან ერთად დააპატიმრეს მისი ძმა, 1862 წელს დაბადებული შირინ ახმედის ძე ბერიძე, რომელიც 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს. არსებული მონაცემებით ასეთივე ბედი ეწია თვით ახმედ ბერიძესაც, თუმცა მისი შვილი მიხეილ ახმედის ძე ბერიძე (დ. 1927 წ. მცხ. ბათუმში, ჯორჯიაშიელის ქ. №22-ში) სულ სხვა ვერსიას გვთავაზობს.

ახმედ ბერიძემ, როგორც მედიცინაში კარგად გათვითცნობიერებულმა კაცმა, განკურნა რომელიღაც ჩეკისტის ე. წ. სწრაფი ჭლექით დაავადებული ცოლი; მისი საქმე სწორედ ამ კაცის ხელში მოხვდა, რომელმაც იგი დახვრეტილთა სიაში შეიტანა, მაგრამ ციხიდან საზღვარგარეთ გააპარა. მისი შემდგომი ბედი კი შვილისათვის უცნობია. ვინ იცის, შეიძლება მართლაც ასე მოხდა. დაუჯერებელი არაფერია.

## 2. ბერიძე ისაყ იუნუსის ძე

დაიბადა 1910 წელს სოფელ ფურტიოში, ზემო აჭარაში, ცნობილი პიროვნების იუნუს ბერიძის და მერიემ ჭალაღიძე-ბერიძის ოჯახში. მათ 9 შვილი: 5 ქალი და 4 ვაჟი ჰყავდათ. ისაყი მშობლების მე-8 შვილი იყო.

მიიღო შინაური განათლება, სწავლობდა სოფლის წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლაში და იმდენად კარგად დაეუფლა პროგრამებს, რომ მალე იგი ხულოს რაიონის კოოპერაციული ვაჭრობის ხელმძღვანელად დანიშნეს.

1937 წელს, სწორედ ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს, ჯერ კიდევ მშობლების სიცოცხლეში დააპატიმრეს ისაყი, სამეუღლმა მას დახვრეტა მიუსაჯა, რაც 1937 წელსვე მოიყვანეს სისრულეში.

1955 წელს ძმის ლევან ბერიძის საჩივრებმა მიზანს მიაღწია. ისაყი უმაღლესმა სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო, იგი სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულ იქნა.

ისაყ იუნუხის ძე ბერიძეს შთამომავლობა არ დარჩენია.

### 3. ბერიძე ნუსრედინ ნურის ძე

ბერიძეთა გვარის ერთ-ერთი მოწინავე და ცნობილი პიროვნება იყო ნუსრედინ ბერიძე. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივის ერთ-ერთ საბუთში (რეპრესირებულთა სია) ნუსრედინ ნურის ძე ბერიძის დაბადების თარიღად აღნიშნულია 1872 წელი, რაც, ჩვენი აზრით, სწორი უნდა იყოს. რევოლუციამდე იგი მუშაობდა ხულოს მუდირის (ბოქაული) მოადგილედ. შედარებით მეტი ვიციით მისი ბიოგრაფიის საბჭოთა პერიოდზე. ცნობილი მოღვაწის, ნური ბერიძის შვილი თავადაც აქტიურად ჩაება ახალი ცხოვრების ფერხულში. ჯერ დამოუკიდებელ საქართველოს მესვეურებთან დაამყარა მჭიდრო ურთიერთობა, ხოლო შემდეგ მონაწილეობდა საბჭოთა წყობილების საქმიანობაში.

1925 წელს ნუსრედინ ბერიძე, როგორც აჭარის სხვა ხეობების მოწინავე ადამიანები, კომუნისტურ პარტიაში მიიღეს და ერთი წლის შემდეგ ხულოს სამაზრო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დანიშნეს. ამის შესახებ იუწყება 1926 წლის 2 თებერვლის გაზეთი „ფუნარა“ (№25). აქ, კერძოდ, ნათქვამია, რომ ხალხმა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ნ. ბერიძე, როგორც პატიოსანი გლეხი, რომელიც დიდი თავგამოდებით იბრძვის ხალხის საკეთილდღეოდ და რომელსაც კარგად იცნობს პარტია და ხელისუფლება.

გაზეთმა „ფუხარა“-მ შემოგვინახა, აგრეთვე, ძუნწი ცნობები ნუსრედინ ბერიძის საქმიანობაზე, მის გამოსვლებსა და ვრცელ მოხსენებებზე, რომლებიც ხულოს მაზრაში მუშაობის ანგარიშსაც წარმოადგენს (14 აპრილი, 1928 წ.). ზოგი ანგარიში ცალკეულ თემსაბჭოს მუშაობასაც ასახავს და სტატიების სახით არის გამოქვეყნებული. ასე, მაგალითად, ყარადერეს თემის მუშაობა, ქალის მოტაცების მაგნე წესი, ქობულეთში ჩადრის ახდის ზეიმი, რომელსაც თავადაც დასწრებია და სხვ.

ნუსრედინ ბერიძემ აღმასკომში ორწლიანი მოღვაწეობის დროს დიდი მუშაობა გასწია ახალ წყობილებასთან გლეხების მშვიდობიანი შეგუების, ყველა სადავო საკითხის სამართლიანად გადაწყვეტის საქმეში, მაგრამ ამ პროცესში ძალზე დიდი იყო წინააღმდეგობა მოსახლეობის მხრიდან. მაშინდელი მთავრობაც ხშირად ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ღებულობდა, რაც ნ. ბერიძისთვის სრულიად მიუღებელი იყო, ამიტომ ის ერთხანს სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე ჩამოქვეითდა.


ნუსრედინ ბერიძემ დიდი მუშაობა გასწია 1929 წელს მოსახლეობის მასობრივი გამოსვლების შესაჩერებლად, რადგანაც მან კარგად იცოდა, რომ ამას ხალხისთვის ძალზე მძიმე შედეგები მოჰყვებოდა; თუმცა გამოსვლების მთლიანად შეჩერება, რასაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მსხვერპლი და რეპრესიები მოჰყვა, არ მოხერხდა.

ნუსრედინ ბერიძე დანიშნული იყო ხულოს რაიონის ზონაში თურქეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გამმიჯნავი კომისიის თავმჯდომარედ.

1931 წელს იგი კვლავ რაილმასკომის თავმჯდომარედ დანიშნეს. ეს ის პერიოდია, როცა ძალზე გამწვავდა ახალი ტიპის კოლექტიური მეურნეობის ჩამოყალიბებისთვის ბრძოლა, რაც მიმდინარეობდა საკუთრების ნაციონალიზაციის და რეკვიზიციის ფონზე. მიუხედავად ამისა, ნ. ბერიძე საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც ზომიერი და გაწონასწორებული ხელმძღვანელი.



ნუსრედინ ბერიძის ინიციატივით ხულოს რაიონში მრავალი სასარგებლო და საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. გაიხსნა სკოლა, კლუბი და სამკითხველო, გაჩაღდა ბრძოლა წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ, ყოველივე ამან დიდი როლი შეასრულა ხალხში განათლების შეტანაში, რაც დიდად უწყობდა ხელს ეროვნულ გათვითცნობიერებასაც.



**ნუსრედინ ნურის ძე  
ბერიძე**

ნუსრედინ ბერიძის ინიციატივით მაღალმთიან სოფლებში სარეწაო საწარმოებიც შეიქმნა, მანვე ჩამოაყალიბა მიწის დამუშავების ამხანაგობა დიოკნისში, სოფელში გაიყვანეს გზები, ხიდები, სარწყავი არხები.

1934 წელს ნუსრედინ ბერიძე ხულოს საგზაო განყოფილებას ჩაუყენეს სათავეში. ახლა მას საშუალება მიეცა ამ დარგის წამოწვევისა. შედეგსაც არ დაუყოვნებია. სულ რამდენიმე თვეში ურთულეს ბუნებრივ და გეოგრაფიულ პირობებში გაიყვანეს ზამლეთ-ხიხაძირის, ხულო-რიყეთისა და შუახევე-უჩამბის გზები.

ნუსრედინ ბერიძე 1927 და 1932 წლებში არჩეული იყო აჭარის ცაკის წევრად, მრავალჯერ – საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის და აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად. მთავრობისგან არაერთხელ მიიღო წახალისება და ჯილდო.

მიუხედავად დიდი დამსახურებისა, 1938 წლის რეპრესიას ნუსრედინ ბერიძე ვერ ასცდა. ის დაპატიმრეს და ერთი საბუთის მიხედვით თითქოს 10 წელი მიუსაჯეს, მაგრამ მისგან არავითარი ცნობა არ მოსულა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ის დაპატიმრებისთანავე ბათუმში დახვრიტეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1957 წლის 16 სექტემბრის განჩინებით გაუქმდა 1938 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება. ნ. ნ. ბერიძე სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულია.

#### 4. პერიდი ხულოს ხემიდის ძე

დაიბადა 1889 წელს ქედის რაიონის სოფელ ზესოფელში (ერთი ცნობით იგი დაბადებულია 1887 წელს). იგი დააპატიმრეს 1937 წლის სექტემბერში. იმავე წლის 15 ოქტომბერს საქართველოს შინსახკომის სამეულმა სსკ 58-6 და 58-7 მუხლების საფუძველზე სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენის აღსრულების თარიღი უცნობია.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალმა 1957 წლის 1 ოქტომბრის №533/6 განჩინებით ხულოს ხემიდის ძე ბერიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყვიტა მის ქმედებაში დანაშაულის არარსებობის გამო. იგი ამჟამად რეაბილიტირებულია.

#### 5. პერიდი ხუსეინ არიფის ძე

ხულოს რაიონის სოფელ რაჭეთის მცხოვრები ხუსეინ ბერიძე (1892-1937) დაიბადა საკმაოდ შეძლებულ ოჯახში. იგი ფურტიოდან რაჭეთაში გადასახლებულ ბერიძეთა მესამე თაობას მიეკუთვნებოდა.

ხუსეინი ნიჭიერი, საზოგადოებაში გამორჩეული, ორატორული ხელოვნებით დაჯილდოებული პიროვნება იყო. საბჭოთა კანონებით კმაყოფილი არ იყო, მაგრამ მშვიდობის მოყვარე კაცი ცდილობდა შეგუებოდა მას. თუმცა 1924 წლის საყოველთაო უკმაყოფილება მანაც გამოავლინა და აშკარად თუ ფარულად მონაწილეობდა სახალხო მოძრაობაში.

1929 წლის ზემოაჭარის ცნობილი აჯანყების დროს ხუსეინ ბერიძე ხელმძღვანელობდა შტაბს, რომელიც სოფელ ფაჩხაში იყო განლაგებული. მის მიმართ რეპრესიები დაიწყო ჯერ კიდევ 1929 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების დასრულების შემდეგ, ამას თავისი წინაპირობები გააჩნდა.

ხულოს რაიონში ჩამოსული ლავრენტი ბერია სოფელ ვერნებში ხასან სურმანიძის სახლში დაბანაკდა. აქ ესაუბრებო-

და იგი აჯანყების მომხრე- მოწინააღმდეგეებს. ხუსეინ ბერიძესთან მისი საუბარი ცხარე კამათში გადაიზარდა.

აღვირახსნილ 30 წლის ჩეკისტს, რომელსაც უკვე ხელი გასვრილი ჰქონდა ზემო აჭარლებზე, აღიზიანებდა, როცა სოფლის ბრძენკაცები სიმართლეს ეუბნებოდნენ და სიმშვიდისკენ მოუწოდებდნენ. ხუსეინ ბერიძესთან კამათი ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. ძირითად საკითხებში, რომლებიც არსებულ ვითარებას განმუხტავდა, ვერ თანხმდებოდნენ და თითქმის ყოველთვის ამის მიზეზი ღ. ბერია იყო.



ხუსეინ არიფის ძე ბერიძე

აღელვებულმა ხუსეინ ბერიძემ მას მთიელი კაცის პირდაპირობით მიახალა:

– თქვენ თუ საქართველოს „ბერია“ ხართ, მე ხულოს მახრის „ბერიძე“ ვარ და ამ ხალხის წინაშე უმჯობესი იქნებოდა ზოგიერთ დათმობაზე წასულიყავით, ისე მათი დაშოშმინება გაძნელებო (სხვათაშორის სხალთის ხეობის მოსახლეობაც იმასვე მოითხოვდა, რაც დიოკნისის მცხოვრებლებმა ფილიპე მახარაძის წინაშე დააყენეს და შეთანხმებასაც მიაღწიეს).

შეხვედრა თითქოს მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ ბერია რისი ბერია იყო, თუ გაბედულ ბერიძეს პირდაპირობას შეარჩენდა.

სოფელ ვერნებში უხეში ქცევის და აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის გამო 1930 წლის 26 ივნისს საქართველოს მთავრობის პოლიტსამმართველოს სამხედრო კოლეგიამ ხუსეინ ბერიძე შეიპყრო, სსკ 58-10 და 50-11 მუხლებით გაასამართლა და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ალალ-მართალ-

მა კაცმა მხოლოდ 1932 წელს დააღწია თავი ციხეს და კვლავ მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩადგა.

1937 წელს მის მიმართ კვლავ ახალი ბრალდებები შეთხზეს, შეიპყრეს და ბათუმში დახვრიტეს. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანების პირველი პუნქტით ხუსეინ ბერიძე სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულია.

## 6. ბერიძე ხუსეინ მუხამედის ძე

დაიბადა 1867 წელს ზემო აჭარის სოფელ დარჩიძეებში. იყო შრომისმოყვარე, პატიოსანი და გამრჯე გლეხი. ერთ-ერთი პირველი გაერთიანდა კოლმეურნეობაში, აირჩიეს შუბნის სასოფლო საბჭოს დეპუტატად.

1937 წლის აგვისტოში ხუსეინ ბერიძე დააპატიმრეს სასაზღვრო რაზმის ოფიცრებმა. ორი კვირის შემდეგ დაკითხეს მისი შვილი ბინალი და აცნობეს, რომ მისი მამა დაჯარიმებულია 1800 მანეთით. შვილმა ეს თანხა გადაიხადა, მაგრამ მამა არ გამოუშვეს. 4 ოქტომბერს იგი გადაგზავნეს ბათუმში და ციხის მე-13 საკანში მოათავსეს. მას ბრალად ედებოდა მოსახლეობაში ემიგრაციული განწყობილების შექმნა, კონტრაბანდა, ზექერია ლორთქიფანიძის მავნებლურ ჯგუფთან კავშირი და ა. შ.

საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეული“-ს 1937 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილებით სსკ 58-2 და 58-11 მუხლების საფუძველზე ხ. მ. ბერიძეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახრეცა განუსაზღვრეს, რომელიც 1937 წლის 17 დეკემბერს ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალმა 1962 წლის 3 აგვისტოს №63/6 განჩინებით სისხლის სამართლის საქმე ხუსეინ მუხამედის ძე ბერიძის მიმართ წარმოებით შეწყვიტა მის ქმედებაში დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებულია.

დასახელებული სამი პიროვნების გარდა ბათუმში დახვრეტილი ბერიძეთა გვარის 12 შვილის შესახებ იხილეთ საერთო სიაში. თუმცა ესეც არაა სრულყოფილი. ჩვენს ხელთ არსებული საბუთების თანახმად სიცოცხლე მოუხწრაფეს: ნუსრედინ ნურის ძე ბერიძეს, დ. 1872 წ. ს. ოლადაურში; ივანე მელიტონის ძე ბერიძეს დ. 1897 წ. დახვრიტეს 1938 წლის 2 თებერვალს; შაქირ იუსუფის ძე ბერიძეს, დ. 1888 წელს ქედაში, დახვრიტეს 1937 წელს; ასლან ჰაიდარის ძე ბერიძეს, დ. 1891 წ. ხულოს რაიონის ს. ხისაძირში.

### **ბიბინეიშვილი გულიზარ ისკენდერის ასული**

დაიბადა 1917 წელს ს. ერგეში (ბათუმის მაზრა), წარჩინებული და შეძლებული თავადის ოჯახში. აქვე მიიღო შინაური განათლება.

გულიზარის დედა მახუნცეთელი ბეგის, რეჯებ თავდგირიძის ქალი იყო, ამიტომ გოგონა ხშირად სტუმრობდა დედულეთს; 1926 წლიდან კი, აწჳეს-ის მშენებლობის დაწყებისას, როცა ეს პატარა დასახლება მშენებელთა დაბად იქცა, გულიზარი იქვე სკოლაში შევიდა. 13 წლისა კომკავშირის რიგებში მიიღეს და აწჳეს-ის მშენებლობის დამკვერელურ ბრიგადაში ჩარიცხეს.

ცნობილ ჟურნალისტს ნოდარ გათენაძეს უსაუბრია მაშინდელი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანთან ა. ერანოსოვთან; თურმე მან გაიხსენა, რომ დასაწყისში მშენებლობაზე 10-18 კომკავშირელი მუშაობდა. მათ შორის იყვნენ: ახმედ შერვაშიძე (ბრიგადის ხელმძღვანელი), მურთაზ ფარტენაძე, ვასო ჯუღაშვილი, ნინო ურუშაძე, სურიე თავდგირიძე, გულიზარ ბიბინეიშვილი და სხვ. (ნ. გათენაძე, აწჳესი. ბათუმი. 1975. გვ. 15, 16). მათ მაგალითზე აჭარის სოფლებიდან მრავალი ახალგაზრდა ჩამოვიდა მახუნცეთში და აქტიურად ჩაება საერთო სახალხო შრომაში. მალე (1932 წელს) კომკავშირელთა რიცხვი 350-მდე გაიზარდა, შეიქმნა კომიტეტი და 11 პირველადი კომკავშირუ-

ლი ორგანიზაცია. გულიზარ ბიბინეიშვილი ერთ-ერთი ორგანიზაციის მდივანი იყო. მის გვერდით საქმიანობდნენ აგრეთვე პირველადი ორგანიზაციის მდივნები: ა. ვერძაძე, მ. სიდიაკოვი, მ. გოგეშვილი, ხ. ირემაძე, ი. ბრიუხანოვი და სხვ. ახალგაზრდა აქტივისტების, რომელთა შორის გამოირჩეოდა გულიზარ ბიბინეიშვილი, ინიციატივით დაბაში მოეწყო მუშათა საერთო საცხოვრებელი, გაიხსნა კლუბი და ბიბლიოთეკა, სადაც სანიმუშო იყო კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურება. გულიზარის სახელ-გვარი და ფოტოსურათი საპატიო დაფაზე გამოაკრეს.



**გულიზარ ისკენდერის ასული  
ბიბინეიშვილი**

პიდროვექტროსადგურის მშენებლობის ძირითადი ნაწილის დასრულების შემდეგ გ. ბიბინეიშვილი ღირექციაში გადაიყვანეს და საქმეთა მართვა დაავალეს.

თავდგირიძეთა და ბიბინეიშვილთა რეპრესიები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებში დაიწყო, ჯერ ქონების რეკვიზიციით, შემდეგ კონფისკაციით, მამაკაცების გადასახლებით და ა. შ., რის გამო მრავალი მათგანი თურქეთში გაიქცა, მათ შორის იყო გულიზარის დედის ძმა ახმედ თავდგირიძე.\*

1937 წელს დახვრიტეს გულიზარის ბიძები რიზა და რემზი ბიბინეიშვილები, მამამ ისკენდერმა 1934 წელს გაქცევით უშველა თავს. ჩეკისტებს ხელში შერჩათ მახუნცეთში ბიძის ოჯახ-

\* კომუნისტურმა ხელისუფლებამ შეძლო მისი სამშობლოში ჩამოტყუება. იგი მაშინვე გადასცეს სამეულს და 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს (სია №2, რიგითი №307).

ში მცხოვრები გოგონა, შეძლებული ოჯახის შვილი, გვარად ბიბინეიშვილი, რომელსაც მამის გაქცევიდანვე ეძებდნენ. მის სურათს მახუნცეთში საპატიო დაფაზე მიაკვლიეს, ჩვეული წესით შეუთითხნეს „ხალხის მტრის“ საქმე, სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს, რაც ბათუმშივე მოიყვანეს სისრულეში (სია №1, რიგითი № 126).

სრულიად ახალგაზრდა ქალის სიკვდილით დასჯის გამაურება, ბუნებრივია, გამოძახილს ჰპოვებდა საზოგადოებაში. ამიტომ წინდახედულ ჯალათს ეს ტრაგედია ერთგვარად შეუნიღბავს კიდევ: დახვრეტილთა სიაში შეტანილია არა ასული, არამედ ბიბინეიშვილი გულიზარ ისკენდერის ძე. ეს უნიჭო ფარსი ადვილად გასაგებია, მაგრამ იმ დროს, როცა განმკითხავი არავინ იყო, პასუხიც არავისთვის მოუთხოვიათ.

### ბოლქვაძეები<sup>20</sup>

ბათუმში სასჯელაღსრულებულთა შორის 11 ბოლქვაძე ირიცხება:

- აბესალომ პავლეს ძე
- ალი მუსას ძე (ბათუმი)
- ახმედ დურსუნის ძე
- ახმედ რეშიტის ძე (ს. კორტოხი, ხულოს რ.)
- გენჯალი ახმედის ძე (ს. ერგე, ბათუმის რ.)
- თუფან ფერათის ძე (ს. ზერაბოსელი, ქობულეთის რ.)
- იაყუფ ემინის ძე (ს. დარჩიძეები, ხულოს რ.)
- ისმაილ ახმედის ძე (ბათუმი)
- მაქსიმე ლევარსის ძე (ს. შრომა, მახარაძის რ.)
- შახმურად ხასანის ძე (ს. თხილვანა, ხულოს რ.)
- ხუსია ასლანის ძე (ხულოს რ.)

ამათგან ჩვენ მხოლოდ სამის შესახებ გაგვაჩნია უშიშროების არქივიდან მიღებული ცნობები:

## 1. ბოლქვაძე ახმედ რეშიტის ძე

დაიბადა 1882 წელს ზემო აჭარის უბნის (ხულო) სოფელ კორტოხში. მისი განათლებისა და საქმიანობის შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია. აჭარის სახ. არქივში დაცული ერთი ცნობით ახმედ ბოლქვაძე 1930 წელს ხულოს რაიადმასკომის თავმჯდომარის პოსტზე ირიცხება. თუმცა არქივის ცნობაში მამის სახელი არაა მითითებული და დაბეჯითებით არ ვიცით, რომ ის სწორედ ახმედ რეშიტის ძე ბოლქვაძეა.

საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა სამეუღლმა 1937 წელს დაპატიმრებულზე, 19 აგვისტოს გამოიტანა დადგენილება და ახმედ რეშიტის ძე ბოლქვაძეს სსკ 58-11 მუხლის საფუძველზე დახვრეტა მიუსაჯა. ჩვენთვის უცნობია განაჩენის სისრულეში მოყვანის თარიღი.

აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს 1957 წლის 10 აგვისტოს განჩინებით სისხლის სამართლის საქმე ახმედ რეშიტის ძე ბოლქვაძის მიმართ გაუქმდა და იგი რეაბილიტირებულია.

## 2. ბოლქვაძე ბენჯალი ახმედის ძე

დაიბადა 1904 წელს ს. ერგეში. მისი წინაპრები ქედის რაიონის სოფელ ბზუ-ბზუდან გადმოსახლებულან და ოსმალობის დროს მუსოღლებად იწოდებოდნენ, თუმცა ბოლქვაძის გვარი არასოდეს დაეიწეებიათ.

გენჯალი ბოლქვაძემ პირველდაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო.

1917-1921 წლებში სწავლობდა სოფ. აჭარისწყლის არასრულ სკოლაში. ერთხანს მუშაობდა სოფელში, 1922 წლის აგვისტოში კი მუშაობას იწყებს აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში ინსტრუქტორად. ეს ის პერიოდი იყო, როცა მთლიანად საქართველოში დიდი მუშაობა მიმდინარეობდა ახლად ჩამოყალიბებული არმიის ქართული ნაწილებისთ-



ვის პირველ მეთაურთა კადრების მოსამზადებლად. გენჯალი ბოლქვაძე ახლად დაარსებული თბილისის ქართული გაერთიანებული სკოლის კურსანტი გახდა.

ამ სკოლამ დიდი როლი შეასრულა ქართული ეროვნული სამხედრო კადრების მომზადებაში.

სკოლამ თავისი არსებობის მოკლე მანძილზე 1921-1927 წლებში. ქართულ ნაწილებს მისცა 5 გამოშვება – 591 მეთაური, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლები. 1923 წელს მორიგ 26-კაციან ჯგუფებში ქ. ბათუმიდან იყო 10, ქობულეთის რაიონიდან – 11, ბათუმის რაიონიდან – 5 ახალგაზრდა, მათ შორის გენჯალი ბოლქვაძე. 12 სექტემბერს ბათუმში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, აჭარის მშრომელები გზას ულოცავდნენ რჩეულ ახალგაზრდებს.

თბილისის საზოგადოებრიობამ დიდი შეხვედრა მოუწყო აჭარის წარგზავნილებს. სადგურში დახვდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენლები. დიდი მხარდაჭერა და თანაგრძნობა გამოუცხადა ახალგაზრდებს სასწავლებლის კოლექტივმა.

გენჯალი ბოლქვაძე, როგორც მისი კოლეგები იგონებენ, სასწავლებლის ერთერთი მოწინავე, მუყაითი და დისციპლინირებული კურსანტი იყო, აქტიურად მონაწილეობდა სასწავლებლის ცხოვრებაში, მან მთელი კოლექტივის და მეთაურთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

1926 წლის 16 სექტემბერს სამხედრო სკოლა აჭარიდან 7-მა კაცმა დაამთავრა. ყველა მათგანი, მათ შორის გენჯალი ბოლქვაძე სამუშაოდ გაამწვეს ქ. ბათუმში, პირველი ქართული დივიზიის მსროლელი პოლ-



გენჯალი ახმედის ძე  
ბოლქვაძე

კის მეთაურად, შემდგომში იგი იგზავნება პოლიტიკურ მუშაკთა კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ მსახურობს ქართული არმიის ნაწილებში.

1933 წლის მაისში გენჯალი ბოლქვაძეს აწინაურებენ აჭარის ასსრ სამხედრო კომისრად, სადაც კიდევ უფრო გამოავლინა სამხედრო საქმის ღრმა ცოდნა, დიდი ორგანიზატორული ნიჭი და უნარი. მისი მაშინდელი კოლეგები ქართული წითელი არმიის ცნობილი მეთაურები ა. ბაჯელიძე, მ. ბეჟანიძე, ვ. ჩირაძე, ლ. ბრეგვაძე, ვ. ბილიხოძე, ა. ვერულიძე, ნ. დარჩია, ი. მეგრელიძე, გ. ჩიტაიშვილი თავიანთ მოგონებებში გ. ბოლქვაძეს ახასიათებენ როგორც ქართული წითელი არმიის ერთ-ერთ ნიჭიერ, პრინციპულ მეთაურს. მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა სიყვარული, ღრმა პატივისცემა დაიმსახურა. იგი ბევრი საინტერესო და სასარგებლო წამოწყებათა ინიციატორად და ორგანიზატორად მოგვევლინა. აჭარის სამხედრო კომისარიატი ერთ-ერთი მოწინავე გახდა მთელს რესპუბლიკაში, თვითონ კომისარი მრავალჯერ წაახალისეს სხვადასხვა პრემიით, ჯილდოთი, 1931 წელს დააჯილდოეს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სიგელით და სამხედრო სამახსოვრო იარაღით, 1933 წელს – აჭარის ცაკის სიგელით და ფასიანი საჩუქრით, მაშინდელი ქართული წითელი არმიის ნაწილების გაზეთები და საოლქო პრესა საინტერესო წერილებს, სტატიებს, ფოტოსურათებს აქვეყნებდნენ აჭარის სამხედრო კომისრის გენჯალი ბოლქვაძის საქმიანობაზე, მის საბრძოლო და შრომით დამსახურებაზე, იგი რესპუბლიკის ერთ-ერთი ნიჭიერი სამხედრო, სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე ხდება.

გენჯალი ბოლქვაძეზე საინტერესო მასალები მოიძია ნოდარ ცეცხლაძემ. მანვე შექმნა ამ მოღვაწის ბიოგრაფია, რომელიც გამოაქვეყნა წიგნში „რეაბილიტაცია“ (ბათუმი. 1990. ვ. 55-60).

გენჯალი ბოლქვაძე კომკავშირის რიგებში შევიდა 1922 წელს, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრობის კანდიდატია 1925 წლის ნოემბრიდან, ხოლო წევრი – 1926 წლის 27 ივლისიდან, 1929 წლიდან არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად, ხოლო 1937 წლის 13 მაისს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრად, იყო საქართველოს კომპარტიის X ყრილობის დელეგატი, აჭარის საბჭოების ყრილობების დელეგატი, აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის რამდენიმე მოწვევის და მისი პრეზიდიუმის წევრი. სისტემატურად გამოდიოდა სიტყვებით პარტიული კომიტეტის პლენუმებზე, პარტიულ, კომკავშირულ კომფერენციებზე, საბჭოების ყრილობებზე, სამხედრო შეკრებებზე, მისი სტატიები, წერილები, რომლებიც რესპუბლიკურ და საოლქო გაზეთებში ქვეყნდებოდა, აშუქებდა ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებას, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის პრობლემებს, მშრომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებს.

1937 წლის 9 მარტს გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში – „მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში სამსახური საპატიო მოვალეობაა,“ კომისარი გენჯალი ბოლქვაძე წერდა თავისივე თანაკურსელებზე და მეგობარ ოფიცრებზე: კაპიტან ა. ბაჯელიძეზე, ლეიტენანტ ხ. ბეჟანიძეზე, პოლიტხელებზე ინაიშვილსა და შავიშვილზე, მათს მხედრულ წარმატებებზე, რომლებიც შემდგომში ცნობილი სამხედრო მეთაურები გახდნენ, აქტიურად მონაწილეობდნენ მეორე მსოფლიო ომში ხალხის გამარჯვებაში, მშვიდობიან პერიოდში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში... სამწუხაროდ სხვანაირად წარმართა გენჯალი ბოლქვაძის ბედი...

საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის 1937 წლის 21 ნოემბრის ბიურომ (ოქმი №26) დაადგინა. „გ. ა. ბოლქვაძე გაირიცხოს პარტიის რიგებიდან, როგორც ხალხის მტერი და



**გენჯალი ბოლქვაძე**

მასალები მის შესახებ გადაეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს.“

მას ბრალად ედებოდა, თითქოს იგი 1936 წელს იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი აჭარაში მოქმედი კონტრრევოლუციური, ტერორისტული და მავნებლური, მემარჯვენე ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აჭარაში, კაპიტალიზმის აღდგენას, ტერორისტულ აქტს ბერიას წინააღმდეგ (მესამედ).

აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოძიებლებმა ფიზიკური და ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით გენჯალი ბოლქვაძე და მასთან ერთად ამ საქმის გამო დაპატიმრებულები: შევქეთ ლორთქიფანიძე, ალი მუსას ძე ბოლქვაძე, თევდორე ვასილის ძე ამირიდი აიძულეს „ელიარებიანთ“ მონაწილეობა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. გენჯალი ბოლქვაძე შეიტანეს სსრკ პოლიტბიუროს წევრთა სახელზე გაგზავნილ სიაში. მოსკოვმა იგი I კატეგორიას მიაკუთვნა, ხოლო აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით, გენჯალი ბოლქვაძეს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა.

ჯალათებმა 1938 წლის 1 იანვარს, ბათუმის გარეუბანში, ახალი წლის პირველ დღეს გაისვარეს ხელი 33 წლის საუკე-

თესო სამხედრო მომავლის მქონე ჭაბუკის სისხლით. სამხედრო კომისრად კი ვინმე ივანე სმირნოვი დანიშნეს.

როგორც შემდეგ გამოირკვა, მთელი ეს საქმე ფალსიფიცირებული იყო ბერიას თანამზრახველთა მიერ. არავითარი კონტრეველოციური ორგანიზაცია არ ყოფილა და არავითარი შეთქმულება და ტერორი არ მზადდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 19 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წლის 13 მარტის დადგენილებით გენჯალი ბოლქვაძე რეაბილიტირებულ იქნა მთლიანად. ასევე რეაბილიტაცია მიიღო 1937 წელს ბათუმში დახვერტილმა გენჯალის ძმამ ისმაილ ბოლქვაძემ (იხ. ქვემოთ).

### 3. ბოლქვაძე იაყუფ ემინის ძე

საქართველოს მთიანეთში ცალკეული ხეობების მოწინავე ადამიანებს ხვეისბერებს ეძახდნენ, ოსმალთა ბატონობის დროს ეს წოდება დერე-ბეგით, სანჯაყ-ბეგით შეცვალეს.

ერთ-ერთი ასეთი ხვეისბერი მართის ხეობაშიც ჰყავდათ. ეს იყო იაყუფ ემინის ძე ბოლქვაძე სოფელ დარჩიძეებიდან, დაბადებული 1870 წელს.\* ჩვენთვის უცნობია მისი ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები. სამაგიეროდ საარქივო დოკუმენტებმა საკმარის ვრცლად და ზუსტად შემოინახა საბჭოთა პერიოდში იაყუფ ბოლქვაძის ცხოვრებისა და ნაყოფიერი მოღვაწეობის ამსახველი მომენტები.

---

\* ასეა ჩაწერილი უშიშროების საარქივო დოკუმენტებში (იხ. დახვერტილთა სია). აჭარის ცხა ფ. რ-2, ან. 1, ს. 115, ფურ. 12-ში კი წერია, რომ 1929 წელს იაყუფ ბოლქვაძე არის 55 წლის, ე. ი. იგი დაბადებულია 1874 წელს, რაც ჩვენი აზრით სწორი უნდა იყოს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ი. ბოლქვაძე მშვიდად შეხვდა და 1921 წლიდანვე ჩაება ახალი ცხოვრების ფერხულში. იგი, როგორც წინა კაცი, ცდილობდა მართის ხეობის მოსახლეობა დამორჩილებოდა ახალ კანონებს.

ი. ბოლქვაძე 1923 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ყარადერეს (ოლადაურის) და შუბნის თემსაბჭოს დეპუტატი იყო, მას ირჩევდნენ სასოფლო, სამაზრო, რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური ყრილობების დელეგატად. მისი, როგორც რაიონული დეპუტატის, გასამრჯელო 40 მანეთს შეადგენდა.

1926 წლიდან ი. ბოლქვაძე დარჩიძეების სოფსაბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს, სადაც 1931 წლამდე დაჰყო. იგი, ჯერ კიდევ დარჩიძეებში კოლექტიური მეურნეობის შემოღებამდე, შუბნის კოლმეურნეობაში გაერთიანდა.

1931 წლიდან, 5 წლის მანძილზე, ი. ბოლქვაძე დარჩიძეების მეცხოველეობის კოლმეურნეობას ედგა სათავეში. სამართლიანია მოსაზრება იმის შესახებ, რომ: „1923 წლიდან 1937 წლამდე არ ყოფილა ყარადერეს და შუბნის თემსაბჭოებში არცერთი ღონისძიება, რომ იაყუვ ბოლქვაძეს აქტიური მონაწილეობა არ მიეღო, ან მისი ხელმძღვანელობით არ ჩატარებულყო.“<sup>21</sup>

მართლაც, იაყუვ ბოლქვაძის უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით გაიხსნა სკოლები შუბანში, დარჩიძეებში, ტომაშეთში, კობალთასა და ქუთაურში. აშენდა შუბნის სას. საბჭოს შენობა, გაიხსნა სავაჭრო წერტი, ქოხ-სამკითხველო. ყურადღება მიექცა იაღაღებზე მოსახლეობის მომსახურებასაც; გაიხსნა საფერშლო-საბებიო და ვეტერინარული პუნქტები, მთა ჩირუხის ცენტრში გაიყვანეს წყალსადენი.

იაყუვ ბოლქვაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საკომუნიკაციო საშუალებებს. მისი ინიციატივით შეკეთდა, შეიცვალა და ზოგან სრულიად ახლად გაკეთდა წელათის, ოლადაურის, მომწვარის, ფურტიოს სასოფლო გზები.

სოფლის ჭეშმარიტი ხევისბერი ზრუნავდა ბუნებრივი რესურსების გამოყენებისთვის. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სოფელ ტომაშეთში არსებული თერმული მინერალური წყლის მიმართ. მან არაერთი წერილით მიმართა ზემდგომ ორგანოებს, ყრილობებსა და კრებებზე ხელმძღვანელებს დაუსაბუთა ამ წყლის დიდი სამკურნალო თვისებები და 1925 წლისთვის იგი ჩააყენა ხალხის სამსახურში, გააკეთდა უბრალო, მაგრამ მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი სააბაზანო, რომელსაც დღესაც ასეთივე წესით იყენებენ.

იაყუფ ბოლქვაძე და მისი აქტივი მესაზღვრეების საიმედო დასაყრდენს და დამხმარე ძალას წარმოადგენდა. სოფლის მოსახლეობა უგზობის პირობებშიც მათ ეხმარებოდა ტვირთის გადატანაში, ამარაგებდა პროდუქტებით, ცხენების საკვებით, სათბობით. მოსახლეობა სასაზღვრო საგუშაგოების შენობებს ანაზღაურების გარეშე აშენებდა და არემონტებდა.

ი. ბოლქვაძე ოჯახშიც სამაგალითო იყო. მისი მეუღლე, აშო ბოლქვაძე პირველი სოფლის დეპუტატი იყო, რომელიც 1927 წლიდან ჩადრახიდილი მოდიოდა სხდომებზე. მის მაგალითს მრავალმა ქალმა მიბაძა და სულ რაღაც ორ წელიწადში მართის ხეობის ქალთა უმრავლესობა გათავისუფლდა წარსულის ამ ბნელი ჩვეულებისგან.

1929 წელი აჭარისთვის ერთი ძალზე მტკივნეული და ავადსახსენებელი თარიღია. ჭვანა-ლორჯომიდან დაწყებული მოძრაობა, რომელიც ადგილობრივი მთავრობის მიერ განხორციელებულ გადაჭარბებულ ადმინისტრირებას მოჰყვა, მოიცვა მთელი აჭარა. აჯანყებულები კონტროლს აღარ ექვემდებარებოდნენ. ისინი აპატიმრებდნენ სოფლის და რაიონის ხელმძღვანელებს და სიკვდილით ემუქრებოდნენ. ასეთი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ ხულოს სამაზრო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნუსრედინ ბერიძე და ყარადერეს თემსაბჭოს წევრი იახია ქარცივაძე. ისინი აჯანყებულებმა დაატყვევეს და დახვრეტას უპირებდნენ. იაყუფ ბოლქვაძის მკვერმეტყვე-

ლურმა სიტყვებმა, მისმა დიდმა ავტორიტეტმა ამბოხებულებზე იმდენად იმოქმედა, რომ ტყვეები გაათავისუფლეს და ისინი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ჩააბარეს.

ი. ბოლქვაძემ აღკვეთა აგრეთვე აჯანყებულებსა და დარჩიძეების სასაზღვრო საგუშაგოს მესაზღვრეთა შორის მწვავე დაპირისპირება, რაც შესაძლოა სისხლის ღვრით დამთავრებულიყო. იაყუფ ბოლქვაძე მოსახლეობას „ყოველგვარ დახმარებას უწევდა, განსაკუთრებულ მზრუნველობას ღარიბების, ქვრივ-ობლების მიმართ იჩენდა... ყველას მიმართ დამცველის როლში გამოდიოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი მართის ხეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა“.

საბჭოთა მონსტრი სწორედ ასეთ მაღალ-ჰუმანურ, ხალხში დიდი სახელის მქონე ადამიანებზე ნადირობდა, რადგანაც იცოდა, რომ საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობა ასეთი რჩეული კაცების გზით წავიდოდა. ი. ბოლქვაძის წინააღმდეგ ჯერ აღგილობრივი დამსმენები ამოქმედეს, ბევრი მოწმე აწამეს კიდევ, რომ მისი საწინააღმდეგო ჩვენება მიეცა, მაგრამ სიკეთით სავსე კაცის მიმართ უკულმა ენა არავის მოუბრუნდა. თუმცა ბოლოს მაინც გამონახეს მიზეზი:

იაყუფ ბოლქვაძეს პირველი მეუღლე აშო ბოლქვაძე ადრე გარდაეცვალა. რამდენიმე წლის შემდეგ მან ცოლად შეირთო თურქეთის ქვეშევრდომი, 1896 წელს დაბადებული დიღფეზი, რომელიც ადრე სოფელ დარჩიძეებში სხვა მამაკაცზე იყო გათხოვილი. მეუღლე მასაც გარდაეცვალა და ქვრივებმა ერთმანეთს ხელი მისცეს.

დიღფეზს მშობლები, და-ძმები და ახლო ნათესავები თურქეთში ჰყავდა, ამიტომ საბჭოთა ჩეკისტებს მასზე მუდმივი მეთვალყურეობა ჰქონდათ დაწესებული.

ამას იაყუფის პირადი მტრების ბოროტებაც დაემატა, ისინი სასაზღვრო ჯარის და უშიშროების მეთაურებს აცნობებდნენ, რომ დიღფეზის ძმები თურქეთიდან საიდუმლოდ შემოდოდნენ, ღამეს დასთან (იაყუფთან) ითევდნენ,



მასპინძლები კი მათ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო ცნობებს აწვდიანო.

იაყუფ ბოლქვაძე, მისი მეუღლე და შვილები: იუსუფი და ნუსრედინი ერთ დღეს დააპატიმრეს. მართის ხეობაში ამ ბინძურ ოპერაციებს უშიშროების ოფიცერი დათიკო ოდიშარია ატარებდა. მან მოსახლეობას წინასწარ ჩამოართვა ძვირფასეულობა, სხვა ნივთები, შემდეგ ყველა მათგანი დააპატიმრა და ბადრაგით ბათუმში გაგზავნა. იაყუფ ბოლქვაძეს ცხენთან ერთად ვერცხლის უნაგირიც ჩამოართვა, რომელიც მაშინ 2 000 მანეთს ფასობდა. თვითონ პატიმარი სხვებთან ერთად ბათუმში ჩაიყვანეს და სამეუფლს გადასცეს.

დამსახურებული და დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნებების განაჩენი წინასწარ იყო ცნობილი – დახვრეტა, რაც იაყუფის მიმართ 1937 წლის ბოლოს ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

იაყუფ ბოლქვაძის მეუღლეს დიღფეუს სსკ 58-1<sup>ა</sup> მუხლის საფუძველზე 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. იგი 1942 წელს დაბრუნდა, მაგრამ 4 წლის შემდეგ კვლავ გადაასახლეს და მხოლოდ 1952 წლის 4 იანვარს დააღწია თავი პატიმრობას.

იაყუფის უფროს შვილს ნუსრედინს საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა სამეუღლმა 1937 წლის 14 დეკემბერს სსკ 58-10 მუხლის საფუძველზე 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა იგი სახლში აღარ დაბრუნებულა და ოჯახმა არც კი იცის გარდაცვალების მიზეზი და პირობები.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალის 1957 წლის 5 ივლისის განჩინებით სისხლის სამართლის საქმე ნუსრედინ იაყუფის ძე ბოლქვაძის მიმართ გაუქმდა მის ქმედებაში დანაშაულის უარსებლობის გამო და იგი რეაბილიტირებულია.<sup>22</sup>

რაც შეეხება მის ძმას იუსუფს, მის შესახებ არქივებში რაიმე ცნობა არაა მიკვლეული და დაპატიმრების შემდეგ მისი ბედი უცნობია.

#### 4. ბოლქვაძე ისმაილ ახმედის ძე

დაიბადა 1909 წელს სოფელ ერგეში (ბათუმის რ.) გლეხის ოჯახში. მამა შინამეურნეობას ეწეოდა, ხოლო დედა ნაილე ჩოხარაძე დიასახლისი იყო. მათ რვა შვილი ჰყავდათ. ერთ-ერთი აჭარის სამხედრო კომისარი გენჯალი ბოლქვაძე იყო, რომლის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

ისმაილმა საშუალო განათლება სოფელ ერგეში მიიღო, რის შემდეგ იგი თბილისის პარტიულ სკოლაში ჩარიცხეს. ამ სკოლის დასრულების შემდეგ იგი ქობულეთის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად დანიშნეს, შემდეგ ამავე თანამდებობაზე მუშაობდა ხულოსა და ბათუმის რაიონებში.



**ისმაილ ახმედის ძე  
ბოლქვაძე**

ისმაილი ძმასთან გენჯალი ბოლქვაძესთან ერთად მოხვდა სახ. უშიშროების კომიტეტის მიერ მოსკოვში გაგზავნილ სიაში; აქ პოლიტბიუროს წევრებმა ორივე მიაკუთვნეს I კატეგორიას, რაც სიკვდილით დასჯას ნიშნავდა. (სია №2, რიგითი №355).

1937 წლის 7 ნოემბერს საზეიმო დემონსტრაციაზე ორი წლის შვილთან ზიასთან ერთად მყოფი ისმაილი დააპატიმრეს, ბავშვი კი სახლში მიყვანეს.

ბათუმში, ლუქსემბურგის ქუჩის №29 სახლში მცხოვრები მისი მეუღლე ასიე ქესკინის ასული ცეცხლაძე, რომელიც №23 ბავშვთა ბაღის აღმზრდელად მუშაობდა და მეორე შვილს ელოდა, შვილთან ერთად ბინიდან გამოასახლეს და გვერდით საერთო სარგებლობის სამზარეულოში შეასახლეს, რომლის ფართი ნკვმ-ს არ აღემატებოდა. ასეთ აუტანელ პირობებში ბავშვი დაავადდა და მალე

გარდაიცვალა. მამის დაპატიმრებიდან ერთი თვის შემდეგ აქვე დაიბადა მეორე ვაჟი თამაზი.

აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1956 წლის 16 ივნისის დადგენილებით გაუქმდა საქართველოს შსს-ის სამეულის 1937 წლის 4 დეკემბრის დადგენილება ბრალდების უსაფუძვლობის გამო. ისმაილ ბოლქვაძე სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულია.

## 5. ბოლქვაძე ხუსია ასლანის ძე

დაბადებულია 1901 წელს ხულოს რაიონში (საბუთში სოფელი მითითებული არაა). როგორც ირკვევა, იგი 1937 წლის აგვისტოში დააპატიმრეს. საქართველოს შინსახკომთან არსებულმა სამეულმა 1937 წლის 19 აგვისტოს დადგენილებით, სსკ 58-2 და 58-11 მუხლების საფუძველზე სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა, რაც სამი დღის შემდეგ 1937 წლის 22 აგვისტოს ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალმა 1957 წლის 29 მარტის №183 დადგენილებით ხუსია ასლანის ძე ბოლქვაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყვიტა ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო და იგი რეაბილიტირებულია.


## ბრეგაძე იოსებ ბიორბის ძე

რეპრესიების მსხვერპლი გახდა რევოლუციური მოძრაობის, სამოქალაქო ომისა და საქართველოში წითელი არმიის ქართული ნაწილების ერთ-ერთი დამაარსებელი, რომელიც სამხედრო კოლეგიის 1937 წლის 3 ნოემბრის განაჩენით დახვრიტეს.

ბრეგაძე დაიბადა ქ. ქუთაისში 1885 წელს, 1903 წლიდან აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ბათუმში, ფოთში, სამარაში, თურქესტანში, არაერთხელ დააპატიმრეს, გადაასახლეს, აქტიურად მონაწილეობდა სამოქალაქო ომში, საბჭოთა

ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ეკავა მნიშვნელოვანი თანამდებობები პარტიულ, სახელმწიფო ორგანოებში, წითელი არმიის ქართულ ნაწილებში, მსახურობდა თურქესტანის რევოლუციურ სამხედრო საბჭოში.

ი. ბრეგაძე 1925 წლიდან მუშაობს ბათუმში – აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, შემდეგ – ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატში, 1932 წლიდან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ.



იოსებ გიორგის ძე ბრეგაძე, ასლან იბრაიმის ძე აბაშიძე.  
 ბათუმის ციხე, 1905 წ.

იოსებ ბრეგაძე სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად, აჭარის ასსრ, საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის ფედერაციის ცაკის წევრად, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების

მეორე, მესამე და მეოთხე ყრილობების დელეგატად, მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და სიგელი.

მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1957 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. ბრეგაძე რეაბილიტირებულია, მისი ღირსეული სახელი კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ ერსა და ახლობლებს. ბათუმში მის საცხოვრებელ სახლს აბაშიძის 9-ში გაუკეთდა დაფა. იოსებ ბრეგაძის ცხოვრების გზა სამშობლოსა და ხალხისთვის სამსახურის ნათელი მაგალითია.

### **გეგელაშვილი სიმონ ანტონის ძე**

დაიბადა 1899 წელს სოხუმში. ბათუმში ჩამოსვლამდე მისი ბიოგრაფია უცნობია. ვიცით, რომ ჰქონდა უმაღლესი სამედიცინო განათლება და 1922 წლის 22 ოქტომბრიდან დაინიშნა აჭარის ახლადშექმნილი ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატში, კომისრის მოადგილედ.

1923 წლის 15 თებერვლიდან სიმონ გეგელაშვილი გადაჰყავთ ჯანსაღკომის სამკურნალო განყოფილების გამგედ, სადაც საარქივო საბუთების მიხედვით 1925 წლის 3 თებერვლამდე დაჰყო (ფ. რ-77, ან. 1, ს. 6, ფურ. 82; ს. 7, ფურ. 165).

1930-1937 წლებში იყო აჭარის კანისა და ვენერულ სნეულებათა რესპუბლიკური დისპანსერის მთავარი ექიმი. მისი უშუალო მონაწილეობით აჭარის რაიონებისა და დაბების ცენტრებში (ხულო, ქობულეთი, ოჩხამური, მერისი, მახინჯაური, აჭარისწყალი, შუახევი) გაიხსნა ვენეროლოგიური პუნქტები, რითაც ეს სამსახური მიუახლოვდა მოსახლეობას. ს. გეგელაშვილი ამ დაწესებულებების მეორე მთავარი ექიმი იყო კ. მ. მოსეშვილის შემდეგ. მან თავისი ენერგიული შრომით, მთელი რიგი საკითხების პრინციპული გადაწყვეტით ბევრი რამ შემატა დისპანსერს. იგი პირადად მონაწილეობდა ქედისა და ხულოს რაიონებში მოწყობილ ექსპედიციებში, რომელმაც მრავალი



მარჯვნიდან: სიმონ გეგელაშვილი, ილია ქოჩიაშვილი (აჭარის  
ჯანდაცვის კომისარი) და ალექსანდრე კობალაძე (ფარმ. განყ.  
გამგე). 1922 წ. (სამივე რეპრესირებულია 1937 წ.)

ავადმყოფი გამოავლინა, მკურნალობაში ჩააბა და სათანადო კონტროლიც დაუწესა. ამ მხრივ განსაკუთრებულ მეთვალყურეობაზე იყო სოფ. მერისი, სადაც დაავადების გავრცელებამ სოციალური სახე მიიღო. აუცილებელი გახდა პერიოდული და ღრმა შემოწმების ჩატარება. აქ ავადმყოფებს მკუნალობის ორი კურსი ჩაუტარეს. 1932 წელს ჩატარებულმა მორიგმა შემოწმებამ ცხადყო, რომ მკურნალობამ შედეგი გამოიღო და მოხდა საყოფაცხოვრებო ათაშანგის პრაქტიკული ლიკვიდაცია.

1937 წელს ს. გეგელაშვილი დააპატიმრეს. მას ბრალად ედებოდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობა. მან არ შეატყობინა ხელისუფლებას კონტრრევოლუციური ორგანიზაციის არსებობა, ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, გარეული იყო სავალუტო ოპერაციებში (მომხს. ეზიაშვილი).

საქართველოს შინსახკომის „სამეულის“ 1937 წ. 16/XII დადგენილებით სსკ 58-6, 10, 11 მუხლებით სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს, რაც 1937 წლის 22 დეკემბერს მოიყვანეს სისრულეში.

სიმონ გეგელაშვილს ცოლად ჰყავდა წარმოშობით ბერძენი ქალი მარიამ სტილიანის ასული კაროპულო. ცხოვრობდნენ ბათუმში, ლენინის ქუჩაზე, №6 სახლში.

\* \* \*

სურათზე გამოსახული პირველი პიროვნების, ალექსანდრე კობლაძის შესახებ საინტერესო ჩანაწერს შევხვდით ცნობილი პუბლიცისტის **თამარ პაპავას** წიგნში. ავტორი თურმე მეგობრობდა აკობლაძესთან, როგორც ძალზე კეთილ და თავაზიან ადამიანთან. გარდა ამისა თ. პაპავა გვაცნობს ა. კობლაძის ბიოგრაფიის ზოგიერთ დეტალსაც: „დიდხანს იყო პამპურგში და იქ რუსების წარმომადგენლობაში მსახურობდა სანდრო კობლაძე, ჩემი მეგობარი, რომელთან ერთადაც ვმსახურობდი თბილისის აფთიაქში. ის იყო დიდად ნიჭიერი კაცი, მშვენიერი ქართველი, ზრდილი და თავაზიანი – საყვარელი, გამტანი და დამხმარე მეგობარი. საქართველოში რომ დაბრუნდა, ხმა მოვიდა – დახვრიტესო...“

(თამარ პაპავა. ჩემი კრიალისანი. „ქართული ემიგრაცია“. სამეცნიერო ჟურნალი. №1(4). თბილისი. 2013. გვ. 197.)

## ამეზი ბოზიბერიძე<sup>24</sup>

### 1. ბოზიბერიძე მემედ ხუშუტის კე (1882-1937)

ძველი რევოლუციონერისა და სახელმწიფო მოღვაწის ცხოვრება შევეცადეთ გაგვეშუქებინა წიგნში, „ოღონდ სამშობლო იყოს...“ შემედ გოგიბერიძე არაა შეტანილი ბათუმში სიკვდილით დასჯილთა სიებში ჩვენი ვარაუდით იგი თბილისის ციხეში გარდაიცვალა, ამიტომ მის ბიოგრაფიას აქ აღარ შევეხებით, მაგრამ დაუშვებთ გამონაკლისს და მკითხველს

მივაწვდით მხოლოდ მის ერთ გამოსვლას, რომელმაც მასზე მიძღვნილ წიგნში ასახვა ვერ ჰპოვა. ეს სიტყვა ნათლად გამოხატავს მემედ გოგიბერიძის პირდაპირობას და პრინციპულობას, მრწამსს და მისწრაფებებს და მას კიდევ ერთხელ ღირსეულ ქართველ მამულიშვილთა გვერდით აყენებს.

1920 წლის 9 მარტს ქობულეთში სედაიმიღეთელებმა ჩაატარეს კრება, რომელსაც მათი ლიდერი ხუსეინ-ალა დოხჩიროღლი თავმჯდომარეობდა. კრებას ესწრებოდნენ აგრეთვე სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის ქობულეთის განყოფილების თავმჯდომარე მემედ გოგიბერიძე და წევრები: ისკენდერ-ეფენდი ცივაძე, მემედ-ალა ჭყონია და შურად კაიკაციშვილი. კრების თავმჯდომარე მათგან მოითხოვდა ფიცი დაედოთ, რომ არ უღალატებდნენ მუსლიმანობას და არ მიემხრობოდნენ საქართველოს პოლიტიკას.



**მემედ ხუშუტის ძე  
გოგიბერიძე**

ამ წინადადებას უარყოფითად უპასუხა ისკენდერ-ეფენდი ცივაძემ: „მე ფიცს ვდებ, რომ იმათ, რომლებიც ჩვენი ხალხის ბედნიერებისთვის მუშაობენ, ხელი არ შეუშალო... რაც შეეხება სარწმუნოებას, ვფიცავ, რომ არც მიღალატია და არც ვუღალატებ.“

შემდეგ სიტყვა მისცეს მემედ გოგიბერიძეს, რომელმაც განაცხადა: „დეე, განვიგმირო მტრის მახვილით, აწიოკდეს ჩემი ოჯახი, თუ ოდნავადაც შევსცვალო ის იდეა, რომელსაც მე ვემსახურები, ფიცს ვდებ არ ვუღალატო სარწმუნოებას, მაგრამ ამავე დროს ვფიცავ, რომ არ ვუღალატებ ჩვენს ხალხს და სიკვდი-

ლამდე ვიბრძოლებ იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენი ხალხის შეუგნებლობით სარგებლობენ, ვინც ცბიერებით და მოქარგული სიტყვებით უმასპინძლდება ჩვენს ხალხს და ნამდვილათ კი სამარეს უთხრის და დაღუპვისკენ ერეკება მათ.



ეს თქვენს ადრესზეა თქმული ბატონო სედიამილეოთის ლიდერო! მე არ ვუსაყვედურებ არც ერთ ჩემ ძმას, რომლებიც შეუგნებლობით თქვენს კალთას შემოფარებია, მარა მე გამოვთქვამ ჩემს გულისწყრომას თქვენ შესახებ და უარყოფ თქვენ ავანტურისტულ გზას.“

ამის შემდეგ მემედ გოგიბერიძემ სედიამილეოთლებს წარუდგინა 6-პუნქტიანი დავალება, რომლის შესრულებისთვის ისინი 20 დღეს ითხოვდნენ. თუ ამ პუნქტებს განახორციელებთ, ჩვენ ხელს არ შეგიშლით სხვაგვარად თქვენი ლაპარაკი მხოლოდ ოცნებად დარჩებაო. მოთხოვნები კი ასეთი იყო: არ მიეღოთ საქართველოს გარდა არცერთი ქვეყნის პროტექტორატი; გამართავენ საყოველთაო, თანასწორ, ფარული კენჭის ყრით არჩევნებს; ჩაიბარებენ მართვა-გამგეობას; სამსახურიდან დაითხოვენ დენიკინელთა დამქაშ მუსლიმან ქართველებს; დენიკინელთა სამხედრო პირებს გამოუცხადებენ პროტესტს და შეწყვეტენ კავშირს ოსმალეთის, აზერბაიჯანის და ბოლშევიკების აგენტურებთან (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, №341, 21 აპრილი, 1920 წ.).

მემედ გოგიბერიძის მიმართ განხორციელებულ რეპრესიებზე განსხვავებული ცნობები გაგვანია. სახ. უშიშროების ოფიციალურ დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოს შინსახკომთან არსებულმა „სამეულმა“ 1937 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით სსკ 58-2 და 58-11 მუხლებით მემედ გოგიბერიძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

აჭარის ასრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 აგვისტოს ცნობაში მითითებულია სამეულის 19 ოქტომბრის დადგენილება. თარიღების აღრევა ხომ არ ნიშნავს ჩვენს მიერ არაერთხელ აღნიშნულ სიცრუეს, როცა თითქოსდა 10 წლის პატიმრობამისჯილები იმავე დღეებში დახვრიტეს?

მემედ გოგიბერიძე ბათუმში არ დაუხვრეტიათ. ის მართლაც თბილისში აღესრულა. ამაზე მეტყველებს თბილისის საგუბერნიო ციხის ტუსადის თენზილე ფაღავა-გვარიშვილის

მონათხრობი. მან თავისი თვალთ ნახა, როგორ გამოასვენეს საკნიდან გარდაცვლილი მემედი. თუმცა მისთვის უცნობია გარდაცვალების მიზეზი. ჩვენ კი გამოვთქვამთ ორ ვარაუდს: 1. შეიძლება პატიმარი მართლაც გარდაიცვალა გულის მწვავე უკმარისობით, ან 2. მასზე გამოყენებული ფიზიკური ზემოქმედებით საკანში მოუსწრაფეს სიცოცხლე, რაც უნდა მომხდარიყო 1937 წლის დეკემბერში, ან 1938 წლის იანვარში.

## 2. გოგიბერიძე ხუსეინ ხუშუტის ძე

ბათუმში დახვრეტილთა №1 სიაში ორჯერ შეტანილია ამ პიროვნების გვარი, სახელი და მამის სახელი. №186 და №245. ჩვენ ვერ დავადგინეთ ეს პიროვნება ერთიდაიგივეა თუ სხვადასხვა.

ხუსეინ ხუშუტის ძე გოგიბერიძე მემედის უმცროსი ძმაა. იგი 1884 წელს დაიბადა. ხუშუტს სამი ვაჟი დარჩა: მემედი, რიზა და ხუსეინი. ეს უკანასკნელი უფროსმა ძმამ ბათუმში ჩამოიყვანა და მასთან ერთად მუშაობდა ქარხნებში. 1904 წელს ჩაირიცხა მემედ გოგიბერიძის 30-კაციან შეიარაღებულ რაზმში, რომელიც ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობდა.

ხუსეინ გოგიბერიძეს მიანდევს აგრეთვე ბათუმიდან გური-აში ასაფეთქებელი მასალების და ყუმბარების გადატანა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ცნობილ ნასაკირალის ბრძოლებში. პლასტუნებთან შეტაკებისას დაჭრილი მემედი სწორედ ძმამ ხუსეინმა და სხვა რაზმელებმა გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან.

ხუსეინ გოგიბერიძის შემდგომი საქმიანობა უცნობია. მან ორჯერ იქორწინა. ასევე ინაიშვილთან შეეძინა ქალიშვილი გულია, რომელიც მემედ ხარაზზე იყო გათხოვილი. მისი მეორე მეუღლე იყო თუნთულ ჯაფარიძე. მასთან ყავდა შვილები ფატი (გათხოვილი დურსუნ ცივაძეზე), სემაეთი (ილია ინაიშვილის მეუღლე) და ლევანი (კუკუშა), რომელსაც ცოლად ჰყავდა იზოლდა ინაიშვილი. ამათი ქალიშვილია ნანა (როსტომ დუაძის მეუღლე).

## გობიტიძე რიზალი ხუსეინის კე

30-40-ანი წლების აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში თვალსაჩინო ადგილი უკავია რიზალი გოგიტიძეს.

იგი 1888 წელს დაიბადა ქ. ქობულეთში. თავის მამიდაშვილებთან ახმედ და მემედ დუმბაძეებთან ერთად განათლება ქუთაისის გიმნაზიაში მიუღია. ჭაბუკობის წლებში მისი საქმიანობის შესახებ მასალები არ გაგვჩნია, ხოლო მომდევნო წლებში მის მოღვაწეობაზე ცნობებს შევხვდით თანამედროვეთა (კარაღა ხალვაში) და თანამოგვარეთა (ზაურ გოგიტიძე) ჩანაწერებში.

კარაღა ხალვაში იგონებს 1917 წლის ისტორიულ მოვლენებს, ოქტომბრისა და თებერვლის რევოლუციებს და მის შემდგომ პერიოდს, როცა აჭარას უცხო ინტერვენტები (ოსმალები, ინგლისი) დაეპატრონენ. მხარის გათავისუფლებისთვის გამოჩნდნენ ენთუზიასტი მებრძოლები, რომელთა შორის ის ასახელებს: ხასან თხილაიშვილს, ყადირ შერვაშიძეს, მემედ გოგიბერიძეს, რიზალი გოგიტიძეს, რეჯებ ნიჟარაძეს, ჯემალ ფადავას, შაია ბოლქვაძეს, ჯემალ ნოლაიდელს, ინუს წულუკიძეს, პეტრე სურგულაძეს, მემედ აბაშიძეს, ნესტორ ერქომაიშვილს, ახმედ ბეჟანიძეს, კაპიტონ გოგოლაძეს, ჯემალ ქიქავას და სხვ.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში, როცა აჭარა ინგლისელებმა დატოვეს, მის დასაცავად 1920 წელს შეიქმნა დივიზიონი, რომლის ქვედანაყოფების ხელმძღვანელებად ზოგიერთი ზემოთდასახელებული პიროვნება, მათ შორის რიზალი გოგიტიძე დანიშნეს.

1921 წლის დასაწყისში, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარეს, მასრებში ჩატარდა საზეიმო კრებები, ქობულეთში კრების ჩატარება რიზალი გოგიტიძეს დაევადა, რომელიც ამ დროს თემის კომისარი იყო. ამ მოვლენას ასე აღწერს მაშინდელი გაზეთი: „კრებაზე ხალხს მოუძღოდნენ

თემის კომისარი რიზალი გოგიტიძე და ხუსეინ გოგიტიძე. გამოფენილი იყო ნოე ჟორდანიას პორტრეტი. კრება გახსნა ნესტორ ბასილაიშვილმა, შემდეგ კრებას მიესალმნენ: ალექსანდრე ცინცაბაძე, აკაკი გვახარია, მემედ გოგიბერიძე, ალთუნ რეჯების ასული შაშიკაშვილი და მოწაფე იუსუფ ცივაძე, რომლის სიტყვამ ხალხი აატირა“-ო, წერდა „ბათუმის გაზეთი.“

1921 წლის მარტში, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან, ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა იმავე აქტივისტების თავის საქმიანობაში ჩაბმა.

ბათუმში, აჭარის რეკომის ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარის ამბერკი ურუშაძის სახლში ზემოთდასახელებულ მოწინავე ადამიანებთან ერთად მოიწვიეს აგრეთვე: ოსმან ცენტერაძე, ხასან ბერიძე, ოსმან დოლიძე, გერმანე ჯიბლაძე, აკაკი სურგულაძე, ალალი ბოლქვაძე, ზექერია ლორთქიფანიძე, ჯემალ ხალვაში, შერიფ აბდიბა, სულეიმან სარჯველაძე და სხვ. ამ შეკრებაზე გადაწყდა შეექმნათ ღარიბთა (ფუხარათა) კომიტეტი, რომელმაც შემდგომში საფუძველი ჩაუყარა აჭარის ახალ მეჯლისს, ცაკ-ს და მთავრობას.<sup>25</sup>



**რიზალი ხუსეინის ძე  
გოგიტიძე**

რიზალი გოგიტიძის ავტორიტეტზე მეტყველებს, რომ ის 1921 წლის ოქტომბერში ხულოს მაზრის მილიციის უფროსად გაამწესეს, სადაც 1923 წლის ბოლომდე დარჩა.<sup>26</sup> მან იქ შეცვალა ზაბით-ბეგ ჯემალის ძე ხიმშიაშვილი.

1923 წლის 3 იანვარს რიზალი გოგიტიძე აჭარის შს სახალხო კომისრის კირილე თავბერიძის მოადგილედ და ბათუმის ოლქის

მილიციის უფროსად დააწინაურეს, ამ თანამდებობაზე 1925 წლის 28 მარტამდე დაჰყო.

1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ აჭარაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ბათუმში შეიქმნა „ხუთეული,“ თახსიმ ხიმშიაშვილის მეთაურობით. მან მაზრებში მიაგვლინა მილიციის გამოცდილი ხელმძღვანელები, რომლებმაც ადგილებზე შექმნეს აქტივისტთა მცირე ჯგუფები. ქობულეთში ეს საქმე რიზალი გოგიტიძეს დაევალა. მთავრობა თვლიდა, რომ აჭარას აჯანყების საფრთხე გურიიდან მოელოდა. ამიტომ რ. გოგიტიძეს გურიის ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვა მოუხდა.

სახელმწიფო დამნაშავეებთან, განსაკუთრებით კონტრაბანდისტებთან დევნა გაძნელდა იმის გამო, რომ ღარობი მოსახლეობა იაფი საქონლის და კაპიკების ხარჯზე ხელს აფარებდა მათ. აჭარის მთავარი მილიციელი რიზალი გოგიტიძე ასეთების მიმართ დამნდობი და გულმოდგინე აღმოჩნდა. იგი ყოველთვის ცდილობდა განესხვაგებინა ნამდვილი დამნაშავე და მისი უნებლიე ხელის შემწყობი.

1925 წლის მარტიდან რ. გოგიტიძე ქობულეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეა. ამ თანამდებობაზე იგი 5 წელს დარჩა. იმ დროისთვის, როცა ხელმძღვანელები ყოველწლიურად იცვლებოდნენ, ეს ვადა სარეკორდო აღმოჩნდა.<sup>27</sup> 1929 წელს რიზალი აჭარის ცაკ-ის წევრად აირჩიეს.

1930 წელს რიზალი გოგიტიძე აჭარის სახ. პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილეა. როგორც ცნობილია ამ დროიდან ე. წ. გპუ-მ აამუშავა რეპრესიების მანქანა, მტყუან-მართალს აღარავინ არჩევდა, რაც სამართლის დაცვაში გამობრძმედილი რიზალი გოგიტიძისთვის სრულიად მიუღებელი იყო. გახშირდა უთანხმოება უფროსსა და მოადგილეს შორის, რის გამოც რ. გოგიტიძემ გაცლა და რიგით ადამიანებთან ახლოს ყოფნა არჩია.

1933 წელს იგი ზექერია ლორთქიფანიძემ აჭარის ცაკ-ში გადაიყვანა და მომთაბარეთა რწმუნებულად დანიშნა\*, ხოლო სამი წლის შემდეგ აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობის დირექტორად დანიშნეს. სწორედ ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს მოუსწრო მას უსამართლობამ. მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ ბეშუმში მყოფ რიზალის აცნობა ცოლისძმამ ოსმანმა და ურჩია თურქეთში გადასულიყო, მაგრამ მან კარგად იცოდა რა მოელოდა ოჯახსა და ცოლ-შვილს, თანაც ალაღმართალი კაცი იმედს არ კარგავდა, რომ უდანაშაულო იყო და საშიშროება არ მოელოდა. ამიტომ იგი ბათუმში დაბრუნდა.

1937 წლის 5 ოქტომბერს რიზალი გოგიტიძე დააპატიმრეს; როგორც ყველა პატიოსან და ჭეშმარიტ ხალხის მსახურს, მასაც წაუყენეს ყაღბი ბრალდებები, სამეულმა 1937 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, რაც ბათუმში მოიყვანეს სისრულეში. ოჯახს კი აცნობეს, რომ იგი თითქოს 1939 წლის 5 მარტს კუჭ-ნაწლავის დაავადებით გარდაიცვალა.

აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გადასინჯა რიზალი ხუსეინის ძე გოგიტიძის ბრალდების საქმე და 1937 წლის 15 ოქტომბრის სამეულის გადაწყვეტილება გააუქმა ბრალდების უსაფუძვლობის გამო. რიზალი გოგიტიძე სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულია.

რიზალის ოჯახის უბედურება ამით არ დამთავრებულა. მეუღლეს ემინე მანელიშვილი-გოგიტიძეს ჩამოართვეს მიწის ნაკვეთი ციხისძირში და ბინა ქ. ბათუმში, 4 შვილის (რიფათი, რედიფე, მურადი, ოთარი) აღზრდა მარტომ იკისრა. უფრო მეტიც, მეორე მსოფლიო ომის დროს ემინემ შეიფარა სრულიად

---

\* ამ თანამდებობაზე ყოფნისას მას ურთიერთობა ჰქონდა არა მარტო აჭარის, არამედ მეზობელი გურიის მოსახლეობასთან. იგი ძალზე დაუახლოვდა თავის გურულ სახლიკაცებს და მათი სიყვარულიც დაიმსახურა. პოლკოვნიკმა და სამხედრო ისტორიკოსმა **მამუკა გოგიტიძემ** მიაბზო, რომ მისმა ბაბუამ, ოზურგეთის მაზრის სოფ. ჭოგნარში მცხოვრებმა **ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე გოგიტიძემ** რ. გოგიტიძის პატივსაცემად შვილს რიზალი დაარქვა (ავტორი).

უცნობი ობოლი მოსწავლე, რომელსაც ერთი წლის მანძილზე საკუთარ შვილსავით უვლიდა.

დღეს რიზალი და ემინე გოგიტიძეების ოჯახის კეთილ საქმეებს აგრძელებენ შვილიშვილები იზო, ციური, ჯემალი, ნანა, ნევრესტანი და მათი მომდევნო თაობა.

### **დავითაძე რიზა ეუზის ძე**


დაიბადა 1864 წელს სოფელ ტბეთში. უმაღლესი სასულიერო და იურიდიული განათლება მიიღო სტამბოლში. 1905 წელს დაბრუნდა სამშობლოში და წლების მანძილზე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურებოდა ქობულეთში, დღვანსა და ქიძინიძეებში. ძალზე პროგრესული და ბრძენი კაცი 1921 წელს ხულოს რაიკომის წევრად აირჩიეს.

1924 წელს რიზა დავითაძის თაოსნობით სოფ.ტბეთში, მისი ბიძაშვილის იუსუფ დავითაძის კერძო სახლში გაიხსნა სკოლა. რიზა ამ სკოლაში ლათინურ და თურქულ ენებს ასწავლიდა.

1937 წლის სექტემბერში რიზას ესტუმრა ნათესავი ქერემ დავითაძე, რომელმაც განუცხადა, რომ საბჭოში გეძახიანო, გამოცხადდები, რაღაცას შეგეკითხებიან და გამოგიშვებენო. რიზამ დაუჯერა ქერემს და გაყვა, მაგრამ იგი მაშინვე დააპატიმრეს და ბათუმში წაიყვანეს.

სამეულმა რიზა დავითაძეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა განუსაზღვრა, რაც 1937 წლის 20 ოქტომბერს ბათუმში მოიყვანეს სისრულეში. მის შესახებ ოჯახმა არაფერი იცოდა და სინამდვილე მხოლოდ ჩვენი სიების გამოქვეყნების შემდეგ გაიგეს.

რიზა დავითაძემ დიდი ოჯახი დატოვა. მის შვილიშვილთაგან იოსები ბათუმის მუზეუმის დირექტორი და



**რიზა ეუზის ძე  
დავითაძე**

საკმაოდ განსწავლული მეცნიერი იყო. შვილიშვილი რეზო ბათუმის განათლების განყოფილებას ედგა სათავეში, ხოლო მეორე შვილიშვილი, რომელთანაც ინახება რ.დავითაძის წიგნები და სახელმძღვანელოები, მურმანი, ბათუმის უნივერსიტეტის სრული პროფესორი და მაღალი კვალიფიკაციის ბოტანიკოსია. რიზა დავითაძე ამჟამად რეაბილიტირებულია.

### დუმბაძე ოსმან ხუშუტის ძე

დაიბადა 1907 წელს ქვემო აჭარაში (ქედის რ.). მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ იგი საკუთარ სახლში კერძო მეურნეობას ეწეოდა. სწავლობდა წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლაში. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივიდან მოძიებულ მასალებში ოსმან დუმბაძე შეტანილია ბათუმში სიკვდილით დასჯილთა №1 სიაში (რიგითი №235). იგი 1937 წლის 23 აგვისტოს დააპატიმრა ბათუმის სასაზღვრო რაზმმა სსკ 58-6 მუხლის საფუძველზე. საბუთში არ ჩანს სასჯელის ზომა, მაგრამ ნათქვამია, რომ საქართველოს შინსახკომის სამეულის 1937 წლის ოქტომბრის დადგენილებით ოსმან დუმბაძე გაათავისუფლეს. მიუხედავად ამისა, გაუგებარია ეს პიროვნება რატომ შეიტანეს ბათუმში დახვრეტილთა სიაში. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების I პუნქტის თანახმად, 52 წლის გასვლის შემდეგ, ოსმან დუმბაძე რეაბილიტირებულია.


ოსმან დუმბაძის სასწავლებლებივად გადარჩენის შესახებ ჩვენ ვსაუბრობთ ამავე წიგნის შესავალში (იხ. გვ. 7); ჩვენს ხელთ არსებული მწირი მასალები შეავსო ბათუმის რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა **გუგუული დუმბაძემ**, რისთვისაც მას გულითად მადლობას ვუხდით.

მკითხველს ვთავაზობ ქალბატონ გუგულის მიერ მოწოდებულ ცნობას.

ოსმან ხუშუტის ძე დუმბაძე დაიბადა ქედის რაიონის სოფელ მკიბნაში, 1906 წელს. ოჯახში სულ სამი იყვნენ – ორი ძმა



და ერთი და. ოჯახი თავს საკუთარი მეურნეობით ირჩენდა. ოსმანს ცოლად ჰყავდა იმავე სოფელში მცხოვრები ჰიდაეთ დუმბაძე. 1914 წელს ოჯახი გადასახლდა ბათუმის რაიონის სოფელ მახვილაურში. მაგრამ აქ მაშინ ციებ-ციხელება იყო გავრცელებული, ამიტომ იძულებული გახდნენ, ისევ მთას დაბრუნებოდნენ, ბარში კი საცხოვრებლად პერიოდულად ჩამოდდიოდნენ.



ოსმან ხუშუტის ძე  
დუმბაძე

ზაფხულობით მეძიბნის მოსახლეობას პირუტყვი საბალახოთ ნაკონდვარის მთაში მიჰყავდა („ნაკონდვარი“ თურქულად ძველ სადგომს ნიშნავს). ადრე საქართველოდან შავშეთისკენ მიმავალი ქართველი თუ თურქი მგზავრები აქ ჩერდებოდნენ ღამის გასათევად, მოგვიანებით კი აქ ადგილობრივმა მოსახლეობამ საზაფხულო იაილები გააშენა და დაიწყო ამ ადგილების საძოვრებად გამოყენება.

1937 წლის 7 აგვისტოს ოსმანი მეზობლის დასახმარებლად დაკარგული ძროხის მოსაძებნად გაეშურა. თურქეთისა და საბჭოთა საქართველოს სასაზღვრო ნაწილში ძებნისას, იქვე, შორიახლოს მჯდომმა თურქმა მას თამბაქო მოსთხოვა. ოსმანს არ ჰქონდა, უარი უთხრა და გზა განაგრძო. როგორც კი საქონელი გამოიყვანა, მას გადაუდგა მაშინდელი სასაზღვრო უბნის უფროსი, ვინმე **დოლიძე**, წამოიყვანა მთიდან და დაკითხა აჭარისწყლის სასაზღვრო პუნქტში. ოსმანს ძვირფასი ტანსაცმელი ემოსა, ჩოხა-ახალუხი, ბოხოხი, ქუდი და ვერცხლის ქამარი, ამიტომ ცილი დასწამეს ჯაშუშობაში (თურქთან გამოლაპარაკების გამო) და კონტრაბანდაში, რომლის დამადასტურებელ საბუთად მისი ჩაცმულობა მიიჩნიეს. გახადეს ძვირფასი ტანსაცმელი, სასტიკად სცემეს და ჯერ ბათუმის ციხეში მოათავსეს, ხოლო შემდეგ კი მეტეხის ციხეში გადაიყვანეს. აქ სამი თვის განმავლობაში,



ნახევრად შიშველი, ქვის იატაკზე იწვა. დასაწყისში მას სასამართლომ სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა, სამი თვის შემდეგ გაამართლეს, მაგრამ მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ღია ფორმის ტუბერკულოზით მძიმედ დაავადებული, მომაკვდავი ოსმანი ციხემ თავიდან მოიშორა და, როგორც უიმედო, მორგში დატოვა. ამ დროს იქვე, ციხეში ექიმად მუშაობდა ვინმე **მითაგვარია** (?), რომელმაც ციხის ადმინისტრაციისგან ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პრეპარატის გამოსაცდელად ოსმანი 9 მანეთად გამოისყიდა და ჰოსპიტალში გადაიყვანა. მკურნალობამ წარმატებით ჩაიარა და ოსმანმა 2 თვის შემდეგ თავი უკეთ იგრძნო. ექიმმა ბათუმში მოღვაწე ცნობილ ექიმს, **ვალერიან მაქაცარიას** სთხოვა, რათა მკურნალობის კურსი გაეგრძელებინა, ოსმანის ახლობლები მოძებნა და ბათუმში გადმოაგზავნა. ერთი წლის განმავლობაში ოსმანს აქ მკურნალობდნენ და ისე გამოკეთდა, რომ მთას დაუბრუნდა.



ოსმან ხუშუტის ძე დუმბაძე და მისი ბიძაშვილი ემინე.

ოსმანს შეეძინა ოთხი შვილი, მათგან ქალ-ვაჟი (ერთი და ოთხი წლის ასაკში ინფექციური დაავადებით (ყვავილი და წითელა) გარდაიცვალნენ. გადარჩნენ ორი ვაჟი – სულიკო და ავთანდილი.

მთაში, ფიზიკური მუშაობის დროს ოსმანს ძველმა კერამ თავი შეახსენა, იგი გაიხსნა და პირიდან სისხლდენა დაეწყო. ამ შემთხვევის შემდეგ მას ორ წელს მწოლარეს უვლიდნენ, წამალს ბათუმიდან ეზიდებოდნენ, მაგრამ მდგომარეობა აღარ გამოკეთებულა. ის 1942 წლის 18 აგვისტოს გარდაიცვალა.

ოსმანის ვაჟს, სულეიმანს, დაბადებულს 1929 წელს, შეეძინა რვა შვილი, მათგან ერთი ვაჟი ნუგზარი, 19 წლის ასაკში 1985 წელს, სამხედრო მოვალეობის შესრულების დროს დაღუპა. ჰყავს 20 შვილიშვილი და 17 შვილთაშვილი.

მეორე ვაჟი ავთანდილი საცხოვრებლად დაქვედრდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახვილაურში. იგი დაქორწინდა იქვე მცხოვრებ ზინა ბერიძეზე, შეეძინათ ექვსი შვილი, ჰყავთ 15 შვილიშვილი და ხუთი შვილთაშვილი.

ავთანდილის ქალიშვილი ასმათ დუმბაძე, წლების მანძილზე აჭარის უმაღლესი სასამართლოს, შემდეგ კი საბაჟოსა და საგადასახადო სამსახურის მთავარი ბუღალტერი იყო.

მისი მეორე ქალიშვილი – გუგული დუმბაძე, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, 1993 წლიდან მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოცენტად, ხოლო 2006 წლიდან ასოცირებული პროფესორი და 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

## **ზაქარიაძე სულეიმან ყაჯმაყის ძე**

ამ პიროვნების შესახებ თხრობას მისი სიცოცხლის აღსასრულით დავიწყებ, რაც წიგნის შესავალშიც ვთქვი. საგანგებო კომისიაში მისულმა სულეიმანმა შეძლო აბუხარი გამომძიებლის შეკითხვების მოგერიება, ყველა კითხვაზე პასუხი გასცა და თავიც იმართლა, მაგრამ უკმაყოფილო ჩეკისტმა მისი წამება რომ დააპირა, ფიზიკურად ძლიერმა პატიმარმა გამომძიებელს ხელი დაავლო, ფანჯრის ბადურას მიანარცხა და მესამე სართულიდან ძირს გადაუშვა. მეორე ოთახიდან სხვები შემოცვივდნენ, გამძვინვარებული პატიმარი ძირს დასცეს და ჩექმების ცემით ამოხადეს სული.

სულეიმან ზაქარიაძე 1900 წელს დაიბადა ქვემო აჭარის უბნის სოფელ კიბეში, ცნობილი მოღვაწის ყვდიმ ზაქარიაძის ოჯახში.

სულეიმანის მამას ყედემ ზაქარიამეს თანამედროვენი იგონებდნენ, როგორც ზრდილ და დარბაისელ პიროვნებას. მან წერა-კითხვა ნაცნობ-მეგობრებისგან, კერძოდ ლუკა ანდღულაძისგან ისწავლა, რამაც ხელი შეუწყო გაცნობოდა ქართველ საზოგადოებრიობას. მისი ინიციატივით აჭარისწყალზე გაიხსნა სკოლა. თანაც მოითხოვა, რომ ქართული ენის და ლიტერატურის სწავლება სავალდებულო ყოფილიყო ისევე, როგორც რუსულისა. ამ მხრივ ცარიზმის დროს აჭარისწყლის სკოლა ერთ-ერთი გამონაკლისი იყო.

სულეიმანმა პირველდაწყებითი განათლება მამის მიერ გახსნილ სკოლაში მიიღო, შემდეგ დაამთავრა ბათუმის საქალაქო სასწავლებელი (აპოლონ წულაძე, ძმური სიტყვა. ბათუმი. 1991 წ. გვ. 24).



**სულეიმან ყედუმის ძე  
ზაქარიამე**

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალგაზრდა, 21 წლის სულეიმანი აჭარისწყლის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარედ დანიშნეს, შემდეგ მოადგილედ გადაიყვანეს, თუმცა 1923 წელს კვლავ თავმჯდომარის თანამდებობაზე დააბრუნეს. ერთი წლის შემდეგ ბათუმის სავალტო ბირჟის გამგედ გადაიყვანეს. მალე ბათუმში შეიქმნა საფონდო-სავალტო ბირჟის კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ სულეიმან ზაქარიამე დანიშნეს.

1926 წელს სულეიმანი საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულია აჭარის

ავტონომიურ რესპუბლიკაში და პრაქტიკულად ასრულებდა ფინანსთა სახალხო კომისრის მოვალეობას, მანამ სანამ არ დააპატიმრებდნენ.

1937 წლის სექტემბერში სულეიმან ზაქარიადე სახელმწიფოს დაღატის ბრალდებით დააპატიმრეს. სამეუღლე მას სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა; როგორც აღენიშნეთ, იგი დაკითხვის დროს დაიღუპა, საარქივო საქმეებში კი მითითებულია, რომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი 1937 წლის 21 ოქტომბერს მოიყვანეს სისრულეში.

სულეიმან ზაქარიადე სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულია.

## თავდგირიძეები

### 1. ზექერია თავდგირიძე, ოსმან ღაზითაძე

1937 წლის რეპრესიებს შეეწირა ახალდაბელი (შუახევის რ.) ზექერია თავდგირიძე. მის ოჯახს ერთი დიდი ტრაგედია 22 წლით ადრე დაატყდა თავს. 1914 წლის ბოლოს რუსეთის ხელისუფლებამ აჭარლებს გამოგონილი დაღატი დასწამა და გენერალმა გუბსკიმ 192 კაცი სასიკვდილო განაჩენის აღსასრულებლად ხიჭაურში შეყარა.

დაიწყო ჩამოხრჩობების ცერემონიალიც. პირველნი ეშაფოტზე აიყვანეს ჩანჩხალოელი შახველედ დიასამიძე და ახალდაბელი თუფან-ბეგ თავდგირიძე. საბედნიეროდ დარჩენილებს მოუსწრო განსაკუთრებულმა ბრძანებამ (ზოგი ცნობით სტეფანე ქემხაძის მიერ მოძიებულმა საქმე №7-მა) და შეჩერდა სიკვდილით დასჯა.

ზექერია თავდგირიძე 1884 წელს დაიბადა სოფელ ახალდაბაში. იგი ცნობილი ქობულეთელი თავდგირიძეების, კერძოდ ხასან-ბეგ თავდგირიძის ერთ-ერთ შტოს მიეკუთვნება, რომელიც ჯერ მახუნცეთში, შემდეგ ახოსა და ახალდაბაში დასახლდა.

ზექერია გონებაგახსნილი და საკმაოდ შორსმჭვრეტელი კაცი იყო. უდანაშაულო მამის დასჯამ მასზე ძალზე ცუდი გავლენა მოახდინა. მან ცარიზმის დამამხობელ კომუნისტურ წყობილებას იმთავითვე ნდობა გამოუცხადა და ჩაება შრომის ფერხულში.

ზ. თავდგირიძე ერთ-ერთი პირველთაგანი შევიდა მიწის დამამუშავებელი ამხანაგობის რიგებში და მისი ხელმძღვანელი გახდა. ასევე პირველი გაწვევრიანდა სასოფლო სამეურნეო არტელში. ოჯახური განათლებისა და თვითნაბადი ნიჭის პატრონი მოერიდა საბჭოთა ხელისუფლების თანამდებობებზე მუშაობას და საკუთარ მეურნეობაზე მიხედვა და სოფლის კეთილდღეობისთვის ზრუნვა არჩია.

მოყვრების, ოსმან დავითაძის, ზექერია ლორთქიფანიძის და მისი მეუღლის ესმა დავითაძის დაპატიმრების, ხოლო სიძის ნური დავითაძის და მისი ძმის იუსუფის, ბიძის ქერემ დავითაძის თურქეთში გაქცევის შემდეგ, ზექერია თავდგირიძეს მშვიდად ვინდა გაახერებდა. ეს კარგად იცოდა მან და სოფელში საკუთარი სახლის ახლო-მახლო აფარებდა თავს. თუმცა ჩეკას რას გამოაპარებდი, უშიშროების აგენტებმა იგი შეიპყრეს და სამეუფლს გადასცეს.

ზექერიას ორი ვაჟი ახმედი და ქაზიმი და ორი ქალიშვილი დარჩა. უფროსი ქალი უმიანი სოფ. ტბეთში მცხოვრებ ნური დავითაძეს მისთხოვდა, ხოლო უმიანის და ნურის ქალიშვილი ესმა ცნობილი ზექერია ლორთქიფანიძის მეუღლე გახლდათ.

ზექერია თავდგირიძემ და ოსმან დავითაძემ სოფელ ფერიაში (ხელვაჩაურის რ.) თურქეთის ქვეშევრდომ, ვინმე ყარაოსმან-ოღლისაგან შეიძინეს 1, 5 ჰექტარი მამული და როგორც კარგ მოყვარეს შეეფერებოდა, ძმურად ცხოვრობდნენ მანამ, სანამ რეპრესიების ბედისწერამ არ უწიათ. ოსმანი შეტანილია სსრკ პოლიტიბიუროს წევრთა მიერ ხელმოწერილ სიაში და 1937 წლის 10 აგვისტოს მიკუთვნებულია I კატეგორიას. იგი წამებით ბათუმის ციხეში მოკლეს, ხოლო ზექერია, ასევე ნაწამები, 1937 წლის 28 სექტემბერს ფაღსიფიცირებული გასამართლების დღესვე დახვრიტეს. აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ 1958 წლის 20 თებერვალს ზექერია თავდგირიძეს სიკვდილის შემდეგ აღუდგინა მოქალაქეობრივი უფლებები.

## 2. თავდგირიძე ოსმან ხუსეინის ამ

ოცდაათიანი წლებების რეპრესიების ტალღამ განსაკუთრებით დააზარალა თავდგირიძეთა გვარი. ბევრმა თურქეთში გაქცევით გადაირჩინა თავი. თუმცა ისინი, ვინც ვერ შეეღია სამშობლოს და ოჯახს, ძალმომრეობის მსხვერპლი გახდა. ამ გვარიდან შვიდ პიროვნებას შეეხო დიდი უსამართლობა, მათ შორის ხუთი სიკვდილით დაისაჯა, ხუთეულის სიაშია ოსმან ხუსეინის ძე თავდგირიძე, 1889 წელს დაბადებული ქ. ბათუმში. საშუალო განათლება ბათუმში მიიღო, ხოლო უმაღლესი განათლებისთვის ქ. ოდესას მიაშურა და ოცდაათიანი წლების შუახანებში იურისტის დიპლომით სამშობლოში დაბრუნდა.

ჩვენთვის უცნობია, სად მიიღო ოსმანმა პირველი შრომითი ნათლობა. 1925 წლიდან კი მისი თანამდებობრივი აღმასვლის საბუთები აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება.

1925 წლის 10 აპრილს ოსმან თავდგირიძე დანიშნეს აჭარისწყლის მაზრის სახალხო მოსამართლედ. ამის შემდეგ ის ხშირად იცვლის თანამდებობებს, მაგრამ ეს იმ დროისთვის დამახასიათებელი მოვლენაა და არაა გამოწვეული თვით ამ პიროვნების მიზეზით ან კარიერისკენ სწრაფვით.

25 დეკემბერს იგი დანიშნეს აჭარის რესპუბლიკის პროკურატორის თანაშემწედ ვაჭრობის, კოოპერაციის და საფინანსო სექტორში.

1928-1929 წლებში ოსმან თავდგირიძე ხულოს მაზრის სახალხო მოსამართლეა, ხოლო აქედან ქ. ბათუმის პირველი უბნის სახალხო მოსამართლედ გადმოჰყავთ.

1934 წლის 31 მარტიდან ოსმან თავდგირიძე რამდენიმე თვის განმავლობაში ასრულებდა აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობას. იმავე 1934 წლის 31 მარტს ოსმან თავდგირიძე აჭარის ასსრ უზენაესი სასამართ-



ოსმან თავდგირიძე (მარჯვნიდან პირველი).

ლოს თავმჯდომარედ დანიშნეს, სადაც 1937 წლის ბოლომდე დაპატიმრებამდე დაჰყო.<sup>27</sup>

1937 წლის დეკემბრის დასაწყისში ოსმან თავდგირიძე დააპატიმრეს. საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა განსაკუთრებულმა სამეულმა 2 მარტს, სსკ 58-8 და 58-10 მუხლებით, სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯა. საარქივო დოკუმენტები არ იუწყებიან განაჩენის სისრულეში მოყვანის თარიღს.


ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წლის 27 ივლისის №1601 განაჩენით სისხლის სამართლის საქმე ოსმან ხუსეინის ძე თავდგირიძის მიმართ წარმოებით შეწყდა, მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის უარსებლობის გამო და იგი რეაბილიტირებულია.



### 3. თავდგირიძე ხემიდ ისკენდერის კე

თავდგირიძეთა ხუთეულის სიაში მოხვდა ხემიდ თავდგირიძეც. იგი 1897 წელს დაიბადა სოფ. ცხმორისში (ქედის რ.). ხემიდი ცხმორისის ცენტრში ცხოვრობდა, ჰქონდა ორსართულიანი სახლი და შეძლებული ოჯახის უფროსად ითვლებოდა. ექვსი შვილის პატრონი ფლობდა სამკერვალოს, მღაზიას, პურის საცხობს.

ხემიდ თავდგირიძე პირველად 1933 წელს დააპატიმრეს. მაშინ მას ბრალდებოდა 1929 წლის აჯანყების მონაწილეთა მხარდაჭერა. მართლაც ხემიდი აშკარად გამოვიდა ჩადრის ახდის დროს იძულებისა და ძალადობის წინააღმდეგ, ხელისუფლებას ურჩევდა, ეს საქმე თვით ხალხისთვის მიენდოთ და თანდათანობით თავისით მოგვარდებოდა. ხელისუფლება დარწმუნდა, რომ ამ პროცესში მართლაც დაუშვეს შეცდომა და ხემიდი გაათავისუფლეს. გაირკვა აგრეთვე, რომ მისი დაპატიმრება მთლიანად ქედის შინსახკომის უფროსის დომენტი იმედაძის დამსახურება იყო. თურმე ერთხელ მან თვითნებურად სცადა ხემიდისთვის ხელბორკილები დაედო, მაგრამ თავდგირიძემ თვითონ შებოჭა მოძალადე, შემდეგ იმედაძეს ვიღაც გლეხი წამოეხმარა და ხემიდ თავდგირიძე დააპატიმრეს.<sup>28</sup> მის მიმართაც სასიკვდილო განაჩენი ბათუმში მოიყვანეს სისრულეში. საარქივო დოკუმენტებიდან არ ჩანს, როდის მოხდა ეს. არც ის ვიცით, რა მუხლები წაუყენეს, თუმცა, ამ საბედისწერო მუხლებს ბევრი ძებნა არ სჭირდება. რაკი პირველ კატეგორიას მიაკუთვნეს



ხემიდ ისკენდერის კე  
თავდგირიძე

და დახვრიტეს, აშკარაა, რომ იქნებოდა 58-2 და 58-11 მუხლები, როგორც ყველა განწირულისა. ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს სსრ შსს კომისარიატის სამუელმა სასიკვდილო განაჩენი ხემიდ ისკენდერის ძე თავდგირიძეს 1937 წლის 15 ოქტომბერს გამოუტანა. ამის შემდეგ, როგორც სხვების, მის მიმართაც ალბათ რამდენიმე დღის შემდეგ აღსრულდა ჯალათთა ნება.

1963 წლის 29 აგვისტოს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გადასინჯა ხ. ი. თავდგირიძის ბრალდების საქმე და იგი წარმოებით მოსპო დაუდასტურებლობის გამო. ხ. ი. თავდგირიძე რეაბილიტირებულია.

### **თურმანიძე შაქირ ყიფიანის ძე**

დაიბადა 1905 წელს ს. უჩამბაში (შუახევის რ.). პირველდაწყებითი განათლება სოფლის სკოლაში მიიღო. 1921-1924 წლებში მუშაობდა იმავე სკოლის კურიერად, სადაც მიიღეს კომკავშირის რიგებში.

1924-1926 წლებში შაქირ თურმანიძე სწავლობდა პარტიულ სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ხულოს კომკავშირის რაიოკომის მდივნად დანიშნეს, აირჩიეს პარტიის რაიოკომის წევრად. პარალელურად დაამთავრა მუშგაკი.

1928-1929 წლებში შ. თურმანიძე აჭარის პროფსაბჭოს თავმჯდომარეა, 1930 წელს მიიღეს სკკპ წევრად. მომდევნო წლებში მუშაობდა ცხოველდამზადების კანტორის გამგედ და „ზაგოტზერნოს“ დამამზადებლად.

1936 წელს შ. თურმანიძე დანიშნეს ხულოს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ინსტრუქტორად, შემდეგ გამგედ.

ზექერია ლორთქიფანიძის დაპატიმრებამდე ჯერ მის ახლობლებს დაერივნენ (შაქირი მისი დის შვილი იყო). 1937 წლის

აგვისტოში იგი დააპატიმრეს. შაქირ თურმანიძეს ბრალად ედებოდა, რომ 1935 წლიდან იყო კონტრრევოლუციური მემბოხე ორგანიზაციის წევრი და ხელმძღვანელობდა ოთხკაციან ჯგუფს, რისთვისაც დებულობდა გასამრჯელოს. აჯანყების შემთხვევაში განზრახული ჰქონდა ჩაბმულიყო ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.



შაქირ ყემბერის ძე  
თურმანიძე

საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეული“-ს 1937 წლის 19 აგვისტოს დადგენილებით სსკ 58-2 და 58-11 მუხლების საფუძველზე შაქირ თურმანიძეს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯეს, რაც მეორე დღეს, 20 აგვისტოს მოიყვანეს სისრულეში.<sup>29</sup>

შაქირ თურმანიძის მეუღლე იყო ბათუმელი ხასან ჭიჭინაძის ქალიშვილი სურბიე, რომელთანაც შეეძინა ერთი გოგო ფადიკო (გულნარა). იგი გათხოვდა გურამ გორგოშაძეზე. მათი შვილები ნაირა და შაქრო ამჟამად ბათუმში ცხოვრობენ.\*

## ირემამე თეარ ეუბის ძე

1937 წლის ერთ-ერთი მსხვერპლის ირემაძის მხოლოდ გვარი და მამის სახელი (ეუბის ძე) ვიცოდით. დახვრეტილთა სიებში მისი უცხო გვარი, მუთეველ-ოღლი ჩაუწერიათ, მაგრამ სახელის გარეშე ამ პიროვნების ვინაობის დადგენა გაგვიძნედა.

\* შაქირის ბიოგრაფია და ფოტო გადმოგვცა შვილიშვილმა ნაირამ, რისთვისაც მის მიმართ მადლიერებას გამოვთქვამ.

ირემადეები უპირატესად ქობულეთში და ხულოში ცხოვრობენ, ამიტომ ჩვენც დახმარებისთვის ამ რაიონების თანამოგვარეებს მივმართეთ.

ღორჯომის ხეობის მკვიდრი იოსებ ირემადე წერილით გამოგვეხმაურა:

*„ბატონო რამაზ!*

*თქვენთვის საინტერესო პიროვნების სახელი-გვარი და მამის სახელი ასე აღწერეს: ირემადე თეარ ეუბის ძე, ცხოვრობდა ხულოს რაიონის, ღორჯომის სასოფლო საბჭოს სოფელ ადაძეებში. დაბადების თარიღი არ იციან. „მუთეველ-ოღლი“-ს ამ გვართან არავითარი საერთო არა აქვს.*

*ოჯახის წევრთა გადმოცემით შიდამეურნეობას ეწეოდა, პოლიტიკასთან საერთო არ ჰქონდა, იყო ენაწელიანი, გართობა-მხიარულების მოყვარული... იგი დააპატიმრეს ავადსახსენებელ 1937 წლის შემოდგომაზე და ოჯახში დღესაც არაფერი იციან მის შესახებ”.*

ბატონ იოსებს დიდი მადლობა ამ ცნობის მოწოდებისთვის. ჩვენ განვაგრძეთ კვლევა-ძიება და დავადგინეთ, რომ თეარ ეუბის ძე ირემადე დაბადებულია 1875 წელს ხულოს რაიონის სოფელ ადაძეებში. იგი შეტანილია სამეულის მიერ შედგენილ მეორე სიაში (№295), მიესაჯა სასჯელი უმაღლესი ზომის დახვრეტა, რაც 1937 წლის ოქტომბერში ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

## **ბაკანაძე სემასტი მასილის ძე**

დაიბადა 1895 წელს ჭიათურაში, პარტიის წევრი იყო 1928 წლიდან. 1932-1937 წლებში მუშაობდა ბათუმის ავტოტრესტის უფროსად. პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიუროს 1937 წლის 8 ოქტომბრის (ოქმი №17/32) დადგენილებით გაირიცხა პარტიის რიგებიდან, როგორც „ხალხის მტრის“ – ბაგრატიონის ხელშემწყობი და მასალები გადაეცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი-ატთან არსებული „სამეურლის“ 1937 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით სევასტი კაპანაძეს მიესაჯა დახვრეტა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს ბათუმში 1937 წლის 22 დეკემბერს. მამის დაპატიმრების შესახებ მისი შვილი, ამჟამად თბილისში მცხოვრები, ელენე სევასტის ასული კაპანაძე წერდა: „1937 წლის ნოემბერში, მაშინ მე ორი წლისა ვიყავი, ჩვენთან სახლში მოვიდნენ უცნობი ადამიანები, გაჩხრიკეს მთელი ბინა, წაიღეს ძვირფასი ნივთები, ყველა დოკუმენტი და წაიყვანეს მამაჩემი. მე კარგად მახსოვს, მამა როგორ არწმუნებდა დედას, რომ ეს რაღაც გაუგებრობაა, რომ ის არაფერში დამნაშავე არ არის და იმავე დამეს გამოუშვებდნენ, მაგრამ ბედი უმოწყალო იყო ჩვენს მიმართ. დამთავრდა ჩვენი ბედნიერება და დაიწყო საშინელი ცხოვრება.“

მე და დედა წვიმიან ამინდში უხეშად, შეუბრალებლად, როგორც პირუტყვი, გამოგვყარეს ოთხოთახიანი ბინიდან, წაგვართვეს მთელი ქონება და დაგვტოვეს ბედის ანაბარა. ყველამ ზურგი შეგვაქცია, როგორც „ხალხის მტრის“ ოჯახს, არა იმისათვის, რომ ვკუდიით, არამედ შიში ჰქონდათ ხელისუფლებისა. მამაჩემის შესახებ ომის შემდეგ აღარაფერი გაგვიგია.

ჩვენ დავრჩით ყოველგვარი დახმარების გარეშე, რის გამო დედა იძულებული შეიქმნა ემუშავა მძიმე ფიზიკურ სამუშაოზე. მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე მე და დედას გვტანჯავდა „სამშობლოს გამყიდველისა და ხალხის მტრის“ ცოლ-შვილის სამარცხვინო სახელი. ბედნიერების ნაცვლად წილად გვხვდა ჯოჯოხეთი, მეზობლები რომ არ დაგვხმარებოდნენ, შიმშილისა და სიცივისგან დავიხოცებოდით.“

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წის 22 ივნისის გადაწყვეტილებით სევასტი კაპანაძე რეაბილიტირებულ იქნა, ხოლო პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ 1989 წლის 25 მაისის დადგენილებით იგი აღადგინა პარტიაში სიკვდილის შემდეგ.

## კახიძე აბდულ იუსუფის ძე


დაიბადა 1894 წელს სოფელ ზედა ჩხუტუნეთში. ნიჭიერი ახალგაზრდა იმთავითვე დაინტერესდა ქართული წერა-კითხვის შესწავლით. ქართულ ანბანს ეწაფებოდა უკვე დაოჯახებული აბდული. მან წერა-კითხვა მეუღლეს – მერიემსაც შეასწავლა.

გაზეთ „საბჭოთა აჭარისტანის“ 1935 წლის 21 თებერვლის ნომერში მოთხრობილია აბდულ კახიძეზე, როგორც სოფლის ერთ-ერთ გამორჩეულ აქტივისტზე, საკომმუნისტო შრომის მოწინავეზე, რომელიც ხარისხიანად ასრულებდა დავალებებს. ამის პარალელურად მუშაობდა სოფლის სკოლა-ინტერნატის კვების ბლოკში.

სწავლა-განათლებით დაინტერესებულ აბდულს სურდა შვილებს რეჯებს და ხუსეინს მაშინ კარგად ცნობილი ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი დაემთავრებინათ, მაგრამ ეს ოცნება აუსრულებელი დარჩა. თუმცა ხუსეინმა დამოუკიდებლად შეძლო გზის გაკვლევა – მან ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი დაამთავრა, ოცნებობდა ექიმობაზე. მაგრამ ამას ომმა შეუშალა ხელი.

აბდულ კახიძე 1937 წლის 7 თებერვალს, დიდთოვლობის დროს აჭარის წყლის სასაზღვრო კომუნდატურაში დაიბარეს და იქვე დააპატიმრეს.

ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ იგი 1937 წლის 20 სექტემბერს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა, რომელმაც მას წაუყენა სსკ 58-1ა და 58-6 მუხლები და საჯერის



აბდულ იუსუფის ძე  
კახიძე

უმაღლესი ზომა – დახვერება მიუსაჯა, თუმცა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1937 წლის 17 ნოემბრის განჩინებით ეს სასჯელი 10 წლის თავისუფლების აღკვეთით შეცვალა. ამავე ცნობაში ნათქვამია, რომ ა. ი. კახიძე 1938 წლის 1 აპრილს გარდაიცვალა.

ამ ცნობის სინამდვილე ოჯახმა ეჭვის ქვეშ დააყენა, იმ მოტივით, რომ მას გააჩნდა კიდევ ერთი ცნობა, რომლის მიხედვით ა. ი. კახიძე 1942 წელს სასჯელს იხდიდა ბათუმის ციხეში და თითქოს სამხედრო ტრიბუნალმა იმავე წლის სექტემბერში გაასამართლა.

ბათუმში დახვერებილთა სიებში შეტანილია კახიძე აბდულ მეჰმედის ძე. ასეთი პიროვნება არცერთ ძველ საბუთში არ შეგვხვედრია. თუ ვივარაუდებთ, რომ აქ მხოლოდ მამის სახელია შეცვლილი, (ასეთი შეცდომები ძალზე ხშირად გვხვდება), შეიძლება დადასტურებულად მივიჩნიოთ, რომ აბდულ კახიძე დახვერიტეს ბათუმში, 1938 წლის პირველ აპრილს (სია №1, რიგითი № 240).

სსრკ უზენაესი სასამართლოს 1960 წლის 4 თებერვლის განჩინებით აბდულ იუსუფის ძე კახიძის მიმართ წაყენებული ბრალდებების დაუდასტურებლობის გამო საქმე წარმოებით შეწყდა და იგი ამჟამად რეაბილიტირებულია.

დიდი ოჯახი დატოვა აბდულმა. მეუღლემ, ქვაბისთაველმა მერიემ კიკნაძემ 4 შვილი ღირსეულად აღზარდა და 1990 წელს 95 წლის ასაკში აღესრულა. სიცოცხლის ხანგრძლიობა დაენათლათ შვილებსაც: რეჯები (1917-2006), ხუსეინი (1922-2002); ემინემ (დ. 1923 წ.), გათხოვილმა სოფელ ქვედა ჩხუტუნეთში, თავად რეპრესირებულმა, სამი წელი ქმარ-შვილთან ერთად ყაზახეთში გაატარა, დღესაც მხნედ გრძნობს თავს, ხოლო უმცროსი შვილი, ნოდარ კახიძე სახელოვანი მეცნიერი, მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი ნაყოფიერად იღვწის ბათუმის რუსთაველის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

## კონცელიძე ოსმან ალის ძე

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთაგან განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს პირველი პროვიზორი აჭარიდან, ჯანდაცვის ცნობილი ორგანიზატორი, ოსმან ალის ძე კონცელიძე (1892-1937).

ო. კონცელიძე დაიბადა ორთაბათუმში, პირველდაწყებითი განათლება აქვე მიიღო, შემდეგ ის მოწაფედ წაიყვანა ცნობილმა პროვიზორმა სამსონ სპირიდონის ძე ელიაშვილმა. სამი წლის შემდეგ ო. კონცელიძემ უფლება მოიპოვა შესულიყო ხარკოვის ფარმაცევტულ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ერთხანს, 1917-21 წლებში მუშაობდა ბათუმში, გიორგი ლუკას ძე ავალიანის აფთიაქში, ხოლო შემდეგ მე-9 აფთიაქის გამგედ. ეს უკვე საბჭოთა პერიოდი იყო, როცა განსაკუთრებით გაძნელდა დამზღვევი საღაროებიდან ნისიად გაცემული მედიკამენტების ღირებულების ამოღება. სამედიცინო დაწესებულებებს არ გააჩნდათ ბიუჯეტი, რის გამო აფთიაქები დროზე ვერ აწარმოებდნენ მათთან ანგარიშსწორებას და თვითონაც ვარდებოდნენ უცხოური ფირმების ვალში. 1922 წლის ბოლოს ო. კონცელიძე ჯანდაცვის კომისრად დანიშნეს, რის შემდეგ უფრო ფართოდ გამოჩნდა მისი ორგანიზატორული ნიჭი და უნარი.

ო. კონცელიძე აჭარის ჯანდაცვის კომისრად მეორედ 1926-1927 წლებში მუშაობდა, ხოლო მესამედ – 1935-1937 წლებში. შუალედებში ორჯერ იყო წითელი ჯვრის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე, მიწათმოქმედებისა და სურსათომარაგების კომისარი, აჭარკრედიტკავშირის თავმჯდომარე.

სამწუხაროდ, ჩვენ არ შემოგვრჩა ო. კონცელიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის ამსახველი საბუთები, გარდა რამდენიმე ოფიციალური ცნობისა. 1923 წელს, აჭარის საბჭოების მე-3 ყრილობაზე ის გამოდის საანგარიშო მოხსენებით, ყურადღებას ამახვილებს მოსახლეობის სამედიცინო დახმარები-



სთვის აუცილებელ ღონისძიებებზე, საექიმო კადრებზე, მედიკამენტებით მომარაგებაზე, სანიტარიულ-ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდიზე, რომლის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ადგილობრივი პირობები, რელიგია და ადათ-წესები. მომხსენებელმა აუცილებლად ჩათვალა სამედიცინო პერსონალის მიერ მოსახლეობასთან მოზომილი და ტაქტიანი ურთიერთობა, რათა მოეპოვებინათ მათი ნდობა და შემდეგ თავადვე დახმარებოდნენ ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლაში. ო. კონცელიძემ გააანალიზა დაავადებების მიზეზები და აღნიშნა, რომ ფართოდ გავრცელებული კუჭ-ნაწლავის დაავადებების ძირითადი მიზეზია ანტისანიტარია და ცუდი კვება.



ოსმან ალის ძე  
კონცელიძე

ო. კონცელიძე აქტიურად მონაწილეობდა 1925 წელს ბათუმში გამართულ დასავლეთი კავკასიის მხარეთმცოდნეობის ყრილობის მუშაობაში, როგორც აჭარის სააფთიაქო სამმართველოს უფროსი, ხოლო 1929 წელს ბათუმში გამართულ სრულიად საქართველოს ექიმთა მე-5 კონგრესზე ის შედიოდა სარგანიზაციო ბიუროს შემადგენლობაში.

ო. კონცელიძის ჯანდაცვის კომისრად მუშაობა ბრძოლისა და დავა-კამათის პერიოდად უნდა იქნეს მიჩნეული. მას მთავრობასთან ნიადაგ უხდებოდა გაბედული ბრძოლა, რათა მიედწია ფინანსების მომატებაზე, რაც ახალი დაწესებულებების გახსნის და შესაბამისად ახალი კადრების დანიშვნის საშუალებას იძლეოდა. თუ 1922 წელს ჯანდაცვაზე დაიხარჯა 200 000 მანეთი, 1936 წელს ამ თანხამ 5,5 მილიონს მიაღწია. შესაბამისია ექიმების (38-187), საშუალო სამედიცინო პერსონალის (59-256) და სამედიცინო დაწესებულებების (21-122) რიცხვი.

სამწუხაროდ არც ოსმან კონცელიძეს დაუფასდა ხალხის და ქვეყნისადმი უანგარო სამსახური. 1937 წლის 2 აგვისტოს ის დააპატიმრეს და საქართველოს შინსახკომის „სამეულის“ 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბათუმში დახვრიტეს. 1957 წლის 28 მაისს ამიერკავკასიის სამხ. ოლქის ტრიბუნალმა საქმე შეწყვიტა.<sup>30</sup> ოსმან კონცელიძე სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულია.

ოსმან აღის ძე კონცელიძის მეუღლეს ადვიე კონცელიძეს ბრალად სდებდნენ კონტრრევოლუციურ საქმიანობას. მის საგამოძიებო საქმეში, რომლის მომხსენებელი ყოფილა ვინმე კონტანტინიდი, აღნიშნულია, რომ ადვიეს, რომლის მშობლები ცხოვრობდნენ თურქეთში, მიზნად ჰქონდა დასახული აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და მისი მიერთება თურქეთისათვის. ორგანიზაციის დავალებით ჩადიოდა თურქეთში და ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას. ამ ბრალდებით მას 1937 წლის ნოემბერს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.<sup>31</sup>

### კონცელიძე ყიფიან ზაბითის ძე

დაიბადა 1874 წლის ქვემო აჭარის სოფელ კვაშტაში. მამა ზაბითი თავის სოფელში და მაზრაშიც დიდი სახელის მქონე კაცი ყოფილა. მას დღესაც იხსენებენ, როგორც მეზობლების გამკითხავსა და სტუმართმოყვარე პიროვნებას. სხვათაშორის, ამ კაცის სახელი მოხვდა გაზეთ „ივერიაში“ ერთი არასასიამოვნო შემთხვევის გამო. ზაბითს მეზობლად მცხოვრებ დისშვილთან **ახმედ გათენაძესთან** უკმაყოფილება ჰქონდა, რის გამო მან ბიძას ესროლა და ფეხებში დაჭრა. ამ შემთხვევას კი გაზეთის წერილით გამოეხმაურა „ივერიის“ მაშინდელი კორესპონდენტი აბდულ მიქელაძე (№220, 25 ოქტომბერი, 1897 წ.).

**ზაბით კონცელიძე** საკმაოდ შეძლებული კაცი ყოფილა და შვილებისთვისაც კარგი მემკვიდრეობა დაუტოვა. ყმებერმა ღირსეულად განაგრძო მამის საქმე და თვითონაც ბევრი რამ შემატა ოჯახს. ამავე დროს იგი შეძლებისდაგვარად მეზობლებს და ნათესავებსაც ეხმარებოდა.

საბჭოთა ხელისუფლებისთვის შექმნილი და ხალხის პატივისცემით გარემოსილი კაცი მიუღებელი იყო. კოლექტივიზაციის დროს ყემბერ კონცელიძის სახლიდან გაზიდეს ძვირფასეულობა, ხალიჩები, ლოგინებიც კი. ერთი ოქროს ბეჭედი მის რძალს პირში დაუმალავს და ასე გადაურჩენია. ეს ნივთი ოჯახში ამჟამადაც ინახება. შინაური პირუტყვის ნაწილის გაყიდვა ყემბერმა მოასწრო, ნაწილი კი ჩამოართვეს.

შექმნილი ოჯახების მიმართ ხელისუფლების მტრული და ყაჩაღური დამოკიდებულება, მოსახლეობაში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. ყემბერ კონცელიძე დაუფარავად გამოდიოდა უსამართლობის წინააღმდეგ. აჭარის მეჯლისის წევრი, 1921 და 1929 წლებში ქედაში აქტიურად მონაწილეობდა ანტისაბჭოთა აჯანყებებში (შოთა ცეცლაძე. რას მოგზითხრობენ საარქივო ჩანაწერები. ბათუმი. 2001 წ. გვ. 11).

1937 წლის ზაფხულში, მეუღლესთან ერთად სარიჩაირში (იალღა) ყოფნისას, ყემბერი დააპატიმრეს. იმავე დამეს საკუთარ სახლში დაუპატიმრებიათ მისი შვილი აბდული (დაიბ. 1905 წ.)\* 63 წლის ყემბერი ბათუმში დახვრიტეს (სია № 2, რიგითი № 164), ხოლო შვილს აბდულს 10 წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. სასჯელს იხდიდა ომსკის ოლქში. ოჯახს მისგან ბოლო წერილი 1948 წელს მიუღია. თურმე იწერებოდა: ვიცი, ვინც დაგვლუპა, მშიერს სარჩოს ვაძლევდი, რომ არ მომკვდარიყო, მან კი ასე გადამიხადა, ჩამოვალ და გავუსწორდებო. მაშინ გადასახლებულთა წერილებს შესაბამისი ორგანოები კითხულობდნენ, თავის დამსმენს ხომ არ გაწირავდნენ და...

ხულოს რაიონის ს. ქედლების მკვიდრს **იუნუს ყარბის ძე ჯორბენაძეს**, დაბადებულს 1899 წელს, რომელიც აბდულთან ერთად იხდიდა სასჯელს და ცოცხალი დაბრუნებულა, ოჯახის წევრებისთვის უთქვამს: აბდული წყლის მზიდავად

\* ჩვენ ხელთა გვაქვს 1936 წლის 10 მარტს ქედის მილიციის რაიონული განყოფილების მიერ აბდულ კონცელიძეზე გაცემული პასპორტის ასლი, რომელშიც ჩაწერილია: „ეროვნება აჭარელი.“ ასეთი ისტორიული „ცოდნით“ იყო აღჭურვილი მაშინდელი ხელისუფლება.

დააყენეს, ძალზე მძიმე შრომა ჰქონდა და ფეხები ატკივდა, იმდენად დასნეულდა, რომ ექიმს თხოვა: ოღონდ გადამარხინე და რაც ფული მაქვს (თურმე გამოსამგზავრებლად აგროვებდა) შენ მოგცემო. ექიმმა რაღაც ინექცია გაუკეთა, აბღული მეორე დღეს გარდაცვლილი ნახეს.

აბღულ კონცელიძის მომდევნო ძმა, 1917 წელს დაბადებული **უსუფი** ჯარში არ გაიწვიეს, როგორც ხალხის მტრის, კულაკის შვილი და გადასახლებულის ძმა, მაგრამ „ადგილი“ მაინც მოუნახეს, ისიც კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაგზავნეს სამუშაოდ. მან წერილით **ი. სტალინს** მიმართა და ფრონტზე გაგზავნა თხოვა, რის შემდეგ ქ. ჟიტომირში, მოხალისეთა ნაწილში გაუმწესებიათ. 1942 წელს ქალაქ კრივოი-როგის მისადგომებთან ბრძოლის დროს, უსუფი ყუმბარის ნამსხვრევს უმსხვერპლია და ქ. ჟიტომირში, ძმათა სასაფლაოზე დაუკრძალავთ.

1958 წელს ყემბერ კონცელიძის ოჯახმა მიიღო სრული რეაბილიტაცია. მისი შვილი **სულეიმან (სულიკო) კონცელიძე** 1966-72 წლებში სოფელ კვაშტას თავკაცობდა, ხოლო მისი მეუღლე **ეთერ გათენაძე** 1967 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

## კონცელიძე ხასან იუსუფის ძე

დაიბადა 1908 წელს სოფელ კაპრეშუმში (ბათუმის რ.), მრავალშვილიან ოჯახში. 6 წლისას მამა გარდაეცვალა და 6 ობლის აღზრდა მთლიანად დედას უმიანს და უფროს ძმას ჰაიდარს დააწვა მხრებზე.

ხასანი ჯერ სოფლის მედრესეში სწავლობდა, ხოლო 1916 წელს 8 წლის ბიჭი ბათუმის თურქულ სკოლაში შეიყვანეს, სადაც ქართულ წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ.

1922 წელს ხასან კონცელიძემ დაამთავრა სკოლა და იმავე წელს შევიდა ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, ცხოვრობდა პანსიონში და იზრდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე. აქ მას

მამობრივ ზრუნვას არ აკლებდა დირექტორის მოადგილე გაბრიელ დობორჯინიძე. მისი დახმარებით ხასანი მათემატიკაში მოსამზადებლად აიყვანა მასწავლებელმა გრიგოლიამ. ძირითადი საგნის კარგად დაუფლებამ განაპირობა ხასანის აკადემიური წარმატებები. იგი კომკავშირის რიგებშიც მიიღეს.

1927 წელს ხასან კონცელიძემ წარჩინებით დაამთავრა ტექნიკუმი. მასთან ერთად სწავლობდნენ იუსუფ ხარაზი და მემედ ლორთქიფანიძე, რომლებიც ხასანთან ერთად, მაშინდელი განათლების კომისრის სელმან ლორთქიფანიძის დახმარებით, სწავლის გასაგრძელებლად თბილისში წავიდნენ. აქ ისინი ჩაირიცხნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე. სწავლობდნენ სახელმწიფოს ხარჯზე, უზრუნველყოფილნი იყვნენ ბინით, კვებით და სასწავლო საგნებით.

ინსტიტუტის პირველივე კურსიდან ხასანი აირჩიეს სტუდენტთა საბჭოს წევრად, ხოლო შემდეგ სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ. საზოგადოებაში 1500 სტუდენტი ირიცხებოდა. მალე იგი საქართველოს სტუდენტთა ცენტრალური ბიუროს წევრადაც აირჩიეს.

1930 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ 5 აჭარელი სტუდენტი, მათ შორის ხასან კონცელიძეც, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, მოსკოვის საინჟინრო ინსტიტუტში გაგზავნეს. პროფესორმა კარსენმა ადრე შეამჩნია მისი ნიჭი და ხასანი ჩარიცხა სამეცნიერო-კვლევით ჯგუფში, რომელიც საინტერესო ცდებსა და ექსპერიმენტებს ატარებდა.

1930 წლიდან ხასანი მიავლინეს ტულის ოლქის ქალაქ ეფრემოვში, სადაც ხელმძღვანელობდა სინთეტიკური კაუჩუკის მესამე უბნის მშენებლობას. აქ მან გამოიგონა სამშენებლო მასალის გადატანის საჰაერო-საბაგირო გზა, რამაც მშენებლობას დიდი ეკონომია მისცა. იგი აქტიურად მონაწილეობდა სამშენებლო პროექტების ექსპერტიზაში. მისი შენიშვნები ყოველთვის რაციონალური და დამაჯერებელი იყო. აქ მუშაობისას ხასანი არაერთხელ დააჯილდოეს.

1931 წელს ხასან კონცელიძე ბელორუსიაში, მოგილიოვის ოლქის ქალაქ ბობრუისკშია. იმავე წელს დაამთავრა ინსტიტუტი და სადიპლომო სამუშაოზე მიავლინეს ყირგიზეთში. მალე დაიცვა დიპლომი, რის შემდეგ ჩაირიცხა მოსკოვის საინჟინრო ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1932 წლიდან ხასან კონცელიძე მუშაობდა სამხედრო უწყებაში. აქ მისი საქმიანობა მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, ამიტომ დაწვრილებით არ ვიცნობთ. ის კი ცნობილია, რომ აქ ყოფნისას მან ოთხი სახელმწიფო ჯილდო მიიღო.

1933 წელს, როცა გადაწყდა ბათუმში მანქანათმშენებელი ქარხნის მშენებლობა, ხასანი საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის, შევკეთ ღორთქიფანიძის მოწვევით, მშობლიურ ქალაქში ჩამოვიდა. აქ იგი ხელმძღვანელობდა ქარხნის მშენებლობას (ქარხანა ამჟამად 1936 წელს).

ხასან კონცელიძეს ეკუთვნის ოჩხამურის თიხის ნედლეულის გამოყენება, რომელიც პემზასთან და ცემენტთან ერთად იძლეოდა გამძლე და მსუბუქ კრამიტს. ამ ნედლეულის ბაზაზე ხელვაჩაურში აშენდა კერამიკის ქარხანა.



ხასან იუსუფის ძე  
კონცელიძე

ხასან კონცელიძემ ჩაუყარა საძირკველი ბათუმის სახელმწიფო თეატრის შენობას. იგი არქიტექტორ ი. ტეპლიცკის პროექტით მშენებარე ობიექტის კონსულტანტი იყო.

ხასან კონცელიძე ერთდროულად ასრულებდა საქართველოს სახელმწიფო საპროექტო სამმართველოს აჭარის განყოფილების და აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სახკომის მთავარი ინჟინრის მოვალეობას. იგი აჭარის ცაკის პრეზიდიუმის წევრადაც აირჩიეს.

სწორედ ამ თანამდებობებზე ყოფნისას წამოეწია მაშინდელი უშიშროების მსახვრალი ხელი. იგი დააპატიმრეს და „სამეული“-ს გადაწყვეტილებით ბათუმში დახვრიტეს (სია №1, რიგითი №210).

ხასან კონცელიძემ ღირსეული მემკვიდრეობა დატოვა. მისი ვაჟი რესანი, რომელიც მამის დახვრეტის შემდეგ დაიბადა (1938 წ. 1 მარტი), მამის კვალს გაჰყვა. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში, კვების მრეწველობის მინისტრად, აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ცეკავშირის თავმჯდომარედ. სამგზის არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, პირველი მოწვევის (1990-1992) უზენაესი საბჭოს წევრად. ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. რესან კონცელიძე ამჟამად ჩაბმულია მრავალ საქველმოქმედო საქმიანობაში.

## ღეონიძეები

პატარა სოფელ ჯოჭოს ერთი მცირერიცხოვანი გვარიდან რეპრესირებულთა სიებში აღმოჩნდა ხუთი პიროვნება:

ღეონიძე სულეიმან ხასანის ძე (დ ა ხ ვ რ ი ტ ე ს)


ღეონიძე ემინ ხასანის ძე (დ ა ხ ვ რ ი ტ ე ს) მისი შვილი მუსტაფიც.

ღეონიძე ახმედ იბრაიმის ძე (დ ა ხ ვ რ ი ტ ე ს)


ღეონიძე სულეიმან იბრაიმის ძე (დ ა ხ ვ რ ი ტ ე ს)

ამათგან პირველი ორის მიმართ სასიკვდილო განაჩენი ბათუმში აღასრულეს. ჩვენი აზრით ემინი და სულეიმანი ძმები არიან. ემინი სოფელ ზემო ჯოჭოდანაა და 1857 წელს დაბადებულია. ბათუმში დასახვრეტად გამეტებულთა შორის იგი ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული-80 წლისაა. სხვა მონაცემები ემინ ღეონიძეზე არ გვაქვს.

ლეონიძე სულეიმან ხასანისძეზე საარქივო დოკუმენტებში მითითებულია, რომ ის სოფელ ზემო ჯოჭოდანაა, დაბადებულია 1870 წელს. დააბატონრეს 1937 წლის 14 სექტემბერს, მისი საქმე 1937 წლის 15 ოქტომბერს განიხილა საქართველოს შინსახკომთან არსებულმა სამეულმა და სსკ 58-2 და 58-11 მუხლებით განუსაზღვრა სასჯელი უმაღლესი ზომა დახვრეტა. უცნობია სასჯელის აღსრულების თარიღი.



**მუსტაფა ემინის ძე  
ლეონიძე**



**სულეიმან ხასანის ძე  
ლეონიძე**

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად განაჩენი გაუქმდა; სულეიმან ხასანის ძე ლეონიძე რეაბილიტირებულია.

სულეიმან იბრაიმის ძე ლეონიძე ბათუმში დახვრეტილთა სიებში არ აღმოჩნდა, მაგრამ ჩვენ ხელთ გვაქვს შინსახკომის საარქივო ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

სულეიმან იბრაიმის ძე ლეონიძეს, დაბადებულს 1889 წელს, საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის მიერ 1938 წლის 5 მაისს სსკ 58-2 და 58-11 მუხლების საფუძველზე (შეარ-



ადებული აჯანყება და ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება, მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩადენისათვის). მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვრეტა, რომელიც 1938 წლის 7 მაისს მოიყვანეს სისრულეში.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 13 აპრილის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმე სულეიძან იბრაიმის ძე ლეონიძის მიმართ წარმოებით შეწყდა ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო და იგი რეაბილიტირებულია.

### **ლორთქიფანიძე ნიკოლოზ პეტრეს ძე**

დაიბადა 1893 წელს ბათუმში, ცნობილი ინტელიგენტის, პეტრე ლორთქიფანიძის ოჯახში. ბათუმის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი წარმატებით დაასრულა და იგი მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. ნიკოლოზი ახლადგახსნილი პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს.

1931 წლიდან ნ. ლორთქიფანიძე პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორია. იგი ერთხანს ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობასაც ასრულებდა, კითხულობდა ლექციებს გეოგრაფიაში.

აჭარაში განათლების ისტორიის მკვლევარი ვახტანგ წულუკიძე საკმაოდ დეტალურად წარმოგვიდგენს ნ. ლორთქიფანიძეს, როგორც პედაგოგსა და ორგანიზატორს: „დირექტორი და პედაგოგები მოსწავლეებისთვის ზნეობრივ მაგალითს წარმოადგენდნენ. შესანიშნავად იდგა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. ნ. ლორთქიფანიძის ძალისხმევით შეიქმნა უნიკალური ბიბლიოთეკა, სასწავლო კაბინეტები, მუდმივმოქმედი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლის

სული და გული იყო დავით ჯავრიშვილი... დირექტორი პირადად ხელმძღვანელობდა ჯგუფებს, რომლებიც იგზავნებოდნენ თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში. სასწავლებელს გააჩნდა პანსიონი, სადაც შექმნილი იყო ცხოვრების სანიმუშო პირობები“ (განათლების ისტორიისთვის აჭარაში. ბათუმი. 2002. გვ. 309).

ნიკო ლორთქიფანიძის მიერ აღზრდილი მრავალი ახალგაზრდა საქმიანობდა არამარტო სკოლებში, არამედ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სფეროებში.



**ნიკოლოზ პეტრეს ძე  
ლორთქიფანიძე**

თვალსაჩინო მოღვაწემ რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომიც დაგვიტოვა. მისი გეოგრაფიული ნარკვევი, „აჭარისტანი“ და „აჭარის თვალსაჩინო რუკა“ დღესაც არ კარგავენ თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ნ. ლორთქიფანიძე დიდი პატივისცემით სარგებლობდა თავის აღზრდილებში, კედაგოგებსა და საზოგადოებაში. 1934 წელს მას საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა.

სსრკ პოლიტბიუროს საქართველოს სსრ შინსახკომმა ხალხის მტრად დაუხატა ესოდენ დიდი დამსახურების მქონე მოღვაწე.

მოსკოვმაც არ დააყოვნა, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე დამნაშავეთა I კატეგორიას მიაკუთვნა, რაც სიკვდილით დასჯას ნიშნავდა. განაჩენი 1938 წლის 3 იანვარს ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

## ლორთქიფანიძე სელმან ყვდირის ძე

წარმომავლობით ქედის რაიონის სოფელ საღორეთის ლორთქიფანიძეთა შტოს ეკუთვნის. მისი შორეული წინაპარი ბაბუა ხასან-ეფენდი მუფტი ზადე ლორთქიფანიძეა, რომელსაც ორი შვილი შეეძინა ისმაილი და ყვდირი. ისმაილის შვილია ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ხასან ლორთქიფანიძე, ხოლო ყვდირის შვილები, ასევე ცნობილი მოღვაწეები: სელმანი და მემედი.

საქართველოს სახ. უშიშროების არქივში სელმან ლორთქიფანიძის დაბადების თარიღად მითითებულია 1899 წელი. სერგო სამნიძე, რომელმაც ქედის რაიონის სოფლებს, უპირატესად საღორეთს მიუძღვნა წიგნი, „ანარეკლები წარსულიდან“, სელმან ლორთქიფანიძის დაბადების თარიღად 1896 წელს მიიჩნევს, რაც ჩვენი აზრით სწორი უნდა იყოს.<sup>32</sup>

სელმან ლორთქიფანიძის ბიოგრაფიის შესწავლის დროს საკმაოდ დიდი ბუნდოვანება შექმნა სახელმა. ზოგან იგი სულეიმანი-ს სახელით მოიხსენიება, თანაც იმ პერიოდში და იმ თანამდებობაზე, როცა ვიცით, რომ ამ დროს ეს პოსტი სწორედ სელმანს ეკავა.

ზემოთქმულის გამო იძულებული ვართ ასეთ შემთხვევებში სელმანი და სულეიმანი ერთ პიროვნებად – სელმან ლორთქიფანიძედ მივიჩნიოთ, თუმცა ისიც ცნობილია, რომ სულეიმან ლორთქიფანიძემ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა შეძლო რეპრესიების თავიდან აცილება და თურქეთში გაქცევით უშველა თავს. იგი წარმოშობით სოფელ ვაიოდან (ქედის ს.) იყო.



სელმან ყვდირის ძე  
ლორთქიფანიძე

აჭარის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში დაცული მასალების მიხედვით 1929 წლიდან სულეიმან (სელმან) ლორთქიფანიძე განათლების სისტემაში მუშაობს (განათლების სახალხო კომისარი, ბათუმის ქართულ-რუსული II საფეხურის სკოლის გამგე). 1925 წლიდან იგი ქედის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეა, ხოლო 1929-1933 წლებში კვლავ აჭარის განათლების სახალხო კომისრის პოსტზე ვხვდებით. 1925 წელს შეთავსებით აჭარის უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის წევრია. დაპატიმრების წინ იგი საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომის მდივანია.\*

1937 წლის ოქტომბერში სელმან ლორთქიფანიძე დააპატიმრეს. საქართველოს შინსახკომთან არსებულმა „სამეულმა“ იგი ბრალდებულად სცნო სს კოდექსის 5 მუხლით: შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაცია (სსკ მუხლი 58-2), ჯაშუშობა (58-6), საბოტაჟი (58-7), ტერაქტი (58-8) და დანაშაულის მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაცია (58-11); ჩამოთვლილ მძიმე დანაშაულთაგან სელმან ლორთქიფანიძეს არცერთი არ ჩაუდენია. მიუხედავად ამისა, 10 ნოემბერს მას სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვეწვა მიუსაჯეს, რაც რამდენიმე დღის შემდეგ ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს 1956 წლის 14 დეკემბრის განჩინებით მის მიმართ წაყენებული ბრალდებები არ დადასტურდა, საქმე წარმოებით შეწყდა და იგი რეაბილიტირებულია.

---

\* სულეიმან ლორთქიფანიძის გვარ-სახელით არქივში 1922 წლიდან ვხვდებით აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს, აჭარის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, აჭარის შინაავტრობის გამგეს, ხულოს რაიადმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც სხვა პიროვნება უნდა იყოს.

## ლორთქიფანიძე შევქეთ იბრაიმის ამ

შევქეთი შვილია იმ საგვარეულოს, რომელმაც ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო ავბედით წლებში. მარტო ბათუმში ამ გვარიდან 9 ღირსეული მამულიშვილი დახვრიტეს. მათ შორის ნიკოლოზის, სელმანისა და შევქეთის ბედი მოსკოვში გადაწყდა. პოლიტბიუროს საგანგებო კომისიამ ისინი პირველ კატეგორიას მიაკუთვნა, ხოლო ადგილობრივმა ჯალათებმა მათ ბათუმში მოუსწრაფეს სიცოცხლე.

შევქეთ ლორთქიფანიძე 1905 წელს (სხვა მონაცემებით 1903 წ.) დაიბადა ბათუმის ოლქის სოფელ კიბეში.

დაწყებითი განათლება სოფლის სკოლაში მიიღო, ხოლო საშუალო განათლება ბათუმში. ბეჯითმა ახალგაზრდამ წარმატებით დაამთავრა სკოლა, რის შემდეგ იგი, აჭარის მკვიდრთაგან ერთ-ერთი პირველი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოების რეკომენდაციით მოსკოვში მიაკვლინეს. შევქეთ ლორთქიფანიძე ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც 1928 წელს დაამთავრა. ახალგაზრდა ნიჭიერი ეკონომისტი, რომელსაც ყველა კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდა, თბილისის უნივერსიტეტში მიიწვიეს სამუშაოდ, თუმცა აჭარაში კადრების მწვავე სიმცირის გამო მალე ბათუმში ჩამოვიდა.

სახელმწიფო სამსახურში შ. ლორთქიფანიძეს 1929 წლიდან ვხედავთ. იგი დანიშნულია აჭარის სამრეწველო სამმართველოს უფროსის მოადგილედ და იმავე წელს საპასუხისმგებლო დავალებით ზემო აჭარაში მიაკვლინეს.

1929 წლის აჯანყების დროს, 3 ივნისს გაიმართა აჭარის საოლქო კომიტეტის პარტიული კონფერენცია, რომელმაც მოისმინა ზემო აჭარაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ყარადერეს (ოლადაურის) თემში მივლინებული იყო შევქეთ

ლორთქიფანიძე, რომელმაც თემში არსებული ვითარება, სს-  
ვებისგან განსხვავებით, ვინც ყველაფერს შავი ფერებით ხატ-  
ავდა, ნორმალურად შეაფასა და განსაკუთრებული არაფერი  
აღარ ხდებოდა (შ. ცეცხლაძე. რას მოგვითხრობს საარქ. ჩან.  
ბ. 2011, გვ. 172). როგორც ჩანს ამ დროისთვის მოსახლეობის  
მდეღვარება ერთგვარად ჩამცხრალი იყო.

ერთი წლის შემდეგ იგი აჭარის ასსრ სახელმწიფო-საგეგ-  
მო კომისიის თავმჯდომარედ დააწინაურეს და ცაკ-ის წევრად  
დაც აირჩიეს.



**შევექეთ იბრაიმის ძე  
ლორთქიფანიძე**

1931 წლის იანვრიდან 1937 წლის  
ოქტომბრამდე (მცირე წყვეტილო-  
ბით) შევექეთ ლორთქიფანიძე საქარ-  
თველოს კომპარტიის აჭარის საოლქო  
კომიტეტის მეორე მდივანია. 1934  
წლიდან ერთდროულად ასრულებს  
აჭარის იუსტიციის სახალხო კომის-  
რის და რესპუბლიკის პროკურორის  
მოადგილის მოვალეობასაც (აჭარის  
ცსა. ფ. რ-4, ან 1, ს. 352, ფურ. 79).

ამ თანამდებობებზე ყოფნისას,  
1937 წლის აგვისტოში შ. ლორთქი-  
ფანიძე დააპატიმრეს. საქართველოს  
სსრ შინსახკომთან არსებულმა

სამეულმა 1937 წლის 10 ნოემბერს სსკ-ის 58-1-ა, 58-2 და 58-11  
მუხლების საფუძველზე დახვრეტის განაჩენი გამოუტანა, რაც  
15 ნოემბერს ბათუმშივე მოიყვანეს სისრულეში (სია №1, რი-  
გითი №25).

აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს 1956 წლის 14 დე-  
კემბრის განჩინებით შევექეთ იბრაიმის ძე ლორთქიფანიძე  
სიკვდილის შემდგომ რეაბილიტირებულია. ამ აქტის შემდეგ  
ერთგვარად აღდგა სამართლიანობა. ოჯახს დაუბრუნეს ჩამ-

ორთმეული ქონების ნაწილი, მაგრამ ბინის დაბრუნება აღარ მოხერხდა, რადგანაც ამ შენობაში (ნინოშვილის ქ. № ) მოთავსებული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ამიტომ ოჯახმა მიიღო უფლადი კომპენსაცია.

შევექეთ ღორთქიფანიძემ ორჯერ იქორწინა. პირველ მეუღლესთან, ვერა ანთაძესთან შეეძინა ვაჟი გიორგი, ხოლო მეორესთან, გულიკო კაიკაციშვილთან – თეიმურაზი (სერიკო).

1933 წლიდან გულიკო აჭარის ცაკ-თან არსებული ქალთა სექტორის გამგე იყო, ხოლო 1935 წლიდან საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე, შემდეგ გამგე. მეუღლის დაპატიმრების შემდეგ დაწყებული თვალთვალის და სშირი დაკითხვის გამო იგი იძულებული გახდა დაეგმო შევექეთის „მოქმედება“, ხოლო შვილი ერთხანს საკუთარ გვარზე გადაეფორმებინა.

შევექეთის ორივე ვაჟი საკუთარი დედის ოჯახებში იზრდებოდნენ, ამიტომ ერთმანეთს არ იცნობდნენ. გოგიმ და სერიკომ მხოლოდ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის დროს გაიცნეს ერთმანეთი.

82 წლის გოგი ამჟამად თბილისში ცხოვრობს, ხოლო სერიკო 2012 წელს, 75 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი ვაჟი რევაზი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორია, ქალიშვილმა ლალიმ დაამთავრა კონსერვატორია და ამჟამად მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგია.

## მაღაყმაძე ოსმან მეგლუღის ძე

ოსმანის მშობლები იყვნენ მეგლუღ მაღაყმაძე (1861-1956) და აიშე რეჯების ასული გორაძე. სოფელ ქვედა ჩხუტუნეთში ცხოვრობდნენ. მათ 10 შვილი გაუჩნდათ. ოსმანი მე-6 შვილია. დაიბადა 1904 წელს\*.



ოსმან მაღაყმაძე მეუღლესთან  
 ფადიმე საღვარიძესთან ერთად.  
 1932 წ.

ჯერ კიდევ 1928-29 წლებში, განკულაკების მიზნით, მამასთან და ორ ძმასთან ერთად ოსმანიც დაიჭირეს. ძმები – უსუფი და სულეიმანი ციმბირში გადაასახლეს, ხოლო ოსმანი მამასთან ერთად გაათავისუფლეს. შემდეგ ოსმანმა ქალაქ თბილისში დაამთავრა საბუნაღმრთო სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო ქვედა ჩხუტუნეთის კოლმეურნეობაში ბუნაღმრთად, სადაც დაპატიმრებამდე მუშაობდა.

ოსმან მაღაყმაძეს საქართველოს შინსახკომთან არსებულმა სამეულმა თავისი 1937 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით, სსკ 58-6 მუხლის საფუძველზე სასჯელის

უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა, რაც 6 დღის შემდეგ, 22 დეკემბერს ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

სსრკ უმაღლესი საბჭოს 1989 წლის ბრძანებულების I პუნქტის საფუძველზე ოსმან მაღაყმაძე რეაბილიტირებულია.

ოსმან მაღაყმაძეს დაპატიმრებისას ჰყავდა მეუღლე ფადიმე მაღაკიას ასული საღვარიძე. მათ ჰყავდათ შვილები: ზულფიე (1937-1995), რომელიც გათხოვილი იყო ჰამდი ხაჯიშვილზე და იბრაიმი (რეზო), დაბად. 1934 წელს. რეზოს მეუღლე ქიამეთა გორაძე. მათ ხუთი შვილი: სამი ქალი და ორი ვაჟი შეეძინათ.

\* უშიშროების არქივში დაცული საბუთით 1908 წელსაა დაბადებული.



## მახარაძე მურად აღის ძე

აჭარის პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია სოფელ ჩაოს (ხულოს რ.) მკვიდრს მურად აღის ძე მახარაძეს. ეს იყო თავისი დროის საკმაოდ განსწავლული, გარეგნულად შემკული აღნაგობის კაცი.

მურადი 1891 წელს დაიბადა. მიიღო საოჯახო განათლება, ხოლო უკვე მოწიფულობის ასაკში დაამთავრა მოშფაკი.

1923 წელს მურად მახარაძე ჯერ ხულოს მაზრის საგანგებო კომისრად განაწესეს, ხოლო 1924 წელს ხულოს მაზრის მილიციის უფროსად დანიშნეს. იმ დროს, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი საბჭოთა კანონებით უკმაყოფილო იყო და ხშირად აშკარად თუ ფარულად გამოდიოდა ამ რეჟიმის წინააღმდეგ, ეს თანამდებობა დიდი სირთულისა და პირადი რისკის შემცველი იყო. თუმცა სანიმუშო ოჯახში აღზრდილმა ახალგაზრდამ ძალზე ადვილად გამონახა საერთო ენა როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე თვით უკმაყოფილო მოსახლეობასთანაც.

აღბათ ასეთმა ურთიერთობამ განაპირობა ის, რომ ხულოში მუშაობის პარალელურად მურად მახარაძე ერთდროულად აჭარის წყლის მაზრის მილიციის უფროსის მოვალეობასაც ასრულებდა. (აჭარის ცსა.ფ. რ-83 ან 2, ს. 15, ფურ. 17).\*

1930 წელს მ.მახარაძე ბათუმში გადმოიყვანეს და აჭარელ ბავშვთა სახლის გამგედ დანიშნეს. ეს იყო იმდროინდელი პირველი საბავშვო დაწესებულება, სადაც ობოლი და მიუსაფარი ბავშვები იზრდებოდნენ.

შემდეგ მურად მახარაძეს კვლავ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში, ხულოს რაიონის მილიციის უფროსად ვხედავთ. სწორედ ამ თანამდებობაზე ყოფნისას დაპატიმრეს იგი ავბედითი 1937 წლის ივნისში. სანამ ამ შემთხ-

---

\* მაშინდელი ადმინისტრაციული დაყოფით ქედის და ბათუმის მაზრებს შორის არსებობდა აჭარისწყლის მაზრაც.

ვევას დეტალურად აღვწერდეთ, მკითხველს მოკლედ ვუამბობთ მურად მახარაძის ხანმოკლე ცხოვრებასა და მის ნაყოფიერ მოღვაწეობაზე და ამისთვის დავეყრდნობით თანამედროვეთა მოგონებებს.

აღმელი ვეტერანი, ჭეშმარიტი მემატრიანე, მურადის ბავშვობის მეგობარი, აწ გარდაცვლილი აიდინ რიჟვაძე, იგონებს ყმაწვილობის პერიოდს, აგრეთვე იმ დროს, როცა მურადი უკვე ხულოს მილიციის უფროსი იყო, ხოლო თვითონ სოფლის მეურნეობის განყოფილებას განაგებდა.\*

„მურადის დამსახურებაა, რომ დღეს სოფელი ჩაო არსებობს. ჩაო მთლიანად მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს. ის სარგებლობდა მხოლოდ საცალფეხო გზით და მდინარეზე გადებული ხის კოჭით, რომელიც სისტემატიურად ადიდებულ წყალს მიქონდა და ხალხი იძულებული იყო 25-30 კილომეტრის შემოვლით გასულიყო რაიონულ ცენტრში. მურადის უშუალო ხელმძღვანელობითა და მისი ფულადი დახმარებით განხორციელდა მოსახლეობის მობილიზაცია და სოფლის საურმე გზისა და ხიდის მშენებლობა. ჩაოს გზა კეთდებოდა ყოველგვარი ტექნიკისა და ასაფეთქებელი მასალის გარეშე. სიღარიბის, სიდუხჭირისა და შიმშილის მიუხედავად ხალხი სამუშაოდ ხალისით გამოდიოდა. ისინი არ უჩიოდნენ არც უბინაობას და არც შიმშილს. გზის მშენებლობა ერთი წლის განმავლობაში დამთავრდა.

ჯერი მიდგა ხიდის მშენებლობაზე. ამ საშვილიშვილო საქმის მოთავედაც კვლავ მურად მახარაძე გვევლინება. მან შექმნა 150 კაციანი ბრიგადა, რომელმაც სოფელ ყარადერეს ტყეში დაამზადა ხიდის მშენებლობისთვის საჭირო უროხელის მასალა. აღნიშნული ხიდის საშუალებით ჩაო დაუკავშირდა ხულოს რაიონულ ცენტრს და სოფლის მოსახლეობამაც შეგება იგრძნო. მას შემდეგ, რაც ხიდი და საურმე გზა ექსპლუატა-

---

\* აიდინ რიჟვაძის მოგონება მოგვაწოდა მურადის შვილიშვილმა მამული მახარაძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებ (ავტორი).



მურად აღის ძე მახარაძე

ციაში შევიდა,სხალთისა და ხიხაძირის ხეობის მცხოვრებლებმაც ხულოს რაიონულ ცენტრამდე გზა 15-20 კილომეტრით შეიმოკლეს. ადვილი წარმოსადგენია ასეთი საშვილიშვილო საქმეებისთვის მოსახლეობა მურად მახარაძეს როგორ ღოცავდა.

სოფლებს ჩაოს და თაგოს იალაღი არ გააჩნდა. ამიტომ მოსახლეობას უჭირდა პირუტყვის შენახვა. მურადი შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ხელმძღვანელს, თანამეგობარე ფილიპე მახარაძეს, რომელთანაც მეგობრული კავშირი ჰქონდა. მისი დახმარებით მთა ჩეგილი (ადიგენის ტერიტორია) მუდმივ სარგებლობაში გადაეცა ჩაოსა და თაგოს მოსახლეობას.

თუმცა მთავრობის გადაწყვეტილება საკმარისი არ აღმოჩნდა. მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ჰემშილების მხრიდან მურადი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. სოფლის უხუცესი

ბენია ლაბაძე იხსენებს მამის – ხასან ლაბაძის მონათხრობს: „მთავრობის გადაწყვეტილებით გახარებულმა მეზობლებმა ერთ-მანეთის დახმარებით რიგრიგობით დავიწყეთ სახლების მშენებლობა, მაგრამ დღისით ნაშენები მეორე დილას დაშლილი გვხვდებოდა. ჰემშილები ღამე ჩვენს ნაშენს ჩუმიად ანგრევდნენ და ამით ცდილობდნენ იძულებული გავეხადეთ, რომ ნებით მიგვეტოვებინა იქაურობა. აქაც მურადის ვაჟკაცობამ იხსნა მეზობლები. მურადი შემთხვევით შეესწრო ამ ამბავს. გოლიათი კაცი\* მარტოდმარტო ცხენდაცხენ მიეჭრა ხემშილთა ჯგუფს და იფრინა ისინი. მას შემდეგ ჰემშილები ცდილობდნენ კეთილმეზობლობით გამოეყვიდათ თავიანთი დანაშაული.“

მურად მახარაძე თავისი პატიოსნებითა და პრინციპულობითაც გამოირჩეოდა. 1927 წელს, მას რაიონის მილიციის უფროსს და მის მოადგილეს ქემალ შავაძეს, კონფლიქტი მოუხდათ ხულოს მაზრის აღმასკომის პასუხისმგებელ მდივანთან (რაიკომის პირველ მდივანს უდრიდა) დომენტი მგელაძესთან. ამ უკანასკნელმა მურადს და ქემალს ბრალად დასდო ბანდიტებთან ახლობლობა. სინამდვილეში დაპატიმრებულებს არ დაუმტკიცდათ ბანდიტობის დანაშაული და ისინი მილიციის უფროსმა სახლებში გაუშვა. რაიონის მდივანს დიდ დამსახურებად ეთვლებოდა ადამიანების (თუნდაც უდანაშაულოთა) ციხეში ყოფნა, ამიტომ დ. მგელაძემ ისინი კვლავ ჩეკას გადასცა, ხოლო მილიციის უფროსი და მოადგილე სამსახურიდან დაითხოვა და თავის გამამართლებელი აბდაუბდა წერილი 1927 წლის 11 აპრილს აჭარის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივანს სამსონ მამულიას გაუგზავნა.<sup>33</sup>

ამ ამბავმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც მოსახლეობაში, ასევე მაზრის ხელმძღვანელობაშიც. მაზრის აღ-

\* ზებუნებრივი ძალით გამოირჩეოდა მურადის ძმა მეკლუდიც. ერთხელ, როცა უზარმაზარი მორების გადატანის დროს ერთი ხარი დაეცა, მეკლუდი თვითონ შეება ყვეარის უღელში და, როგორც იტყვიან, ძალის გამოვლენის რეკორდი დაამყარა, თუმცა მაშინ ეს ამბავი ტურიზმად აღმართს არ გასცილებია.

მასკომის თავმჯდომარემ რიზა ხოზრევანიძემ, რომელიც ამავე დროს აჭარის ცაკის წევრიც იყო, დაგმო დ. მგელაძის უკანონო მოქმედება და მიაღწია, რომ იგი გაეწვიათ მაზრიდან, ხოლო მურად მახარაძე თანამდებობაზე დაებრუნებინათ.

ხალხის მფარველობამ მტრები მურადს მომდევნო წლებშიც მოუპრავლა. 1928 წლის 2 სექტემბრის №203-ში გაზეთი „ფუნარა“ სტატიასში, რომელიც ასევე ხულოს მაზრის ხელმძღვანელთა დაკვეთით უნდა იყოს დაწერილი (ავტორი არაა მითითებული), მურად მახარაძე კულაკად მოიხსენიება მხოლოდ იმიტომ, რომ სოფელ ჩაოში ღვინოს ამზადებს, ხოლო ციხისძირში აქვს სახლი და მანდარინის ბაღიო. იმ დროს აჭარაში ღვინის დამზადებას არც თუ ისე ბევრი მისდევდა. მურად მახარაძის პატრიოტობა ამითაც დასტურდება, მისი ოჯახის ქართული ტრადიციები მაშინაც ცნობილი იყო.

სხვათაშორის, მურად მახარაძეს გაზეთი ბრალად დებს ისიდორე რამიშვილთან ურთიერთობაში, რაც, ჩვენი აზრით, სინამდვილე უნდა იყოს და მის ბიოგრაფიას ერთ საინტერესო ფურცელს მატებს. დასტურდება, რომ მურად მახარაძე დამოუკიდებელი საქართველოს მხარდამჭერთა გვერდით იდგა.


1929 წლის დასაწყისში ჭვანის ხეობაში ჩადრის ახლასთან დაკავშირებული გამოსვლების დროს მურად მახარაძე კვლავ თავის პოსტზეა. იგი, რიზა ხოზრევანიძის, მაზრის უშიშროების განყოფილების უფროსის ლადო ინასარიძის და ხუთი მილიციელის თანხლებით ჭვანაში ჩავიდა და თემსაბჭოს თავმჯდომარის მურთაზ დუმბაძის კაბინეტში დაბანაკდა.\* ადგილობრივ მოსახლეობასთან დიდი სიტყვიერი და ფიზიკური შეხლა-შემოხლის შემდეგ (დეტალები შორს წაგვიყვანს) რამდენიმე დღეში მდგომარეობა შერბილდა, ხალხი დაარწმუნეს, რომ ჩადრის ახლა ძალადობით არ მოხდებოდა და ისინი სახლებში დაიფანტნენ.<sup>34</sup>

\* ამ გამოსვლებს დღემდე მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, თუმცა მდგომარეობის განმუხტვასა და მშვიდობიანობის დამყარებაში მურად მახარაძის დამსახურებაზე არაფერი თქმულა. ჩემი აზრით ეს თემა კიდევ უფრო დრმა შესწავლას საჭიროებს.

1937 წლის ივნისში მურად მახარაძე ხულოს უშიშროებს უფროსმა ნოე მატუამ გამოიძახა – 15 პატიმარი ბათუმში უნდა ჩაიყვანო, თან დალუქული პაკეტი გაატანა აჭარის უშიშროების უფროსზე გიორგი ჯინჯოლიაზე გადასაცემად. მურადი აჭარის მოსახლეობას, განსაკუთრებით ხულოს მცხოვრებლებს ძალიან კარგად იცნობდა, დარწმუნებული იყო, რომ თხუთმეტაგან არც ერთს რაიმე დანაშაული არ მიუძღოდა, მაგრამ რას იზამდა სამსახურებრივი მოვალეობა უნდა აღესრულებინა, ისიც პატიმრებთან ერთად გ. ჯინჯოლიას ეახლა და პაკეტი გადასცა. მისი გახსნის შემდეგ ჩეკისტმა მურადს მკაცრად განუცხადა: თქვენც მათთან შებრძანდითო. თურმე მზაკვარ ნოე მატუას დაპატიმრებულთა სიაში მეთექვსმეტედ მურად მახარაძეც შეუტანია. ოჯახში დღემდე იციან, რომ მურადი სხვებთან ერთად თბილისში გადაიყვანეს და დახვრიტესო. სინამდვილეში ის, დანარჩენ 15 განწირულთან ერთად, 20 ივნისს ბათუმის დილეგში ჩაკეტეს, სსრკ პოლიტბიუროს წევრთა მიერ ხელმოწერილ სიაში 1937 წლის 5 სექტემბერს მიაკუთვნეს I კატეგორიას, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს 2 ოქტომბერს, რაც იმ დღესვე ბათუმში მოიყვანეს სისრულეში. მამა-ის ბიუროს ჩანაწერებში კი იგი გარდაცვლილად (მიზეზის დაუსახელებლად) მოიხსენიება.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1958 წლის 8 მარტის დადგენილებით გააუქმა თავისი 1937 წლის 2 ოქტომბრის განაჩენი დანაშაულის არარსებობის გამო. მურად მახარაძე სიკვდილის შემდგომ რეაბილიტირებულია.

დიდი ოჯახი დატოვეს მურად მახარაძემ და მისმა მეუღლემ ნეზირე ბოლქვაძემ. მათი შვილი სიმონი (1917-1989), პროფესიით პედაგოგი, მასწავლებლობდა ხულოს (აღმე, ჩაო, ძმაგულა, სკვანა) და ხელვაჩაურის (ახალსოფელი) სოფლებში, განათლების რაიონულ განყოფილებაში და განათლების მუშაკთა პროფკავშირში, ხულოს რაიკომში, ჩაოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მინიჭებული ჰქონდა აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.



მურად მახარაძის სიმბოლური საფლავი და ეპიტაფია სოფელ ჩაოში

სიმონს მეუღლესთან, ფიქრიე ბოლქვაძესთან 8 შვილი შეეძინა. მურად მახარაძის შვილიშვილები ღირსეულად აგრძელებენ ბაბუას და მამის სასიკეთო საქმეებს. ბუნების სტიქიის შედეგად წალკეილი სოფლის ხიდი ზაურ მახარაძის ინიციატივით და მამული მახარაძის ხარჯებით აღადგინეს.

საყურადღებოა, რომ აწ გარდაცვლილმა ზაურიმ დააწესა ხულოს სახალხო დღესასწაული „ჩაოობა“, რომელიც გასცდა ერთი სოფლის ინტერესებს და იგი რაიონის ტრადიციულ ზეიმად იქცა.

მურადის მომდევნო შვილიშვილმა ამირანმა დაასრულა წინაპრების დაწვებული საქმე და სოფლის გზა საფუძვლიანად შეცვალა, გააფართოვა და გაასწორა, აღადგინა სოფლის ფერმა, საზაფხულო იალაღებზე ყველა ოჯახთან მიიყვანა ელექტროსახები.

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული მამული მახარაძე სოფელ ჩაოს საპატიო მოქალაქეა, მან ბაბუას საქმიანობა აირჩია. მამული წლების მანძილზე შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობდა, მინიჭებული აქვს ვიცე-პოლკოვნიკის წოდება. ზურაბ მახარაძე საგზაო პოლიციის ინსპექტორი-ლეიტენანტია, საგზაო პოლიციაში საქმიანობს აგრეთვე გიორგი მახარაძე, პოლიციის საგამოძიებო ნაწილში – თემურ მახარაძე. ამირან მახარაძე წლების მანძილზე პორტის საბაჟოს უფროსი იყო, ხოლო თამაზი იქვე საგადასახადო განყოფილების ცვლის უფროსი... და ასე, გრძელდება მახარაძეთა დიდი და სასიკეთო საქმეები: მურადი და რამაზი – მეზღვაურები, სიმონი – საზღვაო აკადემიის სტუდენტი, ნუგზარი – გემის კაპიტანი, მურმანი – ექიმი ასპირანტი სანქტ-პეტერბურგში, ინგა, ოლეგი, მირიანი – ბათუმის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, ადამი – თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ომარი – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ვია – კაკასიის უნივერსიტეტის სტუდენტი, დურსუნი – აჭარის ნორჩ-მათემატიკოსთა პრეზიდენტი...

ღმერთმა ამრავლოს უდანაშაულოდ ჯვარცმული მურად მახარაძის მოდგმა, ჯიში და ჯილაგი.



## მიქელაძე ოსმან ეუზის ძე

ოცდაათიანი წლების პერიპეტიების მსხვერპლთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია ოსმან მიქელაძეს, რომლის შესახებ ქართულ პრესაში და ზოგიერთ ბიოგრაფიულ ნარკვევში არსებობს ძალზე მოკლე ჩანაწერები, თუმცა ამ ღირსეული მამულიშვილის შესახებ ცალკე ბიოგრაფიული ნაშრომი არ გამოქვეყნებულა. ჩვენ შევეცადეთ შეგვეკრობა ეს ცნობები სწორედ ამ წიგნისთვის, რადგან ეს პიროვნება 1937 წელს სიკვდილით დასაჯეს.

ოსმან ეუზის ძე მიქელაძე დაიბადა 1894 წელს,\* სოფელ დანისპარაულში. საშინაო განათლების მიღების შემდეგ იგი მამამ სტამბოლში წაიყვანა. აქ გაიარა მოსამზადებელი კურსები და ჩაირიცხა უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო როგორც თეოლოგის, ასევე იურისტის დიპლომი, 1917 წლის დასაწყისში სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება დიდ პოლიტიკურ საქმიანობაში.

ჩვენ არ გავგაჩნია საბუთი ოსმან მიქელაძის უშუალო მონაწილეობაზე ოსმალეთში (ტრაპიზონში) 1915 წლიდან მოქმედ ქართულ ლეგიონში, სიებში ოსმან მიქელაძის გვარი არ ჩანს, რასაც ოჯახის წევრები მისი გვარის შეგნებულად გადაკეთებით ხსნიან.\*\* თუმცა ამ ლეგიონის შევსებაზე და მისი ბრძოლების მხარდაჭერაზე, აგრეთვე ლეგიონის შემქნელთან **ლეო კერესელიძესთან** და სხვა ქართველ სამხედრო მოღვაწეებთან მის ურთიერთობაზე არსებობს ასეთი მინიშნებები.

\* ოფიციალურ წყაროებში, კერძოდ ბათუმში სიკვდილით დასჯილთა სიებში მითითებული 1899 წელი სწორი არ უნდა იყოს. ოჯახის წევრებს მიაჩნიათ, რომ იგი დაიბადა 1894 წელს.

\*\*აჭარელ ლეგიონერთა დიდი ნაწილი ოსმალეთის ხელისუფლების ნდობის მოსაპოვებლად ქართულ გვარებს ოსმალურად იცვლიდნენ. ამ ხერხს ქართველი ოფიცრებიც მიმართავდნენ. თვით ლეო კერესელიძეს ისკენდერ-ბეგის, ნესტორ მაღალაშვილს მურად-ბეგის, მელიტონ ქარცივაძეს ოსმან-ბეგის სახელით იცნობდნენ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო, ჩამოყალიბდა დროებითი მთავრობა, რომელმაც იმავე წლის მარტში შექმნა განსაკუთრებული კომიტეტი „ოზაკომი“. ამ ორგანომ ქალაქებში, ოლქებსა და მაზრებში შექმნა ახალი ხელისუფლება-კომისარიატი. ოსმან მიქელაძე ზემო აჭარის მაზრის კომისარიატში დანიშნეს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ „ოზაკომმა“ დაკარგა თავისი ფუნქციები და მაზრებში რწმუნებულები განაწესეს, თუმცა ბოლშევიკებმა ოსმანს ნდობა არ გამოუცხადეს, ამიტომ იგი სოციალ-დემოკრატებს მიეკედლა. ოსმანი, მართალია აღმოჩნდა ეროვნულ საბჭოში, მაგრამ ჩვენ ვვარაუდობდით, რომ არა როგორც წევრი, არამედ აპარატის მუშაკი, თარჯიმანი, რომელიც მშობლიურთან ერთად ზედმიწევნით კარგად ფლობდა თურქულ და რუსულ ენებს. ჩვენი ვარაუდი არასწორი აღმოჩნდა. გაზეთ „სამუსლიმანო საქართველო“-ში ოსმან მიქელაძე მოხსენიებულია როგორც დამფუძნებელი კრების წევრი (გაზეთში მის გამოსვლებზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა ახალციხის მხარეში. აქ გაიგზავნენ სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრი **ყადირ შერვაშიძე** და მთავრობის წარმომადგენლები: **ჰაიდარ აბაშიძე, ოსმან მიქელაძე და ლეო რუსაძე**. ჰაიდარ აბაშიძეს დაევადა ახალციხის მაზრის კომისრის მოვალეობის შესრულება.

1919 წელს მაზრაში გამოდიოდა გაზეთი „მესხეთ-ჯავახეთი“, რომელიც ვერ პასუხობდა იმ იდეებს, რაც დასახული ჰქონდა საქართველოს ახალ მთავრობას. ზემოთდასახელებულმა სამეულმა გადაწყვიტა გამოეცა ახალი გაზეთი, რომელიც მათ ჩანაფიქრის ხორცშესხმაში დაეხმარებოდათ. მართლაც 1919 წლის 2 თებერვალს გამოვიდა გაზეთ „განახლებული მესხეთი“-ს პირველი ნომერი. ამ ფაქტს გამოეხმაურა **ზაქა-**

**რია დიდმამიშვილი**, რომელიც თავის „დღიურ წერილებში“ მოგვითხრობს: „დღეს (ე.ი. 2 თებერვალს, რ.ს.) გამოვიდა „განახლებული მესხეთი.“ გამომცემელია ახალციხის მაზრის მიწის მუშათა საბჭო. რედაქტორებად არიან **ოსმან მიქელაძე** და **ლევო რუხაძე**. გაზეთის სამი გვერდი ქართულ ენაზეა, მეოთხე კი თათრულზე. არ შეგვხვებით გაზეთის შინაარსს, მხოლოდ ვიტყვით, რომ თითქმის მთელი გაზეთის კორექსონდენციები ეკუთვნიან **ლევო რუხაძეს** და **ჰაიდარ აბაშიძეს**, რომლებიც დიდი მადლობის ღირსნი არიან...“

შემდეგ ავტორი ერთგვარ საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, რომ მაშინ როცა „ახალციხის მაზრა განსაცდელშია, ისინი არხეინად კარჩაკეტილ კაბინეტში სხედან და გაზეთისთვის წარამარა წერილებს ამზადებენ... განა გამომცემლობამ და რედაქტორებმა არ იციან, რომ ადგილობრივმა გლეხ-კაცობამ წერა-კითხვა არ იცის?“<sup>435</sup>

ზ. დიდმამიშვილი ჩანაწერებში გაზეთის რედაქტორად ოსმან მიქელაძეს ასახელებს, მაგრამ ავტორად არა. ოსმანი საკუთარ წერილებს აქვეყნებდა ფსევდონიმით, „მუსლიმანი ქართველი,“ ხოლო ლ. რუხაძისა და ჰაბაშიძის ქართულ წერილებს თარგმნიდა და მათ თურქულ გვერდში ათავსებდა. გაზეთი არაბული შრიფტით იწყობოდა, ამიტომ მისი შინაარსი ზ. დიდმამიშვილისთვის გაუგებარი იყო, ასევე მისთვის უცნობი იყო ოსმან მიქელაძის ფსევდონიმი, რის გამო მან ოსმანზე არაფერი იცის გარდა იმისა, რომ იგი ამ გაზეთის რედაქტორი იყო.

ძნელია დაეთანხმო ზ. დიდმამიშვილს იმაშიც, რომ მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის გამო გაზეთის გამოცემას აზრი არ ჰქონდა. მართლაც გლეხობას არ ქონდა განათლება, მაგრამ ამ გაზეთს, განსაკუთრებით იმ წერილებს, რომლებიც საქართველოს ერთიანობას და მოსახლეობის დარაზმვას ეხებოდა, ხალხს უკითხავდნენ სოფლების აქტივისტები, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. „განახლებულმა მესხეთმა“

მაღე სერიოზული კონკურენცია გაუწია გაზეთ „მესხეთ-ჯავახეთს,“ რომელიც ახალი გაზეთის გამოსვლის შემდეგ ნაკლებად ვრცელდებოდა. „განახლებული მესხეთის“ ტირაჟი 1500-ს აღწევდა და ესეც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნას, ამიტომ ერთი და იგივე ცალი მკითხველთა ხელიდან ხელში გადადიოდა.



**ოსმან ეუბის ძე მიქელაძე**

ჩვენთვის ძნელია გაზეთის ყველა ნომრის ანალიზი, ამის საჭიროება არც არსებობს, თუმცა პირველივე ნომრიდან ირკვევა, რომ გაზეთი მკაფიოდ აშუქებს ახალციხის მაზრის მოსახლეობის უმძიმეს სოციალურ ყოფას, სურსათის ნაკლებობას, ხალხის დასნეულებას და ა.შ. „მესხეთ-ჯავახელთა ტრაგედია ჯერაც არ დასრულებულა... დაწყებული ბორჯომიდან, ვიდრე ახალციხე-ახალქალაქამდე მოდიან ყოველდღე ურმებითა და უმთავრესად კი – ფეხით. ექვსი თვის განმავლობაში შიმშილისგან დასუსტებ-

ულნი, ღონემიხდილნი და მოჩვენებების მსგავსი აჩრდილები. ათი წლის ბავშვს გაჭირვებისგან უკვე დანაოჭებია პირისახე, რომელმაც დედა, მამა საფლავში დატოვა და თვითონ კი მიყვება მეზობლებს და არ იცის ვინ იქნება მისი პატრონი.“<sup>37</sup>

ოსმან მიქელაძე აქტიურად მონაწილეობდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ საქმიანობაში, რომელმაც თავის ამოცანად დაისახა აჭარისთვის აცტონომიური სტატუსის მინიჭება საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. სხვათაშორის, კომიტეტი ერთ დროს სამცხე-ჯავახეთის ავტონომიის საკითხზეც მუშაობდა. ამ იდეის ფაქტობრივი ავტორი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალციხის ორგანიზა-

ციის ხელმძღვანელი და ახალციხეში მოღვაწე ოსმან მიქელაძე, რომელსაც მხარს უჭერდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (გიორგი გვაზავა) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (ნოე რამიშვილი). ამ იდეას პრინციპულად მხარს უჭერდა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი და „სხივის“ ერთ-ერთი ლიდერი გიზო ანჯაფარიძე, მაგრამ იგი უფრო კულტურული ავტონომიის მომხრე იყო (ერმილე მესხია. ბრძოლა საქართველოს ერთიანობისათვის. ბათუმი. 2004. გვ. 173, 174).

ჩვენთვის უცნობია, რამდენხანს დარჩა ოსმან მიქელაძე გაზეთ „განახლებული მესხეთის“ რედაქტორად და საერთოდ რამდენ ხანს იარსება გაზეთმა; ჩვენი ვარაუდით, ალბათ ოსმალთა ოკუპაციამდე და საერთოდ ახალციხის მაზრაში პოლიტიკური სიტუაციების უკიდურესად გართულებამდე.

ახალციხეში ოსმან მიქელაძის ყოფნის დამადასტურებელი უკანასკნელი ცნობა შეგვხვდა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ 1920 წლის 20 ივნისის ნომერში, სადაც გამოქვეყნებულია ორი მნიშვნელოვანი დეპეშა, ორთავე ოსმან მიქელაძეს ეკუთვნის. დეპეშები ახალციხიდან თბილისში გაგზავნილია დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის სახელზე. პირველ დეპეშაში ნათქვამია:

„მუსულმანების დიდ დღესასწაულზე, რამაზან-ბაირამზე მე მინარეთში ვიყავი და აგრეთვე დავიარე ახლო მდებარე სოფლები, რომ მივსალმებოდი მათ მთავრობის სახელით. ადგილობრივი მუსულმანობა აღფრთოვანებით ესალმება დამფუძნებელ კრების და დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას, უსურვებს მას გამარჯვებას. მცხოვრებლები მოუთმენლათ ელიან ბათუმის დაბრუნებას და **მუსულმანურ და ქრისტიანულ საქართველოს გაერთიანებას**. ასეთია სურვილი მთელი ადგილობრივი მუსულმანობის და მათი ხელმძღვანელების იმამ შენიმბადურისა და **დამფუძნებელ კრების წევრის ოსმან მიქელაძის**. ხელს აწერს პლატონ მიქელაძე.“\*

\* იგივე ოსმან მიქელაძე რ. ს.

მეორე დეპეშა ოსმან მიქელაძის ხელის მოწერითაა: „დღეს დიდი დღესასწაულის რამაზან-ბაირამის დროს მინარეთში შეიკრიბა დიდ-ძალი მუსულმანობა, სამაზრო კომისარი, ერობათა, ქალაქთა და სხვა დაწესებულება-თა წარმომადგენლები. ლოცვის დროს მოხსენებულ იქნა საქართველოს მთავრობა, რომელსაც ადგილობრივი მუსულმანობა სრულ ნდობას უცხადებს და უსურვებს საბოლოო გამარჯვებას სამშობლოს საკეთილდღეოთ წარმოებულ მუშაობაში – ოსმან მიქელაძე.“<sup>38</sup>

1920 წლის 31 მარტს გაზეთ „სამუსლიმანო საქართველო“-ში (№328) გამოქვეყნდა წერილი „პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების კონფერენცია“, რომელსაც ხელს აწერს „ქართველი მუსლიმანი“, ეჭვი არ გვეპარება, რომ იგი ოსმან მიქელაძეა.

წერილში საუბარია ბოლშევიკთა ინიციატივით მოწვეულ პროფკავშირთა კონფერენციაზე, რომელიც ბათუმში თვითმმართველობის შენობაში 29 მარტს გამართულა. ძირითადი საკითხი იყო რეზოლუციის მიღება, რომლითაც, მისი ავტორების აზრით, ბათუმსა და მის ოლქში უნდა გავრცელებულიყო საბჭოთა რუსეთის უფლებები.

სხდომის თავმჯდომარეს მოსე მარკმანს განუცხადებია, რომ სამხედრო გუბერნატორმა კამათის უფლება არ მოგვცა, ამიტომ რეზოლუციის მიღებას კენჭი უნდა ვუყაროთ კამათის გარეშე.

„ქართველ მუსლიმანებს გაეგოთ, რომ მათ დაუკითხავად არამკითხე გადამთიელი რუსები სამუსლიმანო საქართველოს უპირებენ ანარქიის მორევში გადასროლას... ძლიერ დელაგდნენ“ – წერს „ქართველი მუსლიმანი.“<sup>39</sup>

სიტყვა აიღო ჯემალ ქიქავამ, რომელმაც ნიღაბი ჩამოხადა კონფერენციის მესვეურებს, ამხილა მათი ავანტურისმი და სიტყვა ასე დაამთავრა: „გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს ამ რესპუბლიკის ფარგლებში ავტონო-

მიურ სამუსლიმანო საქართველოს“ (სიტყვის სრული ტექსტი იხ. თავში „ჯემალ ქიქავა“). კრებამ რეზოლუცია მაინც მიიღო.

წერილს ოსმან მიქელაძე ასე ამთავრებს: „ასე სწევებენ ჩვენი ქვეყნის ბედობას ჩვენში შემოსული ბალშევიკები. მათ სურთ ჩვენი ქვეყანა ლენინის რუსეთს დააპყრობონ. ჩვენ ვაფრთხილებთ მათ, ვურჩევთ თავის ავანტურაზე ხელი აიღოს. აქ რუსეთი არ არის. თუ ლენინი ასე უყვართ, წაბრძანდნენ იქ თავის ქვეყანაში და როგორც სურთ, ისე ანგრიონ რუსეთი. ჩვენ ქვეყანას კი სტუმრათ მოსულ პირებს ვერ დავანგრევიან.“<sup>40</sup>

ოთხი თვის შემდეგ, 1920 წლის 8 აგვისტოს, ამჯერად უკვე საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ბათუმში დაიგეგმა რესპუბლიკის პროფკავშირების აქტივისტთა (მუშების) შეხვედრა. ჩამოვიდა 120 კაცი, პროფსაბჭოს თავმჯდომარის ა. ხელაძის მეთაურობით. მათი ჩამოსვლის მიზანი იყო ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოსთან შემოერთების გამო ბათუმელ მუშებთან შეხვედრა, მათი ცხოვრების გაცნობა და სახეიმო ვითარებაში მონაწილეობა.

იმავე გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოში“ ვკითხულობთ: „ბათუმში ჩამოვიდა **დამფუძნებელი კრების წევრი სულეიმან მიქელაძე**“.<sup>41</sup> ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს იგივე ოსმან მიქელაძეა (სახელი უბრალოდ შეცდომით ჩაწერეს), რადგანაც სულეიმან მიქელაძე, მით უმეტეს დამფუძნებელი კრების წევრი, იმდროინდელ პრესაში და ოფიციალურ დოკუმენტებში არ შეგვხვედრია. როგორც ჩანს, ოსმან მიქელაძეც ზემოთდასახელებულ სახეიმო ვითარებასთან დაკავშირებით ჩამოვიდა ბათუმში.

\* \* \*

გაზეთის რედაქტორობასთან ერთად ოსმან მიქელაძე განარძობდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას, თუმცა 1918-1921 წლების ქართული, ე.წ. მენშევიკური პრესა ბოლო დრომდე

თითქმის ხელმიუწვდომელი იყო, ამიტომ აჭარის მოსახლეობის მიზანსწრაფვა ხშირ შემთხვევაში შავ ფერებში შუქდებოდა. ახლო წარსულის პუბლიკაციებში არაიშვიათად შეხედვით აქაურ ყაჩაღებს, ჯაშუშებს, თურქოფილებს, ფანატიკოსებს და ა.შ. ძალიან ნაკლებად პატრიოტებს. საუბარი აღარაა გამრებსა და თავგანწირულ მამულიშვილებზე. სინამდვილე კი სხვაგვარია.

ოსმან მიქელაძის მოღვაწეობას დაემთხვა ერთი შემთხვევა, რომლის შესახებ წერდა გაზეთი „შრომა.“ იგი 1917 წლამდე ქუთაისში, ხოლო შემდეგ თბილისში გამოდიოდა.

გაზეთ „შრომაში“ გამოქვეყნებული ერთი მცირე კორესპონდენცია, რომლის ავტორიც კი არ ვიცით, ძალზე ლაკონურად გვიხატავს ზემოთაღწერილ ისტორიულ ვითარებას და მოსახლეობის განწყობილებას. კერძოდ კი ნათქვამია, რომ ფოცხოვის მახრამში (ამჟამად თურქეთშია) ოსმალებმა მოაწყვეს აჯანყება, რომელშიც ზოგი ადგილობრივი ბეგიც მონაწილეობდა, მაგრამ ზოგი ბეგი, პირიქით, ეხმარებოდა ქართულ არმიას და ჯარისკაცებს. მათ მრავალი მესხი გადაარჩინეს უეჭველი სიკვდილისგან, ხოლო დაჭრილი და დაღუპული ქართველი მეომრები გამოყავდათ ბრძოლის ველიდან. გაზეთის საკუთარ კორესპონდენტს უსაუბრია მესხ **ივანე ბეთანაშვილთან**, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას სიკვდილისგან უხსნია და აჭარისკენ წამოუყვანია. მასთან ერთად წამოუსვენებიათ **„კაპიტანი დიმიტრი ნიჟარაძე** და ჯარისკაცი **ნესტორ კვირკველაძე**, რომლებიც ბრძოლის დროს ქარბუქს დაუმარხავს. მათი გვაძეზი ორი თვის შემდეგ უპოვნიათ და სოფელ დანისპარაულში (ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სოფელია ხულოს რაიონში, რ.ს.) დაუსაფლავებიათ. ნიჟარაძეს ჯიბეში აღმოაჩნდა 5377 მანეთი, კვირკველაძეს კი 40 მანეთი. **ეს ფულები ხულოს კომისრისთვის ჩაუბარებიათ“**.<sup>42</sup>

ამ ცნობის წამკითხავმა შეიძლება თქვას: რა მოხდა, ასეთი შემთხვევები ომის დროს მრავალიაო. ჩვენ არ შეგუდგებით ამ მართლაცდა კერძო შემთხვევის დეტალურ განხილვას, მაგრამ



ზოგადად იმის თქმა აუცილებელია, რომ აქ განსაკუთრებულ ფაქტთან გვაქვს საქმე. აქ იგულისხმება ორ კონფესიად და პოლიტიკურ ბანაკად გაყოფილი საქართველო, რომლებიც ერთმანეთს მოსისხლე მტრებად თვლიდნენ, მაგრამ თვით ამ შემთხვევის გამირები ჭეშმარიტ რაინდობამდე მადლდებიან და უსასტიკეს ბუნებრივ პირობებში გოდერძის უღელტეხილიდან (2025 მ. ზღვის დონიდან) გადმოყავთ არამარტო მტრის ხელიდან გამოტაცებული ქართველები (მესხები), არამედ დაღუპული თანამოძმეებიც და მათ ჯიბეებში აღმოჩენილ ფულს უკლებლივ ქართული რაზმის კომისარს აბარებენ.

ნიშანდობლივია დაღუპული გამირების დაკრძალვის ადგილი – სოფელი დანისპარაული. დიდ ზამთარში გოდერძის უღელტეხილიდან წამოსულთათვის პირველი სოფელი დანისპარაულია და არცაა გასაკვირი, რომ ისინი სწორედ აქ შეჩერდნენ და ცხედრებიც აქვე დაკრძალეს. თუმცა მთავარი ძნელი გზა მოგზაურებს უკვე დაძლეული ჰქონდათ და ქვემოთ დაშვება აღარ გაუძნელდებოდათ, შეეძლოთ უფრო დაბლობ სოფელში შეჩერებულიყვნენ და იქვე დაეკრძალათ მებრძოლები, მაგრამ ისინი სწორედ დანისპარაულში შევიდნენ. ზუსტად იმ დროს ახალციხეში საქმიანობს სოფელ დანისპარაულის მკვიდრი, ქართველ მებრძოლებთან ახლო ურთიერთობაში მყოფი პატრიოტი, დამფუძნებელი კრების წევრი ოსმან მიქელაძე, ძალაუნებურად გვიჩნდება მოსაზრება, რომ დაღუპული ქართველი მებრძოლების გადმოსვენებაში თავადაც მონაწილეობდა და მისივე სოფელში მათი დაკრძალვაც სწორედ ოსმან მიქელაძის ნებით მოხდა.

ჩვენ საშუალება მოგვეცა დაგვედგინა ორი დაღუპული მებრძოლიდან ერთ-ერთის ვინაობა. იგი აღმოჩნდა იმერეთის სოფელ ოფშკვითის მკვიდრი, **დიმიტრი ანტონის ძე ნიჟარაძე** (1863-1918).

**ნესტორ კვიციანი** ვინაობა ვერ დავადგინეთ, ხოლო მესხი **ივანე ბეთანაშვილი**, ჩვენი ვარაუდით ბათუმში ჩამოვიდა

და სამშობლოში მშვიდობიანობის დამყარებას დაელოდა, მაგრამ მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. მისი მშობლიური ფოცხოვი ოსმალებმა დაიკავეს. ხოლო ბათუმში ბოლშევიკური არმია შემოვიდა: „წინ წყალი, უკან მეწყერი“ და ივანეც მენშევიკურ მთავრობას ემიგრაციაში გაჰყვა.

პარიზში აბონდანის სასაფლაოზე განისვენებენ ივანე ბეთანელი და მისი მეუღლე. საფლავის ქვას მათი დაბადება-გარდაცვალების თარიღები არა აქვს.<sup>43</sup> ვვარაუდობთ, რომ 1919 წელს გადარჩენილი **მესხი ივანე ბეთანაშვილი და საფრანგეთში დაკრძალული ივანე ბეთანელი ერთი და იგივე პიროვნებაა.**

\* \* \*

დავუბრუნდეთ ოსმან მიქელაძის მოღვაწეობას. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, როგორც ჩანს, იგი შეუერიგდა, დაბრუნდა სახლში და ერთხანს შინამეურნეობას მისდევდა.

მიუხედავად ამისა ოსმან მიქელაძე, როგორც აჭარაში ერთ-ერთი პოპულარული პიროვნება, **ბოლშევიკებმა ბეგების ფენას მიაკუთვნეს** და როგორც „კლასობრივი მტერი,“ აბაშიძეებთან, ბეჟანიძეებთან, ბიბინეიშვილებთან ერთად 1923 წლის ივნისში დააპატიმრეს, გაასახლეს და აჭარაში ცხოვრება აუკრძალეს\*.

დაპატიმრებულები პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით ოთხ ჯგუფად დაყვეს: თურქული, ქართული, უორიენტაციო და გაურკვეველი ორიენტაციის. ოსმან მიქელაძე, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ბუნებრივია, ქართული ორიენტაციის ჯგუფს მიაკუთვნეს.<sup>44</sup>

---

\* ბეგების სიაში შეტანილი ოსმანის გვარის გასწვრივ ვკითხულობთ: „**ქართული ორიენტაციის, დამფუძნებელი კრების წევრი**“ (ოთარ გოგოლიშვილი. ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში. ბათუმი. 2000. გვ. 36).

1925 წლის მაისში აჭარის ზოგიერთ ბეგს და ოსმან მიქელაძესაც უფლება მიეცათ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ და საკუთარ ოჯახებში ეცხოვრათ. ოსმანი ერთხანს კვლავ მხოლოდ საკუთარი სახლ-კარის მოვლა-პატრონობით იყო დაკავებული.

1928 წელს სოფელ დანისპარაულში გაიხსნა დაწყებითი სკოლა, რომლის ინიციატორი ოსმან მიქელაძე იყო, თვითონაც აქ მასწავლებლობდა და სკოლა კერძო ბინაზე, **იუსუფ გელაძის** სახლში მოათავსეს. სკოლაში ერთად-ერთი გოგონა ოსმან მიქელაძის ასული სწავლობდა.

ოსმანის პიროვნებაზე, მის განსწავლულობაზე და ორატორულ ნიჭზე საკმაოდ დაწვრილებით გვიყვება 1928 წელს დანისპარაულის სკოლის გამგედ დანიშნული ცნობილი პედაგოგი, სწავლული ირანისტი და მოღვაწე **დავით კობიძე** (1906-1981). მას, პედაგოგიურ საქმიანობაში სრულიად გამოუცდელს, ბედღეთის რაიონული დაქვემდებარების სკოლაში უპირებდნენ დანიშვნას, მაგრამ განათლების კომისიარიატის ბრძანება აღარ შეცვალეს და ს. დანისპარაულში გაგზავნეს. სოფელში ასული დ. კობიძე თავის პირველ მთაბეჭდილებას ასე აღწერს:

„რაიონში დამარიგეს, რომ დაბინავებამდე სკოლის მასწავლებლის **ოსმან მიქელაძის** ოჯახში შევჩერებულიყავი. სოფლელებს ოსმანისთვის უკვე უცნობებით ჩემი მოსვლის ამბავი, ის წინ შემომეგება. ერთმანეთი გავიცანიით. ოსმანი თურქულ ენას ასწავლიდა იმ სკოლაში, რომლის გამგედ მე ვიყავი დანიშნული. მას, თურმე მთელი აჭარა იცნობდა. ის კარგი განათლების ადამიანი გახლდათ, შესანიშნავი ორატორი, რომელიც ერთიორი წინადადების წარმოთქმისთანავე იპყრობდა აუდიტორიას. თუ თბილისიდან მთავრობის ან პარტიის რომელიმე თვალსაჩინო წარმომადგენელი ჩამოვიდოდა, რასაც ადგილი ძალიან ხშირად ჰქონდა, სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე სიტყვა უსათუოდ ოსმან მიქელაძეს უნდა წარმოეთქვა.“<sup>45</sup>

შემდეგ ავტორი განაგრძობს თხრობას იმის შესახებ, რომ სკოლის ავტორიტეტი თანდათანობით იზრდებოდა აჭარის სოფლებში, მაგრამ „გოგონებს სკოლას მაინც არ აკარებდნენ. მთელ თემში მხოლოდ ჩემს სკოლაში სწავლობდა ერთადერთი გოგონა, ისიც ოსმან მიქელაძის ასული.“\*

დავით კობიძის დანისპარულში მუშაობისას სოფლის სკოლა მოუნახულებიათ საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარეს მიხა ცხაკაიას, აჭარის ცაკ-ის თავმჯდომარეს მოედინ სურმანიძეს და აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს მემედ გოგიბერიძეს. „სკოლის მიდამო იმ წუთშივე ხალხით აივსო. მ. ცხაკაია მანქანიდან პირდაპირ სკოლისკენ გამოეშურა, ხელი ჩამომართვა და რამდენიმე შეკითხვა მომცა სკოლით ბავშვთა დაინტერესების შესახებ. სახელდახელო მიტინგი გაიმართა. სიტყვა ოსმან მიქელაძემ წარმოთქვა“.<sup>46</sup>

ამგვარად, აქტიურ პოლიტიკას ჩამოშორებული ოსმან მიქელაძე სოფლის აგ-კარგიანობით იყო დაკავებული და თავის შესაძლებლობას იყენებდა მოსახლეობის სკოლებში მისაზიდავად, რისთვისაც საკუთარი ოჯახის მაგალითს იძლეოდა. ამავე დროს ის იყო სოფლის ერთ-ერთი მოწინავე აქტივისტი, სტუმრების მასპინძელი და გამცილებელი, სოფლის და მთელი ხეობის ჭეშმარიტი ხევისბერი, რომელსაც მოსახლეობა უსმენდა და ნებისმიერ საქმეზე გაყვებოდა.

სწორედ ასეთ პიროვნებებზე ნადირობდნენ მაშინდელი ჩეკისტები, გეშიც ადვილად აიღეს, 1937 წლის სექტემბრის ერთ მრუშე დამეს ოსმანს სახლში ეწვივნენ, დააპატიმრეს, ბათუმში ჩამოიყვანეს, სამეულმა ამ დვაწლმოსილ ადამიანში, რა თქმა უნდა „ხალხის მტერი“ დაინახა და მის სასიკვდილო განაჩენსაც თამამად მოაწერა ხელი; ჩვენ კი ხელთ შეგვრჩა ერთი ათას-

---

\* ამ გოგონას შადიე ერქვა, იგი შემდეგ გათხოვდა პირკვაძეებელ მემედ თავართქილაძეზე. ცნობა მომავლად ჩემმა მეგობარმა იასონ გელაძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებ.

ჯერ განმეორებული ცნობა იმის შესახებ, რომ „აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს 1958 წლის 24 დეკემბრის განჩინებით, სისხლის სამართლის საქმე მოქ. ოსმან ეუბის ძე მიქელაძის მიმართ, დაბ. 1899 წელს ხულოს რაიონში, რომელსაც საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული „სამეული“-ს მიერ 1937 წლის 15 სექტემბერს, სისხლის სამართლის კოდექსის 58-11 (ყოველგვარი ქმედება, მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის) მუხლის საფუძველზე მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, წარმოებით შეწყდა მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო. ამჟამად იგი რეაბილიტირებულია;

განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 1937 წლის 29 სექტემბერს.<sup>47</sup>

დიდი ოჯახი დატოვა ოსმან მიქელაძემ. მისი რამდენიმე ასეული შთამომავალი ამჟამად საქართველოს სხვადასხვა რაიონში ცხოვრობს.

### **მჟავანაძეები<sup>48</sup>**

მჟავანაძეები მრავლად იყვნენ გაფანტულნი საქართველოს, უპირატესად აჭარისა და გურიის სოფლებში. ზოგ მათგანს აზნაურის (ოსმალთა წყობილების დროს აღის) წოდება გააჩნდა და მიწებსაც ფლობდა. მჟავანაძეთა ქონებრივი შესაძლებლობები აირეკლა ბათუმის უძრავ ქონებაზეც, სადაც მათაც გააჩნდათ საცხოვრებელი სახლები, სასტუმროები, მაღაზიები, საამქროები და ა. შ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, საბჭოთა კავშირი, ქონება და თავადაზნაურობა ერთმანეთთან შეუთავსებელი აღმოჩნდა.

მჟავანაძეთა რეპრესიები ამით არ დამთავრებულა. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები სრულიად უდანაშაულო პირებისა, რომელთა ბედი საგანგებოდ შექმნილ „სამეულს,“ უგვარკუდო და სისხლადრეული ჯიშის არამზადებს მი-

ანდევს. სწორედ მათი გადაწყვეტილებით, მარტო ბათუმში დახვრიტეს მჟავანაძეთა გვარიდან გასული 5 პიროვნება: 1909 წელს დაბადებული ხუცუბნელი (ქობულეთის რ.) **ახმედ ისმაილის ძე მჟავანაძე, გიორგი ტიტეს ძე მჟავანაძე** (რომლის სადაურობა ვერ დავადგინეთ), 1896 წელს დაბადებული ზიანელი (ოზურგეთის რ.) **დომენტი ივანეს ძე მჟავანაძე**, 1911 წელს დაბადებული ქობულეთელი **დურსუნ მემედის ძე მჟავანაძე**, 1904 წელს დაბადებული, ასევე ქობულეთელი **იბრაიმ ისმაილის ძე მჟავანაძე**.

ტრაგედია ყველაზე მეტად ისმაილ მჟავანაძის ოჯახმა იწვნია. ახმედ და ისმაილ მჟავანაძეების გარდა, 1937 წლის 15 სექტემბერს დახვრიტეს იუსუფ ისმაილის ძე მჟავანაძეც. ჩვენი აზრით სამთავე ჩვენს წიგნში არაერთხელ მოხსენიებული ცნობილი მოღვაწის ისმაილ მჟავანაძის შვილები უნდა იყვნენ.

საყურადღებოა, რომ ციხისძირის მეურნეობის დირექტორი, იუსუფ ისმაილის ძე მჟავანაძე შეტანილია დახვრეტილთა იმ უზარმაზარ სიაში, რომელსაც ხელს აწერდნენ სტალინი და პოლიტბიუროს სხვა წევრები. ამ ავადსახსენებელ სიაში არიან აგრეთვე პირველ კატეგორიას (დახვრეტას) მიკუთვნებული: **ვლადიმერ გიორგის ძე მჟავანაძე** (დახვრიტეს 1938 წელს, 3 იანვარს), **დურსუნ მემედის ძე მჟავანაძე** (1937 წლის 10 აგვისტო), **სერგო კონსტანტინეს ძე მჟავანაძე** (1937 წლის 22 ნოემბერი) და **ერასტი ვლადიმერის ძე მჟავანაძე** (1937 წლის 22 ნოემბერი). რეპრესიები 1951 წელსაც განმეორდა. ჭვანის ხეობიდან ათეულობით ოჯახთან ერთად ყაზახეთის უდაბურ ადგილებში გაასახლეს ზემოხეველი აბდულ და რიზმან მჟავანაძეების მრავალსულიანი ოჯახები.

საბჭოთა თემიდან დააპატიმრა აგრეთვე ტყვედნამყოფი ექთანი, ოზურგეთელი **ნინა მიხეილის ასული მჟავანაძე** და მის ბედში მყოფი აღექსანდრა ივანეს ასული გიორგობიანი.

გადასახლებაში 20 წელი გაატარა ბათუმელმა გიორგი ლუკას ძე მჟავანაძემ (1899-1982), რომელსაც 1937 წლამდე აჭარის მთავრობაში მრავალი საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა.

## მშავანაძე იბრაიმ ისმაილის ძე

როგორც აღვნიშნეთ, რეპრესიებს დიდი მსხვერპლი შესწირა ქობულეთელი ისმაილ მშავანაძის ოჯახმა. 1937 წელს დახვრიტეს ისმაილის სამი ვაჟი: იბრაიმი, იუსუფი და ახმედი. თვით ისმაილ მშავანაძეს მდიდარი ბიოგრაფია აქვს. იგი ახლადგათავისუფლებული აჭარის პირველი მეჯლისის წევრი იყო (1880 წ.). მოღვაწეობდა ბათუმის საზღვაო პორტში და საკმაოდ შეძლებული ოჯახიც ჰქონდა. ისმაილი გარდაიცვალა 1909 წლის შემდეგ (ჩვენთვის ცნობილია მისი ვაჟის ახმედის დაბადების წელი – 1909).

ისმაილ მშავანაძეს ვაჟების გარდა ერთი ქალი, ჰურიეც ჰყავდა, პროფესიით ექიმი, რომელიც ვალოდია სიხარულიძეზე იყო გათხოვილი.

1937 წელს დახვრეტილ ძმათაგან იუსუფის და ახმედის ბიოგრაფიები ჩვენთვის უცნობია. შედარებით უკეთესად ვიცით იბრაიმ მშავანაძის ბიოგრაფია. იგი 1904 წელს დაიბადა. 1926 წელს დაამთავრა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი, ხოლო 1932 წელს სუბტროპიკული ინსტიტუტი. 1933 წელს იბრაიმ მშავანაძე დანიშნეს აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სუბტროპიკული კულტურების პასუხისმგებელ შემსრულებლად, შემდეგ მთავარ აგრონომად.

1937 წელს იგი გადაიყვანეს ბუქნარის სუბტროპიკული საცდელი სადგურის დირექტორად. იმავე წლის სექტემბერში იბრაიმ მშავანაძე დააპატიმრეს და საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა სამეულმა სსკ 58-1 და 58-7 მუხლების საფუძველზე, 16 ოქტომბრის დადგენილებით სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს ბათუმში 1937 წლის 1 ნოემბერს.

იბრაიმ მშავანაძეს ცოლად ჰყავდა თავისი მასწავლებლის, პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის შუქრი ალის ძე ვარშანიძის ქალიშვილი, ცნობილი პედაგოგი სემაეთ ვარშანიძე (1912-1992), მასთან შეეძინა შვილები: ავნი და სერიკო, რომელიც ადრე გარდაიცვალა.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების I პუნქტის თანახმად იბრამი მჭავანაძეს ყოველგვარი ბრალდება მოეხსნა, იგი სიკვდილის შემდგომ რეაბილიტირებულია.

### მჭედლიძე ივანე ზაქარიას ძე

აჭარის სამედიცინო საზოგადოების საქმიანობაში, განსაკუთრებით მაღარი წინააღმდეგ ბრძოლაში, წარუშლელი კვალი დატოვა ექიმმა ივანე ზაქარიას ძე მჭედლიძემ (1889-1937).

იგი დაიბადა ქუთაისის მაზრის სოფელ სვირში. 1910 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

1914 წელს ივ. მჭედლიძეს და მის თანაკურსელებს, მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო, დაჩქარებული წესით დაამთავრებინეს უნივერსიტეტი და არმიაში გაიწვიეს, სადაც 1921 წლამდე დარჩა. დემობილიზაციის შემდეგ ჩამოვიდა ბათუმში და საზღვაო კარანტინში დაიწყო მუშაობა.



ივანე ზაქარიას ძე  
მჭედლიძე

1925 წლის მარტში ი. მჭედლიძე დანიშნეს სამალარიო სადგურის დირექტორად, შეთავსებით მუშაობდა ჯანსახკომის ეპიდემიოლოგიური განყოფილების გამგედ, აჭარის უმაღლესი საბჭოს და მილიციის სამმართველოს ექსპერტად.

1930 წელს ერთა ლიგის საგზურებით ი. მჭედლიძემ, ი. ფრანგულიანმა და ი. კონიაშვილმა იმოგზაურეს ევროპის ქვეყნებში. იტალიაში ყოფნისას ისინი შეხვდნენ მაქსიმ გორკის, რომლის დახმარებით ბათუმში ჩამოიტანეს რამდენიმე ნაგებობის ნახაზი. ამ ესკიზების საფუძველზე





ქართველი ექიმები იტალიაში. ქ. ვენეცია.  
ივანე კონიაშვილი, ივანე ფრანგულიანი, ივანე მჭედლიძე. 1930 წ.

ინჟინერმა **პავლე ნადარეიშვილმა** მოამზადა პროექტები და აშენდა ტროპიკული ინსტიტუტის შენობა, აგრეთვე ბულვარის და ახალგაზრდობის პარკის კოლონადები.

ი. მჭედლიძის ინიციატივით გაფართოვდა ბათუმის სამალარიო სადგურის ფუნქციები, ხოლო 1928 წელს ქობულეთში მეორე სამალარიო სადგური გაიხსნა.

ჭაობების დაშრობის, მედიკამენტების დარიგებისა და სხვა ღონისძიებების შედეგად მალარიის შემთხვევებმა მკვეთრად იკლო.

ი. მჭედლიძე კვალიფიციური მეცნიერიც იყო. ჩვენ ხელთ-გვაქვს მისი 7 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხება არამარტო მალარიას, არამედ სხვა პარაზიტულ დაავადებებს, ჭიებით ინვაზიას, ცხელება დენგეს და ა. შ. იგი ითვლება მრავალი სამეცნიერო სესიის მოწვევის ინიციატორად, საკავშირო და რესპუბლიკური კონფერენციების მონაწილედ. 1936 წელს მონაწილეობდა იტალიაში გამართულ მსოფლიო კონგრესის მუშაობაში..

ბათუმში ი. მჭედლიძე ცხოვრობდა ეკლესიის შესახ. №12-ში მდებარე სახლში (ახლანდელი ნოდარ დუმბაძის ქუჩა). აქ იგი დებულობდა შინაგანი სწულების მქონე ავადმყოფებს.

ტრაგიკულად დასრულდა ივანე მჭედლიძის სიცოცხლე. იგი 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს (სია №2, რიგითი №70 და 138).<sup>49</sup>

როგორც ჩანს, მისი მთავარი „დანაშაული“ იყო რამდენჯერმე საზღვარგარეთ მივლინებით ყოფნა. საყურადღებოა, რომ ასევე სიკვდილით დასაჯეს პროფესორი **ივანე კონიაშვილი** (1889-1938), რომელიც 1930 წელს ი. მჭედლიძესთან ერთად მოგზაურობდა იტალიაში. გადარჩა მხოლოდ მესამე თანმხლები **ივანე ფრანგულიანი** (1887-1970), რომელიც რეპრესიების წლებში საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილედ და კოლეგიის წევრად დააწინაურეს. იგი მომდევნო წლებში ჯანმრთელობის დაცვის თვალსაჩინო ორგანიზატორი და მეცნიერი მედიკოსი გახდა. სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ბუნებრივია, მას კავშირი ჰქონდა სპეცსამსახურებთანაც. ჩვენთვის უცნობია იგი, როგორც მოწმე, დაკითხეს თუ არა ივანე მჭედლიძის და ივანე კონიაშვილის საქმეზე. თუმცა ამის გარეშეც დასტურდება მისი თანამშრომლობა მაშინდელ ძალოვან ორგანოებთან, კერძოდ, რეპრესირებულ **ბარონ ბიბინეიშვილის** საქმესთან დაკავშირებით. ბარონი (იგივე ბართლომე) 1933-36 წლებში „სახელგამის“ დირექტორი იყო. ამ პერიოდში მან დაწერა წიგნი „კამო“, რომელშიც არ ჩანდა სტალინის როლი. 1956 წელს, როცა დაიწყო უდანაშაულოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაცია, ამ საკითხზე დაუკითხავთ ივანე ფრანგულიანი. მის ჩვენებაში ნათქვამია: „კამოს“ გამო პარტკოლეგიაშიც გამომიძახეს. კიდევ ერთი წიგნი ჰქონდა მემუარული. ორივეში ცოტა იყო სტალინზე. ბევრი უსიამოვნება შეხვდა და დაპატიმრების მიზეზიც ეს იყო.“ ბარონ ბიბინეიშვილი 1937 წლის 28 ივნისს დახვრიტეს ი. სტალინის და ვ. მოლოტოვის „თანხმობით“. (რევაზ კვერენჩილაძე. საბუთები დაღადებენ. თბილისი. 2011. გვ. 303, 304, 375).

## ნადარეიშვილი პავლე დიმიტრის ძე

ეს პიროვნება ჩვენს მიერ მოძიებულ სიებში არ აღმოჩნდა, თუმცა ოჯახის წევრები დაბეჯითებით გვარწმუნებენ, რომ იგი ბათუმში დააპატიმრეს და აქვე დახვრიტეს, ამიტომ დასაშვებად მიგვაჩნია ასეთი გამონაკლისი და მკითხველს მოვუთხრობთ მის შესახებ, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ღვაწლი ბათუმის განვითარება-განაშენიანებაში ძალზე დიდია.

პავლე დიმიტრის ძე ნადარეიშვილი დაიბადა 1897 წელს (ოფიციალური საბუთით 1894 წ.), სამეგრელოს სოფელ ონტოვოში (აბაშის რ.). დიმიტრის სამი ვაჟი ჰყავდა: სამსონი – მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პრორექტორი, პროფესორი; კონსტანტინე – პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, იურისტი, სოხუმის პროკურორი (დახვრიტეს 1937 წელს) და პავლე, რომელმაც უმაღლესი საინჟინრო განათლება ვარშავის უნივერსიტეტში მიიღო.

1923 წელს პავლე ნადარეიშვილი ბათუმში ჩამოვიდა და სხვადასხვა უწყებაში ინჟინრად მუშაობდა. შემდეგ იგი გაგზავნეს მახუნცეთში (ქედის რ.) აწვევის მშენებლობაზე, სადაც მას მოუხდა მომავალი დაბის დაგეგმარება და ადმინისტრაციული და საცხოვრებელი ნაგებობების მშენებლობა.

1925 წელს პ. ნადარეიშვილი ბათუმის საქალაქო საბჭოს მთავარი ინჟინერია. ერთი წლის შემდეგ ის პარალელურად მუშაობს ახლადგახსნილი ინდუსტრიული ტექნიკუმის ლექტორად. მისი მოწაფეები იყვნენ ბათუმელთათვის კარგად ცნობილი ინჟინრები: კოკი აბაშიძე, ნიკო ჭყონია, ისმაილ კონცელიძე, ენვერ ქიქავა, ბოგდან კირაკოსიანი და სხვები.



**პავლე დიმიტრის ძე  
ნადარეიშვილი**

პაველე ნადარეიშვილის სახელთან დაკავშირებულია ბათუმში მრავალი საცხოვრებელი სახლის (მემედ აბაშიძის, ზურაბ გორგილაძის, ლუკა ასათიანის, პეტრე მელიქიშვილის, ილია ჭავჭავაძის ქუჩებზე), აგრეთვე სასტუმროების: „ინტურისტი“-ს და „პირველი მაისი“-ს, საზღვაო აკადემიის, ხის დამუშავებელი კომბინატის შენობების აგება.

ევროპაში განათლებამიღებული მაღალკვალიფიციური ინჟინერი ცდილობდა ბათუმშიც შემოეტანა ევროპის საკურორტო ქალაქებში ნანახი ელემენტები. 1930 წელს ევროპის ქვეყნებში მივლინებულმა ექიმებმა ი. კონიაშვილმა, ი. მჭედლიძემ და ი. ფრანგულიანმა ჩამოიტანეს კოლონადების და ტროპიკული ინსტიტუტის შენობის ესკიზები, რომელთა საფუძველზე პ. ნადარეიშვილმა დაამუშავა პროექტები და შეუდგა მათს მშენებლობას. სამუშაოთა მწარმოებლად ნიშნავდა თავისივე მოწაფეებს.

საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, რომ პაველე ნადარეიშვილი პირადად ხელმძღვანელობდა ყველა ზემოთქმული ნაგებობის მშენებლობას, იგი არაერთჯერ აბარებს აჭარის



ბუღეარის კოლონადები (1934 წ.)

მთავრობას ანგარიშს სამუშაოთა მიმდინარეობაზე, რომელთა ექსპერტიზასაც თვითონ ატარებდა. ასე აშენდა ტროპიკული ინსტიტუტი (ახლანდელი კულტურის უნივერსიტეტი) 1937 წელს, ბუღვარის კოლონადები (1934 წ.), პიონერთა პარკის შესასვლელი (1938 წ.) და სხვ.

1938 წლის 19 აპრილს საქართველოდან გაგზავნილ სიაში მოხვდა და ცკ-ს პოლიტბიუროს წევრების რეზოლუციით პავლე ნადარეიშვილი ხალხის მტრად გამოაცხადეს, მიაკუთვნეს დამნაშავეთა პირველ კატეგორიას და დახვრიტეს. მისი დამსახურება თანდათ წაიშალა და ყველაფერი მის მოწაფეებს მიაწერეს.

ქალაქ ბათუმის ხელმძღვანელობამ ინტენსიურად დაიწყო ახლო წარსულის ობიექტურად შესწავლა და იმედია ყველაფერს, მათ შორის პავლე ნადარეიშვილის ნამუშავესაც დაერქმევა ნამდვილი სახელი.<sup>50</sup>

## ნაკაიძე ხუსეინ ახმედის ძე

აჭარაში უმაღლესი განათლების სათავეებთან ყოფნის პატივი ერგო ქობულეთის რაიონის, სოფელ ხუცუბნის მკვიდრს ხუსეინ ახმედის ძე ნაკაიძეს (1905-1937). ხუსეინს დედა ადრე გარდაეცვალა და მისი აღზრდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის გულა-აღა კაიკაციშვილის (ბაბუის) ოჯახმა იკისრა.

1913 წელს ხუსეინი ქობულეთის ორკლასიან რუსულ სკოლაში შეიყვანეს. ორი წლის შემდეგ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ქუთაისის გიმნაზიაში სასწავლებლად ოთხი მოზარდი მიიწვია, რომელთა შორის ხ. ნაკაიძეც აღმოჩნდა. ისინი საზოგადოების კმაყოფაზე იყვნენ და მათ სტიპენდიაც ეძლეოდათ.

1919 წელს ბათუმში ქართული გიმნაზია გაიხსნა, ხუსეინი აქ მესამე კლასში გადმოიყვანეს და შეუნარჩუნეს შეღავათები;

საბჭოთა პერიოდში გიმნაზია ჰუმანიტარულ ტექნიკუმად გადაკეთდა, ხ. ნაკაიძემ 1924 წელს დაამთავრა ეს ტექნიკუმი და იმავე წელს სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. სწავლის პარალელურად იგი გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციაში მუშაობდა, სადაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც ერთხანს განაგრძო საქმიანობა.



**ხუსეინ ახმედის ძე ნაკაიძე**

ბათუმში დაბრუნებისთანავე, 1930 წელს, ხ. ნაკაიძე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გამგის მოადგილედ დანიშნეს, ხოლო 1932 წლის იანვარში განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ გადაიყვანეს.

1933 წლის 2 აპრილიდან ხ. ნაკაიძე აჭარის განათლების სახალხო კომისარი; ამ თანამდებობაზე მან ორი წელი დაჰყო, შემდეგი გადაიყვანეს ახლადშექმნილი აჭარის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად.

იგი ერთდროულად ასრულებდა აჭარის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოვალეობას.

ხუსეინ ნაკაიძის ინსტიტუტის დირექტორად დანიშვნის შემდეგ, 1935 წელს დაიწყო აჭარაში უმაღლესი განათლების ისტორიაც. იგი საქმის სიყვარულით და მთელი გატაცებით ჩაება ამ საშვილიშვილო საქმეში. იგი იყო სტუდენტების აღმზრდელიც და მეგობარიც. მრავალ ხელმოკლე აღმზრდელს საკუთარი სახსრებით გაუწია დახმარება.

დიდხანს აღარ გაგრძელდა ხ. ნაკაიძის ენთუზიაზმი და ქველმოქმედება. სკკპ პოლიტბიუროს რეზოლუციით ხუსეინ

ნაკაიძე 1937 წელს დააპატიმრეს, მიაკუთვნეს I კატეგორიას და გამოგონილი ბრალდებით დახვერება მიუსაჯეს. განაჩენი ბათუმშივე მოიყვანეს სისრულეში.

### **ნიჟარაძე ტარასი ბიორბისძე**

ეს პიროვნება ბათუმში 1937 წელს დახვერტილთა ორ სიაში ირიცხება. მისი ბიოგრაფია ჩვენთვის უცნობია. ცხოვრობდა ბათუმში, სტალინის ქუჩის №36-ში საკუთარ ბინაში. მუშაობდა აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამართლის განყოფილების გამგედ.

ტარასი ნიჟარაძე დახვერიტეს ბათუმში 1937 წელს. ჩვენ საუბრება მოგვეცა შეგვეგვროვებინა მასალები ტარასი ნიჟარაძის წარმომავლობის შესახებ. მისი მამა გიორგი, დედა თამარ ნიჟარაძე, ხოლო ბაბუა პრაპორშნიკი კონსტანტინე ზურაბის ძე ნიჟარაძეა. კონსტანტინეს გიორგის გარდა ჰყავდა ვაჟი, პრაპორშნიკი ზურაბი და ქალიშვილები: სოფიო, ანა და ელისაბედი. ზურაბის ცოლს ოსა, ხოლო ქალიშვილს ოლღა ერქვა.

ტარასი ნიჟარაძეს ჰყავდა ქალიშვილი თამარი (დაბ.1920). პროფესიით ექიმი, მუშაობდა ბათუმის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში ექიმ ოტო-რინო-ლარინგოლოგად. მეორე მსოფლიო ომის დროს იყო ქობულეთის №1453 საევაკუაციო პოსპიტლის ექიმი.

ტარასი ნიჟარაძე დახვერიტეს. შემდეგ მისი ჩამორთმეული ბინა აჭარის ვაჭრობის სახალხო კომისარმა აბდი ბაკურიძემ დაიკავა.

### **სამხარაძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე**

დაიბადა 1884 წელს ქ. გორში. პროფესიით ექიმი 1914-1917 წლებში მსახურობდა რუსეთის არმიაში, სადაც მობილიზაციით გაიწვიეს. ოფიციალური საბუთებით იგი არ მიეკუთ-

ვნებოდა არცერთ პარტიას, ნასამართლევი ან ძიებაში არ ყოფილა.

დაპატიმრების დროს ცხოვრობდა ბათუმში, იყო ქვრივი და ჰყავდა ორი შვილი, რომლებიც ლენინგრადში სწავლობდნენ.

აღ. სამხარაძეს ბრალად ედებოდა, თითქოს ის 1936 წლიდან მონაწილეობდა „საქართველოს ნაციონალისტურ პარტიაში“, რომელშიც გააერთიანეს ამ ორგანიზაციის წევრებმა **ივანე მჭედლიძემ** და **ჯემალ ქიქავამ**. ა. სამხარაძე ამ ორგანიზაციის წევრებს უთმობდა თავის ბინას, სადაც მართავდნენ შეკრებებს, მსჯელობდნენ კონტრრევოლუციურ საკითხებზე და იბირებდნენ ახალ წევრებს (მომხს. ეზიაშვილი). ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებდა, თუმცა ის იმხილებოდა მოწმეთა ჩვენებებით.

საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1938 წლის 14 თებერვლის დადგენილებით, სსკ 58-10 და 58-11 მუხლებით ა. სამხარაძეს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯეს ქონების კონფისკაციით.<sup>51</sup> განაჩენი ბათუმში მოიყვანეს სისრულეში (სია №1, რიგითი №255).

## სურმანიძეები

მწერალ ოსიკო გვარიშვილის წიგნში ამ გვარის 16 წარმომადგენელი შეტანილია რეპრესირებულთა სიაში, აქედან 8, ე. ი. ნახევარი სიკვდილით დასაჯეს. მათ შორის ხუთი პიროვნების მიმართ განაჩენი ბათუმში აღასრულეს.

ძენწმანელი (ქელის რ.) მუსტაფ სურმანიძის ხუთი ვაჟიდან სამი: ფეიზულა, ფიქრი და ხუსნი დახვრიტეს, გადარჩნენ მხოლოდ შუქრი და იუსუფი, თუმცა დამშვიდებული ცხოვრება არც მათ ჰქონდათ, გამუდმებული მუქარისა და შიშის პირობებში უხდებოდათ არსებობა.



## 1. სურმანიძე მოედონ ფერათის ძე

ბათუმში დახვეწილთა სიებში მოედინ სურმანიძე არ აღმოჩნდა, თუმცა ცნობილია, რომ სამეულმა მას 1937 წ. 3 ოქტომბერს სწორედ ბათუმში გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი, რაც იმ დღესვე მოიყვანეს სისრულეში. ამიტომ ეჭვი არ მეპარება, რომ მოედინიც აქ აღესრულა.

მოედინის ძმის ახმედის მიმართ 1937 წლის 29 სექტემბერს გამოიტანეს სასიკვდილო განაჩენი და ისიც იმავე დღეს მოიყვანეს სისრულეში. ახმედიც ბათუმში უნდა იყოს დახვეწილი. მისი ბიოგრაფიიდან ცნობები არ გვაქვს.

მოედინ ფერათის ძე სურმანიძე დაიბადა 1882 წელს ქედის რაიონის სოფელ აქუცაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სწავლობდა მედრესეში. კარგად შეისწავლა რუსული და თურქული ენები. 1921-1925 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის სხვადასხვა დაწესებულებაში. 1925 წელს შევიდა პარტიის რიგებში. იმავე წელს მუშაობდა მაზრის აღმასკომის თავმჯდომარედ. შემდეგ გადაიყვანეს აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მილიციის სამმართველოს უფროსად. სადაც რამდენიმე თვე დაჰყო. შემდგომში ის დააწინაურეს პასუხსაგებ თანამდებობაზე – აირჩიეს აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც მუშაობდა 1929 წლის ნოემბრამდე. 1929 წლის ნოემბრიდან 1932 წლის აპრილამდე ასრულებდა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის სახალხო კომისრის, ხოლო 1932 წლის აპრილიდან 1935 წლის 1 იანვრამდე აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოვალეობას. 1935 წლის 1 იანვრიდან 1937 წლის 22 ივნისამდე მ. სურმანიძე აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარია.

მოედინ სურმანიძე განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა აჭარის მოსახლეობაში. საყურადღებოა, რომ 1926 წელს გახსნილ მერისის გზას პირველი დღიდანვე მისი



**მოედინ ფერათის ძე  
სურმანიძე**

სახელი უწოდეს. მოედინის სახელობისა იყო აგრეთვე მერისის ხეობის ერთ-ერთი სამკურნალო წყარო.

მოედინ სურმანიძე არაერთხელ იყო არჩეული აჭარის ასსრ ცენტრალური ადმასრულებელი კომიტეტის წევრად. აჭარის საბჭოების ყრილობების დელეგატად. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად.

1928 წლის 23 იანვარს ბათუმში ჩატარდა საქართველოს ცენტრალური ადმასრულებელი კომიტეტის მესამე სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობდა პოეტი **პაოლო იაშვილი**, რომელიც მოიხი-

ბლა მოედინ სურმანიძის საქმიანობით და მას ლექსი მიუძღვნა.

„რომ ანთებულმა ცაში ბუხარმა,  
 მზემ ჩემს ბუნებას შეუწყო ხელი,  
 რომ აჭარელი სოფლის ფუხარა  
 ჩემგანაც შველას ძმასავით ელის,  
 რომ ვარ ნამდვილი ხალხის პოეტი,  
 მდგარი მიწაზე ორივე ფეხით,  
 რომ ვარ კეთილი, როგორც მოედინ  
 სურმანიძეა კეთილი გლეხი.“

ამავე წლის 18 დეკემბერს ქედაში გაიმართა აჭარულ ქალთა პირველი კონფერენცია. რომელსაც მიესალმა მოედინ სურმანიძე. მან მოუწოდა კონფერენციას აღიმაღლოს ხმა ძველი ადათ-წესების წინააღმდეგ. (გაზ. „ფუხარა“, 1928 წ. №296).

1937 წლის 22 ივნისს მოედინ სურმანიძე როგორც „ხალხის მტერი“, დააპატიმრეს და მიუსაჯეს დახვრეტა. 1937 წელს დააპატიმრეს მოედინ სურმანიძის ძმა – ახმედ სურმანიძე და ისიც დახვრიტეს. დააპატიმრეს აგრეთვე რძალი აიშე ხალილის ასული სურმანიძე.

დადგა სამართლიანობის აღდგენის დრო. მოედინ სურმანიძის ნათესავეების მრავალი განცხადების საფუძველზე, 50-იანი წლების დასასრულს გადახედეს აღნიშნულ საქმეებს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1958 წლის 23 იანვრის დადგენილებით მოედინ სურმანიძე რეაბილიტირებულ იქნა სიკვდილის შემდეგ. იმავე კოლეგიის 1958 წლის 12 აგვისტოს დადგენილებით რეაბილიტირებულ იქნა აგრეთვე ახმედ სურმანიძე. ხოლო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით აიშე სურმანიძე.

საგულისხმოა ერთი საინტერესო დეტალიც. 1928 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 10 წლისთავის იუბილე გადაიხადა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ უნივერსიტეტს გაუგზავნა ადრესი, რომელშიც აღნიშნულია: „აჭარისტანის ავტონომიური ს.ს. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭო ულოცავენ რა ამ დიად დღეს, უსურვებენ უნივერსიტეტს დაუღალავ მეცნიერულ მუშაობას და კვლევადობას ჩვენი საბჭოთა ქვეყნის და მთელი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

აჭარისტანი საქართველოს ეს მშვენიერი ნაწილი, მისი ფუხარა ხალხით, თქვენთან ერთად გულწრფელად ზეიმობს უნივერსიტეტის ათი წლის არსებობას.

ნიშნად ღრმა პატივისცემისა აჭარისტანი იღებს თავის მცირე წვდილს და საჩუქრად უძღვნის თბილისის უნივერსიტეტს მისი საჭიროებისთვის შავი ზღვის სანაპიროზე ციხისძირში მდებარე აგარაკს შენობითურთ.“

ადრესს ხელს აწერენ აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. სურმანიძე, აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე მ. გოგიბერიძე, ცაკის პასუხისმიგებელი მდივანი ს. ზოიძე და ცაკისა და სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი თ. კეჭაყმაძე. ადერსთან ერთად უნივერსიტეტს გაუგზავნეს აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებ-

ბელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 16 თებერვლის № 1121 დადგენილების ამონაწერი: „ექდგნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აჭარისტანისგან საჩუქრად მის სარგებლობაში და განკარგულებაში ქობულეთის მაზრაში, სოფელ ციხისძირში მდებარე, გაეროვნებულ ყოფილ მოქალაქე ანანოვის აგარაკი\* შენობითურთ. თანახმად აქვე დართული აჭარისტანის მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ შედგენილი და დამტკიცებული რუკისა.“ ეს ადრესი ამჟამად ამშვენებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმს, სამწუხაროდ, ეს დასასვენებელი სახლი შემდგომში საკავშირო პროფსაბჭოს გადაეცა. უნივერსიტეტი აღარ სარგებლობდა. ხოლო ამ რამდენიმე წლის წინ დაანგრიეს და მის ადგილზე ახალი აგარაკი ააშენეს.

## 2. სურმანიძე ფეიზულა მუსტაფის ძე

ამ პიროვნებას ძალზე საინტერესო ბიოგრაფია აქვს. მართალია, სად და რა განათლება მიიღო, ამის საბუთები არ გაგვანჩნია, თუმცა მისი სამსახური, დიდი ენთუზიაზმი და მამულიშვილური ღვაწლი ძალზე ყურადსადებია და ადასტურებს, რომ ფეიზულა-ბეგ სურმანიძე (1881-1937) საკმაოდ განათლებული და პროგრესული პიროვნება ყოფილა.

იგი დაიბადა ს. ძენწმანში. მისი მშობლები იყვნენ მუსტაფ ხეირულას ძე სურმანიძე და აიშე-ხანუმ გვარიშვილი.

ფეიზულა-ბეგის მოღვაწეობიდან ჩვენთვის ცნობილია მისი აქტიური მონაწილეობა ღლეო კერესელიძის მეთაურობით მო-

---

\* ამ აგარაკის პირვანდელი მეპატრონე იყო პოლონელი ინჟინერი **სკარჟინსკი**, რომელიც მონაწილეობდა სამტრედია-ბათუმის რკინიგზის მშენებლობაში. კლდეებიდან გამომტვრეული ქვებით მან ააშენა ორიგინალური შენობა, გახსნა საკურორტო სასტუმრო, მაგრამ აზარტული თამაშის მოყვარულმა ინჟინერმა სახლიც და მსახური ქალებიც ბანქოში წააგო და აქაურობას გაეცალა.

ქმედ ქართულ ლეგიონში. როგორც ირკვევა, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლეოსთან და მისი თხოვნით ლეგიონის შექმნისთანავე აჭარაში 200 ლეგიონერი შეაგროვა, თავად ფეიზულას კი ოფიცრის მაღალი წოდება მიანიჭეს.

როგორც ცნობილია, 1914 წელს თურქეთში შეიქმნა ქართული ლეგიონი, რომელიც მიზნად ისახავდა კავკასიაში რუსეთის გავლენის შესუსტებას და ცალკე კავკასიური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ტრაპიზონში ქართველ ლეგიონერთა რიცხვი 800-დან 1500-მდე კაცს აერთიანებდა. ესენი იყვნენ უმეტესად მაჰმადიანი ქართველები და ქრისტიანი ქართველი მოხალისეები, ქართველი ოფიცრები.<sup>52</sup>

ოსმალეთის ხელისუფლებასთან ნდობის მოპოვების მიზნით ლეგიონერთა უმრავლესობა (მუსლიმანიც და ქრისტიანიც) თურქულ ყაიდაზე გადაკეთებული სახელ-გვარით ირიცხებოდნენ. თვით ლეო კერესელიძე ისკენდერ-ბეგის, ნესტორ მაღალაშვილი მურად ბეგის, ხოლო მედიტონ ქარცივაძე ოსმან-ბეგის სახელით



ქართული ლეგიონის წევრები თურქეთში  
მარცხნიდან მეოთხე დგას ფეიზულა სურმანიძე;  
შუაში პროფილით ლეო კერესელიძე

იყვნენ ცნობილი. ლევიონერთა სიებშიც ასეთი შერქმეული სახელები შექმნდათ, თუმცა მრავალი მათგანის გვარ-სახელი ცნობილია: მემედ, ოსმან და ყადირ თავდგირიძეები, დევრიშბეგ ბეჟანიძე, ფეიზულა, ნური-ბეგ და დურსუნ-ბეგ სურმანიძეები, ისაკ ნაკაშიძე, შუქრი ხალვაში, ოსმან გვარიშვილი და სხვ. (რამაზ სურმანიძე. სურმანიძეები. ბათუმი. 2001, გვ. 111-114).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფეიზულა-ბეგს ქედაში საკუთარი სახლი ჩამოართვეს. მაგრამ დიდი ავტორიტეტის მქონე კაცი სამსახურში მიიწვიეს. 1921 წლის 16 აპრილს იგი ქედის მაზრის რევეკომის წევრად აირჩიეს.<sup>53</sup> 1923-1924 წლებში, როცა შემოიღეს ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (ნეპ), იგი თანასოფელ რამიზ მიქელაძესთან ერთად სამეგრელოს სოფლებში მიაგვლინეს. მოსახლეობის პროდუქტებით უზრუნველყოფას აწესრიგებდნენ (საბჭოთა კანონებით მდიდარი ოჯახებიდან ჭარბ პროდუქციას აგროვებდნენ და ღარიბებს ურიგებდნენ).

1937 წლის აგვისტოში ფეიზულა სურმანიძე დააპატიმრეს. სსრკ პოლიტბიუროს წევრთა ხელმოწერილ სიაში 1937 წლის 10 აგვისტოს მიაკუთვნეს I კატეგორიას. იგი გაასამართლა სსრკ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ, რომელმაც თავისი 1 სექტემბრის განაჩენით, სსკ 58-1<sup>ა</sup> და 58-10 მუხლების საფუძველზე სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერცა მიუსაჯა, რაც 1937 წლის 19 სექტემბერს მოიყვანეს სისრულეში.

1958 წლის 27 თებერვალს სსრკ უზენაესი სასამართლოს განჩინებით სისხლის სამართლის საქმე ფ. მ. სურმანიძის მიმართ შეწყდა ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო და იგი სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულია.

ფეიზულა-ბეგს ცოლად ჰყავდა მამუდ-ბეგ შერვაშიძის ასული შადიე-ხანუმი (1901-1918), რომელთანაც ერთად-ერთი ქალიშვილი ნაზი (1914-2000) შეეძინა. პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ფეიზულა-ბეგმა ცოლად შეირთო ხუსეინ სურმანიძის (თოფჩიოღლების შტო) ქალიშვილი ჰურიე, მაგრამ მასთან მემკვიდრე არ გასჩენია.

### 3. სურმანიძე ფიქრი მუსტაფის ძე

სურმანიძეთა ბუდე-სოფლის ძენწმანის მკვიდრს, გვარში გამორჩეულ და პატიოსნებით აღსავსე კაცად იცნობდნენ მისი თანამედროვენი.

ფიქრი 1887 წელს დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ძენწმანში. იგი მუსტაფა-ბეგ სურმანიძის და აიშე-ხანუმ გვარიშვილის მეორე ვაჟი იყო. ჰყავდა 4 ძმა და ერთი და. ფიქრი სურმანიძე ახალგაზრდობიდანვე შინაურ მეურნეობას ეწეოდა, ხოლო შემდეგ ვაჭრობას მიჰყო ხელი. ქედაში ჰქონდა სავაჭრო დუქნები, ხოლო ბათუმში მიხეილის (შემდგომში ტროცკის, ორჯონიკიძის, 9 აპრილის, ამჟამად ზვიად გამსახურდიას) ქუჩაზე პ. ო. შპოლიანსკის მიერ ბანკის აშენებისთანავე, პირველ სართულზე დაიჭირავა ფართობი და მოაწყო მანუფაქტურის მაღაზია.

ფიქრი სურმანიძე თავისი უფროსი ძმის ფეიზულა-ბეგის რჩევით ჩაეწერა ქართულ ლეგიონში, რომელიც ლეო კერესელიძის მეთაურობით ოსმალეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა, როგორც ანტირუსული შენაერთი.

ლეგიონიდან დაბრუნებულს ბანკის შენობა დაზიანებული, ხოლო თავისი მაღაზია გაძარცვული დახვდა. როგორც გაირკვა, 1914 წლის 27 ნოემბერს, კრეისერების „გებენ“-ის და „ბრესლაუ“-დან გამოსროლილი ყუმბარებით ბანკი დაზიანდა, ხოლო მარადიორებმა ქონება მაღაზიიდან გაიტაცეს.

ამის შემდეგ ფიქრი სურმანიძე მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა, ქედაში კი განაგრძო მცირე სავაჭრო საქმიანობა. იგი არასოდეს ყოფილა არცერთ პარტიაში და, თუ არ ჩავთვლით ლეგიონში სამსახურს, პოლიტიკისგან ძალზე შორს იყო.

ფიქრი-ბეგი თავისი საქმიანობით, შესაძლებლობის ფარგლებში, ხელს უმართავდა გაჭირვებულ ახლობლებს და თანასოფლელებს. ამით მან საკმაოდ კარგი ავტორიტეტი მოიხვეჭა. სოფელში ყველა სადავო საკითხზე მას უხმობდნენ და ისიც ყველა შემთხვევაში ცდილობდა მიუკერძოებელი ყოფილიყო.

ქველმოქმედება და ბრძენკაცობა საკმარისი აღმოჩნდა მაშინდელი ხელისუფლებისთვის, რომ ეს ალაღ-მართალი კაცი, ს. მაჭახლისპირში, ცოლეურთან სტუმრადმყოფი დაეპატიმრებინათ. ეს მოხდა 1937 წლის აგვისტოში. 5 სექტემბერს საქართველოს შინსახკომთან არსებულმა სამეულმა ფიქრი მუსტაფის ძე სურმანიძეს თითქოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და გადასახლება მიუსაჯა, თუმცა მისი არც წერილი მიუღიათ და სახლშიც არ დაბრუნებულა.

1956 წლის 30 აგვისტოს აჭარის სსრ უმაღლესმა სასამართლომ გადასინჯა ფ. მ. სურმანიძის ბრალდების საქმე და იგი წარმოებით მოსპო ბრალდების უსაფუძვლობის გამო.

1998 წლის 29 სექტემბერს ქალაქ ბათუმის სასამართლომ დია სამსჯავრო სხდომაზე ფიქრი მუსტაფის ძე სურმანიძე, რეაბილიტირებული 1956 წელს, აღიარა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

ზემოთქმულის მიუხედავად ბოლო დრომდე ფ. მ. სურმანიძე ოჯახისთვის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა. მიაჩნდათ, რომ იგი გადასახლებაში გარდაიცვალა.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივში შემორჩენილი საბუთებით, რომელიც ამავე ორგანოს გაზეთში „სრულიად არასაიდუმლოდ“ გამოქვეყნდა, გაირკვა, რომ ფიქრი მუსტაფის ძე სურმანიძე, დაბადებული 1887 წელს, ს. ძენწმანში 1937 წლის სექტემბერში ბათუმში დახვრიტეს. იგი 202 რიგითი ნომრით ბათუმში დახვრეტილთა მეორე სიაში ირიცხება. საყურადღებოა, რომ ამავე სიაში 201 ნომრად ჩაწერილია მისი ცოლისძმა, ბათუმის რაიონის ს. მაჭახლისპირის მცხოვრები ნევზეთ რიზას ძე წულუკიძე. როგორც ჩანს, ისინი ერთად დააპატიმრეს და მათ მიმართ გამოტანილი განაჩენიც ერთ დღეს აღასრულეს.

ფიქრი სურმანიძეს მინირე წულუკიძესთან (1902-1991) შეეძინა 5 შვილი: 1 ქალი და 4 ვაჟი (ლამარა, ირაკლი, დავითი, ჰაიდარი, რევაზი). ყველა მათგანმა მიიღო უმაღლესი განათლება და ღირსეული კვალი დატოვეს მოღვაწეობის ასპარეზზე. ახლა კეთილ საქმეებს მათი შთამომავლობა აგრძელებს.



#### 4. სურმანიძე ხუსეინ ხასანის ძე

ხუსეინის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ცნობები ძალზე ძუნწია, ამიტომ ვეყრდნობით მხოლოდ ოფიციალურ წყაროებს. დაიბადა 1872 წელს ს. ძენჭმანში (ქედის რ.).

ხუსეინ სურმანიძე 1937 წლის აგვისტოში დააპატიმრეს, ხოლო 15 სექტემბერს საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა „სამეულმა“, სსკ 58-10 მუხლის საფუძველზე სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრება მიუსაჯა.

განაჩენი სისრულეში მოიყვანეს ბათუმში 1937 წლის 1 ნოემბერს.

ხ. ხ. სურმანიძე შეტანილია სიკვდილმისჯილთა №2 სიაში (რიგითი №259).

#### 5. სურმანიძე ხუსენი მუსტაფის ძე

სურმანიძეთა გვარის ერთ-ერთი ცნობილი და ღირსეული წარმომადგენელია ხუსენი. იგი დაიბადა 1901 წელს. წერა-კითხვა თანატოლებისა და ოჯახის წევრებისგან საკუთარი მონდომებით შეისწავლა. 15 წლისა უფროს ძმას ფეიზულას მიერ შექმნილ ლეგიონში გაერთიანდა და სხვებიც აიყოლია.

1921 წლის მარტიდან, როცა აჭარაში დამყარდა ბოლშევიკური ხელისუფლება, ხუსენი ერთხანს სოფელში ჩაიკეტა, რადგანაც ახალმა პატრონებმა წარჩინებულ გვარებზე ნამდვილი ნადირობა გამოაცხადეს, 1924 წელს, ცნობილი აჯანყების დროს კი მისი ბიძაშვილი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი ბეირ-ბეგ სურმანიძე ეტლით გაიტყუეს და მოკლეს.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ხუსენი სურმანიძე ხელისუფლებაში გამოცხადდა და სამსახური შესთავაზა. ეს თავისთავის უარყოფასაც ნიშნავდა, მაგრამ ახალგაზრდა კაცს სხვა გზა არ ჰქონდა. 1924 წელს იგი ქედის მაზრის აღმასკომის

თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო ორი წლის შემდეგ თავმჯდომარედ დანიშნეს და აირჩიეს აჭარის ცაკის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად. მის სახელთან დაკავშირებულია მუშა ახალგაზრდობის სკოლის გახსნა მერისში, აღიქოდლებში სამანქანე გზების გაყვანა, სარწყავი არხების მშენებლობა; კორომხეთში, ჭალახმელაში, აბუქეთაში, კანტაურში, ბაბუჩოდლებში დაკიდული ხიდების გაკეთება.

ხუსნი სურმანიძე პირადად ხელმძღვანელობდა ქედის ცენტრში, მდინარე აჭარისწყალზე კაპიტალური ხიდის მშენებლობას, რომელიც დღესაც მყარად დგას. იგი 1925 წლის 7 ივლისს გაიხსნა და ამ საზეიმო ვითარებას ქედაში დაესწრო ცნობილი მწერალი ილია ერენბურგი.



ხუსნი სურმანიძე ქედის მაზრის აქტივისტებთან ერთად  
 I რიგში მეორე გივი გაბუნია, მესამე თამარ წილოსანი;  
 II რიგში მეორე ხასან ნაკაშიძე, მესამე არონ თაფლაშვილი,  
 მეოთხე ხუსნი სურმანიძე, მეშვიდე ზექერია ბერიძე;  
 III რიგში მერვე ხუსია ნაკაშიძე. 20/I 1926 წ.

ხუსნი სურმანიძემ შექმნა ჯგუფი, რომელმაც განახორციელა აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ეპოქალური გეგმა. იგი თავის ყოველდღიური ზრუნვის საგნად მიიჩნევდა მოსახლეობის განათლების და კულტურის დონის ამაღლებას, ჯანმრთელობის დაცვას, საყოფაცხოვრებო და სოციალური საკითხების მოგვარებას.

აჭარაში, თვით ოფიციალურ ორგანოებშიც კი სისხლის აღების წესს ჩვეულებრივ მოვლენად თვლიდნენ. ხუსნი სურმანიძემ შემოიკრიბა მაზრის მოწინავე ადამიანები, საგანგებოდ შეაფასა წარსულის ეს მანე გადმონაშთი, მას ბოროტმოქმედება უწოდა და მაზრაში დამნაშავეებზე განაჩენის გამოტანა მთლიანად სამართლადამცავ ორგანოებს დააკისრა.

ქედის მაზრა ისტორიულად განიცდიდა მიწის სავარგულების, საძოვრების და სათიბების სიმცირეს, რის გამო არ ვითარდებოდა მეცხოველეობა, მოსახლეობას აკლდა რძის და ხორცის პროდუქტები. ხ. სურმანიძის ინიციატივით აჭარის სახკომსაბჭომ გამოიტანა დადგენილება, რითაც მოსახლეობას უფლება მიეცა შესულიყო მეზობელ თურქეთში 15 კმ-ის მანძილზე და არტაანიდან შემოეყვანა, როგორც ცოცხალი პირუტყვი, ასევე შემოეტანა ხორცი, ერბო, ყველი და სხვა პროდუქტები.

1929 წელს ჩადრის ახდის კამპანიასთან დაკავშირებით ქედაში ჩადრმოხდილი მოვიდნენ ხუსეინის მეუღლე სეფურე ნაკაშიძე და ქაზიმ ბასილაძის მეუღლე ფადიმე ბასილაძე. როგორც ქალბატონი სეფურე გვიყვებოდა, მაშინ სურათები გადაიღეს, დიდი წიგნიც გამოსცეს, რომელიც ბოლომდე მათ სახლში ინახებოდა, მაგრამ ვიღაცამ ითხოვა, უკან აღარ დააბრუნა და დაიკარგა.

1929 წელს ხუსნი სურმანიძე ბათუმში გადმოიყვანეს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშნეს, მასვე დააკისრეს რესპუბლიკის მილიციის უფროსის მოვალეო-

ბის შესრულებაც. იგი აჭარის ცაკის პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს.



**ხუსნი-ბეგ მუსტაფის ძე  
სურმანიძე**

1931 წელს ხუსნი სურმანიძე მოსკოვში სტალინის სახელობის აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტთან არსებულ ორწლიან კურსებზე ჩარიცხეს, რომლის დამთავრების შემდეგ იგი ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დანიშნეს, ხოლო შემდეგ აჭარის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ გადაიყვანეს; პირველ ბრძანებაში ვკითხულობთ: „1936 წლის 7 მარტიდან გამოცხადდი და შევუდექი უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას. ამ თანამდებობის დროებით შემსრულებ-

ელს აღ. მღებრიშვილს დღეის რიცხვიდან ვავალებ შეუდგეს მის პირდაპირი მოვალეობის აღსრულებას“.

დადგა ავბედითი 1937 და სასამართლო ორგანოებსაც საკუთარი კარიერის დაკარგვისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარით ავალებდნენ გამოეტანათ სრულიად დაუმსახურებელი განაჩენი. ხუსნი სურმანიძე იმთავითვე სიმართლის დაცვის მხარეზე დადგა – როგორ იფიქრებდა, რომ სიმართლე მისთვის საბედისწერო აღმოჩნდებოდა. ურჩი მოსამართლე 1937 წლის 22 აგვისტოს შეიპყრეს და რამდენიმე დღის შემდეგ ბათუმში მოუსწრაფეს სიცოცხლე.



შაქირ ნაკაშიძე (ზის), ხუსნი სურმანიძე (დგას), სეფურე ნაკაშიძე.  
შვილები: მავილე და ბიჭიკო.

1958 წლის 9 იანვარს მეუღლის სეფურე ნაკაშიძე-სურმანიძეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალის თავმჯდომარემ, იუსტიციის პოლკოვნიკმა ვ. ლატიშევმა წერილობით აცნობა, რომ ტრიბუნალის 1956 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით ხუსნი მუსტაფის ძე სურმანიძე რეაბილიტირებულია.<sup>54</sup>

ქალბატონ სეფურეს ამ სტრიქონების ავტორი პირადად ესაუბრა. ტანჯვითა და ოჯახური უბედურებით გაწამებული ქალბატონის მოგონებას ქვემოთ თავში, „რეპრესირებულთა ოჯახები“, იხილავთ.

## ტანტიბა აქიფ შერიფის ძე (1896-1937)



**აკიფ შერიფის ძე  
ტანტიბა**

შორეული ნაოსნობის პირველი კაპიტანი აჭარიდან, აქიფ ტანტიბა (თანო-ოღლი) დაიბადა ქ. ბათუმში. 1912 წლიდან 16 წლის ყმაწვილი თავის ცხოვრებას ზღვას უკავშირებს, ჯერ რიგითი მეზღვაურის, ხოლო ხუთი წლის შემდეგ ის ადმინისტრაციულ თანამდებობაზეა.

1927 წლიდან აქიფ ტანტიბა „შაღვა ელიავას“ კაპიტანია, ხოლო 1932 წელს მას მიანდეს თბომავალ „მინსკის“ კაპიტნობა. იგი მეტყველებდა ქართულად და აფხაზურად, ამავე დროს თავისუფლად ფლობდა ინგლისურ, რუსულ, თურქულ და ბერძნულ

ენებს. აქიფ ტანტიბა აქტიურად მონაწილეობდა თბომავალ „ილიჩის“ გადარჩენაში, რომელმაც 1931 წლის 13 დეკემბერს თურქეთის ნაპირებთან ავარია განიცადა, რისთვისაც გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის იგი ლენინის ორდენით დააჯილდოეს. 1937 წელს აქიფ ტანტიბა ბათუმში დააპატიმრეს და დღემდე ოჯახს მის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გააჩნია.

## ტიტუმაკე ეუბ ხასანის ძე

დაიბადა ქვემო აჭარის სოფელ ვაიოში, 1886 წელს. რუსეთის ადმინისტრაციამ 18 წლის ეუბი ქედის მაზრაში დაბალი ჩინის პოლიცელად (ჩაფრად) განაწესა. 8 წლის შემდეგ სამსახურს თავი დაანება და სასულიერო განათლების მისაღებად თურქეთში წავიდა, დაამთავრა სასწავლებელი და სამშობლოში დაბრუნდა.

1924 წელს, აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყებისთანავე, ეუბ ტიტუმაკე აქტიურად ჩაება სამ-

შენებლო საქმიანობაში, როგორც რიგითი მუშა. პირველ ხანებში მუშათა რიცხვი 25-ს არ აღემატებოდა, მაგრამ მათი რაოდენობა ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე სწრაფად მატულობდა და 1926 წელს 420-ს, 1928 წელს 711 კაცს მიაღწია.



**ეუბ ხასანის ძე  
ტეტემაძე**

ეუბ ტეტემაძე, უკვე მშენებლობის გამოცდილი ოსტატი ათეულის ხელმძღვანელად დანიშნეს. მისმა ჯგუფმა განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი მარცხენა გვირაბის მშენებლობაში, რაც სიგელეზით და სხვა ჯილდოებით აღინიშნა.

1934 წლიდან ეუბ ტეტემაძე სახლში დაბრუნდა და როგორც სასულიერო პირი, ემსახურებოდა მეზობლებს, სკოლაში გაკვეთილებსაც ატარებდა და შინამეურნეობას ეწეოდა სოფელ ახალსოფელში, სადაც 1934 წელს გადმოსახლდა.

1937 წელს საკუთარ ბაღში ფორთოხლის კრეფის დროს ეუბ ტეტემაძე დააპატიმრეს. სამეულმა დახვრეტა მიუსაჯა, რაც იმავე წელს მოიყვანეს სისრულეში (სია №1, რიგითი №257).

ეუბ ტეტემაძე რეაბილიტირებულია.

### ფოსი კავლე იულის ძე

დაიბადა 1871 წელს სანქტ-პეტერბურგში. დააპატიმრებამდე ცხოვრობდა ქობულეთში, მუშაობდა სანატორიუმის ექიმად.

ა. ფოსს ბრალად ედებოდა თანამშრომლებში ანტისაბჭოთა აგიტაცია, თითქოს იგი იცავდა და აქებდა სამშობლოს მტრებსა და მოღალატეებს.

საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 15 დეკემბრის დადგენილებით სსკ 58-10 მუხლის საფუძველზე პ. ი. ფოსს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით, მიუსაჯეს, რაც ბათუმში მოიყვანეს სისრულეში (სია №1, რიგითი №157).

## ქათამაძე ილიას დურსუნის ძე

ხანმოკლე, მაგრამ ძალზე შინაარსიანი გზა განვლო 1906 წელს დაბადებულმა ილიას დურსუნის ძე ქათამაძემ. 8 წლის ასაკში იგი მშობლებმა თბილისის ქართულ გიმნაზიაში (ახლანდელი უნივერსიტეტი) შეიყვანეს, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ქობულეთში დაბრუნდა.

1920 წელს ილიასი ჩაირიცხა ბათუმის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლაში, რომლის დირექტორი ცნობილი პედაგოგი ალექსანდრე მგელაძე იყო; 1923 წელს კი შევიდა ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელსაც პედაგოგიურ ინსტიტუტსაც უწოდებდნენ, რადგანაც დაწყებითი კლასების გარდა, შვიდწლედის მასწავლებლებსაც ამზადებდა. 1926 წელს ილიასმა დაამთავრა ეს სასწავლებელი და იგი სოფელ ლედვას გამგე-მასწავლებლად დანიშნეს, მაგრამ 20 წლის ახალგაზრდას სწავლის გაგრძელება სურდა.

1927 წელს ილიასი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე, 1933 წელს იგი ბათუმის განათლების განყოფილების გამგედ დანიშნეს. აქ მან თავი გამოიჩინა, როგორც სახალხო განათლების დარგის საქმის მცოდნე პედაგოგმა და ორგანიზატორმა.



ილიას დურსუნის ძე  
ქათამაძე

1935 წელს ილიას ქათამაძე დააწინაურეს აჭარის განათლების სახალხო კომისრად, სადაც ჩვეუ-ლი ნიჭითა და ენთუზიაზმით ჩაება უმნიშვნელოვანეს საქმეში, მოკლე დროის მანძილზე ბევრის გაკეთებაც მოასწრო, თუმცა მისთვის საინტერესო შრომა მალე შეწყდა.



1937 წლის ნოემბერში იგი დააპატიმრეს. საქართველოს შინსახკომთან არსებულმა „სამეულმა“ 1937 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით, რომელსაც საფუძვლად დაუდეს გამოგონილი ბრალდებები (სსკ 58-2 და 58-11 მუხლები), ილიას ქათამაძეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა, რაც 15 ნოემბერს ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

1956 წლის 4 მაისს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალმა თავისი განჩინებით (№803/6) ილიას ქათამაძის მიმართ ხელოვნურად შეთითხნილი საქმე წარმოებით შეწყვიტა ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო. იგი სიკვდილის შემდგომ რეაბილიტირებულია.

ნოემბერშივე დააპატიმრეს ილიასის მეუღლე მარიამ პეტრეს ასული ლორთქიფანიძე, რომლის შესახებ ის. თავში „რეპრესირებული ქალები“...

### **ქამადაძე ხულუს ეუბის ძე**

დაიბადა 1905 წელს სოფ.ნენიაში (ხულოს რ-ნ.), საკმაოდ განათლებულ და კულტურულ ოჯახში. მეუღლე ზულფიე ქამადაძე ზემო აჭარის ქალთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც უარყო ძველი, თავსმოხვეული დოგმები, აიხადა ჩადრი და ჩაება აქტიურ საზოგადო საქმიანობაში.

ძვირად დაუჯდა ხულუსს მეუღლის ასეთი აქტიურობა. 1929 წლის ცნობილი აჯანყების დროის ნენიაში მოკლეს სოფლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ხულუსის ახლობელი ახმედ მემედის ძე ქამადაძე, ხოლო ხულუსის სახლის შესასვლელი კარი და პირველი სართულის ფანჯრები ჩაჭედეს და სახლი ცეცხლს მისცეს. ახლომახლო ჩასაფრდნენ და გააჩადეს თოფების სროლა, რათა ვინმე არ მიშველებოდა და ხანძარი არ ჩაექროთ.

ცეცხლწაკიდებული სახლიდან ხულუსმა შეძლო მხოლოდ ცოლის და ორი მცირეწლოვანი შვილის აღის და

ისაკის გამოყვანა (მესამე, ნოდარი გვიან შეეძინა). პირუტყვი, ფრინველი და ქონება ცეცხლმა შთანთქა. ხანძარი მეზობლებზეც გავრცელდა, დაიწვა ეუბ მიქელაძის სახლი პირუტყვთან ერთად.<sup>55</sup>

ოჯახმა იმთავითვე იცოდა ამ დანაშაულის ჩამდგნობა, მაგრამ ხულუსის მამამ ეუბ ქამადაძემ ოჯახის წევრებს აუკრძალა მათი გამხელა. მართლაც ოჯახზე მიყენებული დიდი ზარალის შესახებ სიტყვა არავის დასცდენია, რადგანაც დამნაშავეებს მთავრობის მხრიდან სიკვდილი არ ასცდებოდათ.<sup>56</sup>

1938 წლის თებერვალში ხულუს ქამადაძე დააპატიმრეს. მას ბრალი წაუყენეს სსკ-ის 58-2 და 58-11 მუხლებით. „სამეული“-ს წევრები ცდილობდნენ ხ.ქამადაძისგან მიეღოთ ჩვენება, ვინ გადაიბირა ის და ასევე ვისი გადაბირება შეძლო ხულუს ქამადაძემ ხელისუფლების წინააღმდეგ. უარის მიღების შემდეგ მათ დაუსახელეს ის პირები, ვინც მას სახლ-კარი გადუწვა, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხულუსი იმათ მაინც არ დაინდობდა. თუმცა კერპი მთიელი ვაჟაკაცისგან აქაც უარი მიიღეს.



**ხულუს ეუბის ძე  
ქამადაძე**

სამეულს ისღა დარჩენოდა, რომ წამების ყველა ხერხი გამოეყენებინა. აირჩიეს ადამიანის დამამცირებელი წამების მეთოდი, „ბოთლზე დასმა.“ ხულუსი დარწმუნდა, რომ მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, თითქოს დაეთანხმა ჯალათებს, შარვლის ღილების შეხსნას შეუდგა და ბოთლისკენ წავიდა, ყველაზე დიდ ბოთლს ხელი დაავლო, შემოტრიალდა და გამომძიებელს თავზე ისეთი ძალით გადაამტვრია, რომ სული იქვე გააფრთხოებინა. „სამეული“-ს მაგივრად დარჩენილი დაბნეული

„ორეული“ გონს მოეგო, იარაღი იშოშველეს და გამძვინვარებული პატიმარი იქვე მოკლეს. ეს მოხდა 1938 წლის 14 თებერვალს.\* ოფიციალურ ცნობებში კი ჩაწერეს, რომ სასიკვდილო განაჩენი სისრულეში 18 თებერვალს მოიყვანეს.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად ხულუს ეუბის ძე ქამადაძე რეაბილიტირებულია.

## ამბავი ქარცივაძეები

### 1. ქარცივაძე ღურსუნ შიშინს ძე

დაიბადა 1865 წელს ზემო აჭარის სოფელ ზემოხევში. სამ ძმას შორის შუათანამ სასულიერო განათლების მისაღებად სწავლა დაიწყო ბათუმში, შემდეგ განაგრძო სტამბოლში და მიიღო უმაღლესი იურიდიული და თეოლოგიური განათლება. მშობლიური ენის გარდა კარგად დაეუფლა არაბულ, რუსულ და ინგლისურ ენებს. სამშობლოში დაბრუნებულმა თავისი პროფესიით სამუშაო ვერ იშოვა, რის გამოც 1910-იანი წლებიდან ხელი მიჰყო ვაჭრობას, რაშიც ხელი შეუწყო ენების ცოდნამ. მალე იმდენად დიდი ქონება დააგროვა, რომ მას ბეგს უწოდებდნენ. ცხოვრობდა ბათუმში, სადაც ჰქონდა სავაჭრო დუქნები, აგრეთვე დუქანი ჰქონდა ჭვანაში, მეჩეთის ტერიტორიაზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იძულებული გახდა სოფელ ზემოხევში დაბრუნებულიყო, მაგრამ უმაღლესი განათლების მქონემ აქ ვერ მოიპოვა თავისი ადგილი, როგორც ირკვევა, ფარულად თუ აშკარად ეწეოდა ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციას, ემხრობოდა 1929 წლის ანტისაბჭოთა

---

\* ეს ამბავი ხულუსის შვილს **ისაკ ქამადაძეს** (დ. 1926 წ.) უამბო ყოფილმა პოლიტპატიმარმა (ლიხაურელმა, ოზურგეთის რ.), რომელმაც მისი თვალთ იხილა თავგანჯიხილი გამოძიებელიც და ტყვეებით დაცხრილული ხულუს ქამადაძეც. სამწუხაროდ 88 წლის ისაკ ქამადაძემ ამ პიროვნების სახელ-გვარი ვეღარ გაიხსენა.

გამოსვლების მეთაურებს, იბრძოდა კოლექტივიზაციის წინააღმდეგ, რის გამო უზრმაზარი სახლის წართმევას უპირებდნენ, მაგრამ სახლი დაშალა. ერთი მესამედი კოლმეურნეობას გადასცა კანტორისთვის, ხოლო დანარჩენით ორი სახლი ააგო.



**დურსუნ ემინის ძე  
ქარცივაძე**

1937 წლის რეპრესიების დაწვევისთანავე დურსუნმა ძმებს ურჩია გადამალულიყვნენ, თავად კი ხელისუფლებაზე ჩაბარება გადაწყვიტა. უშიშროების ადგილობრივ აგენტებს თხოვია არ დაეპატიმრებინათ, სამაგიეროდ მთელი უძრავ-მოძრავი ქონების გადაცემას დაპირდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. იმავე დღეს ცხენოსანმა რაზმმა დურსუნის სახლს ალყა შემოარტყა. იგი დააპატიმრეს და ბათუმში დახვრიტეს (სია №2, რიგითი № 38). სახლის გაჩხრეკისას ერთ ოთახში არსებული დიდი რაოდენო-

ბის ქსოვილი ცხენებს აჰკიდეს და წაიღეს.

## **2. ქარცივაძე ჰაჯი-ალი ემინის ძე**

დურსუნის უმცროსი ძმა ჰაჯი-ალი 1869 წელს დაიბადა ს. ზემოხევში. იგი უფროს ძმასთან ერთად სწავლობდა ბათუმში. სასულიერო საგნებთან ერთად შეისწავლა არაბული წერა-კითხვა, მაგრამ სწავლა მალე მიატოვა. ფიზიკურად ძლიერი ახლავაზრდა ჭიდაობამ გაიტაცა და ნამდვილ ფალავნად ჩამოყალიბდა. მონაწილეობდა შეჯიბრებებში, რომლებიც ზემო აჭარის სოფლებში იმართებოდა. სპორტული მონაცემების შემცირების შემდეგ კვლავ სასულიერო განათლებას ეზიარა, სწავლობდა ღორჯომის სემინარიაში, რომელიც დაამთავრა და იმამის წოდება მიიღო. მოლა ჰაჯი-ალის სახელით ცნობილი კაცი მსახურობდა ჭვანის მეჩეთში. გასაბჭოების

შემდეგ პირველ წლებში საბჭოთა განათლების სისტემა ასეთ პიროვნებებს იყენებდა ახალგაზსნილ სკოლებში, პირველ რიგში მოსახლეობის მოსაზიდად, აგერთვე ბავშვებზე ქართული და არაბული წერა-კითხვის შესასწავლად. ამ მიზნით ჰაჯი-ალი მუშაობდა ზემოხევის, ცხემლისის და ნადვარევის სკოლებსა და მედრესეებში.



აღალი ემინის ძე  
ქარცივაძე

1937 წელს ჰაჯი-ალი ქარცივაძე, ისევე როგორც თითქმის ყველა სასულიერო პირი, დააპატიმრეს და იმავე წელს ბათუმში დახვრიტეს (სია № 2, რიგითი № 141).

### 3. ქარცივაძე აღალი ემინის ძე

ემინ ქარცივაძის უფროსი შვილი აღალი 1863 წელს დაიბადა ს. ზემოხევში. ძმებთან შედარებით მისი ცხოვრება სხვაგვარი დრამატიზმით ხასიათდება. მართალია იგი ორგზის შეტანილია ბათუმში დახვრეტილთა სიაში (სია № 1, რიგითი № 176; სია № 2, რიგითი № 292), მაგრამ, როგორც ჩანს საგანგებო კომისიის ადგილობრივ აგენტებთან მოლაპარაკებამ ამ შემთხვევაში გაჭრა და აღალიმ სიცოცხლე შეინარჩუნა.

აღალი თავის დროზე თავისუფალი ცხოვრების მოყვარული იყო. ძმის მსგავსად მასაც აღმოაჩნდა კარგი ფიზიკური მონაცემები, ამიტომ ჭვანის ხეობაში ფალაენობასთან ერთად „ძველებიჭური“ საქმითაც გაითქვა სახელი. კავშირი ჰქონდა ქურდულ სამყაროსთან, თუმცა არ ყაჩაღობდა, პირიქით, ამ საქმის დიდი მოწინააღმდეგე იყო.

1937 წელს აღალი თავის ძმასთან ჰაჯი-ალისთან ერთად დააპატიმრეს და ბათუმის ციხეში ჩასვეს. რამდენიმე დღის შემდეგ ვისიმე ზეგავლენით აღალი ციხიდან გააპარეს. იგი წლების

მანძილზე თავს აფარებდა სოფელ ხინოს, საიდანაც შეცვლილი სერდალ ვაჩნაძის გვართ თავის სოფელში დაბრუნდა.

აღალის საიდუმლო შინაურებმა კარგად იცოდნენ, მეზობლებისთვისაც გახდა ცნობილი, მაგრამ ადარავის დაუსმენია. შესაძლოა კიდევ დააბუზღეს, მაგრამ მასობრივი დაპატიმრებები დიდი ხნის წინ ჩამცხრალი იყო და დანაშაულის აშკარად ჩადენის გარეშე ხელს არავინ ახლებდა. თუმცა მასზე ფარული მეთვალყურეობა, ან მისი გადაბირება გამორიცხული არაა.

აღალი ქარცივაძე, იგივე სერდალ ვაჩნაძე 1954 წელს გარდაიცვალა.

### **ქიქავა ჯემალ მამულის ძე**

ზექერია ლორთქიფანიძის გახმაურებული ჯგუფის ყველა წევრი (სულ 11 კაცი, მათ შორის 8 დახვრიტეს) ცალკე განხილვას იმსახურებს, მაგრამ ბათუმის სიებში ისინი არ გვხვდება და ეს თემა ჩვენი ნაშრომის ფარგლებს სცილდება, თუმცა მათი გასამართლების პროცესი, რომელსაც საჩვენებელი (შესაშინებელი) ვუწოდეთ, წიგნში მოკლედ შევიტანე.

ერთად-ერთი გამონაკლისი დაეუშვით ცნობილი მოღვაწის ჯემალ ქიქავას (1896-1937) მიმართ, რომელიც ჭაბუკობის დროიდან აქტიურად ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში. მას ყველგან და ყველასთან ვხედავთ, როცა საკითხი საქართველოს ერთიანობას, აჭარის გადარჩენას ეხება. ასეთი მრწამსი ჯემალ ქიქავამ შეინარჩუნა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების და მისი დაკარგვის შემდგომ პერიოდშიც.

ამჯერად ჯემალის მიმართ კალამი აგვადებინა მისმა ერთმა გამოსვლამ, რომელშიც აშკარად იგრძნობა ჭეშმარიტი მამულიშვილის, პატრიოტი ქართველის ბრძოლის მიზანდასახულობა, მისი გამბედაობა და სიმამაცე. ეს გამოსვლა მიმაჩნია, როგორც პოლიტიკური ბრძოლის, ასევე ქართული მჭერმჭერელების ნიმუშად, მით უმეტეს რომ ორატორი წინასწარ არ

მომზადებულა, იქვე კრების მსვლელობის დროს დაწერა და თავისი მოსაზრებები, როგორც იტყვიან, პირში მიახალა საქართველოს მტრებს.\* ვითარება ასეთი იყო.

1920 წლის 29 მარტს ბათუმის თვითმმართველობის შენობაში გაიმართა პროფკავშირის კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები ბოლშევიკები იყვნენ. კონფერენციის თავმჯდომარემ მოსე მარკმანმა წინასწარ განაცხადა, რომ სამხედრო გუბერნატორმა კამათის ნება არ მოგვცა(?), ამიტომ პირდაპირ უნდა ვუყაროთ კენჭი რეზოლუციას, ბათუმში და ბათუმის ოლქში საბჭოთა რუსეთის კანონების გავრცელების შესახებო.

ბოლშევიკთა ხრიკი გასაგები იყო. მათ სურდათ ბათუმის ოლქის უსიტყვოდ დათმობა კომუნისტებისთვის ისე, რომ ადგილობრივი მოსახლეობის აზრი და სურვილი არ ანტერესებდათ.

მიუხედავად კამათის აკრძალვისა, დარბაზის ქანდარაზე, რომელიც უპირატესად მუსლიმანი ქართველებით იყო გაჭედილი, ჩოჩქოლი ატყდა. კენჭის ყრამდე სიტყვა მოითხოვა **ჯემალ ქიქავამ**. თავმჯდომარე იძულებული იყო მისი თხოვნა დაეკმაყოფილებინა. ორატორმა ადგილიდანვე მიმართა კრების მონაწილეებს:

„უპირველეს ყოვლისა მე გამოვთქვამ ღრმა აღშფოთებას ამ მაღალ კრებისადმი, რომელსაც ვითომდა ბევრი რამ კარგი სურს აჭარისათვის და ამავე დროს შეძლებას არ აძლევს აჭარის შვილს ორიოდე სიტყვა თქვას იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს აჭარა (მქუხარე ტაში ქართველ მუსლიმანებში).



**ჯემალ მამულის ძე ქიქავა**

\* ჯემალ ქიქავას ეს გამოსვლა მასზე მიძღვნილ წიგნში შეიტანა **ნინო ქიქავამ**.<sup>37</sup> მან ისარგებლა გაზეთ „ერთობის“ პუბლიკაციით, ჩვენ კი ამ გამოსვლის ტექსტი ავიღეთ გაზეთ „სამუსლიმანო საქართველო“-დან. ამ ორი პუბლიკაციის შინაარსი ერთმანეთისგან განსხვავდება.

მე ძლიერ კარგად ვიცი პარლამენტური წესები და ჩემი სიტყვით არ შევაწუხებდი კრებას, მარა ის რეზოლუცია, რომელიც აქ წარუდგინეს კრებას ბალშევიკებმა, ესება ჩემი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს და მაიძულებს ორიოდ სიტყვა ვთქვა (ტაში).

გასაოცარია, რომ ის ხალხი, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ჩვენ მხარესთან, რომელიც არ არის მასთან შეკავშირებული არც ეტნოგრაფიულად, არც ისტორიულად და შეადგენს მხოლოდ სტუმრათ ჩვენში მობრძანებულ ელემენტებს, სხვა და სხვა ქვეყნიდან აქ ბედის საძებრათ მოსულებს, სწვევებს აქ ბედიბაღს ჩვენი ქალაქის და ოლქისას, სწვევებს ისე, რომ არც ეკითხება ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც 95 პროცენტს შეადგენენ მცხოვრებლებისას, სწვევებს ისე, რომ ეს დიდი უმეტესობა მცხოვრებთა არავითარ მონაწილეობას არ იღებს საკითხის გადაჭრაში. აჭარის მშრომელთა მასამ უკვე გამოსთქვა თავისი შეურყეველი ნებისყოფა გასული წლის 30 აგვისტოს, როცა მან თავის წარმომადგენელთა სახით ღვთისა და ქვეყნის წინაშე განაცხადა, რომ **ბათუმი და ბათუმის ოლქი, როგორც განუყრელი ნაწილი დედა-სამშობლო საქართველოსი, ავტონომიურათ უნდა შეუერთდეს საქართველოს.** ეს არის კატეგორიული გადაწყვეტილება სამუსლიმანო საქართველოსი და ამ თავის გადაწყვეტილებას აჭარის მშრომელი მასა არასოდეს არ უარყოფს. აჭარის მშრომელთა მასა თქვენ, ბ. ბ. ბალშევიკებო, არ გამოგყვებათ. ეს ცხადი და ნათელია და ამას ამტკიცებს სხვათა შორის ის, რომ თქვენთან არც ერთი აჭარელი არ არის (მქუხარე ტაში მუსლიმან და ქრისტიან ქართველთაგან. ხმა კრებიდან: „არის“). ეს არის მართალი. მე ვამტკიცებ, რომ თქვენ შორის არ არის არც ერთი ქართველი მუსლიმანი და თუ არის ვინმე მუსლიმანი, ის არის ოსმალეთიდან გამოქცეული ავანტიურისტი თურქი, პანისლამისტი, რომლებთანაც თქვენ, ბ. ბ. ბალშევიკებო, ბლოკი გაქვთ შეკრული. თქვენ ხომ ოსმალეთის პანისლამისტებთან ერთად თქვენი ქვეყნის დაღუპვას ღამობთ (მქუხარე ტაში იმავე წრეში).



კვლავ ვიმეორებ, რომ მეტად დიდი უმეტესობა ჩვენი ოლქისა ქართველი მუსლიმანებია. ქართველმა მუსლიმანებმა ან როგორც თქვენ უწოდებთ, აჭარის მშრომელთა მასამ, უკვე სთქვა თავისი კატეგორიული სიტყვა ბათუმისა და მისი ოლქის მომავლის შესახებ. ეს კატეგორიული სიტყვა ასეთია: ავტონომიურათ გაერთიანება დედა-სამშობლო საქართველოსთან (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს ამ რესპუბლიკის ფარგლებში ავტონომიურ სამუსლიმანო საქართველოს (მქუხარე ტაში).“

როგორც ჩანს, ასეთ პირდაპირ და აშკარად საწინააღმდეგო გამოსვლას კრების ორგანიზატორები არ ელოდნენ, ამიტომ ჯემალ ქიქავას სიტყვამ მათზე გამოაგნებლად იმოქმედა და შეპასუხებაც კი ვეღარ გაბედეს. ამასობაში აჭარლებმა დარბაზი დემონსტრაციულად დატოვეს.

თავმჯდომარეს ის-და დარჩენოდა, რომ კენჭი ეყარა რეზოლუციისთვის. დარბაზის განახევრების მიუხედავად 49 დელეგატმა რეზოლუციის წინააღმდეგ მისცა ხმა, მომხრე იყო 99 და ბუნებრივია, რეზოლუცია მიიღეს, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა, რომელიც ჯემალ ქიქავამ გაახმოვანა, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ბათუმის ოლქის დედა-სამშობლოს ფარგლებში დარჩენის აშკარა მხარდაჭერაზე მიუთითებდა.

ამ სხდომაზე დასასწრებად ახალციხიდან საგანგებოდ ჩამოსულა გაზეთ „განახლებული მესხეთი“-ს რედაქტორი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი **ოსმან მიქელაძე** (იხ. შესაბამისი თავი), რომელმაც „ქართველი მუსლიმანის“ ფსევდონიმით აღწერა ეს პროცესი და ჯემალ ქიქავას სიტყვასთან ერთად გამოაქვეყნა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველო“-ში (№322, 31 მარტი, 1920 წ. გვ. 3).

ანალოგიურია ჯემალ ქიქავას სხვა ზეპირი და წერილობითი გამოსვლები. ყველგან გატარებულია ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ღრმა რწმენა იმის შესახებ,

რომ აჭარა და ბათუმის ოლქი მთლიანად, რომელიც მოიცავდა ე. წ. სამუსლიმანო საქართველოს, ავტონომიის სახით დარჩენილიყო საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში.

გასაბჭოების შემდეგ ჯერად ქიქავა სახელმწიფო ორგანოებში მაღალ თანამდებობებზე ინიშნებოდა, თუმცა მას თავისი მრწამსი საქართველოს ერთიანობისა არ შეუცვლია. ეს ხელს არ აძლევდა კომუნისტურ ხელისუფლებას და არცაა გასაკვირი, რომ ჯემალი და მისი მეუღლე **ანა დანელია**, აგრეთვე თანამოაზრეები საგანგებოდ დასაჯეს. მან თავი საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეებს შესწირა.

### შავაძე შუჰრია ეზიზის ძე

ხულოს რაიონის სოფელ ნანუძოდლებში (შუა სოფელი) შადიე ქამადაძე-შავაძის ოჯახში 1956 წლამდე სჯეროდათ, რომ შადიეს მეუღლე შუჰრია შავაძე ცოცხალი იყო და დაბრუნდებოდა. ოჯახს აცნობეს, რომ სამეულის 1938 წლის 10 მარტის დადგენილებით მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და გადასახლებულია კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

შუჰრია შავაძე 1913 წელს დაიბადა ხულოს რაიონის, რიყეთის სასოფლო საბჭოს, სოფელ შუასოფელში. წერა-კითხვა სოფელშივე შეისწავლა, წერა-კითხვა უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლაში; პირველი შრომითი ნათლობა სოფლის სახერხ ქარხანაში მიიღო, სადაც მუშაობდა მუშად, ათისთავად, ცვლის უფროსად.

ქარხნიდან შ.შავაძე ხულოს კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ დააწინაურეს.

„გადასახლებული“ შ.შავაძის ადგილსამყოფელის, ან გარდაცვალების თარიღის დადგენის მიზნით მეუღლე შადიე ქამადაძე შეეცადა მიემართა ხულოს უშიშროების განყოფილებისთვის, რომელმაც კომის ასსრ-ში ბანაკის ხელმძღვანელობასთან თხოვნა გაგზავნა. თითქოს პასუხიც მოვიდა, რომ შ. შავაძე

ბანაკში გარდაიცვალა მუცლის ტიფით, მაგრამ ეს ცნობა უშიშროებას ოჯახისთვის არ გადაუცია, რამაც ავადმყოფობით გარდაცვალების ფაქტში იმთავითვე ეჭვი დაბადა.

ეჭვი სამართლიანი აღმოჩნდა, საქართველოს უშიშროების ახლადგახსნილ არქივში შეპირია ეზიზის ძე შავაძე შეტანილია სიკედილმისჯილთა სიაში (№2) რიგითი №319. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს ქბათუშში (ზუსტი რიცხვი უცნობია).



შეპირია ეზიზის ძე  
შავაძე

შ. შავაძეს ოჯახში დარჩა მეუღლე შადიე და შვილი ანზორი, რომელიც გაურკვეველ ვითარებაში რუსეთში დაიღუპა (გარდაცვლილი იპოვეს მანქანაში).

შეპირიას ჰყავდა მშობლები, ორი ძმა: ლევანი და იოსები და ერთი და ფატი. ამჟამად ყველა გარდაცვლილია. მის გვარს აგრძელებენ ორი შვილიშვილი, ხუთი შვილთაშვილი და მათი ნამრაველი.

### შავიშვილი სულეიმან მამუდის ძე\*

ცხოვრების საინტერესო გზა განვლო ქობულეთის რაიონის სოფელ კოხის მცხოვრებმა სულეიმან მამუდის ძე შავიშვილმა. რომ არა ავადსახსენებელი 1937, მისი ცხოვრება და შემოქმედება კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა.

ს. შავიშვილი 1905 წელს დაიბადა. მშობლების გარდა ჰყავდა მეუღლე თუნთულ ვერულიძე, ხოლო ერთად-ერთი ქა-

\* ბიოგრაფიული ცნობები მომწოდა სულეიმანის ქალიშვილმა ლ. ს. შავიშვილმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

ლიშვილი ეთერი (გულიკო) დაიბადა მამის დაპატიმრებიდან ოთხი თვისა და ექვსი დღის შემდეგ.

1925 წლის 1 ოქტომბრიდან ს. შავიშვილი განაწესეს ქობულეთის მაზრის მილიციაში უფროს მილიციელად, სადაც ხუთი წელი დაჰყო.

1930 წელს ს. შავიშვილი დანიშნეს ქობულეთის „პრომ-კოოპერაციის“ დასასვენებელი სახლის დირექტორად. პერსპექტიული ახალგაზრდა აქედან გაგზავნეს საქართველოს ცეკას პარტაქტივის გადასამზადებელ კურსებზე.

საკურორტო სისტემაში მუშაობის დროს ს. შავიშვილმა გაიცნო გამოჩენილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც 1933 წელს ისვენებდა და მკურნალობდა ქობულეთის კლინიკურ სანატორიუმში.



**სულეიმან შავიშვილი, ღურსუნ ცეცხლაძე, ღურსუნ წილოსანი.**

ამ სანატორიუმის დირექტორს თავის მოგონებაში ჩაუწერია: „მიხეილ ჯავახიშვილი მისი ნაწერებით გატაცებულ მკითხველებს სათაყვანებელ ადამიანად მიგვაჩნდა, ყურადღებასა და



მზრუნველობას არ ვაკლებდით... სანატორიუმის მეზობლად მცხოვრებ რამიზ ვერულიძესა და ჩემს ვაჟებს დღემდე აქვთ შენახული მისი ნაჩუქარი წიგნები... კურორტის მუშაკებს გვინდოდა პატივი გვეცა მისთვის. ერთ კვირა დღეს შევთავაზეთ, რომელიმე სოფლის ან საბჭოთა მეურნეობის ნახვას თუ მოისურვებდა, ესარგებლა ჩვენი მსუბუქი მანქანით. ამ თავაზიანობამ ასიამოვნა და მთხოვა მეჩვენებინა რომელიმე სოფელი. იმავე კვირადღეს ლელვაში წავიყვანე ერთხელ სადილად მიგვიწვია ჩემმა მეგობარმა ა. სტამბოლიშვილმა. მის ოჯახში მრავალთა შორის, მიხედვს მოვასმენინეთ ფართოდ გავრცელებული სიმღერა „ხასანბეურა“... იმ დროს დიდი მწერალი მეტად დაინტერესებული იყო აჭარის წარსულით. ერთ კვირა დღეს ბათუმში რამდენიმე საარქივო მასალასაც გაეცნო. განზრახული ჰქონდა დაეწერა რომანი აჭარის წარსულ ავბედითობაზე“...<sup>58</sup>



სულეიმან მამუდის ძე შავიშვილი, თუნთულ ვერულიძე

დაეუბრუნდეთ სულეიმან შავიშვილის ბიოგრაფიას. იგი 1933-1934 წლებში მუშაობდა ლელვას და ქობულეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო 1935 წელს გადაიყვანეს ქობულეთის სათბობ მასალათა განყოფილების („ტოპოტდელი“) გამგედ, აქედან კი გადაიყვანეს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

სწორედ აქ წამოეწია სულეიმან შავიშვილს ჯალათთა მსახვრალი ხელი. ქალბატონ თუნთულ ვერულიძის თქმით, ჩეკისტებმა 1937 წლის 25 აგვისტოს დილის 6 საათზე გაიყვანეს სახლიდან. მხოლოდ ერთი წინადადების თქმა მოასწრო: „არ შეშინდე, თუნთულ, მალე დაებრუნდებიო,“ მაგრამ სამწუხაროდ ვეღარ დაბრუნდა. სამეუღლმა მას სიკვდილი მიუსაჯა, რაც 1938 წლის 18 ოქტომბერს მოიყვანეს სისრულეში.

აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1957 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით ს. შავიშვილის მიმართ ბრალდება გაუქმდა და იგი სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულია.

## **შერვაშიძეები<sup>59</sup>**

შერვაშიძეთა წარჩინებული გვარიდან „სამეული“-ს დადგენილებას 7 ადამიანი ემსხვერპლა. სამწუხაროდ სიებში არსებული ძალზე ძუნწი ცნობების გარდა ჩვენ მათი ბიოგრაფიები ვერ დავადგინეთ და ვერც გვარზე მიძღვნილ ვრცელ მონოგრაფებში მოვიპოვეთ, ორიოდე გამონაკლისის გარდა.

### **1. შერვაშიძე ახმელ მიხლადის ძე**

დაიბადა სოფელ ალიქოდლებში 1861 წელს. სწავლობდა სოფლის მედრესეში, სადაც საკმაოდ კარგი ცოდნა გამოავლინა. იმ დროს ბათუმში შესაფერისი სასწავლებელი არ არსებობდა, ამიტომ მამამ მიხლად-ბეგმა მისი სტამბულში გაგზავნა გადაწყვიტა.

1891 წელს ახმედმა დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი და სამშობლოში დაბრუნდა. ერთხანს სოფელ ყოროლისთავის მეჩეთში ასრულებდა იმამის მოვალეობას, ხოლო 1916 წელს აქვე ახლადგახსნილი სკოლის არაბული და ლათინური ენის მასწავლებელია (ხოჯა)\*.

როგორც ცნობილია, ყოროლისთავის სკოლა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ჰაიდარ აბაშიძის ინიციატივით გაიხსნა და ახმედ შერვაშიძის მასწავლებლად დანიშნესაც მან დაუჭირა მხარი.

1937 წელს, 76 წლის ახმედ-ეფენდი შერვაშიძე შეიპყრეს და მის შესახებ ოჯახმა არაფერი იცოდა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად თვლიდნენ.

საქართველოს სახ. უშიშროების არქივში შემორჩენილ დოკუმენტებში, კერძოდ ბათუმში დახვრეტილთა №2 სიაში რიგით 177 ნომრით შეტანილია ახმედ მიჰდადის ძე შერვაშიძე. როგორც ირკვევა, მას დაპატიმრებისთანავე სამეულმა სიკვდილი მიუსაჯა, რაც ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

## 2. შერვაშიძე თემურ-ბეგ მამულის კე

შერვაშიძეთა გვარის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნებაა. იგი დაიბადა 1884 წელს. მიღებული ჰქონდა კლასიკური განათლება. დაამთავრა ჯერ ბათუმის გიმნაზია, ხოლო შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

თემურ-ბეგის ნამსახურობის ზუსტი სია არ გავაჩნია. ვიცით, რომ ის 1909 წელს უკვე ბათუმში მსახურობდა, ჰქონდა კოლეგიის რეგისტრატორის სამოქალაქო ხარისხი და იყო ბათუმის პოლიცემისტერის სამმართველოს მე-4 უბნის საქმეთა მმართველი (ბოქაული მე-7 კლასის მოხელე გრიგოლ ივანეს ძე ჩხიკვაძე).

---

\* ჩვენში დამკვიდრებული წესით ხოჯა სასულიერო პირი გვეწოდება. სინამდვილეში ეს სიტყვა მასწავლებელს ნიშნავს.



მომდევნო წლებშიც თემურ-ბეგ შერვაშიძე სხვადასხვა თანამდებობებზე ინიშნებოდა, 1917 წლიდან კი იგი სახელმწიფო მოსამსახურეთა სიებში აღარ ირიცხება.



**თემურ-ბეგ შერვაშიძე (ზის მეორე) მამასთან მაჰმუდ-ბეგთან (ზის პირველი) და ძმებთან ერთად: ოსმანი, შაქირი და სულეიმანი (დგანან).**

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებიდან, სხვა წარჩინებულ გვარებთან ერთად, ხელისუფლება შეუდგა შერვაშიძეთა ოჯახის შევიწროებასაც. 1922 წელს დაბა ქედაში საცხოვრებელი სახლი, ხოლო სოფელში მიწები ჩამოართვეს თემურ-ბეგ შერვაშიძეს, აგრეთვე ოსმან-ბეგ და შირინ-ბეგ შერვაშიძეებს.

1923 წლიდან დაიწყო აჭარაში მცხოვრები ბეგების დაპატიმრებები. შეპყრობილთა სიაში თემურ-ბეგი არ ირიცხება, ვვარაუდობდით, რომ მან მიმალვა მოახერხა.

ჩვენი ვარაუდი დადასტურდა. 1925 წლის 18 მარტს თემურ-ბეგის დედა შორეთ-ხანუმ შერვაშიძე აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმ-



ჯდომარეს თახსიმ ხიმშიაშვილს აცნობებს, შეიღების მიმალვასა და ოჯახის აუტანელ მდგომარეობას, რაც მაშინდელი ბეგების ოჯახებისთვის დამახასიათებელი იყო, ამიტომ განცხადების ტექსტი მთლიანად მოგვაქვს, როგორც სამაგალითო:

„ჩემი შეიღები თემური და შაქირი მორიდებულობაში იმყოფებიან. მესამე შეიღი ოსმანი შემორიგებულ იქნა. ჩემი ოჯახი 15 სულისაგან შესდგება. სამი წელია მოკლებული ვართ საყანე მიწებს, მხოლოდ ოთხი-ხუთი თვის სარჩოს მოწვევა შეუძლია. დანარჩენ თვეს რით უნდა გამოვიკვებოთ. მე თვითონ დამბლით ვარ დაავადებული. სახლში მყოფი ჩემი გათხოვილი ქალიშვილი სულთ ავადმყოფი და მოსავლელია. ერთ შეიღს ოსმანს არ შეუძლია ჩვენ გვარჩინოს და შეგვინახოს... განადგურება მოგველის. ისიც მოგესხენებათ, რომ ჩემი შეიღები უდანაშაულოდ არიან მიფარებული. ისინი არასდროს არ ყოფილან რომელიმე პოლიტიკური მიმართულების მიმდევარი. მათ არ მიუძღვით ბოროტმოქმედება... და გთხოვთ შეხვიდეთ ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობაში, მიხედოთ ჩვენს გაუბედურებულ ყოფას... და ნება დართოთ ჩემ შეიღებს თემურის და შაქირს თავიანთ სახლში იცხოვრონ“. თახსიმ ხიმშიაშვილი დიდად განათლებული და ჰუმანური კაცი, იმ დროისთვის ერთ-ერთი დახვეწილი ინტელიგენტი გახლდათ. როგორც ირკვევა, ასეთივე შინაარსის სხვა განცხადებებიც მიიღო, ამიტომ 1925 წლის 2 სექტემბერს, მისი ინიციატივით, აჭარის ცაკის პრეზიდიუმის სხდომამ აჭარიდან გასახლებულ ბეგებს სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა, ხოლო მიმალვაში მყოფი ბეგები შემოირიგა და მათზე რაიმე სასჯელი აღარ დაუდგია.

ამის შემდეგ თემურ-ბეგ შერვაშიძე ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას და სახელმწიფო სამსახურს, შეეგუა საბჭოთა ხელისუფლების კანონებს და საოჯახო საქმიანობას მიჰყო ხელი. ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ რეპრესიები თავიდან აეცილებინა.

1937 წელს თემურ-ბეგ შერვაშიძე დააპატიმრეს (სია№2, რიგითი №168), სამეულმა სიკვდილი მიუსაჯა, რაც ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

### 3. შერვაშიძე მემედ-ბეგ ასლანის ძე

მემედ-ბეგი დაიბადა ცნობილი ჰაჯი-ასლან ბეგ შერვაშიძის ოჯახში. იგი ასევე ცნობილი თუფან-ბეგის ძმია. მათ შორის ყველაზე უფროსი ხასანი (დ. 1843 წ.) იყო.

სამწუხაროდ ჩვენ არ გავგაჩნია ცნობები მემედ-ბეგის განათლების და საქმიანობის შესახებ. ვიცით მხოლოდ, რომ მისი მეუღლე იყო ფადიმე ბოლქვაძე და მათ ჰყავდა 7 შვილი. დღემდე გამოცემულ ლიტერატურაში მემედ-ბეგ შერვაშიძის დაბადების თარიღად მითითებულია 1890 წელი, რაც არასწორია იმ უბრალო მიზეზით, რომ მისი ერთი ვაჟი ისმაილი დაბადებულია სწორედ 1890 წელს, ხოლო ქალიშვილი ფადიმე 1895 წელს.

საქართველოს სახ. უშიშროების არქივში მიკვლეული საბუთით მემედ-ბეგ ასლანის ძე შერვაშიძე დაბადებულია 1867 წელს სოფელ ალიქოდლებში. იგი შეტანილია ბათუმში სიკვდილმისჯილთა მე-2 სიაში, რიგითი ნომრით №297.

### 4. შერვაშიძე ნური ასლანის ძე

ნური ჰაჯი-ასლან-ბეგის მე-7 ვაჟია. მისი დაბადების თარიღად შერვაშიძეებზე მიძღვნილ წიგნებში მითითებულია 1885 წელი. საქართველოს სახ. უშიშროების არქივში დაცული საბუთით ცნობილი გახდა, რომ ნური ასლანის ძე შერვაშიძე დაბადებულია 1879 წელს, რაც უფრო რეალური უნდა იყოს.

ნური-ბეგს ცოლად ჰყავდა ქერიმე-ხანუმ გვარიშვილი. მათ 6 შვილი: 5 ვაჟი და ერთი ქალი შეეძინათ.

ნური-ბეგ შერვაშიძის განათლებისა და საქმიანობის შესახებ ცნობები არ გავგაჩნია.

1937 წელს ბათუმში რეპრესირებულთა (სიკვდილით დასჯილთა) მე-2 სიაში ნური ასლანის ძე შერვაშიძე შეტანილია №290-ით.

## შიშლო-საბაშვილი რაისა ბორისის ას

ექიმ რაისა ბორისის ასული შიშლო-საბაშვილის ბიოგრაფიიდან გაგვაჩნია მწირი ცნობები. იგი დაბადებულია 1867 წელს პოლონეთის ქალაქ სუკალაში. ჩვენთვის უცნობია, რომელი ინსტიტუტი დაამთავრა, როდის ჩამოვიდა მუდმივ საცხოვრებლად ბათუმში და ვინ იყო მისი ბათუმელი მეუღლე საბაშვილი. ამიტომ შევეცადეთ გამოგვეთქვა ჩვენი ვარაუდი.

1923 წელს აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სისტემაში ინიშნება ორი ექიმი, კერძოდ პარმენ საბაშვილი ჯანსახკომის საქმეთა მმართველად 9 აპრილს, ხოლო რაისა შიშლო-საბაშვილი ითვლება სამალარიო კომისიის წევრად და 26 ივლისს გამოდის სიტყვით. იგი დაზღვეულთა ქვეგანყოფილების ექიმად და ჭაობის ამბულატორიის გამგედ ირიცხება 1923 წლის 10 დეკემბრიდან.

პარმენ საბაშვილი 1923 წლის 5 ივნისს ჩაქვის საექიმო პუნქტის გამგედ გადაყავთ.

ამგვარად, 1923 წლის აპრილ-ივლისს შორის არსებულ პერიოდში ისინი ერთად საქმიანობენ აჭარაში. როგორც ჩანს, შეუღლებულები ერთად ჩამოვიდნენ ბათუმში.

პარმენ საბაშვილის შესახებ ჩვენ სხვა ცნობები არ გაგვაჩნია.

რაისა შიშლო-საბაშვილი კი ექიმთა საზოგადოების და მისი სამალარიო კომისიის აქტიური წევრია. ხშირად გამოდის სიტყვაში, მონაწილეობს კამათში და ა. შ. 1923 წლის 17 ოქტომბერს, ის ეხმაურება ექიმ ხარატიანის მოხსენებას, „ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების (გაახალგაზრდავების) პრობლემები“ და სხდომის წევრებს შეახსენებს ი. მეჩნიკოვის ცნობილ დებულებას მსხვილი ნაწლავების დანიშნულებაზე და ნივთიერებათა ცვლაში (შინაგან სეკრეციაში) მცენარეული საკვების მნიშვნელობაზე.

1924 წლის 31 მაისის №176 ოქმში ასევე დაფიქსირებულია ექიმ რ. შიშლო-საბაშვილის მონაწილეობა ექიმ დ. ი. ლევინციგლერის მოხსენების, „წითელას ეტიოლოგიის შესახებ,“ განხილვაში და მისი მეცნიერული კამათი პროფ. ა. ა. კისელთან.

1925 წლის 13 იანვარს რ. შიშლო-საბაშვილი თვითონ გამოდის მოხსენებით, „მოსკოვის სახვენუნევერსიტეტში შრატით დიაგნოსტიკა და ვენერული დაავადებების თანამედროვე მკურნალობა,“ რომელსაც დამსწრეთა დიდი ინტერესი და მრავალი შეკითხვა გამოუწვევია (სულ 18), ხოლო მოხსენების განხილვა 2,5 საათს გაგრძელდებოდა. შეკითხვებზე გაცემული პასუხებით შეიძლება დავასკვნათ, რომ რ. შიშლო-საბაშვილი საკმაოდ კარგად ფლობს სამედიცინო ლაბორატორიულ საქმეს, ასევე ის დიდ ცოდნასა და ერუდიციას ავლენს დერმატოვენეროლოგიაში და მაღარიოლოგიაში.

გ. სტურუა მიუთითებს, რომ ექიმი რაისა შიშლო-საბაშვილი 1927-1937 წლებში მუშაობდა აჭარის კანისა და ვენსნეულე-ბათა დისპანსერიის ექიმად.

1937 წელს რაისა შიშლო-საბაშვილი დააპატიმრეს და 70 წლის ქალი ექიმი ბათუმშივე დახვრიტეს.<sup>60</sup>

## ჩახვაძე მუსტაფა იუსუფის ძე

ბათუმის ინტელიგენციის ერთ-ერთი სახელოვანი და ღირსეული წარმომადგენელი იყო მუსტაფა ჩახვაძე (1903-1937).

იგი დაიბადა 1903 წელს ქ. ორთაბათუმში (კინტრიშის მაზრა, ამჟამინდელი ხელვაჩაურის რ.)

1915 წელს დაამთავრა ორთაბათუმის დაწყებითი სკოლა, რომელიც 1903 წელს გაიხსნა და ორკლასიანი პროგრამით ამზადებდა მოსწავლეებს.

შრომითი საქმიანობა მუსტაფა ჩახვაძემ ბავშვობიდანვე, სკოლის დამთავრებისთანავე დაიწყო. 1916 წლიდან იგი ცნო-

ბილი პლანტატორის პოპოვის მამულში ჩაის კრეფდა, ერთხანს მის ფაბრიკაშიც მოუხდა საქმიანობა, სადაც 4 წელი დაჰყო და კარგად დაეუფლა რუსულ ენას.

1920 წლიდან მ. ჩახვაძე ბათუმში ჩამოდის, იგი მილიციის სამმართველოში მიიღეს და თითქმის 2 წელი დაცვის უფროსად მუშაობდა.

თანდაყოლილი ნიჭით დაჯილდოებული, მჭერმეტყველი, წერა-კითხვის და მშობლიური, რუსული და თურქული ენების ზედმიწევნით კარგად მცოდნე 19 წლის მუსტაფა აჭარის ცაკის შექმნისთანავე მიიღეს კომკავშირის რიგებში და დანიშნეს თავმჯდომარის მოადგილედ დამზადების დარგში. (შოთა ცეცხლაძე. აჭარის ასსრ ნომენკლატურულ პირთა შესახებ, ბათუმი, 2013, გვ. 249). აქედან ორთაბათუმის სასოფლო კოოპერატივის თავმჯდომარედ გადაიყვანეს. შემდეგ საქმიანობა განაგრძო აჭარის პროფესიული კავშირების ორგანიზაციებში: იყო წარმოების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე, შემდეგ აჭარის პროფსაბჭოს მდივანი, 1930-1931 წლებში აჭარის პროფსაბჭოს თავმჯდომარე. აქედან იგი გადაიყვანეს ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, სადაც 1933 წლამდე დაჰყო. 1933-1935 წლებში მუსტაფა ჩახვაძე კვლავ აჭარის ცაკის თავმჯდომარის მოადგილედ დამზადების დარგში (აჭარის ცსა. ფრ.-4, ან 1, ს. 160, 294, ფურ. 3), ხოლო შემდეგ იგი მეორედ დანიშნეს ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.



1937 წლის ოქტომბერში მუსტაფა ჩახვაძე დააპატიმრეს, იგი დაუსწრებლად გარიცხეს პარტიის რიგებიდან და ყველა არჩევითი ორ-

მუსტაფა იუსუფის ძე  
ჩახვაძე

განოდან. მას ბრალად წაუყენეს სსკ-ის 58-78 და 58-11 მუხლები, 18 დეკემბერს სამეულმა მას სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯა, რომელიც იმავე დღეს ბათუმში მოიყვანეს სისრულეში. როგორც მისი ახლობლები გადმოგვცემენ, იგი ჭოროხისპირას საგანგებოდ გათხრილ საერთო სამარეში დაამარხეს.

აჭარის ასსრ უზენაესმა სასამართლომ თავისი 1956 წლის 22 დეკემბრის განჩინებით მ. ჩახვაძის სისხლის სამართლის საქმე წარმოებით მოსპო ბრალდების დაუდასტურებლობის გამო. მუსტაფა იუსუფის ძე ჩახვაძე რეაბილიტირებულია.

მუსტაფა ჩახვაძეს ჰყავდა მეუღლე ემინე შერიფის ასული ხალვაში და ქალიშვილები ზერა (დ. 1924 წ.) და მინორა (დ. 1926 წ.) ორივე პედაგოგი. სხვათაშორის, მინორას მეუღლე სულეიმან ჩახვაძე ცნობილი პედაგოგი იყო, ხოლო შვილი თენგიზი აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

## ჩხაიძეები

### 1. ჩხაიძე მევლუდ სეიდის ძე

ბათუმში დახვრეტილთა №2 სიაში, 169-ე ნომრით შეტანილია ქედის რაიონის სოფელ ზესოფლის მკვიდრი მევლუდ სეიდის ძე ჩხაიძე. იგი 1907 წელს დაბადებულა. იყო უპარტიო, სოფლის მეურნე, რომელსაც არავითარი შეხება არ ჰქონდა პოლიტიკასთან. იგი დააპატიმრეს 1937 წლის 9 ივლისს, ხოლო 4 სექტემბერს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი, რაც რამდენიმე დღის შემდეგ ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

## 2. ჩხაიძე ივანე ზურაბის ძე

დაიბადა ლანჩხუთის რაიონის ს. აცანაში. წიგნში „ჩხაიძეთა საგვარეულო“, ნათქვამია: „ივანე ზურაბის ძე ჩხაიძე – ს. აცანიდან; დაპატიმრებულ იქნა შინსახკომის აჭარის განყოფილების მიერ 1937 წელს; დახვრიტეს 28 აგვისტოს თბილისში.“<sup>61</sup>

საქართველოს უშიშროების არქივის ერთ-ერთ დოკუმენტში, კერძოდ ბათუმში დახვრეტილთა №2 სიაში 106 ნომრად შეტანილია ივანე ზურაბის ძე ჩხაიძე. ჩვენი აზრით ეს ცნობა სწორი უნდა იყოს, ამიტომ ზემოთდასახელებულ წიგნში საჭიროა ერთად-ერთი შესწორება: ივანე ზურაბის ძე ჩხაიძის მიმართ სასიკვდილო განაჩენი აღასრულეს არა თბილისში, არამედ ბათუმში.

აჭარის სახელმწიფო არქივის ფონდებში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ ივანე ჩხაიძე 1931-1932 წლებში მუშაობდა ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორად. ივანე ჩხაიძის ბიოგრაფია ნაკლებად ცნობილია, ამიტომ ამ საბუთს არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ პიროვნების ცხოვრება-მოღვაწეობის საფუძვლიანად შესასწავლად.<sup>62</sup>

ბათუმშივე აღესრულა ივანეს მეგვარე, შესაძლოა ნათესავი ლანჩხუთელი ტიტე ქიშვარდის ძე ჩხაიძე (მისი გვარი ბათუმის სიებში ვერ ვნახეთ), დაბადებული 1905 წელს. იგი 1937 წლის 1 სექტემბერს დააპატიმრა აჭარის შინსახკომმა. 5 ნოემბერს გაასამართლა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სპეცკოლევამ და სსკ 58-10 მუხლის საფუძველზე სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა, რაც იმავე დღეს, 1937 წლის 5 ნოემბერს ბათუმში მოიყვანეს სისრულეში. ტიტე ქიშვარდის ძე ჩხაიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1958 წლის 17 თებერვლის №27 განჩინებით რეაბილიტირებულია.

## ჩხეიძეები

სულეიმან ბაშადას ძე ჩხეიძეს (1870-1924) მეუღლესთან ფადიმე შერვაშიძესთან (1878-1957) 11 შვილი შეეძინა, ოთხი ადრე გარდაეცვალა, დარჩნენ ერთი ქალი ასიე და ვაჟები: ოსმანი, მამუდი, ხუსეინი, ვახტანგი, ფელიქსი და არჩილი.



ოსმან და მამუდ ჩხეიძეები

### 1. ჩხეიძე მამუდ სულეიმანის ძე

ექვს ვაჟკაცს შორის სოფელ აქუცაში – მამუდი (1903-1937) ძალზე გამრჯე, საქმის მცოდნე მეურნე აღმოჩნდა. მხარში ამოუდგა უფროს ძმას ოსმანს და დედასთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა მომდევნო ძმების აღზრდაში.

დიდი რეპრესიები რომ დაიწყო, მამუდი ავადმყოფობდა. ჩეკისტები ვერც ამან შეაჩერა. 1937 წლის 14 ივლისს ჩხეიძეთა სახლს სოფელ აქუცაში, როცა ოჯახის წევრები სახლში მშვიდად მასლაათობდნენ, ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს. ეზოში ატეხილ ხმაურზე ოსმანმა გაიხედა და ძმას უთხრა:

– გააღე კარები.



მამუდი ყოყმანობდა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

– გააღე კარები – გაუმეორა ოსმანმა – ვის და რას უნდა გავექცეთ, არაფერი დაგვიშავებია, ყველას კარგს ვუკეთებდით.<sup>63</sup>

ოსმანი იმ ღამესვე დააპატიმრეს, მამუდი კი 4 თვის შემდეგ, ნოემბერში. მას სამეულმა ბრალად დასდო საკოლმეურნეო სისტემის საწინააღმდეგო აგიტაცია, აგრეთვე უფროს ძმასთან ოსმანთან თანადგომა და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ჩრდილოეთში გადასახლებით მიუსაჯეს. გადაწყვეტილებაში ასევე აღუნიშნავეთ, რომ მას ოჯახში წერილის მოწერის უფლება არ ჰქონდა. ასეთი ფორმულირება თან ახლავს თითქმის ყველა იმდროინდელ მსხვერპლს, ვინც განაჩენის გამოტანამდე მოსპეს, ან როგორც თვითონ ამბობდნენ „დაკითხვისას შემოაკვდათ.“

მამუდ ჩხეიძეს გვარ-სახელი სიებში ვერ აღმოვაჩინეთ, თუმცა ეჭვი არ გვეპარება, რომ ცოცხლად იგი ბათუმს არ გასცილებია.

აჭარის ასსრ უზენაესმა სასამართლომ თავისი 1958 წლის 11 მარტის დადგენილებით გააუქმა მამუდ სულეიმანის ძე ჩხეიძის მიმართ წაყენებული უსაფუძვლო ბრალდება (საქართველოს შინსახკომის 1937 წლის 22 დეკემბრის სამეულის დადგენილება). მ. ს. ჩხეიძე რეაბილიტირებულია.

## 2. ჩხეიძე ოსმან სულეიმანის ძე

37-ის კიდევ ერთი მსხვერპლის ოსმან სულეიმანის ძე ჩხეიძის გვარი სახელმწიფო უშიშროების არქივებში და სიკვდილმისჯილთა სიებში შეცდომით ჩხაიძედ მოიხსენიება, ამიტომ ამან არაერთი გაუგებრობა გამოიწვია. გახსენებისთვის ოჯახს ავტორის მიმართ მადლობის მეტი რა ეთქმის, მაგრამ იგი შეცდომით „ჩხაიძეთა საგვარეულო“-ს მიაკუთვნეს და შეიტანეს ამავე სახელწოდების წიგნში (თბილისი. 2002 წ. გვ. 35).

ოსმანი 1900 წელს დაიბადა. მიიღო საოჯახო განათლება, შემდეგ ბათუმში მცირე სამრეწველო გაერთიანებას ჩაუდგა სათავეში.

1931 წელს, როგორც საკმაოდ გაწაფული და გამჭრიახი კაცი, თავის სოფელში ახლადჩამოყალიბებული არტელის თავმჯდომარედ მიიწვიეს (ამ პროცესს მაშინ „ორმოცდაათი-თასიანელთა მობილიზაცია“-ს უწოდებდნენ). ხელისუფლებამ ამით ორი კურდღელი დაიჭირა. არტელს სათავეში უნარიანი კაცი ჩაუყენა და ის, როგორც სოფლის თავკაცი, აიძულა ჩხეიძეთა მოსავლიანი მიწები კოლმეურნეობაში გაეერთიანებინა და ამით სხვებისთვის მაგალითი მიეცა.

1933 წელს ოსმან ჩხეიძე შეთავსებით ქედის რაიონის მიწისმზომელის მოვალეობასაც ასრულებს,<sup>64</sup> მაგრამ უმამოდ დარჩენილ ძმებს განათლება ესაჭიროებოდათ, ამიტომ როგორც უფროსმა, კვლავ ბათუმს მოაშურა და ოთხი ძმის სასწავლებლებში ჩარიცხვაზე იზრუნა.

1934 წელს ოსმანი კვლავ რაიონში გაიწვიეს და ამჯერად რაიკოოპერატივის თავმჯდომარედ დანიშნეს, სადაც დაპატიმრებამდე დარჩა.

1937 წლის 14 ივლისს ოსმან ჩხეიძე დააპატიმრეს, 4 სექტემბერს საქართველოს შინსახკომთან არსებულმა სამეფულმა სსკ 58-2 და 58-11 მუხლების საფუძველზე 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თუმცა ოფიციალურად გაცხადებული ეს განაჩენი ყალბი აღმოჩნდა. იგი შეტანილია ბათუმში დახვრეტილთა სიაში (№2, რიგითი182).

ოსმანის შვილი ცნობილი მეცნიერ-ფილოლოგი ჯემალ ჩხეიძე შეხვდა პიროვნებას, რომლის მეშვეობით დადგინდა შემდეგი: ქედაში დაპატიმრებული ოსმანი მახოს ხიდთან ჩამოიყვანეს და ჭოროხის პირას, სადაც ჩვეულებრივ დახვრეტილებს მარხავდნენ, ტყვიები დაუშინეს. ერთ-ერთი ჯალათი ეს კაცი აღმოჩნდა. მან აღიარა, რომ მოკლეული ოსმანი საერთო სასაფლაოზე დამარხეს.

1956 წლის 18 თებერვალს აჭარის ასსრ უზენაესმა სასამართლომ თავისი განჩინებით ო. ს. ჩხეიძის მიმართ საქმე წარმოებით მოსპო ბრალდების დაუდასტურებლობის გამო. ამჟამად იგი რეაბილიტირებულია.

## ცეცხლაძე მოლა-ალი არივის ძე

დაიბადა 1870 წელს ზემო აჭარაში, ჭვანის ხეობის სოფელ ბარათაულში. მისი წინაპრები ყირიმის 1853-56 წლების ომის დროს ქობულეთიდან ზემო აჭარაში გახიზნულან და ბარათაულში დამკვიდრებულან.

ალის უფროსი ძმები (სამი), მონაწილეობდნენ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. ვარაუდობენ, რომ მათი ოსმალეთში მუჰაჯირად წასვლა სწორედ ამან განაპირობა. ბარათაულში მშობლებთან ერთად უმცროსი ალი დარჩენილა. გახიზნულ ძმებს გვარი შეუცვლიათ და მამის სახელის მიხედვით არიფოღლებად იწოდებოდნენ.

ალის განათლებაზე ზუსტი ცნობები არ გაგვაჩნია, თუმცა მისი წოდების მიხედვით, დამთავრებული უნდა ქონდეს მუსლიმანური სასულიერო სასწავლებელი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 60 წელს მიღწეული ალი უფროსოდა რაიმე პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმას, პირიქით, ზოგჯერ, როგორც სასულიერო პირი, ჰუმანურადაც იქცეოდა. ცნობილია, რომ 1929 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების დროს, როცა არ ინდობდნენ საბჭოთა მოხელეებს, მასწავლებლებსაც კი, ალიმ თავის სახლში გადამალა გურიიდან მოსული პედაგოგი, ტრიფონ ნაჭყებია, რომელიც ჩადრის ახდის აგიტაციას ეწეოდა და იგი ძალადობისაგან იხსნა. ტრიფონი ალის ოჯახში დარჩა მანამ, სანამ არ ჩაცხრა აჯანყებით გამოწვეული მღელვარება. ამ შემთხვევამ ალის დიდი სახელი მოუხვეჭა ადგილობრივ მცხოვრებთა, ხოლო ნდობა ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. თუმცა ასეთი ნდობა შეფარული იყო. მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი აშინებდა მაშინდელ წყობილებას.

1937 წლის ზაფხულში მთა კატრიანზე მეუღლესთან, ხატიჯე ირემაძესთან და შვილიშვილთან ერთად მყოფი ალი ცეცხლაძე უშიშროების თანამშრომლებმა დააკავეს. დაკავების

საბაბი შუადღის ღოცვა და „აზანის“ დაძახება გახდა. პატი-  
მარი ხულოში გადმოიყვანეს. შვილებს, ქალ-ვაჟს მამის ნახვის  
ნება არ დართეს.

ოჯახის წევრებს დევნა არ განუცდიათ, მაგრამ აღის შეს-  
ახებ არავითარი ცნობა არ გააჩნდათ, არც წერილები მიუღი-  
ათ. ოჯახისთვის მხოლოდ ამ წიგნით გახდა ცნობილი, რომ  
„მოლა-ალი ცეცხლაძე, ხულოს რაიონის სოფ. ბარათაულის  
მცხოვრები, 1870 წელს დაბადებული“ დახვრიტეს ბათუმში (სია  
№2, რიგითი № 277).

### **წულუკიკე ალი სულეიმანის კე**

დაიბადა 1890 წელს ზემო აჭარის სოფელ დიდაჭარაში.  
ხალგაზრდობიდანვე ჩაება შრომით საქმიანობაში. 1918-  
1925 წლებში მუშაობდა ბათუმის სხვადასხვა სამრეწვე-  
ლო ორგანიზაციებში, ხოლო 1930 წელს იგი საქმიანობას  
აგრძელებს აწკეს-ში, შემდეგ მას სხვადასხვა სახელმწიფო  
თანამდებობებზე ნიშნავენ. 1932-1937 წლებში იყო ხულოს  
რაიონის მიწათმოქმედობის სწორედ ამ თანამდებობაზე ყოფ-  
ნისას ის დააპატიმრეს და საქართველოს შსს არსებულმა  
სამეფულმა მას დახვრეტა მიუსაჯა, რაც ბათუმში მოიყვანეს  
სისრულეში.

აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს 1958 წლის 24 მაი-  
სის დადგენილებით იგი რეაბილიტირებულია.

### **ჯაღალიკე ოსმან სულეიმანის კე**

ერთადერთი პიროვნებაა, რომელსაც აქვს დანაშაულებრი-  
ვი წარსული, სასჯელსაც იმსახურებს და რომლის საბრალ-  
დებო საქმის ოქმი ხელთა გვაქვს და შედარებით ვრცლად  
შეგვიძლია მასზე თხრობა.

ოსმან ჭაღალიძე დაიბადა 1896 წელს სოფელ ხაბელაშვილებში. იგი საშუალო გლეხური წარმოშობის საბჭოთა მოქალაქეა. დაოჯახებულია. ადრე ნასამართლევია შეიარაღებული ძარცვისა და მკვლელობისთვის, რის გამოც იყო გადასახლებული, მაგრამ დაბრუნდა.

საბრალდებო ოქმის მიხედვით, ოსმან ჭაღალიძეს ბრალი ედება იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტიდან აჭარაში ეწეოდა მსხვილ კონტრაბანდისტულ საქმიანობას. 1927 წელს თავის ამხანაგებთან, აქჟამად მიმალულ მემედ ბერიძესთან (არიფაღაშვილი) და სხვებთან ერთად საქართველოდან საზღვარგარეთ გადასაყვანად მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი ყაჭეიშვილი მიაცილა საზღვრამდე. აქ იგი მოკლეს და ააცალეს ოცდაათიათასი მანეთი. ამ დანაშაულისთვის ისინი დააპატიმრეს და მიუსაჯეს 10 წლით გადასახლება.

1932 წელს, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ოსმან ჭაღალიძე გლეხებში ავრცელებდა კონტრრევოლუციურ ხმებს, რომ კოლექტივიზაციის გამო რუსეთში გლეხები შიმშილით კვდებიან და აჭარლებს ურჩევდა არ გაერთიანებულიყვნენ კოლმეურნეობაში.

გარდა ამისა იგი ემუქრებოდა გლეხებს, ჰქონდა ზოგი პიროვნების მკვლელობის განზრახვა. მან ჩაიდინა დანაშაული სსკ 68-10 და 58-11 მუხლებით, რის გამო მიესაჯა დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით.<sup>65</sup>

ოქმს ხელს აწერენ: სამეულის თავმჯდომარე ავქსენტი რაფავა, წევრები: ვალერიან ტალახაძე, შალვა წერეთელი და მდივანი, რომლის ხელწერა გაურკვეველია (შესაძლოა იყოს ხრისტო ცომადოსი).

## ხალვაშები

1937-1938 წლებში არასრულ მონაცემებით ამ გვარიდან რეპრესირებული იყო 20 პიროვნება. მათ შორის ექვსი: თევრათ აღის ძე (ს. ბობოყვათი), იზეთ სულეიშანის ძე (ს. მარადიდი), მეიდან-ბეგ დედუბეგის ძე (ს. ხიხაძირი), სეფერ ხასანის ძე (ს. ხიხაძირი), შალვა გიგოს ძე (ლანჩხუთი) და ხასან შერიფის ძე (ქ. ბათუმი) ხალვაშები ბათუმში დახვრიტეს. მათ შესახებ შედარებით დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

დანარჩენებს სხვადასხვა ვადით მიუსაჯეს პატიმრობა, თუმცა უმეტესი ნაწილის შესახებ არსებობს ოფიციალური ცნობები, რომ ისინი 1938-1941 წლებში გარდაიცვალნენ. ჩვენი აზრით, მათაც დახვრეტა მიუსაჯეს და განაჩენიც მალე მოიყვანეს სისრულეში, მაგრამ ოჯახებს მიაწოდეს ცრუ ცნობები.

1. ხალვაში ხასან სკენდერის ძე. მიუსაჯეს 10 წელი და 1938 წელს გარდაიცვალაო ქ. კიროვში;

2. ხალვაში აბდულ სკენდერის ძე. 1937 წლის დეკემბერში დააპატიმრეს და 1938 წელს გარდაიცვალაო, იუწყება ოფიციალური ცნობა;

3. ხალვაში იზეთ მუსტაფის ძე (1907-1937);

4. ხალვაში ოსმან ესედის ძე (1857-1938), 1935 წლიდან მუშაობდა აჭარის სახელმწიფო არქივის გამგედ;

5. ხალვაში ჯემალ ახმედის ძე (1898-1943);

6. ხალვაში მუსტაფ ხუსეინის ძე (1880-1941). იგი 1938 წლის 24 იანვარს დააპატიმრეს ძმასთან (აბდული) და ბიძაშვილთან (ხუშუტი) ერთად, მიუსაჯეს 10 წელი და 1941 წელს გარდაიცვალაო;



აბდულ ხალვაში (მარჯვნიდან პირველი), ქვისლი ასლან სტამბოლიშიელი და მათი მეუღლეები დები ვარშალომიძეები.

7. ხალვაში აბდულ ხუსეინის ძე. დააპატიმრეს 1938 წლის 24 იანვარს და 2 მარტს დახვრიტეს (ჩვენი აზრით მისი ძმა მუსტაფიც იმ დღეს აღესრულა);

8. ხალვაში ხუშუტ შაბანის ძე (1901-1940), 1937 წლის 10 დეკემბერს მიუსაჯეს 10 წელი, ოჯახს კი აცნობეს, რომ 1940 წელს გარდაიცვალაო;

9. ხალვაში ხემიდ ხასანის ძე (1897-1937). თითქოს გადაასახლეს, თუმცა მისი შემდგომი ბედი უცნობია;

10. ხალვაში ზექერია ასლანის ძე (1909-1942), 1937 წ. მიუსაჯეს 10 წელი და ქ. სვერდლოვსკში გარდაიცვალაო;

11. ხალვაში ნური ჰიდიეთის ძე. 1937 წელს ქ. სვერდლოვსკში გარდაიცვალაო;

12. ხალვაში დედე-ბებე ხასანის ძე (1903-1937);
13. ხალვაში ბოლი-ბებე დედე-ბებეს ძე;



**ბოლი-ბებე დედე-ბებეს ძე ხალვაში**

14. ხალვაში ხუსეინ დედე-ბებეს ძე (1900-1937).

### **1. ხალვაში თევრათ ალის ძე**

დაიბადა 1867 წელს ს. ბობოყვათში. ხალვაზრდობიდანვე გამოავლინა სოფლის მეურნეობისადმი ინტერესი. თვითნასწავლი აგრონომი სოფლის მოსახლეობას დახმარების ხელს უწვდიდა სუბტროპიკული კულტურების: ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლის ნერგების გამოყვანასა და გაშენებაში, ეხმარებოდა მათ გამწვევი ძალით ფართობების დამუშავებაში.

თ. ხალვაშმა საკუთარი სახსრებით ააშენა სოფლის დაწყებითი სკოლა, სადაც თანასოფლელები პირველად ეზიარნენ ქართულ წერა-კითხვას, მონაწილეობდა ბობოყვათის ტერიტორიაზე რკინიგზის მშენებლობაში. ერთხანს ვაჭრობასაც მიჰყო ხელი,



ქობულეთსა და ბობოყვათში გახსნა სასურსათო მაღაზიები. ბობოყვათის რკინიგზის ბაქანთან ეს მაღაზია ახლაც მოქმედებს.

1937 წლის მასობრივი რეპრესიების დროს რომელიღაც მადლიერმა ჩეკისტმა შემოუთვალა თ. ხალვაშს სახლიდან გასულიყო, მაგრამ თავისი სიცოცხლის მანიძლზე მხოლოდ სიკეთის მკეთებელ, 70 წლის კაცს ვერც კი წარმოედგინა, რომ მას ხელს შეახებდნენ. სამწუხაროდ ხელი შეახეს, რასაც ქ. ბათუმში ემსხვერპლა კიდევ.



თევრათ ალის ძე  
ხალვაში

თევრათ ხალვაშმა ღირსეული შთამომავლობა დატოვა. მისი ორი ქალიშვილი და მათი ნამრაველი აქტიურად არიან ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში. უმცროსი ქალიშვილის ნიგარის შვილმა როსტომ აბაშიძემ ასახელა არამარტო ოჯახი და გვარი, არამედ მთელი საქართველო. კლასიკურ ჭიდაობაში იგი სამგზის მსოფლიო და ასევე სამგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, 1962 წელს კი სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.<sup>66</sup>

## 2. ხალვაში იზეთ სულეიხანის ძე

მარადიდელ ხალვაშთა სახელოვანი გვარის წარმომადგენელია. მისი წინაპარი იყო ცნობილი ახმედ ხალვაში, ხოლო ახლო ნათესავი ისაკ ხალვაში, რომლებსაც რუსთა მმართველობის დროს საპატიო ადგილები ეკავათ ხელისუფლებაში.

იზეთ ხალვაში 1880 წელს დაბადებულია სოფელ მარადიდის იმ ნაწილში, რომელიც ოსმალებს ერგოთ წილად. მისი ბიოგრაფია ჩვენთვის უცნობია. არც ის ვიცით რა მიზეზით ჩამოვიდა იგი ბათუმში, სადაც იგი, როგორც თურქეთის ქვე-


შევრდომი 1937 წელს შეიპყრეს და იმავე წლის 1 მარტს ბათუმში დახვრიტეს.

სამწუხაროდ ამ პიროვნების შესახებ არაფერია ნათქვამი მონოგრაფიაში, „ხალვაშები“ (ბათუმი, 2005 წ.), რის გამო იხუთ სულეიმანის ძე ხალვაშის ნათესავეების კვალსაც ვერ მივაგენით.

### 3. ხალვაში მეიდან-ბეგ დედე-ბეგის ძე

30-ანმა წლებმა მოსრა და მოსპო ხიხაძირელი დედე-ბეგ ხალვაშის ოჯახი. თვითონ ოჯახის უფროსი, აგრეთვე ვაჟები: მეიდან-ბეგი, ბოლი-ბეგი და ხუსეინი ქართული ფოლკლორის, ხალხური ცეკვის, სიმღერის და საკრავიერი მუსიკის ბრწყინვალე ოსტატები იყვნენ. სწორედ მათ გაიტანეს აჭარის მთიანეთის უძველესი ხალხური ნიმუშები ქართულ სცენაზე და თუ დღეს შევინარჩუნეთ მდიდარი ტრადიცია, ნაწილობრივ ამ პიროვნებების დამსახურებაა.

1937 წელს, ერთ დღეს დააპატიმრეს მამა და მისი სამი შვილი და სამივე დახვრიტეს. ჩვენთვის ცნობილია მეიდან-ბეგის დახვრეტის ადგილი – ქ. ბათუმი.



მეიდან-ბეგ დედე-ბეგის ძე  
ხალვაში

მეიდან-ბეგი 1903 წელს დაიბადა ხიხაძირში. თვითნაბადი ნიჭით შემკულმა ახალგაზრდამ ხიხაძირში ჩამოაყალიბა მოცეკვავეთა წრე, რომელშიც მისი სახლიკაცები გენადი, ხაშიმი, ხუსეინ ხალვაშები, აგრეთვე სერგო ჯაიანი და ახმედ გაბაიძე გაერთიანდნენ. ჩაბმული იყო სახელმწიფო სამსახურში, დაკისრებული ჰქონდა სხალთა-ხიხანის ხეობის ტყეების დაცვა. მიიღეს კომუნისტური პარტიის წევრადაც და კარგ მომავალს უწინასწარმ-

ეტიკეტებდნენ, თუმცა მოწინავე ქართველი ხალხის ნამდვილ მტრებს, რომლებიც ამ ტერმინს უდანაშაულო ხალხის მიმართ იყენებდნენ, არ ეძინათ.

მეიდან-ბეგი 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს. მისი ოჯახი, მეუღლე შორეთი და შვილები ენვერი, რემზი და ფამბული 1951 წელს შუა აზიაში გადაასახლეს, საიდანაც 4 წლის შემდეგ დააღწიეს თავი.

#### 4. ხალვაში სეფერ ხასანის ძე

ამ პიროვნების ცხოვრება-მოღვაწეობაზე თითქმის არაფერი გაგვაჩნდა მანამ, სანამ არ გავეცანით პროფესორ სერგო დუმბაძის წიგნს.<sup>67</sup>

სეფერი 1887 წელს დაიბადა სოფელ ხიხაძირში (ხულოს რ.). მისი წინაპრები გაბაიძეები ყოფილან. გვარი სეფერმა 1926 წლის მაისში გადაიკეთა ხალვაშად.

სოფლად სკოლის არარსებობამ ჯერ კიდევ ჭაბუკი სეფერის ინტერესი ვერ გაანელა და იგი თვითგანათლებით დაუფლა ქართულ წერა-კითხვას. შემდეგ წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის სკოლაში გააღრმავა თავისი ცოდნა. გარდა ამისა დიდ ინტერესს იჩედა მიმდინარე მოვლენების მიმართ, სისტემატურად ეცნობოდა ახალ ამბებს, გაზეთებს, კითხულობდა წიგნებს.

ასეთმა მისწრაფებებმა სეფერი სხალთა-ხიხანის ხეობის მოწინავე კაცად აქცია, რაშიც მას ხელს უწყობდა კარგი გარეგნობა და ჩინებული ხასიათი. იგი სოფელში ყველა სიახლის წამოწყების ინიციატორი იყო. მისი ხელმძღვანელობით გაიყვანეს თხილვანა-ხიხაძირი-ნადაბურის სარწყავი არხი, სოფლის გზები და შიგახიდები.

1927 წელს სეფერ ხალვაში სხალთის თემის აღმასკომის წევრად აირჩიეს, შემდეგ თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობასაც ასრულებდა.



კოლექტივიზაციის პერიოდში ხიხაძირში ისედაც მცირე მიწები სეფერმა გააერთიანა, მას საკარმიდამო თითქმის აღარ დარჩა, რის გამო იძულებული გახდა მიწები შეეძინა და საცხოვრებლად სოფელ კალოთაში გადასულიყო.

1937 წლის აგვისტოში სეფერ ხალვაში დააპატიმრეს. საქართველოს შინსახკომთან არსებულმა „სამეულმა“ თავისი 4 სექტემბრის დადგენილებით იგი დამნაშავედ სცნო სსკ 58-10 მუხლით, რომელიც ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდებას ნიშნავდა და, თუ საბუთებს დაეჯერება, მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.<sup>68</sup>

საქართველოს სახ. უშიშროების არქივიდან 1989 წელს მიღებულ ცნობაში ვკითხულობთ, რომ ს. ხ. ხალვაშის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნიათ, თუმცა იმავე



სეფერ ხასანის ძე ხალვაში

ორგანოს მიერ თავის გაზეთში გამოქვეყნებული მასალებით დადგინდა, რომ „ხალვაში სეფერ ხასანის ძე, დაბადებული 1887 წელს სოფელ ხიხაძირში, 1937 წლის 29 სექტემბერს დახვრიტეს ბათუმში.“ იგი შეტანილია სია №2-ში, რიგითი ნომრით 205. სსრკ უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების I პუნქტის საფუძველზე სეფერ ხალვაში რეაბილიტირებულია.

სეფერ ხალვაშის მეუღლეს ჰური კადოს ასულ ჯაიანს ხუთი შვილის (შადიე, გიორგი, ფადიმე, ხასანი, ეთერი) პატრონობა მოუხდა. ცალუდელა ქალმა ყველა მათგანი ღირსეულად აღზარდა, განათლებაც მიაღებინა და ახლა მათი შთამომავლობა განაგრძობს უდანაშაულოდ დაღუპული სეფერ ხალვაშის კეთილ საქმეებს.

## 5. ხალვაში შალვა ბიბოს ძე

უშიშროების არქივის ოფიციალური ცნობა იუწყება, რომ იგი 1889 წელს დაიბადა ლანჩხუთის რაიონში. მისი განათლება და საქმიანობა უცნობია. ვიცით, რომ დაპატიმრების მომენტში ცხოვრობდა ქ. ბათუმში, აჭარის (ამჟამად ზუბალაშვილის) ქ. №41-ში. შალვა ხალვაში დააპატიმრეს 1937 წლის დეკემბერში. საქართველოს შინსახკომთან არსებულმა განსაკუთრებულმა სამეულმა თავისი 13 დეკემბრის დადგენილებით სსკ 58-10 მუხლის საფუძველზე სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა, რომელიც 4 დღის შემდეგ 1937 წლის 17 დეკემბერს ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

სსრკ უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 16 იანვრის I პუნქტის თანახმად შ. გ. ხალვაში რეაბილიტირებულია.

შალვა ხალვაშის შესახებ დღემდე არსებული ლიტერატურა არაფერს იუწყება, ამიტომ მისი შთამომავლობის შესახებ ცნობები არა გვაქვს.

## 6. ხალვაში ხასან შერიფის ძე

პირველდაწყებითი განათლება ს. ორთაბათუმში მიიღო. ახალგაზრდობიდანვე ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. მუშაობდა აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში. მოსახლეობაში სარგებლობდა სიყვარულითა და პატივისცემით. 1937 წელს დააპატიმრეს, მიაკუთვნეს „ხალხის მტრების“ I კატეგორიას და დახვრიტეს ბათუმში.

## ხიმშიაშვილები

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველი დღეებიდანვე დაწყებული რეპრესიების (დაპატიმრება, დახვრეტა, ქონების ჩამორთმევა და სხვ.) გამო ხიმშიაშვილთა დიდმა ნაწილმა თურქეთში გაქცევით უშველა თავს (იქ ახლა მათი ნამრავლი 500-ს აღემატება). ჩვენი მონაცემებით სამშობლოში დარჩნენ ასლან-ბეგ მურთაზის ძე და ზაბით-ბეგ ჯემალის ძე ხიმშიაშვილები, რომლებიც პირადი ქონების ჩამორთმევის შემდეგ, აბაშიძეებთან, ბეჟანიძეებთან, თავდგირიძეებთან, წულუკიძეებთან და სხვებთან ერთად რუსეთში (როსტოვში) გაასახლეს.

1925 წელს აჭარის ცაკის საგანგებო დადგენილებით (თავმჯდომარე თახსიმ ხიმშიაშვილი) მათ უფლება მიეცათ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

### 1. ხიმშიაშვილი ასლან-ბეგ მურთაზის ძე

ასლან ხიმშიაშვილი 1924 წლამდე ხულოში ცხოვრობდა, ცოლად ჰყავდა იქაური გულ-ხანუმ ბოლქვაძე, რომელიც 1906 წელს გარდაიცვალა და დარჩა ორი შვილი მავი-ხანუმი და ჰაიდარ-ბეგი. ობლები ბებიაშ, მურთაზ-ბეგის ქვრივმა სე-

ლიმე ათაბაგმა გაზარდა, რომელიც 1924 წელს თურქეთში გადავიდა.

1925 წელს ასლან-ბეგი გადასახლებაში მონახულა ცოლისძმამ ახმედ ბოლქვაძემ, წამოიყვანა და თურქეთში გახიზნა. ნათესაეების თქმით, იგი 1954 წელს გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს.

1927 წელს ხულოში გარდაიცვალა ასლან-ბეგის შვილი ჰაიდარი. მისი გამზრდელი ბებია სელიმე-ხანუმი საზღვართან მოსულა შვილიშვილის დასატირებლად, მაგრამ რუსმა მესაზღვრეებმა არ შემოუშვეს და ამ მწუხარების ელდისაგან იქვე საზღვართან გარდაცვლილა. ის ამ დროს 80 წლისა ყოფილა.

მაგი-ხანუმ ასლანის ასული ხიმშიაშვილი ცოლად ჰყავდა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, 1937 წელს რეპრესირებულ ხასან ლორთქიფანიძეს (1888-1937).

## 2. ხიმშიაშვილი ზაბით-ბეგ ჯემალის ძე

თავად ხიმშიაშვილთა აჭარის შტოს უკანასკნელ მოჰიკანად შეიძლება მივიჩნიოთ ზაბით-ბეგ ჯემალის ძე ხიმშიაშვილი. მისი ბიოგრაფიიდან ცოტა რამ ვიცით, განსაკუთრებით ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები.

ზაბით-ბეგი ცნობილი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შვილიშვილი და ჯემალ-ბეგის შვილია. მისი დედა ჩაქველი თავადის შერიფ-ბეგ ბეჟანიძის ქალიშვილი სადეთ-ხანუმ ბეჟანიძე გახლდათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ მშობლები იმ დროისთვის საკმარად განათლებული ოჯახებიდან იყვნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ზაბით-ბეგსაც კარგი შინაური განათლება ჰქონდა მიღებული.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეე-



ზაბით-ბეგ ჯემალის ძე  
ხიმშიაშვილი ძმისშვილთან  
ერთად



ზაბით-ბეგ ხიმშიაშვილი  
მეუღლესთან ერთად

ბში აჭარელი ბეგი – ხიმშიაშვილების მთელი მოდგმა ოს-  
მალეთში გადაიხვეწა. ადგილზე დარჩნენ მხოლოდ ასლან,  
ჰაიდარ და ზაბით-ბეგ ხიმშიაშვილები. საჭირო იყო ახალ  
ხელისუფლებასთან მშვიდობიანი ცხოვრება. 1921 წლის 22  
აპრილს ხულოს სამაზრო რევეკომს ზაბით-ბეგმა სარგე-  
ბლობაში სამი ოთახი და ავეჯი გადასცა. გვარის წინაშე  
ნდობის მოპოვების და მათი მიტყუების მიზნით ახალმა ხე-  
ლისუფლებამ 1921 წლის 5 მაისს ზაბით-ბეგი ხულოს მაზ-  
რის მილიციის უფროსად დანიშნა. იგი ამ პოსტზე მხოლოდ  
ოთხი თვის მანძილზე დატოვეს, 1921 წლის 7 სექტემბერს  
გაათავისუფლეს და მას შემდეგ მისთვის რაიმე სამსახური  
აღარ მიუციათ.



მოხდა პირიქით, ჩეკა-მ განსაკუთრებულ აღრიცხვაზე აიყვანა აჭარის 28 ბეგი, მათ შორის სამივე ხიმშიაშვილი. ყველას ჩამოართვა უძრავი ქონება, ზაბით ხიმშიაშვილს – სახლი ხულოში. მათზე მეთვალყურეობა გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ ბეგებს თანამგრძობი ჩეკა-შიც გამოუჩნდათ, საიდუმლო გამოაშკარავდა, რის შემდეგ მრავალმა ბეგმა გაქცევა მოახერხა.

1923 წლის ივნისში ზაბით ჯემალის ძე და ასლან მურთაზის ძე ხიმშიაშვილები შეიპყრეს და როსტოვში გადაასახლეს. ორი წლის შემდეგ, აჭარის ცაკ-ის 1925 წლის 10 სექტემბრის დადგენილებით მათ მიეცათ ხულოს მაზრაში თავისუფალი ცხოვრების თუმცა შემდგომ რეპრესიებს ვერავინ, მათ შორის ხიმშიაშვილებიც ვერ გადაურჩნენ.

1937 წელს ზაბით-ბეგ ხიმშიაშვილი დააპატიმრეს, 10 წელი მიუსაჯეს, გადაასახლეს და ქ. მარინინსკის მახლობლად, ვერხნი ჩებულუში მიუჩინეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. შემორჩენილია მისი უკანასკნელი ღია ბარათი, რომელიც ზაბით-ბეგმა დას, ფიქრიე ხიმშიაშვილს (თახსიმ ხიმშიაშვილის მეუღლეს) გამოუგზავნა თბილისში, მიხა ცხაკაიას ქუჩის №4 სახლში. იგი წერდა, რომ ორი თვეა საავადმყოფოში ვიმყოფები, მალე გავეწერები და ამანათი აღარ გამომიგზავნოთო. ბარათი დაწერილია 1941 წლის 4 ივნისს, რომელმაც თბილისში მხოლოდ 25 ივნისს ჩამოაღწია. ეს ბარათი უკანასკნელი აღმოჩნდა, მას შემდეგ რაიმე ცნობა აღარ მიუღიათ. სავარაუდოა, რომ ზაბით-ბეგი მალე გარდაიცვალა.<sup>69</sup>

4/II-417.  
 სპრиветом дорогая сестра Фикрия,  
 шлю я свои братский привет и  
 желаю всего хорошего. Мнужу в  
 в больнице уже 2 месяца. Сос-  
 тояние здоровья ничего, но еще  
 есть слабость. Я вам пишу чет-  
 вертое письмо а от вас не получил  
 ни одного письма получаете ли от  
 меня письма я не знаю. Если вы  
 не послали посылку, то и не посл-  
 айте потому что не успеет прийти  
 передайте мужу детям поклон  
 теперь тепло стало у нас. Ско-  
 ро выеду от сюда. Сколько пишу  
 я вам писем, а от вас ни какой да-  
 же открытки. ни не увидите письмо  
 по русский. Писать больше нечего  
 остальное жив здоров. 4/II-417

ст. 162 со. 199

Грузия ул. Мухоморова  
 д. № 4 Фикрия Химинашвили

г. Тифлис

В. 171

Adresse de l'expéditeur } г. Марининск с. В. Чебулу п/я  
 Адрес отправителя } № 347/10-Т. Химинашвили  
 сабит.

ზაბით-ბეგ ხიმშიაშვილის უკანასკნელი ბარათი დის ფიქრისადმი.  
 4 ივნისი, 1941 წ.

### 3. ხიმშიაშვილი დემურალი სულეიმანის კმ

დაიბადა 1882 წელს ზემო აჭარის უბნის ს. ნიგაზეულში. იგი მიეკუთვნება ხიმშიაშვილთა გვარის იმ შტოს, რომლიდანაც გამოვიდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი თახსიმ ხიმშიაშვილი (მისი ბიძაშვილი იყო).

დემურალი ნიგაზეულში დაოჯახდა და შეეძინა სამი შვილი: ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი, რომლისთვისაც სახელგონი გვარიშვილის სელიმის სახელი დაურქმევია. სელიმს 7 შვილი შეეძინა: 5 ვაჟი და 2 ქალი – თამარი და სეერი. თამარი ცოლად ჰყავდა ცნობილ პედაგოგს და წლების მანძილზე ნიგაზეულის სკოლის დირექტორს გიორგი კეკელიძეს (1919-1961).

დემურალი ხიმშიაშვილი, როგორც მოხერხებული, ბრძენი და მამაცი კაცი ახალგაზრდობიდანვე კარგი სახელით სარგებლობდა მოსახლეობაში. იგი თანამეგობარებმა თავკაცად აღიარეს. მან სოფლის კეთილდღეობისთვის მრავალ სასიკეთო საქმეს ჩაუყარა საფუძველი (გზები, სკოლები, სარწყავი არხები და სხვ.)

დემურალი ხიმშიაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაშიც, იყო სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი ზემო აჭარაში, სიხარულით შეეგება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლების დამხობამ და ქვეყნის ბოლშევიკურმა ანექსიამ დ. ხიმშიაშვილის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, თუმცა ეს მას აშკარად არ გამოუხატავს, ჩვენი აზრით ბიძაშვილის თახსიმ ხიმშიაშვილის გავლენით, რომელიც იმ დროს თბილისის უნივერსიტეტის ლექტორი და გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ ერთ-ერთი რედაქტორი იყო.

1922 წლის 21 დეკემბერს თახსიმ ხიმშიაშვილი აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს. ერთი კვირის შემდეგ დემურალი ხიმშიაშვილს სახკომსაბჭოს თავმ-

ჯდომარის განკარგულებაში ვხედავთ,<sup>70</sup> ხოლო 1923 წლის 31 ივნისის საარქივო საბუთით დასტურდება, რომ ის სახკომსაბჭოს მცველთა რაზმის უფროსია.<sup>71</sup>



**დემურალი სულეიმანის ძე ხიმშიაშვილი**

ამ თანამდებობაზე დ. ხიმშიაშვილი დარჩა 1925 წლის 20 ოქტომბრამდე, თახსიმ ხიმშიაშვილის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან გათავისუფლებამდე. როგორც ჩანს, ამის შემდეგი ჩამოშორდა საპასუხისმგებლო საქმეებს, ოჯახს დაუბრუნდა და პირად მეურნეობას მიჰყო ხელი, თუმცა სოფლის კეთილდღეობისთვის ზრუნვა არასოდეს მიუტოვებია. მოსახლეობას ის კვლავ საპატიო მოღვაწედ მიაჩნდა.

ნათესავთა გადმოცემით, სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ დ. ხიმშიაშვილს დევნიდა კომუნისტური ხელისუფლება, რის გამოც ის თურქეთში გადახვეწილ ძმასთან გაქცეულა და ამის შემდეგ აღარ დაბრუნებულაო. ეს ცნობა შეიძლება ნაწილობრივ სწორია. მაგრამ უცნობია ის სამშობლოში როდის დაბრუნდა, როდის შეიპყრეს და ბათუმში როდის დახვრიტეს. ჩვენს მიერ მოკვლეულ №2 სიაში ხიმშიაშვილი დემურალი სულეიმანის ძეს მიკუთვნებული აქვს №327.

თუ ვირწმუნებთ, რომ დემურალი ხიმშიაშვილმა მართლაც მოასწრო თურქეთში გაქცევა და აღარ დაბრუნებულა, ჩნდება ეჭვი იმის შესახებ, რომ საკუთარი მუნდირის გადარჩენის მიზნით, შესაძლოა კეთილი მოსაზრებებითაც, ასეთი პირები უშიშროების ორგანოებს შეჰქონდათ დახვრეტილთა სიებში.

## ხორომანსკი ბაბრიელ ივანეს ძე

წარმოშობით პოლონელი, დედით ქართველი გაბრიელი დაიბადა 1890 წელს სოფელ ჭანიეთში (ღანჩხუთის რ.) გაქართველებული ივანე ხორომანსკის (1836-1931) და მართა ლომჯარიას (1852-1903) ოჯახში.

ივანე ხორომანსკი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ რუსულ არმიაში ჩოლოქის საგუშაგოზე მესაზღვრედ მსახურობდა. სამხედრო მოსამსახურეებს ურთიერთობა ჰქონდათ ჩოლოქის განაპირა ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობასთან. ივანეს აქ გაუცვნია თავისი მომავალი მეუღლე მართა (მარიამ) ნიკოლოზის ასული ლომჯარია და ცოლად შეურთავს. შემდეგ ისინი საცხოვრებლად ბათუმში გადასულან.

ივანე შეძლებული პიროვნება აღმოჩნდა. ცოლეურს, მარიამ ლომჯარიასგან და ალექსანდრე თაყაიშვილისგან მან შეიძინა მიწები, აქედან მეუღლის, მართას ნათლიას კაკაბია ლომჯარიას ახალგაზრდა ცოლ-ქმრისთვის ქცევანახევარი მიწა უჩუქებია.<sup>72</sup>

ივანეს და მართას სამი შვილი შეეძინათ: ევტიხი, ეფემია და გაბრიელი. ეფემია გათხოვდა ლიხაურელ სევასტი ურუშაძეზე, ხოლო ევტიხიმ და გაბრიელმა ცხოვრება ბათუმში, მამისეულ სახლში განაგრძეს.

ძმებმა დაამთავრეს ბათუმის გიმნაზია, რის შემდეგ ევტიხიმ (1880-1971) მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება, ხოლო გაბრიელი ექიმი გახდა და სამუშაოდ მშობლიურ ქალაქ ბათუმს დაუბრუნდა.

1930 წლიდან გ. ხორომანსკი აჭარის ჯანდაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ მუშაობდა. ამ პერიოდში კომისრებად გამოცდილი ორგანიზატორები, თუმცა არა ექიმები მუშაობდნენ, ამიტომ გაბრიელს კომისრის მოვალეობის შესრულება უხდებოდა. ამაზე მეტყველებს 1931 წელს გამოქვეყნებული კომისარიატის ანგარიში, „სახალხო ჯანმრთელობა აჭარისტანში გასაბჭოებიდან დღემდე,“ რომელსაც ხელს აწერს გაბრიელ ხორომანსკი და რომელშიც წარმოდგენილია 10 წლის მანძილზე კომისარიატის მიერ გაწეული საქმიანობა.<sup>73</sup>



**გაბრიელ ივანეს ძე  
ხორომანსკი**

კომისარიატში მუშაობის პარალელურად გაბრიელი ასრულებდა ახლადგახსნილი ფიზიოთერაპიული ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობასაც.

1937 წლის 27 ივნისიდან გაბრიელ ხორომანსკი აჭარის ჯანსახკომის საკურორტო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზეა. იმავე აგებდითი წლის 21 ოქტომბერს იგი შეტანილია საქართველოდან გაგზავნილ სიაში, რომელსაც ადევს სკკპ პოლიტბიუროს წევრების რეზოლუცია. გაბრიელს მიეკუთვნა I კატეგორია, რაც სიკვდილით

დასჯას ნიშნავდა. გ. ი. ხორომანსკის ბრალად დასდეს, რომ იგი იყო კონტრრევოლუციონერი, ირიცხებოდა ტროცკისტულ, ტერორისტულ-დივერსულ-მაგნებლურ ორგანიზაციაში, რომლის წევრებმაც 1934 წლის 1 დეკემბერს მოკლეს ს. მ. კიროვი და შემდეგშიც ამზადებდნენ ტერაქტებს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. უშიშროების აგენტებმა მას გაუგონარი ბრალდება წაუყენეს, თითქოს იგი ეწეოდა მაგნებლური საქმიანობას ინფექციური დაავადებების გავრცელებისთვის, ცდილობდა სასამელი წყლის გაბინძურებას ნაწლავური და ტიფის ჩხირებით.

სხვათაშორის, 1938 წლის 12 სექტემბერს სკკპ პოლიტბიუროს რეზოლუციით I კატეგორიას, ე. ი. სიკვდილით დასასჯელთა სიას მიკუთვებულია გაბრიელის უფროსი ძმა ევტიხი ხორომანსკიც.<sup>74</sup> მას ამ წიგნის ავტორი კარგად იცნობდა, ოჯახშიც ხშირად სტუმრობდა და მისგან ძალზე საინტერესო მრავალ ინფორმაციას ღებულობდა, თუმცა როგორ გადაურჩა იმდროინდელ საბედისწერო განაჩენს, მას არასოდეს უთქვამს და ეს საიდუმლო დღესაც იღუპალებად რჩება.

## ჯაიანები

ერთ-ერთი უძველესი თავადური გვარია საქართველოში. ბუდე-ადგილად სამეგრელოს სოფელი ახუთი მიიჩნევა. ხიხაძირელ ჯაიანთა წარმომავლობაზე საინტერესო მასალები შეაგროვა სერგო ჯაიანმა (1910-2000), რომლებიც ნიკოლოზ დუმბაძემ და სერგო დუმბაძემ შეიტანეს თავის წიგნში, „ხიხაძირელი ხევისბერი.“<sup>475</sup>

აჭარაში ჯაიანთა გვარის დამკვიდრებას ეს ჩანაწერები რეალურად უნდა ასახავდეს, ამიტომ ჩვენც მას დავეყრდნობით.

აჭარელ (ხიხაძირელ) ჯაიანთა მამამთავარია ომერ ჯაიანი, რომელიც აქ სოფელ ხინოდან გადმოსახლებულა და დამკვიდრებულა, დაახლოებით 1760 წელს. აქ იგი სამ ვაჟთან ერთად ჩამოსულა. ესენი არიან: ახმედი, დელი-მუთი და სელიმ-აღა. დელი-მუთისაც სამი ვაჟი შექმნია: სელიმი, ბერიკაცი და ლომანი. სელიმის შვილები იყვნენ: თურანი, მუთი და შაქირი. თურანის შვილია კადო ჯაიანი.

### 1. ჯაიანი კადო თურანის კე

კადო ჯაიანი ხიხაძირელ ჯაიანთა მე-5 თაობას მიეკუთვნება. იგი 1874 წელს საკმაოდ შეძლებულ ოჯახში დაიბადა. აქ ხშირად სტუმრობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, ადგილობრივი ალა-ბეგები და სასულიერო პირები. კადომ ახალგაზრდობიდანვე მიიქცია ყურადღება თავისი მამაცობითა და სიჩაქით. ეს პირველ რიგში შეამჩნია თემურ-ბეგ შერიფის ძე ხიმშიაშვილმა, რომელიც რუსეთის სახელმწიფო სამსახურში იყო. კადო ჯაიანი მან თავის რაზმში ჩარიცხა.

თემურ-ბეგის მამაც რაზმს ხშირად ავალებდნენ წესრიგის დაცვას ბათუმში და ფოთში, განსაკუთრებით პორტებში, სადაც ხშირი იყო ავაზაკთა თავდასხმები. ერთ-ერთი ასეთი დავალების შესრულების დროს თ. ხიმშიაშვილის რაზმი ფოთში

ჩასულა და თავიდან აუცილებია ბანდიტთა თავდასხმა. აქედან ისინი სენაკში წავიდნენ, სადაც შეხვდნენ მაღალჩინოსნებს და ფოტოსურათიც გადაიღეს.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა რუსეთის ხელისუფლებამ აჭარლებს „ლალატი“ დასწამა და სასტიკ რეპრესიებს მიმართა, კადო ჯაიანი სამსახურიდან წავიდა, ოჯახს დაუბრუნდა და კერძო მეურნეობას და წვრილმან ვაჭრობას მიჰყო ხელი.



**კადო ჯაიანი (ზის), ჯემალ მიქელაძე (მარცხენივ),  
სეფერ ხალვაში (მარჯვნივ).**

კადო ჯაიანმა ცოლად შეირთო ხისაძირელ იშხნელთა უძველესი გვარის წარმომადგენელი მუსემბე იშხნელიძე, რომელთანაც 9 შვილი შეეძინა – ქალები: ჰური, ემინე, სელმე, სელიე, ნაზიმე, ნიგარი და უნზილე. ვაჟები: ფოლადი და სელიმი (იგივე



სერგო). ყველა მათგანმა შექმნა სანიმუშო ოჯახი და დღეს მათი შთამომავლობა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა.

პროფ. სერგო დუმბაძემ საფუძვლიანად შეისწავლა კადო ჯაიანის შემდგომი ცხოვრება და საარქივო მასალებზე დაყრდნობით მრავალი უცნობი მომენტი გამოავლინა. გაირკვა, რომ საქართველოს შინსახკომთან არსებულმა „სამეულმა“ თავისი 1937 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით კადო თურანის ძე ჯაიანი ორი მოწმის ჩვენებით აღიარა დამნაშავედ, მას წაუყენა სსკ 58-10 მუხლი და სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯა.

1958 წლის 10 იანვარს აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტი ზედამხედველობის წესით. სასამართლომ გამოარკვია, რომ მოწმეთა ჩვენებები, თითქოს კადო ჯაიანი კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის დაკავშირებული იყო გაბრიელ სიხარულიძესთან, მონაწილეობდა არალეგალურ მუშაობაში, რაც მიმართული იყო პარტიის და მთავრობის ღონისძიებათა წინააღმდეგ, მის საქმეში არ აღმოჩნდა.

თვით კადო ჯაიანმა წარდგენილ ბრალდებაზე თავი დამნაშავედ არ სცნო. ერთ-ერთმა მოწმემ განმარტა, რომ 1937 წელს კ. ჯაიანის მიმართ მას არავითარი ჩვენება არ მიუცია და საქმეში არსებული განცხადება და ხელმოწერა მას არ ეკუთვნის. სასამართლომ კ. ჯაიანის ბრალდება უსაფუძვლოდ სცნო, პროკურატურის პროტესტი დააკმაყოფილა, „სამეული“-ს 1937 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება გააუქმა და საქმე წარმოებით მოსპო ბრალდების უსაფუძვლობის გამო.

კადო თურანის ძე ჯაიანის მიმართ სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოიყვანეს ბათუმში. იგი შეტანილია ბათუმში დახვრეტილთა №2 სიაში (რიგითი №256). კადო ჯაიანი ამჟამად რეაბილიტირებულია.

## 2. ჯაიანი მემედ ხასანის ძე

დაიბადა 1903 წელს ს. ხისაძირში (ხულოს რ.). პირველდაწვევებითი განათლება 1916 წელს ს. თხილვანაში გახსნილ სკოლაში მიიღო. სკოლა რამდენიმე წლის შემდეგ დაიხურა, მაგრამ სწავლისადმი ინტერესი მან 14 წლის ჭაბუკს იმდენად გაუღვივა, რომ მოგვიანებით სწავლა ბათუმში პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო და ხეობიდან ერთ-ერთმა პირველმა მიიღო ორწლიანი პედაგოგიური განათლება.

1929 წელს მემედ ჯაიანი სხალთის თემზე ახლადგამოყოფილი ხისაძირის თემსაბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს. იგი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმშენებლობის საქმიანობას. მისი ინიციატივით გაიხსნა სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, სავაჭრო დუქნები და მაღაზიები.

1930 წელს მემედ ჯაიანი რიყეთის თემსაბჭოს თავმჯდომარედ გადაიყვანეს და აქაც გამოავლინა ჩვეული უნარი და ენერჯია. პროფ. ს. დუმბაძეს 90 წლის ასმედ ანთაძისგან მოუსმენია: „მემედ ჯაიანი ჯერ ერთიანი რიყეთის თემსაბჭოს, შემდეგ გამოყოფილი დიოკნისის თემსაბჭოს თავმჯდომარედ



მემედ ხასანის ძე  
ჯაიანი

იყო. მას ყველა აქებდა. ძლიერი სიტყვის კაცი იყო, ხალხი ენდობოდა და მიყვებოდა. მას მართალ კაცს ეძახდნენ. მის დროს არაერთი გზა გაკეთდა, სკოლა გაიხსნა. ბევრი ქვრივ-ობლის დამხმარე და ქომაგი იყო... რომელიმე ხელმძღვანელზე რომ ჩამოვარდებოდა საუბარი, მემედ ჯაიანს ყოველთვის დიდი სიყვარულითა და სითბოთი მოიგონებდნენ.“<sup>76</sup>

1935 წელს მემედ ჯაიანი სხალთაზე ახლადგამოყოფილი ყინჩაურის თემსაბჭოს თავმჯდომარედ გადაი-

ყვანეს. იგი აქაც გამოირჩეოდა მართალი სიტყვით, პრინციპულობით, მომთხოვნელობით, ბოროტებასთან და უსამართლობასთან შეურიგებლობით.

თავმდაბალი, ზნეკეთილი, გარეგნულად მომხიბლავი და ფიზიკურად ძლიერი მემედი აქაც და მთელს სხალთის ხეობაში ერთ-ერთ წინაკაცად ითვლებოდა, მას ხალხი უსმენდა და საჭიროების დროს ყველგან გაყვებოდა.

სწორედ ასეთ წინაკაცებს უფროსოდა საბჭოთა ხელისუფლება და მემედ ჯაიანიც მიზანში ამოიღეს. იგი 1937 წელს დააპატიმრეს, გამოგონილი ბრალდებით დახვრეტა მიუსაჯეს, რაც ბათუმში მოიყვანეს სისრულეში (სია №2, რიგითი №56).

მემედ ჯაიანს თხილგანელ სალიე მამულაძესთან ორი ქალიშვილი ფატი და ნაილე შეეძინა. დედამ ისინი ღირსეულად აღზარდა. 8 შვილითა და მრავალი შვილიშვილით გარემოცული ფატი სოფელ ახალშენში ცხოვრობს, ხოლო უმცროსი ნაილე, რომელმაც უმაღლესი პედაგოგიური განათლება მიიღო და დიდხანს მსახურობდა სკოლებში, გარდაიცვალა 2002 წელს.

რეპრესირებულთა შორის არის ჯაიანთა გვარის კიდევ ორი წარმომადგენელი, რომელთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია. მკითხველთა მხრიდან გამოსხაურების მიზნით ვაქვეყნებთ ჩვენს ხელთ არსებულ მწირ ცნობებს.

**თენზილე მემედის ასული ჯაიანი**, დაბადებული 1921 წელს ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში. საქართველოს შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1943 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებით „სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრის“ (სმოწ) ბრალდების საფუძველზე მიესაჯა საქართველოდან 5 წლით გადასახლება ყაზახეთის ოლქში. სსრკ უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების I პუნქტის თანახმად თ. მ. ჯაიანი რეაბილიტირებულია.

**დეგრიშ მემედის ძე ჯაიანს**, დაბადებულს 1918 წელს, საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეული“-ს მიერ 1937

წლის 25 დეკემბერს სსკ 58-10 მუხლის საფუძველზე მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს 1957 წ. 9 მარტის განჩინებით სისხლის სამართლის საქმე დ. მ. ჯაიანის მიმართ წარმოებით შეწყდა მის ქმედებაში დანაშაულის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებულია.

ღვერიშ მემედის ძე ჯაიანი გარდაიცვალა 1938 წლის 2 აპრილს..

## ჯაყელები

### 1. 2. მამა-შვილი სერდალ და ოსმან ჯაყელები

სოფელ ჭალის (შუახევის რ.) მცხოვრები მამა-შვილი 1937 წლის ივნისში დააპატიმრეს. სერდალი საკმაოდ ხანდაზმული იყო (დაბად. 1875 წელს), ორი ყავარჯნით მიყვებოდა ჩეკისტებს და, როგორც ჩანს, გამოძიებამდე, ანუ სამეულის წინაშე წარდგომამდე დაღია სული, ამიტომ მის შესახებ არქივის ქაღალდებში არავითარი ცნობა არ შემონახულა.

ოსმანი სერდალის შვილია. იგი 1905 წელს დაიბადა. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა მომადლებული ნიჭით, სწავლობდა სოფლის მედრესეში, სადაც კარგად შეისწავლა არაბული და ლათინური წერა-კითხვა, შემდეგ მუშფაკიც დაამთავრა და საზოგადოებრივი შრომის ასპარეზზეც გამოვიდა.

როგორც ცნობილია, ოციან-ოცდაათიან წლებში იგრძნობოდა კადრების სიმცირე, სკოლადამთავრებულიც და უბრალოდ წერა-კითხვის მცოდნეც საძებარი იყო, ამიტომ ოსმან ჯაყელს არაერთი თანამდებობა შესთავაზეს.

1934 წლიდან იწყება ოსმან ჯაყელის სამსახურებრივი აღმასვლა. ერთხანს მუშაობდა ხიხადირის სკოლის მასწავლებლად, აგრონომად ბაკურიანსა და ქობულეთში, სასოფლო საბ-

ჭოს აღმასკომის მდივნად სოფელ ჭვანაში, რადიოკორესპონდენტად, მთავლიტის წარმომადგენლად, რაიკომის ინსტრუქტორად და პარტიული კაბინეტის გამგედ ხულოში. აქ მას სხვა დავალებაც მისცეს. იგი ხელმძღვანელობდა საკოლმეურნეო აქტივის მომზადების დაუსწრებელ კურსებსაც, ამიტომ მის თანამდებობას ინსტრუქტორ-პროპაგანდისტის სახელიც ერქვა.

1937 წლის ივნისში ოსმან ჯაყელი ჭვანის ხეობაში მიავლინეს, მაგრამ ორი დღის შემდეგ სასწრაფოდ ხულოში გამოიძახეს და ცოლ-შვილთან მყოფი დააპატიმრეს; შეშფოთებული მეუღლის სოფიო ყიფიანი-ჯაყელისთვის ოსმანს უთქვამს: „არ შეშინდე, რაღაც გაუგებრობაა, ხალხისა და ქვეყნისთვის კარგის მეტი არაფერი გამიკეთებია, ყველაფერი გაირკვევა და დაგბრუნდებიო.“ ეს იყო 1937 წლის 16 ივნისს.



ოსმან სერდალის ძე  
ჯაყელი

იმავე წლის 19 აგვისტოს საქართველოს შინსახსკომთან არსებულმა სამეუღლმა ოსმან ჯაყელს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა, რაც ოთხი დღის შემდეგ ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

ოჯახის უფროსის დაპატიმრებიდან ორი დღის შემდეგ ოსმანის მეუღლე სოფიო ყიფიანი (დედით დადიანი) თავის სამ მცირეწლოვან გოგონასთან ერთად (სურიე, სევეიე, ზექიე) ბინიდან გამოყარეს, ტანსაცმლის გარდა არაფერი შეარჩინეს და ბინა დაღუქეს.<sup>77</sup>


რკინის ქალამნები ჩაიცვა ქალბატონმა სოფიომ, განცხადებებით შეძრა მთელი საბჭოთა კავშირი, მაგრამ ვერაფერი

გააწყო. ისიც კი არ აცნობეს, რომ მეუღლე ცოცხალი აღარ იყო. ანდა ვინ გამოეპატრონებოდა სოფიოს, როცა მამა, დიდი დამსახურების მქონე აქიფ ყიფიანი ანტირუსული ლეგიონის წევრი, ვაჟთან, მემედთან ერთად, 1915 წლიდან ოსმალეთში იყო გაქცეული, ხოლო ძმა ახმედიც, ასევე „ხალხის მტრად“ მონათლული, ოსმანის შემდეგ მალე დააპატიმრეს და 10 წელი ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს.

მხოლოდ 1950 წელს სსრკ გენერალური პროკურორის, რ. ა. რუდენკოსგან მიიღო სოფიომ სიყაღბით, ცინიზითა და ფარისევლობით სავსე ცნობა იმის შესახებ, რომ ოსმან ჯაყელი კი არ დაუხვრეტიათ, იგი თავისი დღით „გარდაიცვალა 1946 წელს“ და ამით საბჭოთა კავშირის დიდმა და მთავარმა ბრალმძებელმა უბრალო ქართველი ქალის წინაშე მშობლიურ ხელისუფლებას პირი ჩამოხანა.

ოსმან და სერდალ ჯაყელები რეაბილიტირებულნი არიან.

### 3. ჯაყელი ნური ესედის ძე



ნური ესედის ძე ჯაყელი

#### 4. ჯაყელი სულეიმან დურსუნის ძე

სოფელ კვაშტის (ქედის რ.) მცხოვრები ბიძაშვილები 1937 წლის აგვისტოში დააპატიმრეს და სამეულის გადაწყვეტილებით სექტემბრის დასაწყისში ბათუმში დახვრიტეს.

სულეიმან ჯაყელის ფოტოსურათი ვერ აღმოვაჩინეთ, ხოლო ნური ჯაყელისა (დაბად. 1870 წ.) მოგვიტანა მისმა ნათესავმა რევაზ ჯაყელმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

სულეიმან ჯაყელს, დაბად. 1893 წელს სოფ. კვაშტაში, საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა სამეულმა 1937 წლის 4 სექტემბერს, სსკ-ის 58-6 და 58-10 მუხლების საფუძველზე, სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვერცა მიუსაჯა, რაც 5 სექტემბერს ბათუმში მოიყვანეს სისრულეში.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1957 წლის 2 აგვისტოს განჩინებით ს. დ. ჯაყელის მიმართ სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყდა მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის უარსებლობის გამო და იგი რეაბილიტირებულია.

#### ჯაში თევრათ ალის ძე

დაიბადა 1905 წელს სოფელ ქობულეთში. სწავლობდა ქობულეთის სკოლაში, გამოირჩეოდა დიდი ნიჭითა და ენერგიით. 1922 წელს, 17 წლის თევრათი ხულოს კომკავშირის რაიკომის მდივნად დანიშნეს, შემდეგ პარტიულ სამუშაოზე გადაიყვანეს.

1927 წელს თევრათ ჯაში ქედის მაზრის პარტკომის მდივანი, რაც შემდგომი პერიოდის რაიკომის მდივნის თანამდებობას უტოლდებოდა.

1930 წელს თევრათი აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრად დანიშნეს. ერთი წლის შემდეგ ორწლიან პარტიულ სკოლაში გაუშვეს. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჯერ ქობულეთის რაიკომის მდივნად, ხოლო 1935 წელს ბათუმის რაიადმასკომის თავმჯდომარედ.



**თევზათ ალის ძე  
ჯაში**

სიკვდილო განაჩენი და 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს (სია №2, რიგითი №340).

თევრათ ჯაში აირჩიეს აჭარის ცაკის წევრად, რაც დღევანდელი გაგებით აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობას ნიშნავს.

სწორედ ამ თანამდებობაზე ყოფნის და ცაკის წევრობის დროს წამოეწია ძალმომრეობა და უსამართლობა. თევრათ ჯაში მოხვდა მოსკოვში, პოლიტიუროს მისამართით რაფავას მიერ გაგზავნილ სიაში. აქ იგი 1937 წლის 20 ოქტომბერს მიაკუთვნეს I კატეგორიას. თუმცა სამეუფლს მოსკოვიდან პასუხზე არც დაუცდია. აქვე გამოიტანეს სა-

### **ჯორბენაკი ახმელ იშილის ძე**

იგი ბათუმში დახვრეტილთა სიებში არ ირიცხება, თუმცა 1938 წელს აღსრულებული განაჩენით დაღუპულთაგან ბევრი სხვაც ამ სიებში ვერ ვნახეთ. მათ შორის ისინიც, ვინც ბათუმის „სამეუფლს“ და სიკვდილით დასჯას ვერ ასცდნენ.

ოჯახიდან მიღებული და ჩვენს მიერ მოძეული მასალების შეჯერებით ა. ი. ჯორბენაკის ბიოგრაფია ასეთია: დაიბადა 1898 (ჩვენს მასალებში 1897 წელია მითითებული) წელს ხულოს რაიონის სოფ. ძირკვაძეებში. დაწყებითი განათლება მიიღო ხულოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლაში. სხვა განათლება არ მიუღია, მაგრამ თვითნაბადი ნიჭით მალე დაწინაურდა. ჭაბუკობაშივე დანიშნეს შუასოფლის (ნანუზოდლების) სახერხი ქარხნის დი-



რექტორად, შემდეგ ხულოს სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარედ.

ახმედ ჯორბენაძე 1938 წლის 15 აპრილს დააპატიმრეს, საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა სამეულმა 29 აპრილს სსკ 58-2 და 58-11 მუხლებით მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, რაც მეორე დღეს 30 აპრილს მოიყვანეს სისრულეში. ამ უბედურების თაობაზე ოჯახმა არაფერი იცოდა და მხოლოდ 18 წლის შემდეგ გაიგეს ოჯახის უფროსის საბედისწერო აღსასრული.



**ახმედ იშიდის ძე  
ჯორბენაძე**

აჭარის ასსრ უზენაესი სამართლის 1956 წლის განჩინებით სისხლის სამართლის საქმე ა. ი. ჯორბენაძის მიმართ წარმოებით შეწყდა ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო და იგი სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულია.

## რეპრეზენტატიული ოჯახები

მასობრივ დაჭერა-დაპატიმრებებამდე, ჯერ კიდევ 1934 წლის 8 ივნისს სსრკ ცაკ-მა გამოსცა განკარგულება სათაურით „სამშობლოს დღაღისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ,“ რომელიც იმის მიუხედავად, ოჯახის წევრმა იცოდა თუ არა ოჯახის სხვა წევრის დანაშაულის შესახებ, პასუხს მაინც აგებდა. პასუხისმგებლობა კი, სულ მცირე, პატიმრობას ითვალისწინებდა.

ასე ჩაეყარა საფუძველი ოჯახის წევრების, ცოლის, შვილების აწიოკება-დარბევას და დაპატიმრება-გადასახლებას, რამაც არნახული მასშტაბი სწორედ 1937-1938 წლებში მიიღო და შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა.

სსრკ შსსკ 1937 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №00486 ამ ბარბაროსული გადაწყვეტილების დაგვირგვინება იყო. ამ დირექტივის საფუძველზე კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს მიეცათ შემდეგი დავალება: ამ ბრძანების მიღებისთანავე შეუდევით სამშობლოს მოღალატეთა ცოლების რეპრესირება-სო და დაწყებული 1936 წლის 1 აგვისტოდან, „მოღალატეთა“ შეუღლებების გარდა, შეგროვდა მოკლე ცნობები 15 წელზე უფროსი ბავშვების შესახებ, რომლებიც თურმე „სოციალურად საშიშნი არიან და შეუძლიათ ჩაიდინონ ანტისაბჭოთა მოქმედება. დაპატიმრებულთა მთელი პირადი ქონება კონფისკებულ იქნას. დაპატიმრებულთა ბინები დაილუქოს.

ყოველ დაპატიმრებულ ცოლზე და ყოველ სოციალურად საშიშ 15 წელზე უფროს ბავშვზე შეიქმნება საგამოძიებო საქმე.

მსჯავრდებულ სამშობლოს მოღალატეთა ცოლები დამწყვედულ უნდა იქნენ ბანაკებში, სოციალური საშიშროების ზომის შესაბამისი ვადით, არანაკლებ 5-8 წლისა.

მსჯავრდებულთა სოციალურად საშიში შვილები ასაკის, საშიშროებისა და გამოსწორების შესაძლებლობების მიხედვით, დამწყვედულ უნდა იქნენ ბანაკებში.“

ესეც შენი საბჭოთა მორალი: ოჯახის უფროსმა, ამ შემთხვევაში მამაკაცმა შესაძლოა მართლაც ჩაიდინა დანაშაული, ცოლ-შვილმა ამის შესახებ არაფერი იცის, მაგრამ ნურას უკაცრავად, იგი სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრია (სმოწ) და პასუხი უნდა აგოს ცოლმაც და მისმა 15 წლის ყმაწვილმაც. პასუხისმგებლობასაც გააჩნია, ცოლები დამწვევდელ უნდა იქნენ ბანაკებში თავის შვილთან ერთად.\*

და ამოქმედდა საშინელი მონსტრი შინსახკომი და მისი დაგეშილი ჩეკისტები. მტკუანს და მართალს ვინ კითხულობდა, თავადაც კარგად იცოდნენ, რომ მამაკაცს არაფერი ჩაუდენია, დაუშვით მისგან მომავალში რაღაც ხიფათს მოელოდნენ და დააპატიმრეს, ადამიანს რატომ აწამებ, სიცოცხლეს რატომ უსპობ, ანდა მის სრულიად უდანაშაულო ცოლ-შვილს რატომ უნგრევ ოჯახს, უსპობ მომავალს? გადაგვარებულთათვის, ვინც დაკარგა ადამიანის სახე და აზროვნება, ვინც ორფეხა მხეცად იქცა, ასეთი კითხვები არ არსებობდა.

ზემოთდასახელებული ავბედითი ბრძანება, როგორც დავინახეთ, ხელისმოწერისთანავე (მ. კალინინი) შევიდა ძალაში და საქართველოშიც დაუყოვნებლივ დაიწყო ოჯახების რბევა-აწიოკება, ქონების ჩამორთმევა და დააპატიმრებულ-დახვრეტილი მამაკაცების ცოლ-შვილის რეპრესიები. ჩვენი წიგნი საშუალებას არ იძლევა საქართველოს ყველა გაუბედურებული ოჯახის შესახებ ვესაუბროთ მკითხველს. ჩვენ მხოლოდ აჭარით, თანაც ზოგიერთი ოჯახით შემოვიფარგლებით, რადგანაც ამ მხარეში უსამართლობას, ისეთი მასობრივი ხასიათი მიეცა, რომ ინკვიზიციით აღბათ ვერც ერთი ძველი ევროპის ქვეყანა შეედრებოდა.

---

\* ამ თემაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილების უფროსის მოადგილემ **სოფიო ტორჩინავამ** გადაიღო ფილმი „ბრძანება №00486,“ რომელშიც ქალთა რეპრესიების მრავალი ფაქტი აისახა.

ჩეკისტი რისი ჩეკისტი იყო, თუ მთავრობის დადგენილებას თავისი „შემოქმედებით“ არ შეავსებდა. როგორც მაშინ ამბობდნენ და ეს მოსაზრება დღესაც ძალაში რჩება, მრავალი ადამიანი სასიკვდილოდ გაიმეტეს მხოლოდ იმიტომ, რომ ლამაზი მეუღლე ყავდა. ქალის დასაუფლებლად იყენებდნენ ყოველგვარ ვერაგულ და ბინძურ მეთოდებს. პირდებოდნენ მეუღლის გათავისუფლებას მაშინაც კი, როცა იგი უკვე დახვრეტილი იყო.

საყურადღებოა, რომ ამ უმძიმესი პირობების მიუხედავად ქალების აბსოლუტური უმრავლესობა უარს აცხადებდა გამომძიებლებთან სქესობრივ კავშირზე, რის გამო მრავალი მათგანი კიდევ შეეწირა ოჯახის პატიოსნებას.

სექსუალური ძალადობის მაგალითს იძლეოდა საბჭოთა კავშირის პირველი ჩეკისტი ლავრენტი ბერია. ინტერნეტის ცნობის მიხედვით იგი ქალებისთვის იყო არა იმდენად საყვარელი, არამედ მოძალადე, რაშიც მას კონკურენტი არ ჰყავდა. იგი სექსუალურ კავშირს ამყარებდა ნებისმიერი ასაკის ქალთან, რომელიც მოეწონებოდა. მისთვის სექსუალურ პარტნიორებს სპეციალურად ნავარჯიშევი პირადი დაცვის წევრები არჩევდნენ. დადიოდნენ ავტომობილით, ათვალთვლებდნენ გამგლელებს და ვინც მოეწონებოდათ, მაშინვე სალონში ტენიდნენ.<sup>78</sup>

\* \* \*

რეპრესირებულთა ოჯახის წევრებზე – მეუღლეზე, ძმებზე, შვილებზე ჩვენ ნაწილობრივ ვისაუბრეთ. ეს თემა ძალზე რთული და ვრცელია, მაგრამ ჩვენ შევეცდებით შეძლებისდაგვარად მკითხველს მივაწოდოთ ზოგიერთ ოჯახზე თავს დატეხილი ვითარებაც (ბინების, ქონების, მიწის ჩამორთმევა, გადასახლება და ა. შ.).

რეპრესირებულთა უძრავ-მოძრავ ქონებას უპირატესად შინ-სახკომის თანამშრომლები, გამომძიებლები და სხვა აგენტები ეუფლებოდნენ. ამის ტიპური მაგალითი იუსტიციის სახალხო კომისრის **ხასან ქადაგიძის** ოჯახია.

ოჯახის უფროსის დაპატიმრების შემდეგ (**ხასან ქადაგიძის** დახვერცის შესახებ მეუღლემ **მარიამ მეზუკემ** და მისმა შვილებმა მხოლოდ 1948 წ. გაიგეს) ოჯახის წევრები ქუჩაში გამოყარეს და მათ ბინაში, ბარათაშვილის ქუჩაზე, სამხედრო პროკურორი, რომელმაც არაერთი უდანაშაულო ადამიანის სიკვდილს მოაწერა ხელი, მინინი შეასახლეს. თუმცა მასაც უწია ბედისწერამ, ისიც დააპატიმრეს და ბინას ახლა მეორე სასტიკი გამომძიებელი **გასიევი** დაეუფლა. ეტყობა იგი შედარებით შორსმჭვრეტელი კაცი იყო, ელოდა დაპატიმრებას, ამიტომ სახლს ვაგონი მიაყენა (მაშინ ბარათაშვილის ქუჩაზე რკინიგზა გადიოდა), ოჯახში არსებული ქადაგიძეთა ნივთები ჩატვირთა და გაურკვეველი მიმართულებით წაიღო.



**ხასან ხუსეინის ძე  
ქადაგიძე**

წლების შემდეგ ხასან ქადაგიძის ვაჟმა მოძებნა გასიევის ოჯახი, მის ბინაში ამოიციწო საოჯახო ნივთები და ფორტეპიანო. თუმცა გასიევი ამტკიცებდა, რომ ინსტრუმენტი მე ვიყიდეო. სინამდვილეში იგი ხასან ქადაგიძემ ბათუმში მცხოვრები ელიზავეტა შტრაუსისგან, „ვალსების მეფე“-დ წოდებული დიდი შტრაუსის ნათესავისგან ნოტარიალური წესით თავისი ქალიშვილის, პირველი ქართველი დირიჟორის ნელი ქადაგიძის-

ვის შეიძინა. საბედნიეროდ ქადაგიძეებთან და შტრაუსთანაც ყველა საბუთი აღმოჩნდა, რის შემდეგ გასიევი იძულებული გახდა მითვისებული ქონება პატრონისთვის დაებრუნებინა. მისი ოჯახიდან ქადაგიძეებმა, ფორტეპიანოს გარდა, წამოიღეს მამისეული დიდი ჩუქურთმებიანი სარკე და ორი სავარძელი, დანარჩენი ნივთების, მრავალი რელიკვიის მიგნება და წამოღება ვედარ შეძლეს.<sup>79</sup>

სულ რაღაც ერთ კვირაში დააპატიმრეს **ალი და საიდ გვარიშვილების, მემედ აბაშიძის, ზექერია და სელმან ლორთქიფანიძეების, ხასან კონცელიძის, რიზა ხოზრევანიძის, ჯემალ ქიქავას, შალვა მანჯგალაძის, მუსტაფ ჩახვაძის, ილიას ქათამაძის** და მრავალი სხვა უდანაშაულოდ რეპრესირებულთა მეუღლეები.

\* \* \*

ბათუმის ცნობილ „ჩეკა“-ს შენობასთან ამანათის გადასაცემად მისული **მემედ გვარიშვილის** მეუღლე **ფიქრიე ბეჟანიძე**, რომელსაც თან მცირეწლოვანი ბიჭი ოსიკო ახლდა, ვინმე ბესანოვის დავალებით, თითქოსდა დასაკითხავად, ბავშვთან ერთად შენობის მეორე მხარეს წაიყვანეს. საცოდავი ქალი განწირული იყო დასაპატიმრებლად, მაგრამ დედა-შვილი ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა. კიბეებზე მათ შეხვდათ ჩეკას კომისარი, ზაქარაია. მან, როგორც კი გაიგო, რომ მემედ გვარიშვილის ცოლი მიჰყავდათ, მაშინვე გასცა განკარგულება, იგი სახლში გაეშვათ და ერთ კვირაში განცხადებით პირადად მასთან მიეყვანათ.

ზაქარაიამ გაუგონარი რისკი გასწია. ერთი კვირის შემდეგ მასთან მისულ ფიქრიე გვარიშვილს გაენდო და უთხრა, რომ ის ადრიდანვე იცნობდა მემედ გვარიშვილს, მეგობრობდა მასთან და ურჩია ეს ამბავი ოჯახის წევრებისთვისაც არ გაემხილა.



**ფიქრიე ბეჟანიძე და  
მემედ გვარიშვილი (1886–1937)**

სამწუხაროდ ამ კაცმა ქონების კონფისკაციისგან მოღიანად ვერ შეძლო ოჯახის დაცვა. ფიქრიე გვარიშვილის განცხადებაში მითითებულია ბინისა და ქონების სრულყოფილად დაბრუნება. მემედ გვარიშვილის ოჯახს, ცოლსა და 4 შვილს კი დაუბრუნეს ერთი ოთახი და ავეჯის ნაწილი, რადგანაც ბინას და ქონებას უკვე ფლობდა მაშინდელი ხელისუფლების მსახური და ყველა ნების აღმასრულებელი სხვა ოჯახი.<sup>80</sup>

\* \* \*

1938 წლის 7 ივლისის დადგენილებით, როგორც „სამ-  
შობლოს მოღალატის“ **ოსმან მოწყობილის** ოჯახის წევრს  
(მეუღლეს), **ვალენტინა კონოკოტინა-მოწყობილს** მიესაჯა 5  
წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში



**ოსმან მოწყობილი და ვალენტინა კონოკოტინა-მოწყობილი**

მოხდით. იგი თბილისის ციხიდან ყაზახეთში მოხვდა, სასჯელს  
იხდიდა „ალჟირ“-ში. ასეთი იყო აბრევიატურა **АКМОЛИНСКИЙ**  
**лагерь жен изменников родины**. ვალენტინა აქ შეხვდა მის ბედში  
მყოფ გაუბედურებულ „ხალხის მტრის“ ცოლებს: კირა ან-  
დრონიკაშვილს, ნატო ვანნაძის დას, მწერალ ბორის პილნიაკის  
დას, ვალენტინა პილნიაკს და სხვ.

ქალიშვილის ბედი წილად ხვდა ვალენტინას დედას **ზოია**  
**ბოიკოვას**, რომელიც რიგიდან ჩამოსულ ფრანგზე **ედგარ შუ-**  
**ბერზე** მეორედ გათხოვდა და მწვანე კონცხზე დასახლდა.  
ზოია, ქმრის დაპატიმრების შემდეგ, ჯერ მეტეხის ციხეში მოხ-  
ვდა, შემდეგ ჩაქვის ქალთა კოლონიაში მიუჩინეს ადგილი.  
დაპატიმრებისას ვალენტინას დაატოვებინეს 11 წლის გოგონა



და წლინახევრის ბიჭი, რომლე-  
ბიც ქობულეთში ბებიაშ, აიშე  
მოწყობილმა შეიფარა.

დედა-შვილი ზოია და ვალ-  
ენტინა 1953 წელს დაუბრუნდ-  
ნენ მწვანე კონცხს. მთელი  
ქონება განადგურებული დახვ-  
დათ და ხის ყუთებზე დაიწყეს  
ცხოვრება, თანდათან საკუთარი  
კერაც გაათბეს, თუმცა 1984  
წელს ახალი უბედურება ეწვი-  
ათ. იდუმალ ვითარებაში მათ  
სახლს ცეცხლი გაუჩნდა და  
ყველაფერი ფერფლად იქცა.  
ვალენტინა მოწყობილმა თავი  
ძლივს გადაირჩინა.



ზოია ბოიკოვა შვილიშვილთან  
ნელისთან ერთად. 1927 წ.

ახლა გავეცნოთ ქობუ-  
ლეთში ოსმან მოწყობილის  
მამისეულ სახლში მცხოვრები

დედინაცვლის **აიშე მოწყობილის** განცხადებას; როგორც ამ  
განცხადებიდან ირკვევა, ჩეკისტების საცეცები მასაც მიწვდა.

„საქართველოს კპ(ბ) აჭაროლქომის მდივანს ამხ. საჯა-  
იას.\*

ქობულეთის რაიონის სოფელ ვოროშილოვის მოხუცი  
კოლმეურნე აიშე ხასანის ასულ მოწყობილისგან.

...ამჟამად ვარ 72წლის მოხუცი, ქვრივი ქალი, 1934 წლიდან  
ვარ ამხ. ტელმანის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტე-  
ლის წევრი. 1937 წელს, მიუხედავად ჩემი ხანში შესულობისა,  
გამოვიმუშავე 95 შრომადღე. წელს ვფიქრობ გამოვიმუშავო

\* აღექსანდრე საჯაიას 1938 წლის 23 თებერვლიდან 23 ნოემბრამდე ეკავა  
საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი.

ორჯერ მეტი. ჩემი ოჯახი ამჟამად შესდგება რვა სულისგან. მაქვს ერთი ხის ძველი საცხოვრებელი სახლი, რომელიც შესდგება ოთხი ოთახისაგან. აქედან ერთი სამზარეულო ოთახია, ხოლო დანარჩენ ოთახებში ჩვენ ცხოვრობთ. ჩემი უფროსი ვაჟი ფერათი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტია. მეორე ვაჟი რიზა არის 1934 წლიდან საქთევზის არტელის წევრი. ჩემი მაზლიშვილი ფადიმე 1930 წლიდან მუშაობს არტელ-გაერთიანების სამკერვალოში და ცხოვრობს ჩემს ოჯახში. ქალიშვილი გული მსახურობს ქობულეთის სოფლის კოოპერატივში მოლარედ. ხოლო ბავშვები არიან მოწაფეები. 1937 წლის აგვისტოს რიცხვში, როგორც ხალხის მტრები დაპატიმრებული იქნა ჩემი გერები ოსმან და ახმედ მოწყობილები, რომლებიც ცხოვრობდნენ ქ. ბათუმში და ჩემს ოჯახთან ქონდათ გაწყვეტილი კავშირი და არ ითვლებოდნენ ჩვენი ოჯახის შემადგენლობის კომლთა დავთრებში... მათ ჩამოერთვათ ბინა ქალაქ ბათუმში, როგორც ხალხის მტრებს, ამის ნიადაგზე ქობულეთის რაიაღმასკომმა მეც ჩამომართვა ორი ოთახი და რვა სული უნდა მოგვათავსოს ერთ ოთახში, რაც ჩემთვის იქნება აუტანელი და ის გამოიწვევს ჩვენს ფიზიკურ მოსპობას. აღნიშნულ მდგომარეობას ქობულეთის რაიაღმასკომი ანგარიშს არ უწევს და მოითხოვს ოთახების სასწრაფოდ განთავისუფლებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გვიპატრონოთ (და გადაარჩინოთ) ჩვენი ოჯახი ფიზიკური განადგურებისაგან.

ჩემი მისამართია – ქ. ქობულეთი, გორკის ქ. №46, მოქალაქე აიშე ხასანის ასული მოწყობილი. 10 აპრილი, 1938 წელი.“

ორთვენახევრის შემდეგ აიშე მოწყობილმა ასეთი პასუხი მიიღო:

„...ამონაწერი ქობულეთის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან №24, 29 ივნისი, 1938წელი.

**მოსმინეს:** მოქ. აიშე მოწყობილის განცხადება მასზე შევიწროებულ ბინაში დაბრუნების შესახებ.

**დაადგინეს:** როგორც კომისიის გამორკვევიდან დადასტურდა, უკვე მხილებულ ამჟამად დაპატიმრებული ხალხის მტერი ოსმან მოწყობილი წასული იყო ოჯახიდან 1922 წლიდან და ის არ ირიცხება ადგილზე კომლთა სიაში. ხოლო მეორე ძმა ახმედ მოწყობილი, როგორც მხილებული ხალხის მტერი, ამჟამად დაპატიმრებულია, რომელიც ითვლება ამ ოჯახის წევრად, ამიტომ რაიადმასკომის პრეზიდენტის 1938 წლის 5 აპრილის დადგენილებით მასზედ შევიწროებული სახლის ჩამორთმეული ორი ოთახიდან მოქალაქე აიშე მოწყობილს დაუბრუნდეს ერთი ოთახი, მეორე ოთახი კი შევიწროების სახით ჩამოერთვას და დარჩეს რაიადმასკომის მიერ კომუნალური განყოფილების განკარგულებაში.“

კითხულობთ უმწეოდ დარჩენილი ოჯახის მიმართ ადამიანთა გულცივობის შემზარავ სტრიქონებს და ძალაუნებურად გახსენდებათ ფრაზა თენგიზ აბულაძის ფილმიდან „მონანიება“: „დოქსოპულო, შენ დედა არ გყავს?“ დიას, მაშინდელ დოქსოპულოებს, საჯაიას და ქობულეთის რაიადმასკომის მესვეურებს შესაძლოა ფიზიკურად ჰყავდათ დედები, მაგრამ თვითონ დედის აღზრდილებს კი არა, კაციჭამიების აღზრდილებს გვანან.<sup>81</sup>

\* \* \*

**ზექერია ლორთქიფანიძის** მეუღლე **ესმა დავითაძე** დახვრეტას გადაურჩა, მაგრამ ქალთა შორის ასე ხანგრძლივი გადასახლება, როგორც ესმას, არავის გამოუცდია. ესმა მეუღლის დახვრეტისთანავე დააპატიმრეს და როგორც სმოწ-ს, 10 წელი მიუსაჯეს. ამ დროს ორი მცირეწლოვანი შვილი: ქემადი (დ. 1926 წ.) და დურსუნი (დ. 1928წ.) მეოთხე და მეორე კლასის მოსწავლეები იყვნენ. (ესმა მესამე შვილზე ორსულად იყო. თბილისის ციხეში მეუღლის დახვრეტის ამბის გაგებისთანავე გონება დაკარგა, სკამიდან გადმოვარდა და მუცელი მოეშალა).

ბავშვები სკოლიდან გარიცხეს, ბინა დაღუქეს და საოჯახო ნივთები ჩამოართვეს. ისინი ღია ცის ქვეშ დარჩნენ. ჩეკისტების შიშით ბავშვების პატრონობა ახლო ნათესავებმაც კი ვეღარ გაბედეს. ბოლოს მათი პატრონობა ზექერიას დამ, დახვრეტილი სულეიმან ბეუანიძის დედამ, ესხანმა გაბედა.<sup>82</sup>

1938 წლის აგვისტოში ამ მამაცმა ქალმა აჭარის სახკომს-აბჭოს განცხადებით მიმართა, რათა ბავშვებისთვის დაებრუნებინათ ბინა და პირადი ნივთები. სახკომსაბჭოდან განცხადება გადაეგზავნა აჭარის პროკურატურას, საიდანაც ასე უპასუხეს: „... ერთი ოთახი მიეცა ქემალ და დურსუნ ლორთქიფანიძეებს, მამის დაპატიმრების შემდეგ, მაგრამ მათ ასეთი გადასცენ მესამე პირს, ვინაიდან ისინი არასრულწლოვანები არიან, დამოუკიდებლად ცხოვრება არ შეუძლიათ. ლორთქიფანიძეები აღსაზრდელად ჩაბარდა ხულოს რაიონის, უჩამბის სასოფლო საბჭოს სოფელ მოფრინეთში ახლო ნათესავს, ხოლო ოთხი ოთახი გადავიდა ქალაქის საბჭოს სარგებლობაში. რაც შეეხება ნივთების დაბრუნებას, ამ საკითხზე მიეწერა შინსახკომს და კანონის ფარგლებში დაკმაყოფილებული იქნება.

აჭარის ასსრ პროკურორის მოადგილე...“<sup>83</sup>



ესმა დავითაძე-  
ლორთქიფანიძისა

შვილებს დანატრებულმა ესმამ 10 წელი უკიდურეს ჩრდილოეთში და შორეულ აღმოსავლეთში გაატარა. ეს ნაზი და უმშვენიერესი ქალბატონი ციმბირის უკაცრიელ ტაიგებში ხე-ტყის დამზადებაზე მუშაობდა. სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნებული ესმა 1948 წ. კვლავ დააპატიმრეს და სამუდამოდ გადაასახლეს. მოტივი ასეთი იყო: ხელისუფლებაზე განაწყენებული ხარტ და ვერ გენდობითო. სახლიდან გასვლისას ესმას უთქვამს:

ამოდენა საბჭოთა ქვეყნისთვის ნუთუ ასეთი საშიში ვარო. 7 წელი გაატარა ესმამ ციმბირში, 1954 წელს დაბრუნდა და მიიღო სრული რეაბილიტაცია. ბედკრული ქალი უფროსი ვაჟის, ქემალის გარდაცვალებასაც (1976 წ.) მოესწრო, თავად 1978 წლის მაისში აღესრულა, ხოლო დურსუნმა, დედის შემდეგ მხოლოდ ორიოდე თვე იცოცხლა და უფროსი ძმის მსგავსად 51 წლის ასაკში გამოეთხოვა წუთისოფელს.<sup>84</sup>

\* \* \*

1937 წლის 15 დეკემბერს დააპატიმრეს აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ოსმან ხუსეინის ძე თავდგირიძის მეუღლე **ზერა სულეიმანის ასული თავდგირიძე**. იგი 1887 წელს დაიბადა ს. ურესში. აჭარის ასსრ შინსახკომის 1938 წლის 3 იანვრის დადგენილების თანახმად მას წაუყენეს ბრალდება სსკ 58-12 მუხლით, რაც ითვალისწინებს დანაშაულის განუცხადებლობას. საარქივო დოკუმენტში არაა მითითებული სასჯელის ზომა, ჩვენ არ ვიცით აგრეთვე **ზერა თავდგირიძის** შემდგომი ბედი.<sup>85</sup> (იხ. გვ. 313).

\* \* \*

„ხალხის მტრის“ შვილების საძრახის სახელს ატარებდნენ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები: **ქაზიმ შერვაშიძე, კიკა წულუკიძე, ასლან გვარიშვილი, იბრაიმ ბიბინეიშვილი, როსტომ ქიქავა** და სხვ. ისინი 1937 წლამდე ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებელში, თორემ შემდეგში მათთვის დაიკეტებოდა ყველა ოფიციალური კარი.

რეპრესირებულთა შვილებს სასწავლებლიდან რიცხავდნენ. ჩვენს მიერ ჩამოთვლილი სტუდენტები ამას თითქოს გადაურჩნენ, მაგრამ ხუთთაგან მხოლოდ ორმა შეძლო ინსტიტუტის დამთავრება, დანარჩენი სამი ჭაბუკობაშივე აღესრულნენ. ერთ-ერთი მათგანი ქედელი **შირინ ბეგ შერვაშიძის ვაჟი ქაზიმი**,



1906 წელს დაიბადა და ოჯახში ისეთი დონის განათლება მიიღო, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ქედის სკოლაში უცხო ენებს ასწავლიდა.




თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები აჭარიდან. პირველ რიგში მე-4 მემედ ჩიჯავაძე; მეორე რიგში მეორე ხესბი დიასამიძე, მესუთე – ხასან ვერაძე; მესამე რიგში მეორე ქაზიმ შირინისძე შერვაშიძე, მესამე ისმაილ დიასამიძე. 1939 წ.

1936 წელს უკვე დავაჟკაცებული ქაზიმი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, ერთი წლის შემდეგ დაწვებული გაუგონარი რეპრესიები, შერვაშიძეთა მრავალი თანამოგვარის დახვერება და ოჯახების გადასახლება მას არ შეეხო, თუმცა ქაზიმის ცხოვრება იმდენად დამძიმდა, რომ მას თავის რჩენის არვითარი სახსარი აღარ გააჩნდა, დაავადდა და მესამე კურსის სტუდენტი 1939 წელს გარდაიცვალა.

ქაზიმის ბედი გაიზიარა მაჭახლისპირელი მემედ ხუსეინისძე წულუკიძის ვაჟმა კიკა წულუკიძემ. მისი მამა 1880 წელს დაბადებული მემედი, 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს. კიკა ამ დროს


სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი იყო. ქაზიმ შერვაშიძისგან განსხვავებით კიკა დააპატიმრეს და ტაშკენტში გადაასახლეს, საიდანაც უკან აღარ დაბრუნებულა; როგორც ჩანს, უპატრონოდ დარჩენილი 18 წლის ჭაბუკი მალე დაავადდა და ისე გარდაიცვალა, რომ ამის შესახებ ოჯახს არაფერი გააგებინეს და დღესაც არავინ იცის მისი საფლავის ადგილი.<sup>86</sup>

გადასახლებას გადაურჩა **მემედ და ფიქრე გვარიშვილების** ვაჟი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი **ასლანი**, მაგრამ უღუკმაპუროდ დარჩენილ 19 წლის ბიჭს იმ დროს ახალგაზრდობაში გაგრძელებული სენი ფილტვის ტუბერკულოზი შეეყარა და ისიც 1939 წელს გარდაიცვალა.<sup>87</sup>



ასლან გვარიშვილი

1938 წელს დააპატიმრეს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი **როსტომ სულეიმანის ძე ქიქავა** (1919-1998). მას ბრალად წაუყენეს ბათუმის №1 სკოლაში სწავლის დროს ლიტერატურულ წრეში მონაწილეობა კონა გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით. რ. ქიქავას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და ციმბირში გადაასახლეს, 10 დღე სიკვდილმისჯილთა საკანში გაატარა. შვილის დაპატიმრების ცნობის მიღებისთანავე მამამ სულეიმანმა თავი ჩამოიხრჩო, სხვა ოჯახის წევრები კი დააპატიმრეს.



როსტომ სულეიმანის ძე ქიქავა

1946 წელს რ. ქიქავა დაბრუნდა და სწავლა ოდესის სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო. 1950 წელს ბა-

თუმში დაბრუნდა, მაგრამ აქ ცხოვრების უფლება არ ჰქონდა, მას ყაზახეთის ქალაქ გურიევში მიუწინეს სამუშაო ადგილი.

1951 წელს, რეაბილიტაციის მიღების შემდეგ, რ. ქიქავა ბათუმშია, სათავეში ჩაუდგა ონკოლოგიურ დისპანსერს და გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ამ დაწესებულებას.

\* \* \*

წარჩინებული გვარების მატარებელი ოჯახების რეპრესიები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო. მათი უძრავ-მოძრავი ქონება, მაშინდელი ტერმინი, რომ ვისმართ „გაეროვნულებას,“ ე.ი. ნაციონალიზაციას დაექვემდებარა. პრაქტიკულად ეს იყო კონფისკაცია და არა რეკვიზიცია. რადგანაც არავისთვის რაიმე კომპენსაცია არ გადაუხდიათ; თვით ეს პროცესი იყო არა ნებაყოფლობითი, არამედ მუქარისა და შანტაჟის შემცველი.



სოფელ ყოროლისთავის მასწავლებლები ცოლ-ქმარი თამარ თალაკვაძე და იბრაიმ ბიბინეიშვილი. 1929 წ.

ქონება ჩამოართვეს ერგეს მცხოვრებ დიდგვაროვნებს ბიბინეიშვილებსაც. ეს პროცესი შთამაგონებლად აისახა ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენლის, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტის, **იბრაიმ ბიბინეიშვილის** განცხადებაში, რომელიც მან ბათუმის რაიკომის მდივანს და რაიადმასკომის თავმჯდომარეს გაუგზავნა. შემოკლებით ვთავაზობთ მკითხველს ამ წერილის ძირითად შინაარსს, რომელშიც ნათლად გამოსჭვივის ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობის მიმართ გამოჩენილი ძალადობა და არაადა-



მიანური მოპყრობა; განცხადებაში ნათქვამია: „1931 წლიდან მე და ჩემი ოჯახობა ვსწავლობთ უმაღლეს სასწავლებელში. სოფელ ერგეში გვაქვს ერთი სახლი, სადაც ერთი ოთახი ჩემი ძმისაა, ერთი დის, ერთი კი დედას და მამას ეკუთვნოდა, დანარჩენი სამი ოთახი და ერთი ტალანი უკავია სკოლას. ჩემი წილი სახნაგ-სათესი მიწა გადავეცი კოლმეურნეობას... გარდამეცვალა დედა, რომელიც უვლიდა ჩემს ავადმყოფოს მამას და დას. მამაჩემი 58 წლისაა, ჭლექით დაავადებული ინვალიდი. ავადაა ჩემი დაც. მათ აღარაგინ ყავთ მომვლელი და დამპურებელი. კახაბრის თემსაბჭომ ამ ოჯახს შეაწერა სამეურნეო გადასახადი 30 მანეთი და თვითდაბეგვრა – 50 მანეთი, გარდა ამისა, სკოლისთვის ართმევენ დამატებით ერთ ოთახს, რაც უკანონობად მიმანია... მოვითხოვ ოჯახს მოუხსნათ გადასახადები, ხოლო ჩვენი შენობა შეისყიდოთ სკოლისთვის, ან მომცეთ უფლება იგი მე თვითონ გაყვიდო, რათა ჩემს ავად-



იბრაიმ ბიბინეიშივილი ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე (ღია ფარაჯაში) მამასთან (გვერდით) და ია ეკალაძესთან ერთად (ზის მარჯვნიდან პირველი)

მყოფ მამას და დას ვუმკურნალო, ვიხსნა ისინი უმწეო მდგომარეობისგან და შევინარჩუნო ჩემი ცოლ-შვილი.“

განცხადებას თან ერთვის ოჯახის წევრთა ავადმყოფობის ცნობები, შენობისა და მიწის ნაკვეთის ნახაზები და სხვა საბუთები (დოკუმენტების ასლი გადმომცა ბატონმა ივერი ბიბინეიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ, რ.ს.).

განცხადება, რათქმა უნდა არ დააკმაყოფილეს, რაც იმ დროინდელი ხელისუფლებისთვის დამახასიათებელ უსუღგულობას გამოხატავდა.

\* \* \*

სიკვდილმისჯილთა ოჯახის წევრის მძიმე ხვედრი ხვდა წილად ცნობილი იურისტის და საზოგადო მოღვაწის **რეჯებ ნიჟარაძის შვილს რაშიდს**. თუმცა სანამ მის შესახებ მოგითხრობდეთ, მკითხველს მივაწვდით თვით იმ საბუთების ჩამონათვალს, რომლებიც ნიჟარაძეთა გვარზე შექმნილი მონოგრაფიის ავტორმა **გიორგი მისირელმა** მოიძია და საბუთების ეს ნუსხა მიმანჩნია ტიპურ კრებულად, რომელიც ყველა სიკვდილმისჯილზე ივსებოდა და ერთ დროს ინახებოდა სახელმწიფო უშიშროების არქივში:

1. რეჯებ-ბეგ ნიჟარაძის პირადი საკუთრების ჩამონათვალი: სამოთახიანი სახლი სოფელ ალაშბარში, 250 ძირი ციტრუსი, სამოთახიანი ბინა ქ.ბათუმში;
2. დაკითხვის ოქმი; წაყენებულ ბრალდებათა ჩამონათვალი;
4. სამეულის გადაწყვეტილება, რომელსაც ხელს აწერს მისი თავმჯდომარე ბღაჟბა.
5. ცნობა განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ.

ბატონი გიორგი არ დაკმაყოფილდა ამ საბუთების მშრალი ჩამონათვალით და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან მიიღო 2002 წლის 25 ივლისით დათარიღებული ცნობა, რომელშიც ვკითხულობთ: „*მოქალაქე რეჯებ დედიანის ძე ნიჟარაძე, დაბ. 1873 წელს, მცხოვრები ქ.ბათუმში,*

საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 22 ნოემბრის დადგენილებით ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ 58-2 და 58-11 მუხლებით და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წლის 7 დეკემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1956 წლის 16 ივნისის განჩინებით სისხლის სამართლის საქმე მოქალაქე რეჯებ ნიჯარაძის მიმართ წარმოებით შეწყდა მის ქმედებაში დანაშაულის შემაღვენლობის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებულია.

სისხლის სამართლის საქმე მოქ.რ.დ.ნიჯარაძის მიმართ განადგურდა ყოფილი სუკ-ის ადმინისტრაციის შენობაში გაჩენილი ხანძრის შედეგად 1991-1992 წლებში ცნობილი მოვლენების დროს.

მონაცემები მოქ. რ. დ. ნიჯარაძის შესახებ აღებულია შსს ინფორმაციის სამმართველოდან.



რეჯებ დედიალის ძე ნიჯარაძე

პატივისცემით,

განყოფილების უფროსი ი.ზურაბიშვილი.“

სად აღასრულა მაშინდელმა თემიდან სასიკვდილო განაჩენი? როგორც ირკვევა, ბათუმის მახლობელ სოფელ სალიბაურში. ამის შესახებ გ.მისირელის წიგნში ვკითხულობთ: „... განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნა ბათუმის ახლოს. სალიბაურში დაუხვრეტიათ უღვთოდ ნაწამები მამულიშვილი. ამ ტრაგედიის შემთხვევის მოწმეს, ექიმს, ეროვნებით ებრაელს, ლისოვსკის\* მოგვიანებით საიდუმლოდ გაუმხელდია რეჯებ-ბეგის ოჯახის წევრებისთვის: „იატაკზე იწვა პირქვე ჩამხობილი... ხელებით ვიცანი, იმ დიდი ხელებით, რომლებითაც ბევრჯერ მოუცია ჩემთვის გაჭირვების ჟამს ფული“.

რეჯებ ნიჟარაძე სტუდენტობის დროს ოდესაში დაოჯახდა. პირველი ქორწინებით შეერთო ლუთერანული აღმსარებლობის ქალი ეკატერინა აფანასიევა, დაბ. 1875 წელს, ჰყავდა ქალვაჟი: რაშიდი და სოფია, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში დედამ საზღვარგარეთ წაიყვანა.

სოფიამ, დაბ. 1908 წ. განათლება საფრანგეთში მიიღო, დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი, გატაცებული ყოფილა საბალეტო ხელოვნებით. იგი ოცდაათიან წლებში პარიზში უცრად დიფტერიით გარდაიცვალა. დედა ამ დროს ციურისში ვაჟთან იმყოფებოდა.

1926 წელს **რეჯების ვაჟმა რაშიდმა** (დაბ. 1909 წელს), რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, მოითხოვა სამშობლოში დაბრუნება. ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების (ლ.ბერია, შ.ელიავა და სხვა) მიწერ-მოწერის შემდეგ, მას ნება დართეს ჩამოსულიყო ბათუმში. აქ იგი დიდი ენთუზიაზმით ჩაება შრომის ფერხულში, მაგრამ დიდხანს არ დასცალდა. 1937

\* ექიმი ი. ლისოვი ცხოვრობდა ბათუმში ლენინის (გამსახურდიას) ქუჩაზე №34 სახლში. საქმიანობდა პროფკავშირებისა და სახ. დაზღვევის სისტემებში. ირკვევა, რომ იგი, როგორც ექიმი-ექსპერტი, 1937-1938 წლებში მონაწილეობდა დახვრეტილთა სიკვდილის ფაქტის დადგენაში.

წელს რაშიდ ნიჟარაძე დააპატიმრეს და ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიუსაჯეს.

რაშიდის დაპატიმრების საბაზი, მისი ნახევარდის, თინათინ ნიჟარაძის თქმით, გახდა წერილი, რომელიც მას გერმანიიდან მეგობარმა გამოუგზავნა: მართალია, ზავი დაიდო, მაგრამ იმედი არ მაქვს და ალბათ ომი მაინც დაიწყებო, წერდა თურმე მეგობარი. რაშიდმა წერილი ტუალეტში ჩააგდო, მაგრამ ჩეკისტებმა იქაც მიაგნეს და დააპატიმრეს: „რუსთავის კოლონიაში იხდიდა სასჯელს, თუმცა საუკეთესო პროფესიონალმა კოლონიაში კონიაკის, საპნის, ასანთის საამქრო გახსნა და იქედან გვეხმარებოდა ჩვენ. ასე გაგვქონდა თავი. სამწუხაროდ ისე გარდაიცვალა, რომ საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია.“<sup>88</sup>



**რაშიდ რეჯების ძე  
ნიჟარაძე**

პატიმრობიდან დაბრუნებისა და მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენის შემდეგ რაშიდი მუშაობდა ბათუმის ქიმიური ქარხნის დირექტორად და ბუენარის წვენების ქარხნის ტექნოლოგად. ჰქონდა რამდენიმე გამოგონება. გარდაიცვალა 1998 წელს 89 წლის ასაკში. მისი ქალიშვილები გულნარა და სოფიო დღესაც ბათუმში ცხოვრობენ.<sup>89</sup>

რეჯებ ნიჟარაძემ 1924 წელს მეორედ იქორწინა ქობულეთელ **აიშე ხუსეინის ასულ ბეჟანიძეზე** (1903 -1987), რომელთანაც შეეძინა ვაჟი სელიმი (1926-1993), ქალიშვილები მელექი (1925-1986), 1936 წელს თინათინი (გვრიტუნა). „ხალხის მტრის“ შვილები იზიარებდნენ სიკვდილით უსამართლოდ დასჯილთა მძიმე ცხოვრებას, მაგრამ საბუნდნიეროდ აიშე ბეჟანიძე –ნიჟარაძის ოჯახს რეპრესიები აღარ განუცდია.



**აიშე ბეჟანიძე-  
ნიჟარაძისა**

რეჯებ ნიჟარაძის ოჯახზე დატეხილ უბედურების დეტალებზე ჟურნალისტ ლელა დუმბაძეს ასე მოუთხრო მისმა ქალიშვილმა თინათინმა:

„როგორც შემდგომში გავიგე, ერთი წლის ვიყავი, როცა მამაჩემი სამი კაცის ხელწერით დააპატიმრეს და დახვრიტეს. დედაჩემს სამი მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა. არ ვიცი, როგორ გადავურჩით გადასახლებას... მამის დახვრეტის შემდეგ ჩვენს ქონებას კონფისკაცია გაუკეთეს. წავგართვეს კერძო სახლი კიროვის ქუჩაზე და ყველა ნივთი, რაც გავვაჩნდა...

ოვალური, სადაფებით გაწვობილი მაგიდა მუზეუმს გადავეცით... მამაჩემის გამართლების შემდეგ ვცდილობდით დაგვებრუნებინა ძვირფასი წიგნები, თუმცა კვალს ვერ მივაგავნით“.

ოჯახი ყოველმხრივ შეავიწროეს, არ მისცეს სურსათის ტალღონები, სოფელში ჩამოართვეს მიწის ფართობი, ნათესავებიც გაემიჯნენ, თინათინს სკოლაში მამის სახელის ხსენებაც აუკრძალეს, გაკვეთილს არ ეკითხებოდნენ და ხელის აწევაც კი ეკრძალებოდა.

\* \* \*

**ისმაილ ავალიანის მეუღლე ფადიმე** სანიმუშო დედობას უწევდა მამით ობლად დარჩენილ შვილებს. იგი შესანიშნავი მთხრობელი და მთქმელიც იყო. ამ სტრიქონების ავტორს არაერთხელ მქონდა პატივი შევხვედროდი ღრმად მოხუცებულ ქალბატონს. 1987 წელს მასზე დოკუმენტური ფილმიც გადავიღე, ერთი წლის შემდეგ კი ჩავიწერე მეუღლის დაპატიმრებასთან დაკავშირებული მოვლენები:



„ნოდარი 11 თვის მყავდა, 1937 წლის სექტემბრის ერთ საღამოს ისმაილი სახლში გვიან მოვიდა. ბიჭი ფეხს ახლად იდგამდა. მამამ იგი გაადვიბა და ხელში აიყვანა. შემდეგ ფეხზე დააყენა და ხელი გაუშვა. უხაროდა, რომ ბავშვი ჯერ იდგა, ხოლო შემდეგ ცდილობდა მამისაკენ წასულიყო. ეს სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. კარებზე კაკუნი გაისმა. ისმაილმა ბავშვს თვალი მოაშორა. იგი წაიქცა და ტირილი მორთო. კაკუნი განმეორდა. სახლში ერთხანს ყველა გავჩუმდით. შემდეგ მე მითხრა, კართან მივსულიყავი და მკეითხა ვინ გვესტუმრა. ასეც მოვიქეცი.“

– თქვენი მეუღლის მეგობარი იონა ონიანი ვარო – გაისმა გარედან. იონა იყო ახალგაზრდა სპეციალისტი – ზოოტექნიკოსი, რომელიც სამუშაოდ ცხმორისის თემში გამოგზავნეს, ისმაილს კი მასთან მართლაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა.



ფადიმე ალის ასული ავალიანი  
(1894-1993)

მეგობრის სახელ-გვარის გაგონებაზე ისმაილი ერთხანს დრმად ჩაფიქრდა, შემდეგ მითხრა შემობრძანდესო. კარის გაღება და რამდენიმე ფორმიანი კაცის შემოვარდნა ერთი იყო. მათ ყოველგვარი დაკითხვისა და ორდერის წარდგენის გარეშე მეუღლეს ხელბორკილი დაადეს და წაიყვანეს ისე, რომ სიტყვის თქმაც კი არ აცალეს.

1956 წელს ავალიანთა ოჯახებმა გავიგეთ, რომ გაზეთებში გამოქვეყნებულა მთავრობის დადგენილება 1937 წელს დაპატიმრებულთა რეაბლიტაციის შესახებ. ამ დროს გვესტუმრა ციმბირიდან 18 წლის გადასახლების შემდეგ დაბრუნებული ჩემი ძმობილი და ბიძაშვილი დურსუნ-ბეგ სურმანიძე, რომელმაც გვირჩია გაგვეგო მეუღლისა და სიძის ბედი. ეს საქმე ჩემმა ბიჭმა ნოდარიმ იკისრა, რომელიც მაშინ 19 წლისა იყო და მახუნცეთში პიონერხელმძღვანელად მუშაობდა. უფროსი შვილები პარტიის წევრები იყვნენ და ნოდარის დაუშადეს, მათ კიდევ არ სჯეროდათ, რომ ეს დადგენილება მართლაც შევიდოდა ძალაში. დურსუნ-ბეგის რჩევით გათამამებულმა, ბიჭს ვუთხარი შეკითხვა გაეგზავნა ხრუშჩოვის სახელზე. რუსულ ენაზე განცხადება დაგვიწერა დანდალოს სკოლის რუსული ენის მასწავლებელმა ელენე დანელიანმა.

ამის შემდეგ გავიდა ორი თვე და სოფელში სტუმრად ამოსულმა ქედის უშიშროების თანამშრომელმა ჩემი შვილი ნოდარი დაჰკითხა, გაამეორებინა გაგზავნილი განცხადების შინაარსი, რის შემდეგ უპასუხა, რომ 1937 წელს დაპატიმრებული მამუდ-ბეგ ავალიანი 1938 წელს ტაშკენტის ციხეში გარდაიცვალაო. ერთი თვის შემდეგ ბიჭი ქედაში გამოიძახეს და განუცხადეს, რომ 1937 წელს დაპატიმრებული ისმაილ-ბეგ ავალიანი 1944 წელს ციმბირში გარდაიცვალაო.“

ოჯახში დიდხანს სჯეროდათ, რომ ყველაფერი სწორი იყო. უადიმე ავალიანიც ისე გარდაიცვალა (1993 წელს, 99 წლის



ასაკში), რომ მეუღლისა და სიძის თაობაზე მიღებული ყალბი ამბავი მიწაში ჩაიტანა.

ყველაფერს ნათელი მოეხილა 2002 წელს, როცა გამოვიდა კანონი რეპრესირებული ოჯახის წევრებისთვის პენსიების დანიშვნის შესახებ. სახელმწიფო უშიშროების არქივი ამ დროს გახსნილი იყო და ისმაილ ავალიანის ოჯახშიც მოვიდა ზუსტი ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

„ავალიანი ისმაილ-ბეგ სეფერ-ბეგის ძე დაპატიმრებული იქნა 1937 წლის 14 სექტემბერს, იმავე წლის 15 ოქტომბერს მისი საქმე განიხილა შინსახკომთან არსებულმა სამეულმა, შეუფარდა სსკ 58-10 მუხლი და გამოუტანა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვერტა, რომელიც 1937 წლის 25 ოქტომბერს სისრულეში მოიყვანეს ქ. ბათუმში.“

\* \* \*

საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგია ემყარებოდა სოციალური თანასწორობის ველურ პრინციპს, უარყოფდა კერძო საკუთრებას, როგორც საკუთრების ფორმას, უგულვებელყოფდა მთელს ცივილიზებულ სამყაროში მიღებულ ნორმებს. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა კერძო საკუთრებას, მოხდა მესაკუთრეთა უძრავ-მოძრავი ქონების ნაციონალიზაცია მუნიციპალიზაცია, რის გამო დაზარადა არამარტო ახალფეხადგმული ბურჟუაზია, არამედ თავადაზნაურობა და გლეხობა.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ხელისუფლებამ აღიარა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ვარიანტი. მოსახლეობა ფიქრობდა, რომ ქვეყანაში შეიქმნებოდა სათანადო პირობები რეპრესირებულ კერძო მესა-

კუთრეთა უფლებების შესწავლისა და გადაწყვეტისთვის ისევე, როგორც აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიის პროკომუნისტურ ქვეყნებში მოხდა.

სამწუხაროდ, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ თავისი მოდერნიზაცია ბინების პრივატიზაციად წოდებული ბინების გასაჩუქრებით დაიწყო და გააჩუქა არამარტო სახელმწიფოს კუთვნილი ბინები, არამედ ის სახლებიც, რომლებიც ერთ დროს საქართველოს მოქალაქეთა კერძო საკუთრების წარმოადგენდა. ეს აქტი იმთავითვე შეფასდა, როგორც ბოლშევიკური ნოციონალიზაციის და მუნიციპალიზაციის მემკვიდრე, ხოლო რეალურად იგი თაობათა მიმართ ჩადენილი დანაშაული და ადრინდელი რეპრესიების გაგრძელება იყო.

საქართველოს რეპრესირებულთა კავშირმა ეს პრობლემა სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონეზე წამოჭრა, 1992 წლის სექტემბერში მიმართა საქართველოს პრეზიდენტსაც, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია და ადამიანთა იმავე წრემ განაახლა გაუთავებელი სასამართლო გარჩევები. რომლის ხარჯების მთელი სიმძიმე მას აწვა ოცდაათიანი წლებიდან.

ოც წელზე მეტი გავიდა მას შედეგ და საკუთრების (მიწა, შენობები, ბინები) მფლობელთა ერთი ნაწილი კვლავ უფლებაშელახულია, რადგანაც დღემდე ვერ შეძლო მამაპაპის ქონების დაბრუნება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით დაზარალდა სოფლის გლეხობა, რომელსაც ყოველი ახლად მოსული ხელისუფლება პირდება მამა-პაპისეული მიწების დაბრუნებას, მაგრამ ეს პროცესი სანახევროდაც არ განხორციელებულა.

**რეპრეზირებული (დახვრებილი, დაკატიმრებული და  
გადასახლებული) ქალები საბჭოურ პერიოდში.\***

1. **აბუსელიძე გულიზარ ომარის ას.** – დაბ. 1916 წ. ს. ლაკლაკეთში (ხულოს რაიონი), კოლმეურნე. სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (შინსახკომი) განსაკუთრებული სათათბიროს 28. 04. 43 წ. დადგენილებით, როგორც სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრს (სმოწ-ҶСИР) მიესაჯა გადასახლება 5 წლით;
2. **აბუსელიძე ესმირ აღის ას.** – დაბ. 1887 წ. ს. ლაკლაკეთში (ხულოს რაიონი), კოლმეურნე. სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს 28. 04. 43 წ. დადგენილებით, როგორც სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრს, მიესაჯა გადასახლება 5 წლით;
3. **აბუსელიძე სალიე შაქირის ას.** – დაბ. 1887 წ. ს. ლაკლაკეთში (ხულოს რაიონი), კოლმეურნე. სსრკ განსაკუთრებული სათათბიროს 28. 04. 43 წ. დადგენილებით, როგორც სმოწ-ს მიესაჯა გადასახლება 5 წლით;
4. **აბუსელიძე ფადიმე უზეირის ას.** – დაბ. 1910 წ. სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს 1943 წლის 18 სექტემბრის დადგენილებით, როგორც სმოწ-ს, მიესაჯა 5 წლით გასახლება ოჯახის წევრებთან: **ზაბით ახმედის ძე აბუსელიძესთან** დაბ. 1935 წ. და **რამაზ ახმედის ძე აბუსელიძესთან**, დ. 1937 წ. ერთად ეახახეთის სსრ-ს ჩრდილოეთით, რეაბილიტირებულია;
5. **აბუსელიძე ხენიფე უზეირის ას.** – დაბ. 1887 წ. ს. ლაკლაკეთში (ხულოს რაიონი), კოლმეურნე. სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს 28. 04. 43 წ. დადგენილებით, როგორც სმოწ-ს მიესაჯა გადასახლება 5

---

\* სიაში შეტანილია მხოლოდ აჭარაში გასამართლებული და სასჯელმის-ჯილი ქალები. ეს სია არასრულია.

წლით, ნოვოროსიისკის ოლქში, ოჯახის წევრ სა-  
ლიე შუქრის ასულ აბუსელიძესთან ერთად. 1989 წ.  
რეაბილიტირებულია;

6. **ანასტასიადი სოფიო პლუტარქეს ას.** – დაბ. 1907 წ. ტრაპიზონში, ცხოვრობდა ბათუმში, ქუთაისის, 13-ში, დააპატიმრეს 18. 12. 37 წ. შინსახკომის სსკ განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებით, სსკ 58-6 (ჯაშუშობა) მუხლით მიესაჯა 8 წლით პატიმრობა შრომაგასწორების ბანაკში მოხდით;
7. **აუსტრინა ოლღა მარტინის ას.** – დაბ. 1900 წ. სოხუმში, ექიმი. დააპატიმრეს ბათუმში 15. 10. 41 წ. სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს 1942 წლის 6 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სსრ 58-10 მუხლით (პროპაგანდა ან აგიტაცია ხელისუფლების დასამხობად) მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, შრომაგა-მასწორების ბანაკში მოხდით;
8. **ბატურინა სერაფიმა თევდორეს ას.** – დაბ. 1909 წ. 1937 წელს დახვრიტეს ბათუმში;
9. **ბედია ნინო დიმიტრის ას.** – დაბ. 1908 წელს ბათუმში, ჟურნალისტი, ცხოვრობდა თბილისში, მახარაძის 11-ში. დააპატიმრეს 20.10.37 წ. საქართველოს შინსახკომის „სამეული“-ს 1937 წლის 7 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს სსკ 58-10 მუხლით (პროპაგანდა ან აგიტაცია ხელისუფლების დასამხობად) და 58-11 (საორგანიზაციო მოქმედება ხელისუფლების დასამხობად) მუხლებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა;
10. **ბენდიქსინა კსავერა ნიკოლოზის ას.** – დაბ. 1894 წ. ესპანეთში. ცხოვრობდა ბათუმში, ჯაფარიძის №9-ში. დააპატიმრეს 12. 07. 41 წ. სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს 1942 წლის 25 ივლისის

დადგენილებით საქართველოს სსკ 58-1ა (სამშობლოს დაღატი) მუხლით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა;

11. **ბერძენიშვილი თამარ ფურემის ას.** – დაბ. 1898 წ. ბათუმში, კვების სისტემათა ინსტრუქტორი. დააპატიმრეს 09. 08. 32 წ. საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განსაკუთრებული სათათბიროს 1932 წლის 7 იანვრის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-7 (მრეწველობის ძირის გამოთხრა) მუხლით მიესაჯა 5 წ. თავისუფლების აღკვეთა;
12. **ბიბინიშვილი გულიზარ ისკენდერის ას.** – დაბ. 1917 წ. ბათუმის რაიონი. მბეჭდავი-მემანქანე. დააპატიმრეს 1937 წლის 2 სექტემბერს საქართველოს შინსახკომის სამეულის 1937 წლის 22 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სსკ 58-2 (შეარადებული აჯანყება) და 58-11 (საორგანიზაციო მოქმედება ხელისუფლების დასამხობად) მუხლით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა;
13. **ბოიკოვა-ჟუბერი ზოია ილიას ას.** – დაბ. 1886 წ., როგორც სმოწ-ი, მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, შრომა-გასწორების ბანაკში მოხდით.
14. **ბოლქვაძე ზექიე სულიას ას.** – დაბ. ხულოს რ. სოფ. ქუთაურში. სსრკ თავდაცვის სახ.კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის დადგენილებით 1944 წლის დეკემბერში გასახლებულ იქნა სპეცგასახლებულთა შემადგენლობაში ყირგიზეთის სსრ, ჯამბულის რაიონში;
15. **გასანი მარიამ ივანეს ას.** – დაბ. 1906წ. ოდესაში. ცხოვრობდა ბათუმში, დააპატიმრეს 14. 10. 31 წ. საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის განსაკუთრებული სათათბიროს 1932 წლის 2

სექტემბრის დადგენილებით საქართველოს სსკ 58-6 (ჯაშუშობა), 58-24 (კვალიფიციური პროპაგანდა) და 58-27 (სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა) მუხლებით მიესაჯა 3 წლით გადასახლება;

16. **გენერალნიკოვა ვერა მაქსიმეს ას.** – დაბ. 1913 წ. ფეოლოსიაში, მუშაობდა ბათუმში სასადილოში, დააპატიმრეს 11. 03. 38 წ. საქართველოს შინსახკომის სამეულის 1938 წლის 14 მარტის სხდომის დადგენილებით საქართველოს სსკ 58-6 (ჯაშუშობა) მუხლით მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, შრომაგასწორების ბანაკში მოხდით;

17. **გვარიშვილი ფადიმე ხასანის ას.** – დაბ. 1904 წ. დააპატიმრეს 1937 წლის 23 ნოემბერს და სსრკ შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული თათბირის გადაწყვეტილებით მას, როგორც სმოწ-ს, 1937 წელს დახვრეტილი სეიდ გვარიშვილის მეუღლეს, მიესაჯა 8 წლით პატიმრობა. 1945 წლის 23 ნოემბერს, პატიმრობის მოხდის შემდეგ,



**სეიდ და ფადიმე  
გვარიშვილები**

გადაასახლეს ყაზახეთში, ყარაგანდის ოლქის ს. დოლინსკოეში შრომა-გასწორების ბანაკში, საიდანაც 1946 წელს დაბრუნდა. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალის 1956 წლის 31 ივლისის დადგენილებით რეაბილიტირებულია; სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1957 წლის 14 დეკემბრის გააუქმა თავისივე 1937 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება და სრულიად უდანაშაულო სეიდ გვარიშვილი სიკვდილის შემდეგ აღადგინა თავის უფლებებში.

18. **გოგიბერიძე გოგოლა ბარნაბის ას.** – დაბ. 1908 წელს ჩოხატაურის რ-ნი სოფ.ერკეთში, აჭარის ასსრ შინსახკომის 1938 წ.23 მაისის დადგენილებით სსკ 58-12მუხლის საფუძველზე (დანაშაულის განუცხადებლობა) მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1956 წლის 31 აგვისტოს ამირკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალის განჩინებით მის მიმართ საქმე წარმოებით შეწყდა და რეაბილიტირებულია. (იგი 1937 წელს ბათუმში დახვრეტილი ვლადიმერ გოგიბერიძის მეუღლე უნდა იყოს);
19. **გოგიტიძე ფერიდე ჯემალის ას.** – დაბ. 1917 წელს ქობულეთის რ-ნში, გაუთხოვარი, კოლმეურნე. საარჩევნო ყუთში აპირებდა პროკლამაციის ჩაგდებას, რომელშიც ეწერა, რომ „ხალხს მძიმე უღელი ადგას, კოლმეურნეები გაჭირვებას განიცდიან, მოშავალში კოლმეურნეობები დაიშლებიან.“ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1938 წლის 29 ივლისის განაჩენით სსკ 58-10 მუხლით (პროპაგანდას ან აგიტაცია ხელისუფლების დასამხობად) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;
20. **გოგუაძე რაისა იზოტის (?) ას.** – დაბ. 1895 წელს ბათუმში. დააპატიმრეს 29. 10. 29 წელს. საქართველოს სსრ მთავრობის პოლიტიკური სამმართველოს სასამართლო სხდომის 1932 წლის 20 ივნისის დადგენილებით საქართველოს სსკ 34-ე მუხლით მიესაჯა 2 წელი შრომაგასწორების ბანაკში მოხდით;
21. **გორგაძე ფერნაზ ახმედის ას.** – დაბ. 1910 წელს თურქეთში სოფ ხველეში (?). სსრკ შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1945 წლის 9 ივნისის დადგენილებით სმოწ-ის ბრალდების საფუძველზე მას მიესაჯა 5 წლით გადასახლება ოჯახის

წევრებთან **დურსუნ ასლანის ძე გორგაძესთან**, დაბ. 1938 წ. და **ისმინაზ ასლანის ასულ გორგაძესთან**, დაბ. 1943 წ. ერთად ყაზახეთის სსრ ჯამბულის ოლქში. 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულებით რეაბილიტირებულია;

22. **გორციცელი ნინა გრიგოლის ას.** – დაბ. 1901 წელს ბათუმში, ბალეტის მოცეკვავე, დააპატიმრეს 21. 07. 31 წ. საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის განსაკუთრებული სათათბიროს და ადმინისტრაციულ გასახლებების კომისიის 1931 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სსკ 58-6 (ჯაშუშობა) მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით;
23. **გორსკაია ნატალია ანტონის ას.** – დაბ. 1905 წელს. ცხოვრობდა ბათუმში რუსთაველის, 3-ში. საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის განსაკუთრებული სათათბიროს და ადმინისტრაციულ გასახლებების 1933 წლის 25 მაისის დადგენილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-6 (ჯაშუშობა), 58-24 (კვალიფიციური პროპაგანდა) და 38-27 (სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა) მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით;
24. **გრიელსკაია ტატიანა ვიქტორის ას.** – დაბ. 1906 წელს ბათუმში. პიანისტი. დააპატიმრეს 22. 09. 33წ. საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის განსაკუთრებული სათათბიროს 1933 წლის 29 აგვისტოს დადგენილებით, სსკ 58-11 (საორგანიზაციო მოქმედება ხელისუფლების დასამხობად) მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით. იგი ბათუმის ნოტარიუსის ვ. ფ. გრიელსკის ქალიშვილი უნდა იყოს;



25. **დავითაძე-ლორთქიფანიძე ესმა ოსმანის ას.** – დაბ. 1902 წელს სოფ. ტბეთში (შუახევის რ-ნი). საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით სმოწ-ის ბრალდებით მიესაჯა 10 წლით პატიმრობა, როგორც 1937 წლის 28 სექტემბერს დახვრეტილი ზეკერია ლორთქიფანიძის მეუღლეს (იხ. გვ. 290-292);

26. **ებრალიძე თამარ ერმილეს ას.** – დაბ. 1910 წელს დაბა ლანჩხუთში, ცხოვრობდა ბათუმში, მუშაობდა სალიბაურის საექიმო პუნქტის გამგედ, დააპატიმრეს 1938 წლის აპრილში. საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის 1938 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით სსკ 58 მუხლის, 10-11 ქვეპუნქტებით, რაც ითვალისწინებდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიესაჯა. თამარის მამა ერმილე ებრალიძე 1924 წელს წავიდა საფრანგულში (გარდ. 1939 წ.). ამის გამო დააპატიმრეს თამარის დედა ფატი ჟღენტი და მიუსაჯეს 10 წელი. სასჯელს იხდიდა არხანგელსკში, დაბრუნდა 1947 წელს;



თამარ ერმილეს ასული ებრალიძე

27. **ეგოროვა მარიამ პეტრეს ას.** – დაბ. 1904 წ., სოჭში, ცხოვრობდა ბათუმში, სტალინის 9-ში. დააპატიმრეს 14.10.31წ. საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის განსაკუთრებული სათათბიროს და ადმინისტრაციულ გასახლეების 1932 წლის 2 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს

სსკ 58-6 (ჯაშუშობა), 58-24 (კვალიფიციური პროპაგანდა) და 38-27 (სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა) მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით;

28. **ეფენდიევა ანა ფრიდონის ას.** – დაბ. 1895 წელს ესტონეთში, ცხოვრობდა ბათუმში. დააპატიმრეს 23. 02. 38 წ. საქართველოს სსრ შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 15 ივლისის დადგენილებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-6 (ჯაშუშობა) მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით;
29. **ვარშანიძე ნუხიძე ყემბერის ას.** – დაბ. 1905 წელს, ქობულეთში, ცხოვრობდა, კიროვის 30-ში. სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 23 აპრილის დადგენილებით, როგორც სმოწ-ს, მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომაგასწორების ბანაკში მოხდით. სასჯელს იხდიდა სეგეჟის ბანაკში და ყაზახეთში. გათავისუფლდა 1945 წლის 23 ნოემბერს. იგი 1937 წელს ბათუმში დახვრეტილი *ახმედ ხასანის ძე ვარშანიძის მეუღლე უნდა* იყოს;
30. **თავდგირიძე ზერა სულეიმანის ას.** – დაბ. 1887 წელს სოფ. ურეხში. აჭარის ასსრ შინსახკომის 1938 წლის 3 იანვარის დადგენილებით მის მიმართ საქმე წარმოებით შეწყდა. იგი იმავე ორგანომ 1937 წლის 15 დეკემბერს დააპატიმრა სსკ 58-12 მუხლის საფუძველზე (დანაშაულის განუცხადებლობა). ზერა იყო 1937 წელს დახვრეტილი *ოსმან ხუსეინის ძე თავდგირიძის მეუღლე*;



მარჯვნიდან პირველი ხუსეინ თავდგირიძე, მარცხნიდან პირველი ქალი ზერა სულეიმანის ასული ქადიძე-თავდგირიძისა, ოსმან თავდგირიძის მეუღლე. 1969 წ.

31. **თურმანიძე გულაიშა დურსუნის ას.** – დაბ. 1908 წელს სსრკ შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს მიერ 1943 წლის 28 აპრილს სმოწ-ის ბრალდებით მიესაჯა 5 წლით გადასახლება ოჯახის წევრებთან: **ფატყუმე ხუსეინის ასული თურმანიძე** (დაბ. 1928 წელს), **ესმა ხუსეინის ასული თურმანიძე** (დაბ. 1933 წელს) და **ნესიმე ხუსეინის ასული თურმანიძესთან** (დაბ. 1935 წელს) ერთად ნოვოსიბირსკის ოლქში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 31 აგვისტოს დადგენილებით სისხლის სამართლის საქმე შეწყდა და იგი ოჯახის წევრებთან ერთად რეაბილიტირებულია. გულაიშა 1937 წელს ბათუმში დახვრეტილი **ხუსეინ ახმედის ძე თურმანიძის მეუღლე** იყო;



- 32. **იაკიმოვა-ოტები კლავდია ივანეს ას.** – დაბ. 1900 წელს, რუსი, ცხოვრობდა ქობულეთში. სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს 28. 08. 38 წ. დადგენილებით, როგორც სმოწ-ს, მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომაგასწორების ბანაკში მოხდით. სასჯელს იხდიდა სეგეჟის ბანაკში და ყაზახეთში. გათავისუფლდა 1943 წლის 12 მაისს;
- 33. **კაკაბაძე ნაიმე სულეიმანის ას.** – 1937 წელს დახვრიტეს ბათუმში. იგი შეტანილია №1 სიაში (რიგითი №238). სხვა ცნობა ამ პიროვნებაზე არ გაგვანჩნია;



მარცხნიდან მეორე დგას ნაიმე კაკაბაძე

- 34. **კალისტრატოვა პრასკოვია მიხეილის ას.** – დაბ. 1871 წელს პოლტავაში, ცხოვრობდა ბათუმში, დიასახლისი. დააპატიმრეს 10.05.31წ., საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს სასამართლოს სხდომის 1931 წლის 18 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს სსკ 58-10 (პროპაგანდა, აგიტაცია ხელისუ-



ფლების დასამხობად) მიესაჯა 3 წლით პატიმრობა საკონცენტრაციო ბანაკში მოხდით;

- 35. **კანევსკაია ნადეჟდა** – დაბად. 1902 წ. 1937 წლის თებერვალს ბათუმში დაპატიმრებული ვსევილოდ მიხეილის ძე კანევსკის მეუღლე. იმავე წლის აგვისტოში, როგორც სმოწ-ი, დააპატიმრეს ნადეჟდა და მისი 14 წლის ვაჟი და გაგზავნეს სარანსკის შრომა-გასწორების ბანაკში. 1956 წელს ნადეჟდა კანევსკაიამ მიიღო სრული რეაბილიტაცია;



ნადეჟდა კანევსკაია

- 36. **კაპელ-გობეჩია ეთელ ისაკის ას.** – დაბად. 1908 წ., ბათუმში, ებრაელი, ცხოვრობდა თბილისში, განოვსკაიას 3-ში. სსრკ შინსახკომის სათათბიროს 1938 წლის 28 ივნისის დადგენილებით, როგორც სმოწ-ს, მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომაგასწორების ბანაკში მოხდით. სასჯელს იხდიდა ყაზახეთში, სადაც თბილისიდან მოხვდა. გათავისუფლდა 14. 02. 46 წელს;
- 37. **კარალიძე ფადიმე მუსტაფას ას.** – დაბად. 1917 წ. ხელვაჩაურის რაიონის ს. მარადიდში. სსრკ შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1943 წლის 30 იანვრის დადგენილებით, სმოწ-ის ბრალდების საფუძ-

- ველზე, მიესაჯა 5 წლით გასახლება ციმბირში. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების I პუნქტის თანახმად რეაბილიტირებულია;
38. **კონცელიძე ადგიე იუსუფის ასული** – 1937 წ. დახვრეტილი ოსმან კონცელიძის მეუღლე. 1937 წ. მას ბრალად დადევს ჯაშუშობა და 10 წლით გადასახლება მიუსაჯეს. დაბრუნდა 1947 წელს.
- 38<sup>ა</sup>. **კოსტარევა ვანდა იოსების ას.** – დაბად. 08. 09. 1882 წ., ბერდინევიში, თერძი, ცხოვრობდა ციხისძირში. დააპატიმრეს 07. 04. 31 წელს. მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ადმინისტრაციული გადასახლების კოლეგიის სასამართლოს სხდომის 1931 წლის 23 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს სსრ-ის სამართლის კოდექსის 58-10 (პროპაგანდა-აგიტაცია ხელისუფლების დასამხობად), 58-11 (საორგანიზაციო მოქმედება ხელისუფლების დასამხობად) მუხლებით განესაზღვრა გადასახლება 3 წლით;
39. **კუვაზევა თამარ ვლადიმერის ას.** – დაბ. 1887 წელს, თბილისში, ცხოვრობდა მახინჯაურში. დააპატიმრეს 16. 05. 31 წ. საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განსაკუთრებული სათათბიროს 1931 წლის 9 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სსრ-ის სამართლის კოდექსის 58-10 (პროპაგანდა-აგიტაცია ხელისუფლების დასამხობად), 58-19 (გაწვევისაგან თავის არიდება) მუხლებით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით;
40. **კულჩიციკაია მარია ნიკოლოზის ას.** – დაბ. 1900 წელს, ცხოვრობდა ბათუმში. დააპატიმრეს 26. 03. 33 წ. საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განსაკუთრებული სათათბიროს კოლეგიის 1933 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სსრ-ის სამართლის კოდექსის 58-11 (საორგანიზაციო მოქმედება ხელისუფლების დასამხობად) მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით;

41. **კულჩიკაია ოლღა ნიკოლოზის ას.** – დაბ. 1904 წელს, ცხოვრობდა ბათუმში. ექთანი. დააპატიმრეს 26. 03. 33 წ. საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს (ГПУ) განსაკუთრებული სათათბიროს კოლეგიის 16. 10. 33 წლის დადგენილებით, საქართველოს სსრ-ის სამართლის კოდექსის 58-11 (საორგანიზაციო მოქმედება ხელისუფლების დასამხობად) მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით.
42. **კულჩიკაია იულია ნიკოლოზის ას.** – დაბ. 1901 წელს, ცხოვრობდა ბათუმში. ექთანი. დააპატიმრეს 26. 03. 33 წ. საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განსაკუთრებული სათათბიროს კოლეგიის 1933 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სსრ-ის სამართლის კოდექსის 58-11 (საორგანიზაციო მოქმედება ხელისუფლების დასამხობად) მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით;
43. **კრანკი მარიამ ანტონის ას.** – დაბ. 1907 წელს, ცხოვრობდა ბათუმში, კომინტერნის 5-ში. აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს 1941 წლის განჩინებით, საქართველოს სსრ სსრ-ის სამართლის კოდექსის 58-10 (პროპაგანდა ან აგიტაცია ხელისუფლების დასამხობად) მუხლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით, ქონების კონფისკაციით;
44. **ლავენკოვა ლიდა ალექსანდრეს ას.** – დაბ. 1894 წელს, პიატიგორსკში, ცხოვრობდა ბათუმში, მენავთობეთა დასახლების 5-ში. დიასახლისი. დააპატიმრეს 27. 04. 38 წელს საქართველოს შინსახკომის სამეულის სხდომის 1938 წლის 1 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს სსრ 58-10 (პროპაგანდა-აგიტაცია ხელისუფლების დასამხობად), 58-19 (გაწვევისაგან თავის არიდება) მუხლებით მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

45. **ლებედევა-დიმიტრევა მარიამ ვასილის ას.** – დაბ. 1902 წელს, ურალსკში, ცხოვრობდა ბათუმში. დააბატირეს 24. 03. 38 წელს, საქართველოს შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 22 სექტემბრის დადგენილებით საქართველოს სსკ 58-6 (ჯაშუშობა) მუხლით განთავისუფლდა წინასწარი (6 თვის) პატიმრობის ჩათვლით და აეკრძალა ქვეყნის 15 პუნქტში ცხოვრება;
46. **ლორთქიფანიძე (კომახიძე) ასია ილიასის ას.** – დაბ. 1899 წელს, ბათუმში. სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს 28. 06. 38 წლის დადგენილებით, როგორც სმოწ-ს, მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომაგასწორების ბანაკში მოხდით. სასჯელს იხდიდა ყაზახეთში 21. 09. 38 წლიდან, სადაც ბათუმის ციხიდან მოხვდა. გათავისუფლდა 1941 წლის 1 თებერვალს; სელმან ლორთქიფანიძის მეუღლე.
47. **ლორთქიფანიძე-ქათამაძე მარიამ პეტრეს ას.** – დაბ. 1908 წელს, ხაშურში, ცხოვრობდა ბათუმში. სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს და აჭარის შინსახკომის 1937 წლის 23 ნოემბრის დადგენილებით, სსკ 58-12 მუხლის (განუცხადებლობა) და, როგორც სმოწ-ს, მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომაგასწორების ბანაკში მოხდით. სასჯელს იხდიდა ყაზახეთში. 1939 წლის 4 ოქტომბერს გადავიდა სოლიკამბუმსტროიში. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 13 აგვისტოს ბრძანებით რეაბილიტირებულია; 1937 წ. დახვრეტილი ილიას ღურსუნის ძე ქათამაძის მეუღლე.
